

ნავთობისა და გუნეპრივი  
აირების ქიმია



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოთა სამსონია, თითა დოქსოპულო,  
იოსეგ ჩიკვაძე, თეო ხუჭუა

ნავთობისა და  
პურეპრივი აირეპის ემინა



სახელმძღვანელოში განხილულია ნავთობის, ნავთობპროდუქტების და ბუნებრივი აირების თვისებები, მათი დაყოფისა და კვლევის მეთოდები, ნავთობური საწვავებისა და ზეთების შედგენილობა და მათი საექსპლუატაციო თვისებები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტების ქიმიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და ნავთობის ქიმიის სპეციალობის მქონე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

რედაქტორი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ავთანდილ დოლიძე

რეცენზენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ბენედიქტე წერეთელი  
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ერნა ლეკვეიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009  
ISBN 978-9941-13-148-6

## შირვანისი

შესავალი .....	7
1. ნავთობის ფრაქციული და ქიმიური შედგენილობა .....	9
1.1 ნავთობის ფრაქციული შედგენილობა .....	9
1.2. ნავთობის ქიმიური შედგენილობა .....	11
1.2.1 ალკანები .....	11
1.2.2. ციკლოალკანები .....	13
1.2.3. არომატული ნახშირწყალბადები .....	16
1.2.4. ჰიბრიდული სტრუქტურის ნახშირწყალბადები .....	18
1.2.5. უანგბადშემცველი ნაერთები .....	19
1.2.6. გოგირდშემცველი ნაერთები .....	22
1.2.7. აზოტშემცველი ნაერთები .....	26
1.2.8. ფისები და ასფალტენები .....	28
1.2.9. ნავთობის მინერალური კომპონენტები .....	31
2. ნავთობის კლასიფიკაცია .....	34
2.1. ნავთობის ქიმიური კლასიფიკაციები .....	34
2.2. ნავთობის ტექნოლოგიური კლასიფიკაცია .....	37
3. ნავთობის ძარღმობა .....	40
3.1. ნავთობის ნარმოშობის არაორგანული თეორია .....	40
3.2. ნავთობის ნარმოშობის კოსმოსური თეორია .....	42
3.3. ნავთობის ნარმოშობის ორგანული თეორია .....	42
4. ნავთობის გენერაციულობანი საპადოები .....	51
5. საქართველოს ნავთობები .....	54
6. პუნქტივი საწვავი აირი .....	59
6.1. მეთანი ბუნებაში .....	62
6.2. ქვანახშირებში გახსნილი აირები (მეთანი) .....	64
6.3. მეთანი ტბების, ზღვებისა და ოკეანეების ხავსში .....	64
7. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების თვისებები .....	68
7.1. სიმკვრივე .....	68
7.2. მოლეკულური მასა .....	71
7.3. სიბლანტე .....	72
7.4. გამყარების, შემღვრევისა და კრისტალიზაციის ტემპერატურები .....	76
7.5. ფეთქების, აალებისა და თვითალების ტემპერატურები .....	77
7.6. წვის სითბო .....	78
7.7. ქიმიური სტაბილურობა .....	79
7.8. კოროზიული აქტიურობა .....	79
7.9. საწვავის ნაჯერი ორთქლის წნევა და ფრაქციული შედგენილობა .....	80
7.10. ნავთობის ოპტიკური თვისებები .....	82
7.10.1. გარდატების მაჩვენებელი .....	83

<b>8. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაყოფის გეთოდები</b>	87
8.1. გამოხდა-რექტიფიკაცია .....	87
8.2. აზეოტროპული და ექსტრაქციული რექტიფიკაცია .....	89
8.3. ექსტრაქცია .....	90
8.4. თერმული დიფუზია .....	91
8.5. კრისტალიზაცია .....	92
8.6. ქრომატოგრაფია .....	93
<b>9. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გედგენილობის გასწავლა</b> .....	98
9.1. ელემენტური ანალიზი .....	98
9.2. ნახშირნყალბადთა ჯგუფური და სტრუქტურულ-ჯგუფური შედგენილობის განსაზღვრა .....	101
9.3. ნავთობპროდუქტებში ინდივიდუალურ ნივთიერებათა განსაზღვრა ქრომატოგრაფიული მეთოდით .....	108
9.4. მას-სპექტრომეტრია .....	113
9.5. პმრ სპექტრული ანალიზი .....	114
<b>10. ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადამუშავება</b> .....	116
10.1. ნავთობის პირველადი გადამუშავება – გამოხდა .....	116
10.2. ნავთობის მეორადი გადამუშავება .....	120
10.2.1. კრეპინგი .....	120
10.2.2. ვისბრეკინგი .....	126
10.2.3. კატალიზური კრეპინგი .....	127
10.2.4. ჰიდროკრეპინგი .....	133
10.2.5. პიროლიზი .....	141
10.2.6. რიფორმინგი .....	145
<b>11. ნავთობპროდუქტების განმენდა</b> .....	148
11.1. გოგირდმუავათი განმენდა .....	149
11.2. ტუტით განმენდა .....	151
11.3. სელექციური გამხსნელებით განმენდა .....	152
11.4. განმენდის ადსორბციული და კატალიზური მეთოდები .....	153
<b>12. ძირითადი ნავთობპროდუქტები და მათი საექსპლუატაციო მახასიათებლები .....</b>	156
12.1. ბენზინი, მისი მახასიათებელი პარამეტრები .....	156
12.2. საწვავები საპაერო-რეაქტიული ძრავებისათვის .....	162
12.3. დიზელის საწვავი, მისი მახასიათებელი პარამეტრები .....	165
12.4. ნავთობის ზეთები, მისი მახასიათებელი პარამეტრები .....	169
12.4.1. ტრანსფორმატორის ზეთი .....	172
12.4.2. ზეთებისადმი დანამატები .....	174
12.5. პლასტიკური საცხები მასალები .....	176
12.6. საქვაბე საწვავი .....	177
12.7. ბიტუმები .....	179
12.8. ნავთობის კოქსი .....	181
<b>13. ნავთობი და ეკოლოგია .....</b>	183
გამოყენებული ლიტერატურა .....	191

## შესავალი

ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს მის ტერიტორიაზე არსებული მარგი წიაღისეული განსაზღვრავს, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი როლი ენერგორესურსებს, კერძოდ, ნავთობს ენიჭება.

ნავთობი და დედამიწის ზედაპირზე ამოსული მისი მყარი პროდუქტები (ას-ფალტენები, ბიტუმები და სხვა) კაცობრიობისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი. მისი სახელწოდება „ნავთობი“ მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „ნაფთა“, რაც გამოჟონვას, გამოსვლას ნიშნავს. ჯერ კიდევ V საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე ჰეროდოტე მიუთითებდა სხვადასხვა ქვეყნებში: ინდოეთში, სპარსეთში, სირიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე ნავთობის წყაროების არსებობის შესახებ. ხოლო პლუტარქე აღწერს რა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს, გვაწვდის ცნობებს ამუდარიასა და კასპიის ზღვის სანაპიროზე ნავთობის საბადოების არსებობის შესახებ.

როგორც ძველი წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ადრეულ პერიოდში ნავთობს იყენებდნენ საწვავად, გასანათებელ საშუალებად და გზებისა და სხვადასხვა ნაგებობათა მშენებლობაში შემკვრელ საშუალებად, ასევე, ნავთობი გამოიყენებოდა სამხედრო საქმეში საომარ საშუალებად. კერძოდ, ცნობილია ე.ნ. „პერძენული ცეცხლი“ – წვადი ნარევი, რომელსაც ამზადებდნენ ნავთობის, გოგირდისა და გვარჯილასაგან. XIII საუკუნეში ჩინგის ხანის ჯარები ბუხარას ციხესიმაგრის აღების დროს მონინააღმდეგის ტერიტორიაზე ყრიდნენ ნავთობით ავსებულ ქოთნებს, რომლებსაც შემდეგ ესროდნენ ანთებულ ისრებს, რაც ინვევდა ნავთობის აალებასა და ხანძრის გაჩენას. ნავთობს იყენებდნენ აგრეთვე სამკურნალნამლო საშუალებად. ცნობილია ძველი ბერძენი მეცნიერის ჰიპოკრატეს (IV-V საუკ. ჩვ. ნ.) სამკურნალო რეცეპტები, რომელთა შედგენილობაში ნავთობი შედიოდა.

განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მოთხოვნილება ნავთობის მოხმარებაზე ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა გერმანია და ინგლისი, მოხმარებული ენერგორესურსებიდან 55-60% ნავთობსა და ბუნებრივ აირზე მოდის, ხოლო აშშ-სა და იაპონიაში 75-80%. ასევე რუსეთშიც ენერგიის ძირითადი წყაროა ნავთობი და ბუნებრივი აირი. ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ სხვა საწვავ წიაღისეულთან (ქვანახშირი, ტორფი, ფიქლები) შედარებით, ნავთობის როგორც მოპოვება, ისე ტრანსპორტირება მარტივად ხდება, ასევე მარტივია მისი გადამუშავება სხვადახვა სახის ნავთობპროდუქტებად – სხვადასხვა სახის საწვავად (ავტომობილებისათვის, თვითმფრინა-

ვებისათვის, ტრაქტორებისათვის, დიზელებისა და რეაქტიული ძრავებისათვის, საქვაბე დანადგარებისათვის და ა.შ.).

ნავთობს დიდი როლი ენიჭება ქიმიურ მრწველობაშიც. ცნობილი რუსი მეცნიერი დ. მენდელეევი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ნავთობი საწვავი არ არის, იგი ძვირფასი ქიმიური ნედლეულია. ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქტთა ბაზაზე ხორციელდება სინთეზური კაუჩუკების, პლასტმასების, ქიმიური ბოჭკოების, გამრეცხი საშუალებების, მცენარეთა ზრდის სტიმულატორების, ჰერბიციდების, მაცივარაგენტების, ანტიფრიზების, ანტიდეტონატორების, სამკურნალნამლო ნივთიერებების, საწვავებისა და საცხისი ზეთების დანამატების სინთეზი. თითქმის არ არსებობს მეურნეობის ისეთი დარგი, რომელშიც ნავთობპროდუქტებსა არ იყენებდნენ.

ნავთობქიმიური მრეწველობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების (საწვავების, საცხები ნივთიერებების და სხვ.) ხარისხიანობის განსაზღვრა, რისთვისაც მიზანშეწონილია რიგი პარამეტრების დადგენა.

სახელმძღვანელოში განხილულია ნავთობის და ბუნებრივი აირების შედგენილობა, მათი გენეზისის საკითხები, ნავთობის პირველადი და მეორადი გადამუშავების პროცესები; ნავთობპროდუქტების ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები და მათი საექსპლუატაციო მახასიათებლები.

## 1. ნავთობის ფრაქციული და ეიმიური შედგენილობა

ნავთობი ცვლადი შედგნილობის უაღრესად რთული ნარევია. ის ძირითადად შედგება ნახშირწყალბადებისაგან – ალკანების, ციკლოალკანებისა და არენები-საგან (როგორც წესი ნავთობი არ შეიცავს უჯერ ნახშირწყალბადებს; მაგრამ არის იშვიათი გამონაკლისები – მაგ., პენსილვანიის ნავთობი, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს უჯერ ნახშირწყალბადებს).

ნახშირწყალბადების გარდა ნავთობში არის ჟანგბად-, გოგირდ- და აზოტ-შემცველი ორგანული ნაერთები, მცირე რაოდენობით მრავალი ლითონი და ზოგიერთი არალითონი.

### 1.1 ნავთობის ფრაქციული შედგენილობა

ნავთობის ხარისხის მნიშვნელოვან მახასითებელს წარმოადგენს მისი ფრაქციული შედგენილობა. ნავთობის ფრაქციული შედენილობა განისაზღვრება გარკვეულ ტემპერატურულ ინტერვალში გადადენილი დისტილატის რაოდენობით. თითოეული ფრაქცია ხასიათდება დუღილის დაწყებისა და დამთავრების ტემპერატურებით.

350°C-მდე გამოხდილ ფრაქციებს ღია ფერის ფრაქციები ეწოდებათ. მათ სახელწოდება მიენიჭათ შესაბამისად გამოყენების სფეროს მიხედვით.

რუსეთში მიღებულია ნავთობის დაყოფა შემდეგ ფრაქციებად:

#### ცხრილი 1.1

#### ნავთობის დაყოფა ფრაქციებად

გამოხდის დაწყების და დამთავრების ტემპერატურები	ფრაქციის სახელწოდება
დუღ. t-ის დასაწყისი – 140°C	ბენზინის ფრაქცია
140-180°C	ლიგროინის ფრაქცია (მძიმე ნაფთა)
140-220°C (180-240°C)	ნავთის ფრაქცია
180-350°C (220-350°C, 240-350°C)	დიზელის ფრაქცია (მსუბუქი ანუ ატმოსფერული გაზოილი)

350<sup>0</sup>C-მდე გამოხდის შემდეგ დარჩენილ ნარევს ეწოდება მაზუთი. მაზუთის გამოხდას ახდენენ ვაკუუმში, რის შედეგადაც შესაძლებელია როგორც საწვავის, ისე მინერალური ზეთების მიღება.

საწვავის მიღების მიზნით მისი გამოხდა ხდება შემდეგ ტემპერატურულ ინტერვალში:

350-500<sup>0</sup>C – ვაკუუმის გაზოილი;

>500<sup>0</sup>C – ვაკუუმური ნარჩენი (გუდრონი);

ხოლო ზეთების მიღების მიზნით:

300-400<sup>0</sup>C (320-420<sup>0</sup>C) – მსუბუქი ზეთის ფრაქცია (ტრანსფორმატორის დისტილატი);

400-450<sup>0</sup>C (420-490<sup>0</sup>C) – საშუალო ზეთის ფრაქცია (მანქანის დისტილატი);

450-490<sup>0</sup>C – მძიმე ზეთის ფრაქცია (ცილინდრის დისტილატი);

>490<sup>0</sup>C – გუდრონი.

მაზუთსა და მისგან მიღებულ ფრაქციებს მუქი ფერის ნავთობპროდუქტებს უწოდებენ.

აშშ-ში ნავთობის გამოხდით იღებენ შემდეგ ფრაქციებს:

## ცხრილი 1.2

### ნავთობის დაყოფა ფრაქციებად

გამოხდის დაწყების და დამთავრების ტემპერატურები	ფრაქციის სახელწოდება
32 <sup>0</sup> C-მდე	ნახშირწყალბადოვანი აირები
32-105 <sup>0</sup> C	ბენზინი (გაზოლინი)
105-160 <sup>0</sup> C	ნაფთა (მძიმე ბენზინი)
160-230 <sup>0</sup> C	გაზოილი
230-430 <sup>0</sup> C	მაზუთი

ფრაქციული შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა საბადოს ნავთობები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგ.: კომის ავტონომიური რესპუბლიკის –იარეგსკის ნავთობი შეიცავს 18.8% ღია ფერის ფრაქციებს, დასავლეთ ციმბირის სამოტლორსკის – 58.8%.

საქართველოს ნავთობებში ღია ფერის ფრაქციების შემცველობა საკმაოდ მაღალია. მაგ.: პატარა შირაქის №49 ჭაბურლილის საბადოს ნავთობი შეიცავს 47.5% ღია ფერის ფრაქციებს, თელეთის საბადოს ნავთობი შეიცავს 54.9%, ხოლო სუფსის საბადოს ნავთობი შეიცავს 50%.

## 1.2. ნავთობის ეიმიური შედგანილობა

### 1.2.1 ალკანები

ალკანები ყველა ნავთობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ალკანების საერთო შემცველობა ძირითადად 40-50%-ს, ზოგიერთ ნავთობში 50-70%-ს შეადგენს. არსებობს ნავთობი ალკანების დიდი რაოდენობით – 88%-ის შემცველობით (მანგიშლაკის ნავთობი).

ნავთობი შეიცავს როგორც აირად, ისე თხევად და მყარ ალკანებს. მეთანი, ეთანი, პროპანი, ნორმალური და იზოტოპური ალკანები, დიმეთილპროპანი ნარმოადგენენ ნავთობის თანმხლებ აირებს. ალკანები შედიან ნავთობის ყველა ფრაქციაში. ყველაზე დიდი რაოდენობით ბენზინისა და ნავთის ფრაქციებში. ფრაქციების დუღილის ტემპერატურის გაზრდასთან ერთად, მათში ალკანების შემცველობა მცირდება.

ბენზინის ფრაქცია შეიცავს C<sub>5</sub>-C<sub>9</sub> შედგენილობის ნახშირწყალბადებს, ძირითადად ნორმალური ან მცირედ განტოტვილი აღნაგობის ალკანებს.


ჯერ კიდევ 1862-63 წლებში აშშ-ის მეცნიერებმა პელუზმა, კაგურმა და შორლემერმა პენსილვანიის ნავთობის კვლევისას დაადგინეს მასში ნორმალური C<sub>5</sub>-C<sub>8</sub> ალკანების არსებობა.


მთელი რიგი საბადოების ნავთობის შესწავლამ აჩვენა, რომ ნავთობი შეიცავს როგორც ნ-აღნაგობის (უპირატესად) ნახშირწყალბადებს ბუტანიდან დანებული ნ. ტრიტრიაკონტანამდე C<sub>33</sub>H<sub>68</sub> (t<sub>დღ.</sub>-475°C), ასევე მცირედ განტოტვილ ალკანებს – მოკლე გვერდითი ჯაჭვებით (ძირითადად მეთილის და ეთილის). დღეისათვის ნავთობიდან გამოყოფილი და შესწავლილია 600-ზე მეტი ალკანი. ჰექსანის 5 იზომერიდან – ხუთივე, ჰეპტანის 9-დან – 7, ოქტანის 18-დან – 16, ნონანის თეორიულად შესაძლო 35 იზომერიდან გამოყოფილია 24 და ა.შ.

იზოაგებულების ნახშირწყალბადებიდან ჭარბობს მეთილ- და დიმეთილალკანები (სიმეტრიული აღნაგობის). დადგენილი წესიდან გამონაკლის ნარმოადგენს კრასნოდარის მხარის (ანასტასიის) და ზღვის ქვების ნავთობები. მათში პრაქტიკულად არ არის ნ-ჰექსანი, ჰეპტანი და ოქტანი. აღმოჩენილია ძლიერ განშტოებული ნახშირწყალბადები. ზღვის საბადოს ნავთობის ქვების ნავთობში დადგენილია 2,2,3,5- ტეტრამეთილჰეპტანისა და 2,2-დიმეთილ-4-ეთილჰეპტანის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ როგორც საერთოდ ალკანების, ნ-ალკანების შემცველობაც მცირდება მოლეკულური მასის გაზრდასთან ერთად.

1961-1962 წლებში ნავთობში აღმოჩენილი იყო ალკანები ნახშირბადოვან ჯაჭვში მეთილის რადიკალების რეგულარული განლაგებით; კერძოდ, 2, 6, 10, 14, 18 და ა.შ. მდგომარეობაში. აღნაგობით ისინი პოლიიზოპრენის შესაბამის ნაჯერ ნახშირწყალბადებს ნარმოადგენენ, რის გამოც მათ იზოპრენოიდები ეწოდათ.






იზოპრენოიდების არსებობა დადგენილია მრავალი ნავთობის საშუალო ფრაქციებში (250-400°C), ბუნებრივ ბიტუმებში, დედამინის ქერქში გაბნეულ ორგანულ ნივთიერებებში.


ნავთობში იზოპრენოიდების (C<sub>9</sub>-C<sub>25</sub>) შემცველობა 3-4%-ს შეადგენს.

ირანისა და აღმოსავლეთ ტეხასის ნავთობებში იდენტიფიცირებულია პრისტანი და ფიტანი:




პრისტანი C<sub>19</sub>H<sub>40</sub>

2.6.10.14-ტეტრამეთილპენტადეკანი  
t<sub>დღ.</sub> 331-332.5°C



ფიტანი C<sub>20</sub>H<sub>42</sub>

2.6.10.14-ტეტრამეთილპენტადეკანი  
t<sub>დღ.</sub> 352.5-353°C

ვარაუდობენ, რომ ნავთობში ისინი წარმოქმნილი არიან მწვანე მცენარეებში არსებული ქლოროფილის შედგენილობაში შემავალი უჯერი სპირტის ფიტოლი-საგან (C<sub>20</sub>H<sub>39</sub>OH)  CH<sub>2</sub>OH .

ნავთობში მყარი პარაფინების მასური ნილი ძირითადად შეადგენს 0.1-5%-ს. პარაფინული ტიპის ნავთობში მათი შემცველობა 7-12%-მდეა. არის შემთხვევები, როდესაც მათი შემცველობა 15-20%-მდეა, მაგ., მანგიშლაკის ნახევარკუნძულის ნავთობში.

მყარი ალკანები ნავთობში გახსნილ ან შეტივნარებულ მდგომარეობაშია. მაზუთიდან გამოხდილი ზეთების შემადგენლობაში C<sub>18</sub>-C<sub>35</sub> შედგენილობის ალკანებია, ხოლო გუდრონში C<sub>35</sub>-C<sub>53</sub>. გამოკვლვებით დადგენილია, რომ როგორც თხევადი ალკანების შემთხვევაში, ნავთობში არსებული მყარი პარაფინების 50% ნ-ალნაგობისაა. დანარჩენი მცირედ განტოტვილი (ძირითადად მეთილის და ეთილის რადიკალებით).

აღმოჩენილია იშვიათი მინერალი – ოზოკერიტი, რომელიც წარმოქმნილია ფორმვანი ქანებისაგან და გაუდენთილია მყარი პარაფინების და მცირე რაოდენობით მაღალმდუღარე ალკანებით და ფისებით.

ნავთობში შემავალ მყარ ალკანებს ყოფენ პარაფინებად და ცერეზინებად.

თავდაპირველად მყარი ნახშირწყალბადების დაყოფა ცერეზინებად და პარაფინებად მოახდინეს შესაბამის ნაერთთა კრისტალური სტრუქტურების, მათ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს შორის განსხვავებით.

ერთი და იგივე ლლობის ტემპერატურის მქონე ნივთიერებებიდან ცერეზინები გამოირჩეოდნენ უფრო მაღალი მოლეკულური მასით, სიბლანტითა და სიმკვრივით.

ცერეზინები პარაფინებთან შედარებით ხასიათდებიან უფრო მაღალი გარდატეხის მაჩვენებლით. ისინი შედგებიან უფრო წვრილი კრისტალებისაგან, ვიდრე პარაფინები.

ქიმიური თვალსაზრისით, ცერეზინები პარაფინებთან შედარებით ხასიათ-დებიან უფრო გაზრდილი რეაქციისუნარიანობით. ცერეზინები ენერგიულად ურთიერთქმედებენ მბოლავ გოგირდმუავასთან და ქლორსულფომუავასთან, მაშინ როცა პარაფინები ამ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებენ სუსტად.

პარაფინები უპირატესად მაღალმოლეულური ნალკანების ნარევია. ცერეზინები კი – ნორმალური ან განშტოებული აღნაგობის გრძელი ალკილის რადიკალის შემცველ ციკლოალკანებსა და არენებს ნარმოადგენენ.

### 1.2.2. ციკლოალკანები

1880-იან წლებში რუსმა მეცნიერებმა მარკოვნიკოვმა და ოგლობლინმა ალმოაჩინეს ნავთობში  $C_8H_{2n}$  შედგენილობის ციკლური პოლიმეთილენური ნახშირნყალბადები – ციკლოალკანები, კერძოდ, ციკლოპენტანი, ციკლოპენტანი და მათი ჰომოლოგები  $C_{15-n}$ -ის ჩათვლით. მარკოვნიკოვმა მათ ნაფთენები უწოდა. შემდგომში ეს სახელწოდება გავრცელდა პოლიციკლურ პოლიმეთილენურ ნახშირნყალბადებზეც.

ციკლოალკანების მასური წილი ნავთობში საშუალოდ 25-75%-მდეა. ციკლოალკანები გვხვდება ყველა ფრაქციის შედგენილობაში. ჩვეულებრივ, მათი შემცველობა ფრაქციის დუღილის ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდება, ყველაზე მაღალმდუღარე ზეთის ფრაქციაში კი მცირდება, არომატული ნახშირნყალბადების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე.

125°C-მდე გამოხდილ ფრაქციაში შედის მოლეკულაში 5-8 ნახშირბადის ატომის შემცველი მონოციკლური ციკლოალკანები: ციკლოპენტანი, ციკლოპენტანი და მათი ჰომოლოგები.

ციკლოპენტანის შემცველობა ნავთობში მცირეა. მაქსიმალური რაოდენობა 3%-ია (ნავთობში არსებული ციკლოალკანების მიმართ). ასევე შედარებით მცირეა მეთილციკლოპენტანის შემცველობა. ნავთობში ძირითადად შედის თერმოდინამიკურად მდგრადი დიმეთილ- და ტრიმეთილციკლოპენტანები; კერძოდ, 1,2 და 1,3-დიმეთილციკლოპენტანები, 1,2,3,- და 1,2,4-ტრიმეთილციკლოპენტანები. 1,1-დიმეთილციკლოპენტანისა და ეთილციკლოპენტანის შემცველობა გაცილებით ნაკლებია. ნავთობში აღმოჩენილია  $C_9$  შედგენილობის ციკლოპენტანის რიგის ნახშირნყალბადებიც, რომელთა შორის ჭარბობს 1,2,3,4-ტეტრამეთილციკლოპენტანი, 1,4-დიმეთილ-2-ეთილციკლოპენტანი და 1,2-დიმეთილ-3-ეთილციკლოპენტანი.

ციკლოპენტანის შემცველობა სხვადასხვა ნავთობში 1-18%-ის ფარგლებშია. მეთილციკლოპენტანი ციკლოპენტანზე 2-6 ჯერ მეტი რაოდენობითაა. ზოგიერთ შემთხვევაში მეთილციკლოპენტანი ნავთობში შემავალ ციკლოალკანების 36-50%-ს შეადგენს.

125°C-მდე გამოხდილ ფრაქციაში აღმოჩენილია C<sub>8</sub>H<sub>16</sub> შედგენილობის ალკილციკლოპენები. მაგ., გროზნოს პარაფინულ ნავთობში მათი შემცველობა C<sub>8</sub> შედგენილობის ნახშირწყალბადების 35%-ია, ხოლო ბაქოს ნავთობში – 93-94%.

ისევე, როგორც ალკილციკლოპენტანის შემთხვევაში, ალკილციკლოპენებიდან ნავთობში უპირატესად გავრცელებულია თერმოდინამიკურად უფრო მდგრადი იზომერები 1,2-, 1,3- და 1,4-დიმეთილციკლოპენები. რიგ ნავთობებში (ეხაბინსკის, სურგუტსკის, პარმაისკის, გროზნოს) დიდი რაოდენობით (23-44%) არის ეთილციკლოპენები. თუმცა სხვადასხვა ნავთობში მისი შემცველობა ძალიან განსხვავებულია.

C<sub>9</sub> შედგენილობის ციკლოალკანებიდან ნავთობში შედის როგორც ორი, ისე სამჩანაცვლებული ციკლოპენები; კერძოდ, 1-მეთილ-3-ეთილციკლოპენები, 1-მეთილ-4-ეთილციკლოპენები.



სამჩანაცვლებული ციკლოპენებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია 1,2,4-ტრიმეთილციკლოპენები (61-80%), 1,2,3-ტრიმეთილციკლოპენები (17-30%), ხოლო 1,3,5-ტრიმეთილციკლოპენების მაქსიმალური შემცველობა 9%-ია, ზოგ ნავთობში კი კვალის სახითაა.

აღსანიშნავია, რომ ნავთობში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა 1,1,3-ტრიმეთილციკლოპენები. მიაჩნიათ, რომ ის კაროტინოიდების დესტრუქციის პროდუქტია.

მისი მომდევნო ჰომოლოგი 1,1,2,3-ტეტრამეთილციკლოპენებიანი აღმოჩენილია 150-175°C-ის ფრაქციებში. ამ ფრაქციაში იდენტიფიცირებულია 87 ნახშირწყალბადი, ძირითადად ციკლოპენების ნაწარმები. ამ ფრაქციაში დადგენილი იყო ასევე ზოგიერთი ბიციკლური ციკლოალკანის არსებობა.

ნავთობში აღმოჩენილია სამი ტიპის ბიციკლური ციკლოალკანები:

1. კონდენსირებულბირთვიანი ბიციკლოალკანები, რომელთაც გააჩნია საერთო 2 ნახშირბადის ატომი, მაგ.:




2. ერთი მარტივი ბმით დაკავშირებული არაკონდენსირებული ბიციკლური ნახშირწყალბადები. მაგ.:


დიციკლოპენებილი

(ნავთობიდან გამოყოფილია მარკოვნიკოვის მიერ).

დიციკლოპენტილი



3. კონდენსირებულბირთვიანი ბიციკლური ნახშირწყალბადები შიდა ნახშირბა-ბოვანი ხიდებით. მაგ.:



ნავთობი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ტრიციკლურ ციკლოალკა-ნებს, მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია  $C_{10}H_{16}$  შედგენილობის ტრი-

ციკლ [3,3,1,1] დეკანი -ადამანტანი

, რომელიც 1933 წელს ს. ლანდამ და ვ. მახაჩეკა აღმოაჩინეს ჩეხოსლოვაკიაში – მორავის ნავთობში. ნახშირწყალ-ბადი ხასიათდება ალმასის ტიპის კრისტალური მესრით  $t_{\text{და}} 269^{\circ}\text{C}$ .

ნავთობში დაფიქსირებულია აგრეთვე ( $C_{11}\text{-C}_{15}$  შედგენილობის) ადამანტანის ჰომოლოგები: 2-მეთილ-, 1,3-დიმეთილ- და 1,3,5-ტრიმეთილადამანტანები.

ადამანტანის შემცველობა ნავთობში 0,004-0,01%-ია. ბაქოს ბალახანის მძი-მე ნავთობის ( $200-225^{\circ}\text{C}$ ) ფრაქციაში 0,02%-ის რაოდენობით აღმოჩენილია მე-თილის და ეთილის რადიკალების შემცველი  $C_{11}\text{-C}_{14}$  შედგენილობის 24 ალკილა-დამანტანი.


ადამანტანის ნანარმები გამოიყენება სამკურნალნამლო ნივთიერებების, პოლიმერების ნარმოებაში და სხვა.

ტრიციკლური ციკლოალკანები ძირითადად გავრცელებულია კონდენსირე-ბულბირთვიანი სისტემების სახით.

მაგ.: პერპიდროანტრაცენი

, პერპიდროაცენაფტენი


ზოგიერთი ნავთობიდან გამოყოფილია ციკლოალკანები სრულად ჰიდრირე-ბული ფენანტრენისა და ქრიზენის სტუქტურებით, ასევე ციკლოპენტაპერპიდ-როფენანტრენის ბირთვის შემცველი, მაგ.: ქოლესტანი:




ნავთობში აღმოჩენილია ტეტრაციკლური და პენტაციკლური ციკლოალკა-ნები, რომლებიც აღნაგობით ციკლური პოლიტერპენების ანალოგებს წარმოადგენენ. ამ ნახშირწყალბადების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ტეტრაციკ-ლოალკანები ( $C_{27}\text{-C}_{30}$ ) მიეკუთვნებიან სტერანებს, ხოლო პენტაციკლოალკანები ( $C_{27}\text{-C}_{35}$ ) ჰოპანის ტიპის ტრიტერპენებს.

მიაჩნიათ, რომ ციკლოალკანების წყაროს ნავთობში წარმოადგენენ ძირითადად ცოცხალ ორგანიზმში არსებული ციკლური ტერპენების; მონოტერპენების ( $C_{10}\text{-H}_{16}$ ), სესკვიტერპენების ( $C_{15}\text{H}_{24}$ ), დიტერპენების ( $C_{20}\text{H}_{32}$ ), ტეტრატერპენების ( $C_{40}\text{H}_{64}$ ) უანგბადოვანი ნაწარმები (სპირტები, კეტონები, მჟავები).

ნავთობში აღმოჩენილი ციკლოალკანებიდან საინტერესოა ციკლოპექსანის ბირთვის შემცველი კაროტინოიდული სტრუქტურის ნახშირწყალბადები, რომლებიც წარმოადგენენ 1,1,3-ტრიმეთილ-2-ალკილციკლოპექსანის ჰომოლოგებს, გვერდით ჯაჭვში 10-24 ნახშირბადის ატომით:



კარაჯანბასის ნავთობში იდენტიფიცირებულია  $C_{46}\text{-C}_{80}$  შედგენილობის ციკლანი (ციკლოპენტანის ბირთვით) – გვერდით ჯაჭვში გრძელი იზოპრენოიდული სტრუქტურით:



ციკლოალკანები გრძელი ალკილის რადიკალებით განიხილებიან, როგორც ჰიბრიდული სტრუქტურები – ალკანურციკლოალკანური ნახშირწყალბადები.

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: აზერბაიჯანის ნაფთალანის ნავთობი, რომლის შედგენილობაში 50%-ზე მეტი ციკლოალკანები და შერეული პოლიციკლური ნახშირწყალბადებია, ხასიათდება მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური აქტიურობით, კერძოდ, ტკივილგამაყუჩებელი და სიმსივნის დაცხრომის უნარით; რის გამოც გამოიყენება კანის, სახსრებისა და კუნთების დაავადების სამკურნალოდ.

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სამკურნალო თვისებებით ხასიათდება ნავთობის ციკლოალკანური ნაწილი, ხოლო პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები ავლენენ ტოქსიკურ თვისებებს.

### 1.2.3. არომატული ნახშირწყალბადები

არომატულ ნახშირწყალბადთა შემცველობა სხვადასხვა საბადოს ნავთობში ფართო ზღვრებში იცვლება (15-50%).

ბენზინის ფრაქცია ძირითადად შეიცავს ბენზოლს, ტოლუოლს და  $C_8\text{-C}_9$  შედგენილობის ყველა შესაძლო იზომერულ ნახშირწყალბადს. ამასთანავე  $60\text{-}95^{\circ}\text{C}$  ვიწრო ფრაქცია შეიცავს ბენზოლს,  $95\text{-}122^{\circ}\text{C}$  – ტოლუოლს,  $122\text{-}150^{\circ}\text{C}$  – იზომერულ ქსილოლებსა და ეთილბენზოლს.  $150\text{-}180^{\circ}\text{C}$  ფრაქცია –  $C_9$  შედგენილობის იზომერულ არენებს, მეთილ- ეთილ- და ტრიმეთილბენზოლებს, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა  $1,2,4\text{-ტრიმეთილბენზოლი}$ .


ერთ-ერთი საბადოს (პონკა-სიტი, აშშ) ნავთობის ბენზინის ფრაქციის გამოკვლევისას დადგინდა, რომ C<sub>6</sub> -C<sub>9</sub> შედგენილობის არომატულ ნახშირწყალბადთა თანაფარდობა შესაბამისად ტოლია C<sub>6</sub> : C<sub>7</sub> : C<sub>8</sub> : C<sub>9</sub>=1:3:7:8. ამასთანავე სხვადასხვა ნავთობის ბენზინის ფრაქციაში იზრდება ალკილბენზოლების შემცველობა, რომელთა ბენზოლის ბირთვებში მეტი რადიკალია და მცირდება გრძელჯაჭვიანი მონოჩანაცვლებული ალკილბენზოლების რაოდენობა. მაგ.: პონკა-სიტის ნავთობში ტოლუოლის, ეთილბენზოლის, პროპილბენზოლისა და ბუტილბენზოლების მოცულობითი ნილი შესაბამისად შეადგენს 0,51, 0,19, 0,09 და 0,026%. დადგენილია, რომ ყველა ნავთობში მესამეული ბუტილბენზოლის შემცველობა 50-ჯერ ნაკლებია, ვიდრე 1,2,4-ტრიმეთილბენზოლის.

180-200°C ფრაქცია ძირითადად შეიცავს C<sub>10</sub> შედგენილობის ალკილბენზოლებს, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით არის ტეტრამეთილ- და დიმეთილბენზოლები (1,2-დიმეთილ-4-ეთილბენზოლი).

230-275°C-ის ფრაქცია ალკილბენზოლებიდან შეიცავს ძირითადად ორ- და სამჩანაცვლებულ ბენზოლებს, ამასთანავე ორჩანაცვლებულ ბენზოლებში ერთი მეთილის რადიკალია, ხოლო მეორე რადიკალი 6-8 ატომისაგან შემდგარი მცირედ განტოტვილი ალკილის რადიკალი

სამჩანაცვლებულ ალკილბენზოლებში ორი მეთილის რადიკალია, ხოლო მესამე ისეთივე აღნაგობის (C<sub>6</sub>-C<sub>8</sub>) ალკილის რადიკალია, რაც ორჩანაცვლებულში.

ამ ფრაქციაში აღმოჩენილია ასევე ნახშირწყალბადები, რომელშიც ბენზოლის ბირთვთან დაკავშირებულია როგორც რეგულარული, ისე არარეგულარული აღნაგობის იზოპრენოიდული სტრუქტურის ალკილის რადიკალი:



მიაჩნიათ, რომ ეს ნახშირწყალბადები გენეტიკურად დაკავშირებული არიან კაროტინებთან.

ნავთის ფრაქცია შეიცავს ნაფთალინს  და მის ჰომოლოგებს. კერძოდ: მეთილ-, ეთილ-, დიმეთილ-, ტრიმეთილ და ტეტრამეთილნაფთალინებს. ალსანიშნავია, რომ მეთილნაფთალინის კონცენტრაცია ბევრად აღემატება ჩაუნაცვლებელი ნაფთალინის კონცენტრაციას.

ნავთის ფრაქციაში აღმოჩენილია ასევე დიფენილი და მისი ჰომოლოგები; მათი კონცენტრაცია მნიშვნელოვნად ნაკლებია ნაფთალინისა და მისი ჰომოლოგების კონცენტრაციაზე.

ნავთობის მაღალმდუღარე ფრაქციებში დადგენილია სამი, ოთხი და ხუთი ბენზოლის ბირთვის შემცველი კონდენსირებული არენების არსებობა, როგორიცაა ფენანტრენი , ანტრაცენი  და მათი ჰომოლოგები. ამასთანავე,

ფენანტრენის ნაწარმები გაცილებით მეტია, ვიდრე ანტრაცენის, რასაც უკავშირებენ მათ შედარებით მაღალ გავრცელებას მცენარეულ და ცხოველურ ქსოვილებში, აგრეთვე მათ მაღალ თერმოდინამიკურ მდგრადობას.


მაღალი ფრაქციებიდან გამოყოფილია კონდენსირებული ოთხბირთვიანი არომატული ნახშირწყალბადები:  პირენი,  ქრიზენი,  ბენზანტრაცენი,  ბენზოფენანტრენი; ხუთბირთვიანი  პერილენი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კონდენსირებულ ბირთვთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად არენების შემცველობა ნავთობში სწრაფად მცირდება.

მართალია, არომატულ ნახშირწყალბადთა შემცველობა ცოცხალ ორგანიზმებში ძალიან მცირეა, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ბუნებაში მათი ნარმოქმნა შესაძლებელია ბიოლოგიური ნივთიერებების ნახშირწყალბადოვანი ჩონჩხის იზომერიზაციისა და არომატიზაციის შედეგად ბუნებრივი კატალიზატორების მონაწილეობით.

#### 1.2.4. ჰიბრიდული სტრუქტურის ნახშირწყალბადები



ნავთობის ნახშირწყალბადთა უმრავლესობას გააჩნია შერეული ანუ ე.ნ. ჰიბრიდული აღნაგობა.

ბენზინის ფრაქციაში მცირე როდენობით აღმოჩენილია ინდანი , ნავთის ფრაქციაში ტეტრალინი  და მისი მეთილნარმები.

ასევე დადგენილია მასში არაკონდენსირებული ნახშირწყალბადი ბენზოლისა და ციკლოპექსილის ბირთვებით, გაზოილის ფრაქციაში დადგენილია აცენაფტენის , ფლუორენის  და მათი ჰომოლოგების, ასევე ციკლოპენტაფენანტრენის და მეთილციკლოპენტაფენანტრენის არსებობა.

ზეთის ფრაქცია თითქმის მთლიანად ჰიბრიდული სტრუქტურის ალკანოციკლოალკანების, ალკანოარენულისა და ალკანოციკლო ალკანოარენული ტიპის ნახშირწყალბადებისაგან შედგება.

ნავთობის მაღალმდუღარე ფრაქციებში აღმოჩენილია მონოარომატული ბირთვის შემცველი ნახშირწყალბადები, სამი, ოთხი და ხუთი ციკლოალკანური ბირთვით, მაგ.:



ყველა ეს ნახშირწყალბადი გენეტიკურად დაკავშირებულია ჰოპანის რიგის ნახშირწყალბადებთან.

ნავთობში ასევე აღმოჩენილია სტეროიდული სტრუქტურის 27-29 ნახშირბა-დის ატომის შემცველი მონოარენები; ყველა ეს ნახშირწყალბადი განეკუთვნება რელიქტურ ნაერთებს, რაც ნავთობის ორგანული წარმოშობის თეორიის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს.

### 1.2.5. ზანგბადშემცველი ნაერთები

ნავთობში უანგბადი ძირითადად შედის მუავების, ფენოლების, კეტონების, ეთერების და ლაქტონების სახით. ნაკლებად მუავათა ანჰიდრიდებისა და ფურანულ ნაერთთა სახით. საერთოდ უანგბადშემცველ ნაერთთა წილი ნავთობში იშვიათად აჭარბებს 10%-ს.

ფრაქციებში უანგბადის შემცველობა ფრაქციის დუღილის ტემპერატურის ზრდასთან ერთად იზრდება, ამასთანავე ნავთობში არსებული უანგბადის უდიდესი ნაწილი ფისებსა და ასფალტენებშია, მისი რაოდენობა მცირდება ნავთობის საბადოს სიღრმისა და ასაკის ზრდასთან ერთად.



ნავთობში შემავალი უანგბადშემცველი ნაერთებიდან მნიშვნელოვანია ნავთობური მუავები, ნავთობური ფენოლები და ნეიტრალური ნივთიერებები.

ნავთობში შემავალ უანგბადშემცველ ყველა ნივთიერებას, რომელსაც აქვს მუავა ბუნება და რომელთა გამოყოფა ნავთობიდან შესაძლებელია ტუტის ხსნა-რით, ნავთობის მუავებს უწოდებენ.


ნავთობის მუავები მოიცავს ალიფატური, ალიციკლური, ჰიბრიდული სტრუქტურის, არომატული რიგის მუავებს და ფენოლებს.

ნავთობიდან ძირითადად გამოყოფილია ნორმალური ალნაგობის ალიფატური რიგის მონოკარბომუავები, რომლებიც მოლეკულაში შეიცავენ 25 ატომამდე ნახშირბადს, მათ შორის ჭიანჭველას, ძმრის, პროპიონის, ერბოს, კაპრონის, ენანტის, პალმიტინის, სტეარინის, მირისტინის, არაქინის მუავას და სხვა. ციმბირის ნავთობში აღმოჩენილია უჯერი- ოლეინის მუავა და ორფუძიანი – სებაცინის მუავა.


ნავთობის მაღალმდულარე ფრაქციებიდან ნ-ალნაგობის მუავებთან ერთად გამოყოფილია ორი, სამი და მეტი მეთილის რადიკალის შემცველი განშტოებული ალნაგობის ალიფატური მუავები, მათ შორის იზოპრენოიდული სტრუქტურის შემდეგი მუავები:




3,7,11,15- ტეტრამეთილპექსადეკანმჟავა



ალიციკლური მჟავებიდან ნავთობი ძირითადად შეიცავს ციკლოპენტანისა და ციკლოპექსანის რიგის როგორც მონოციკლურ, ისე ბი-, ტრი-, ტეტრაციკლურ კონდენსირებულბირთვიან ნაფთენურ მჟავებს. კარბოქსილის ჯგუფი შეიძლება იმყოფებოდეს როგორც ციკლში შემავალ ნახშირბადის ატომთან, ისე ალკილის რადიკალის ნახშირბადის ატომთან:





3-მეთილციკლოპენტანკარბომჟავა;







ციკლოპენტანტანდმარმჟავა.

ნაფთენური მჟავებით განსაკუთრებით მდიდარია ნაფთენური ნავთობები. სხვადახვა ნავთობებში მათი შემცვლობა 0.03-დან 3%-მდეა; ნავთობში ნაფთენური მჟავების შემცველობა მცირდება მჟავას მოლეკულაში ციკლის რაოდენობის გაზრდასთან ერთად. მათგან ყველაზე დიდი რაოდენობითაა მონო და ბი-ციკლური მჟავები. ტრიციკლური ნაფთენური მჟავების შემცველობა ნავთობში 0.05%-ია, ხოლო ტეტრაციკლურის – 0.033%-ზე ნაკლები.

ნავთობში დადგენილია სტეროიდული სტრუქტურის მჟავების არსებობა, როგორიცაა:



ასევე დადგენილია რიგი არომატული მჟავასა და შერეული (ჰიბრიდული სტრუქტურის) ნაფთენურ-არომატული მჟავების არსებობა:



ნავთობის ფრაქციების გამოხდის ტემპერატურის მატებასთან ერთად თავ-დაპირველად მათში მჟავათა შემცველობა იზრდება. მჟავათა მაქსიმალური რაოდენობა მოდის საშუალო ფრაქციებზე, მძიმე ფრაქციებში მათი შემცველობა

მცირდება. ვარაუდობენ, რომ მაღალმდუღარე ფრაქციის გამოხდის ტემპერატურაზე ადგილი აქვს მჟავათა თერმულ დაშლას.


ნავთობიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია C<sub>6</sub>-C<sub>9</sub> შედგენილობის ფენოლები. დასავლეთ ციმბირის ნავთობში ფენოლების შემცველობა იზრდება შემდეგი თანმიმდევრობით: C<sub>6</sub><C<sub>7</sub><C<sub>8</sub><C<sub>9</sub>. ამასთანავე კრეზოლების შემთხვევაში ჭარბობს ორთო-კრეზოლის, ხოლო ქსილენოლების შემთხვევაში 2.4- და 2.5-დიმეთილფენოლები.

ნავთობში დადგენილია აგრეთვე ციკლოპექსილფენოლების, დიციკლოპექსილფენოლის, ნაფთოლების არსებობა. მაღალმდუღარე ფრაქციაში არის ფენოლები, რომლებიც შეიცავენ 6 კონდენსირებულ ბირთვს.


ნეიტრალურ ნივთიერებებს აკუთვნებენ კეტონებს, მარტივ და რთულ ეთერებს.

ნეიტრალური ნივთიერებებიდან ყევლაზე მეტად ნავთობში გავრცელებულია კეტონები. კალიფორნიის ნავთობის ბენზინის ფრაქციიდან გამოყოფილია 6 ინდივიდუალური კეტონი: აცეტონი, მეთილეთილ-, მეთილპროპილ-, მეთილიზოპროპილ-, მეთილბუტილ- და ეთილიზოპროპილკეტონები.

ნავთობის საშუალო და მაღალმდუღარე ფრაქციებში ალმოჩენილია 2-აცეტილ-3-იზოპროპილმეთილციკლოპენტანისა და ფლუორენონის ტიპის კეტონები:




2-აცეტილ-3-იზოპროპილმეთილციკლოპენტანი;



ფლუორენონი.

ნავთობი შეიცავს ეთერებს ფურანის ტიპის სტრუქტურით. მაგ.; კალიფორნიის ნავთობში ალმოჩენილია ალკილდიპიდრობენზოფურანები:



ალმოსავლეთ ციმბირის ნავთობში ალმოჩენილია დი- და ტრიბენზოფურანები.

რთული ეთერების უმრავლესობა ნავთობის მაღალმდუღარე ფრაქციებსა და ნარჩენებშია. კალიფორნიის ნავთობში ალმოჩენილია შემდეგი ტიპის რთული ეთერები R<sub>1</sub>-C(=O)-OR<sub>2</sub> და R<sub>1</sub>-C(=O)-R<sub>2</sub>-C(=O)-OR<sub>3</sub>, ბევრი მათგანი არომატულ ბირთვს შეიცავს.

ნავთობში არსებული ჟანგბადშემცველი ნაერთებიდან პრაქტიკული გამოყენება აქვს მხოლოდ ნაფთენურ მჟავებსა და მათ მარილებს.

ნატრიუმის და კალიუმის ნაფთენატები გამოიყენებიან გამრეცხ საშუალებებად, ემულაგტორებად – ემულსიური ზეთების ნარმოებისას, დეემულგატო-

რებად – ნავთობის გაუწყლოების დროს. კალციუმისა და თუთიის ნაფთენატები – ძრავის ზეთების მადისპერგირებელ დანამატებად. ტყვიის, კობალტისა და მანგანუმის ნაფთენატები ინვევენ ოლიფის პოლიმერიზაციის დაჩქარებას, რის გამოც გამოიყენებიან სიკატივებად ლაქსალებავების მრეწველობაში. სპილენ-ძის ნაფთენატები გამოიყენებიან მერქნისა და ბამბის ქსოვილების დასაცავად ბაქტერიული დაშლისაგან. ალუმინის ნაფთენატების ხსნარი სკიპიდარში გამოიყენება როგორც ლაქი.

### **1.2.6. გოგირდშეგველი ნაერთები**


ნავთობსა და ნავთობპროდუქტებში გოგირდი ყველაზე მეტად გავრცელებულ ჰეტეროატომს წარმოადგენს. მისი შემცველობა ნავთობში მეასედი პროცენტიდან – 14%-მდეა.



გოგირდს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს კარბონატულ ქანებთან მდებარე საბადოს ნავთობი. ამასთანავე გოგირდის შემცველობის მაქსიმუმი შეინიშნება 1500-2000მ. სიღრმეზე, რომელიც მიჩნეულია ნავთობწარმოქმნის ძირითად ზონად. მას ნავთობის „ფანჯარას“ უწოდებენ.

ნავთობში შემავალი გოგირდშემცველი ნაერთები მეტად მრავალფეროვანია. ნავთობში გოგირდი არის, როგორც თავისუფალი სახით, ასევე გოგირდწყალბადის, მერკაპტანების (თიოლების), სულფიდების (თიოეთერების), პოლისულფიდების, თიოფენის, გოგირდშემცველი (ციკლში) ბი- და პოლიციკლური ნაერთების სახით. ამას გარდა, ფისოვან-ასფალტენურ ნანილში გოგირდი ჟანგბადთან და აზოტთან ერთად შედის რთული ნაერთების სახით.

ელემენტური გოგირდი ნავთობში გვხვდება 0.0001-0.1%-მდე გახსნილ ან კოლოიდურ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ ამ სახით გოგირდი კარბონატულ ქანებთან მდებარე საბადოს ნავთობში გვხვდება. მერკაპტანები ძირითადად ნავთობის მსუბუქ (ბენზინისა და ნავთის) ფრაქციებშია. მათში შემავალი საერთო გოგირდოვანი ნაერთებიდან 40-75%-მდე მერკაპტანებია. ფრაქციებში გამოხდის ტემპერატურის ზრდასთან ერთად, მათი შემცველობა მცირდება და 300°C-ზე ზევით გამოხდილი ფრაქციები მათ პრაქტიკულად აღარ შეიცავენ. დღეისათვის ნავთობიდან გამოყოფილია 50-ზე მეტი მერკაპტანი, რომელთა მოლეკულები 1-დან 8 ატომამდე ნახშირბადს შეიცავენ.

ყველა შემთხვევაში კონკრეტული კლასის გოგირდნაერთების მასური წილი განსაზღვრულია ფრაქციაში არსებული საერთო გოგირდშემცველი ნაერთების მიმართ. მათ შორის არის როგორც პირველადი, ისე მეორეული და მესამეული მერკაპტანები: ძირითადად მეორეული და მესამეულები:






ყველა მერკაპტანი, განსაკუთრებით დაბალი ჰომოლოგები, ხასიათდებიან მკვეთრი უსიამოვნო სუნით.

მერკაპტანების შემცველობის მიხედვით ნავთობს ყოფენ მერკაპტანულ და უმერკაპტანო ნავთობებად.

ბენზინის ფრაქცია მცირე რაოდენობით შეიცავს ასევე  $\text{RSR}'$  აღნაგობის სულფიდებს (თიოეთერებს). ისინი ძირითადად ნავთისა და დიზელის ფრაქციაში შედიან. მძიმე გაზოილის ფრაქციაში მათი შემცველობა რამდენადმე მცირდება, სამაგიეროდ იზრდება არომატული გოგირდოვანი ნაერთების შემცველობა.

ზოგიერთი ნავთობის მსუბუქ და საშუალო ფრაქციებში ( $300^{\circ}\text{C}$ -მდე) დადგენილია მცირე რაოდენობით (7-15%) დისულფიდების ( $\text{R-S-S-R}'$ ) არსებობა. ნავთობში გოგირდი შედის ასევე ციკლური ნაერთების (თიაციკლოპენტანებისა და თიაციკლოჰექსანების სახით). მათ შორის გოგირდოვანი ციკლური ნაერთების 60-70% თიაციკლოპენტანებია  (მონო-, დი-, ტრი- და ტეტრამეთილჩანაცვლებულები), ხოლო 30-40% თიაციკლოჰექსანები .

საშუალო ფრაქციებში S შედის ალკილჩანაცვლებული ბიციკლური ნაერთე-

ბის სახით: , სადაც  $\text{R}'_1$  და  $\text{R}'_2=\text{CH}_3, \text{C}_2\text{H}_5, n=2-6$ .



ნავთობიდან გამოყოფილია გოგირდშემცველი კონდენსირებულბირთვიანი ნაერთები – ციკლების რაოდენობა 2-დან 7-ის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ როგორც ბი-, ისე პოლიციკლურ ნაერთებში ციკლი შემავალი გოგირდი მეზობელი ციკლის მიმართ ყოველთვის  $\alpha$ -მდგომარეობაშია. ასევე ნავთობიდან გამოყოფილია ხიდური ალნაგობის პოლიციკლური ნაერთები. მაგ.: თიაბიციკლანები:




ასევე თიაადამანტანი:






ნავთობი მცირე რაოდენობით შეიცავს არომატული ბირთვის შემცველ გო-

გირდოვან ციკლურ სისტემებს. მაგ.: თიანდანს  და თიატეტრალინს .

ნავთობის საშუალო და მაღალი ფრაქციები შეიცავს თიოფენს და მის ნაწარმებს. მონოჩანაცვლებულებიდან ამჟამად იდენტიფიცირებულია 2,3-მეთილ, 2-, 3-ეთილ და 2-ნ- და 2-იზოპროპილთიოფენები. დიჩანაცვლებულებიდან ძირითადად გამოყოფილია 2,3-, 2,4-, 2,5- და 3,4-დიმეთილთიოფენები. თიოფენების შემცველობა ამ ფრაქციებში გოგირდშემცველი ნაერთების 45-48%-ს შეადგენს. ნავთობში იშვიათად გვხვდება ციკლოალკილთიოფენები. ნავთობში ნაპოვნია ძირითადად თიოფენთან კონდენსირებული ერთი ან ორი ციკლოალკანების ბირ-



თვის შემცველი ნაერთები. მაგ: ტეტრაპიდრობენზოთიოფენი .

ნავთობში უფრო მეტად გავრცელებულია არილთიოფენები: ბენზოთიოფენი

, დიბენზოთიოფენი , უფრო იშვიათად ნაფთოთიოფენი .

უფრო მაღალ ფრაქციებსა და ნავთობის ნარჩენებში შემავალი გოგირდშემცველი ნაერთები იდენტიფიცირებული არ არის. ვარაუდობენ, რომ ისინი რთულ კონდენსირებულბირთვიან სისტემებს წარმოადგენენ.

მერკაპტანები ხასიათდებიან სუსტი მჟავა ბუნებით, ისინი შედიან რეაქცია-ში მძიმე ლითონთა ოქსიდებთან და ტუტებთან მერკაპტიდების ანუ ალკილ-სულფიდების წარმოქმნით:




ეს რეაქციები უდევს საფუძვლად ნავთობისა და ნავთობპროდუქტებიდან მერკაპტანების გამოყოფას. მათგან განსხვავებით დიალკილსულფიდები ნეიტ-რალური ნივთიერებებია, ამიტომ ისინი ტუტებთან რეაქციაში არ შედიან. სულფიდებისათვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს კომპლექსნაერთების წარმოქმნის უნარი ( $\text{HgCl}$ ,  $\text{HF}$ ,  $\text{BF}_3\text{SO}_2$ -თან).

მერკაპტანები თერმულად უმდგრადები არიან; მაღალმოლეკულური მერკაპტანები  $100^{\circ}\text{C}$ -მდე, დაბალმოლეკულური მერკაპტანები კი  $300^{\circ}\text{C}$ -მდე გაცხელებისას იშლებიან სულფიდისა და გოგირდწყალბადის წარმოქმნით:




მინიმალურ ტემპერატურას, რომელზედაც ხდება  $H_2S$ -ის გამოყოფა, ნავთობის თერმოსტაბილობის ზღურბლი ეწოდება.  $300^0C$ -ზე 1 სთ-ის განმავლობაში 100გ ნავთობის გაცხელების შედეგად გამოყოფილ  $H_2S$  და თიოლური გოგირდის რაოდენობას მგ-ში ნავთობის გოგირდწყალბადური რიცხვი ეწოდება.

უფრო მაღალ ტემპერატურაზე  $400^0C$ -ზე გაცხელებისას იშლება როგორც დაბალმოლეკულური მერკაპტანები, ასევე ალკილდისულფიდებიც, ალკენებისა და  $H_2S$  ნარმოქმნით:



ციკლოალკანური და არომატული სულფიდები თერმულად დიალკილსულფიდებზე უფრო მდგრადები არიან. ისინი იშლებიან  $400-450^0C$ -ზე. ამასთანავე დაშლა მიმდინარეობს კატალიზატორის – ალუმინიკატების თანაობისას. დაშლის შედეგად ნარმოქმნება შესაბამისი ნახშირწყალბადი, მერკაპტანი და გოგირდწყალბადი:



კიდევ უფრო მაღალი თერმომდგრადობით გამოირჩევა თიოფენი, რითაც აიხსნება მისი არსებობა პიროლიზის შედეგად მიღებულ ფისებსა და კოქსში.

მერკაპტანები და დიალკილსულფიდები ადვილად იუანგებიან.


მერკაპტანების დაუანგვისას რბილ პირობებში ნარმოქმნება დისულფიდები:



ძლიერი დამუანგავების მოქმედებით ნარმოქმნება სულფომჟავები:



დიალკილსულფიდები დაუანგვისას ნარმოქმნიან სულფოქსიდებსა და სულფონებს:



გოგირდშემცველი ნაერთები ნავთობსა და ნავთობპროდუქტებში მეტად არასასურველი კომპონენტებია, ამიტომ ნავთობის გადამუშავებისას აუცილებელია მათი მოცილება და სასაქონლო ნავთობპროდუქტებში მათზე კონტროლი. ამ მიზნით ძირითადად იყენებენ ჰიდროკრეკინგს, რომლის დროს გოგირდი სცილდება  $H_2S$ -ის სახით. მაგრამ ნავთობში მნიშვნელოვანი რაოდენობით შემავალი სხვადასხვა გოგირდშემცველი ნაერთი ძვირფას პროდუქტს წარმოადგენს ქიმიური მრეწველობისათვის. მაგ., მერკაპტანები წარმოადგენენ კაუჩუკის პოლიმერიზაციის პროცესის სიჩქარის რეგულატორებს, დიალკილსულფიდები გამოიყენება კომპონენტებად საღებარების სინთეზის დროს. მათი დაუანგვის პროდუქტები, სულფონესიდები, სულფონები და სულფომჟავები გამოიყენება მეტალების გასახსნელად და არენების ექსტრაგენტებად. სულფიდები და სულფოქსიდები წარმოადგენენ მეტალთა კოროზიის ეფექტურ ინჰიბიტორებს, ფლოტორეაგენტებს, ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, ჰერბიციდებს და ფუნგიციდებს, თიოფენის ნანარმები გამოიყენება სამკურნალწამლო ნივთიერებათა სინთეზისათვის, მცენარეთა ზრდის რეგულატორების, მაღალი დიელექტრიკული თვისებების მქონე პოლიმერული მასალების წარმოებაში და სხვა. ამიტომ ძალიან აქტუალურია ნავთობიდან მათი გამოყოფა დაშლის გარეშე.

### 1.2.7. აზოტშემცველი ნაერთები

ნავთობში აზოტშემცველ ორგანულ ნაერთთა რაოდენობა საშუალოდ 2-3%-ს არ აღემატება. მაღალფისოვან ნავთობში მათი შემცველობა 10%-ს აღნევს. საბადოს სიღრმის მატებასთან ერთად მათი შემცველობა მცირდება.

აზოტშემცველი ნაერთები ძირითადად თავმოყრილია მაღალმდულარეფრაქციებში და მძიმე წარჩენებში.



ნავთობში შემავალ აზოტშემცველ ნაერთებს ყოფენ ორ ჯგუფად: აზოტოვან ფუძეებად და ნეიტრალურ აზოტოვან ნაერთებად. აზოტოვან ფუძეებს მიეკუთვნება ძირითადად პირიდინის ბირთვის შემცველი არომატული ნაერთები, ხოლო ნეიტრალურს – ინდოლის ბირთვის შემცველი ნაერთები და მჟავათა ამიდები.

ნავთობიდან აზოტოვანი ფუძეები ადვილად გამოიყოფიან მინერალური მჟავების საშუალებით. ამიტომ შესაძლებელი გახდა მათი შესწავლა. ამჟამად ნავთობიდან გამოყოფილია 50-ზე მეტი აზოტოვანი ფუძე. მათი შემცველობა სხვადასხვა ნავთობში (ნავთობში არსებული საერთო აზოტოვანი ნაერთების მიმართ) 10-58%-მდეა. აზოტოვანი ფუძეებიდან ნავთობში ძირითადად გავრცელებულია პირიდინის , ქინოლინის , იზოქინოლინის  ჰომოლოგები. კერძოდ, მონო-, დი- და ტრიმეთილპირიდინები და მეთილქინოლინები. მეთილის რადიკალთან ერთად აღნიშნულ ნაერთებში არის ასევე ეთილ-, პროპილ-, ბუტილ-, ციკლოპენტილისა და სხვა რადიკალები.

აღსანიშნავია, რომ ყველა გამოყოფილ დი-, ტრი- და ტეტრაალკილქინოლინებში ჩამნაცვლებლები იმყოფებიან 2-, 3-, 4- და 8- მდგომარეობაში, ამასთანავე 2- და 3- მდგომარეობაში მხოლოდ მეთილის რადიკალებია.


ნავთობში იშვიათად გვხვდება აკრიდინი და მისი ნაწარმები.

კალიფორნიის ნავთობში ალმოჩენილი იყო 1,2- და 3,4-ბენზაკრიდინები:




ნავთობში უფრო იშვიათად გვხვდება ანილინის ჰომოლოგები. მაგ., არლანის ნავთობის დიზელის ფრაქციაში ალმოჩენილია მონო- და დიმეთილანილინები.

ნეიტრალური ნაერთები შეადგენენ ნავთობში შემავალ აზოტშემცველ ნაერთთა დიდ ნანილს (80%-მდე). ისინი ძირითადად კონცენტრირებული არიან ნავთობის მაღალმოლეკულურ ნანილში. ნავთობის ფრაქციებში შედის ინდოლის





და 2,3-ბენზიკარბაზოლის




ალკილნანარმები. თვით პიროლი და მისი ალკილნანარმების არსებობა ნავთობში დამტკიცებული არ არის.

ნავთობის ფრაქციების დუღილის ტემპერატურის ზრდასთან ერთად იზრდება აზოტოვანი ნეიტრალური ნაერთების შემცველობა, ხოლო ფუძე ბუნების ნეართების შემცველობა მცირდება.

გაზოლის ფრაქციაში ალმოჩენილი იყო რამდენიმე აზოტის ატომის შემცველი პოლიციკლური ნაერთები სხვადასხვა ბუნების აზოტის 2 ატომით. მაგ.: პიროლოქინოლინი, ჰიდრო [2,3-b] კარბაზოლი:



აზოტი ნავთობში შედის ასევე ლითონპორფირინების სახით. ისინი მოლეკულაში შეიცავს 4 პიროლის ბირთვს, რომელთანაც  $\text{VO}^{2+}$  (ვანადილის იონი) ან  $\text{Ni}^{2+}$  ორვალენტოვანი იონები წარმოქმნიან შემდეგი ტიპის კომპლექსნაერთებს:



ნავთობი შეიცავს ისეთი ტიპის ლითონპორფირინებსაც, რომლებშიც პიროლის ბირთვთან კონდენსირებულია არომატული ან ციკლოალკანური ბირთვები. თავისი აღნაგობით პორფირინები გვანან ქლოროფილის შედგენილობაში შემავალ პორფირინულ კომპლექსს – ქლოროფილინს. მიაჩნიათ, რომ ნავთობში არსებული ლითონპორფირინული კომპლექსები ქლოროფილისა და ჰემოგლობინისაგან არიან ნარმოქმნილი.

პორფირინული კომპლექსები კატალიზური აქტიურობით ხასიათდებიან. ვარაუდობენ, რომ ისინი განსაზღვრულ როლს ასრულებენ ნავთობის გენეზის პროცესში წყალბადის დისპროპორციონირების რეაქციებში.

მრავალ ნავთობში აზოტი ალმოჩენილია მჟავათა ამიდებისა და ამინომჟავების ნაწარმების სახით, მაგრამ მათი ინდივიდუალური სახით გამოყოფა ვერ მოხერხდა. მიაჩნიათ, რომ მჟავათა ამიდებს აქვთ ციკლური სტრუქტურა, რომელიც შედგება არომატული და ლაქტამური რგოლებისაგან. მჟავათა ამიდების შესწავლა მნიშვნელოვანია ნავთობის გენეზისისათვის, რადგან ამით ნათელი მოეფინებოდა ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმში არსებულ ამინომჟავათა გარდაქმნას.

ნავთობში შემავალი როგორც ფუძე ბუნების, ისე ნეიტრალური ნაერთები საკმაოდ თერმომდგრადი ნივთიერებებია (განსაკუთრებით უჟანგბადო არები) და გავლენას არ ახდენენ ნავთობპროდუქტების საექსპლუატაციო თვისებებზე. თუმცა შემჩნეულია, რომ დიზელის საწვავებისა და მაზუთების დაყოვნებისას ზოგიერთი აზოტშემცველი ნაერთი იწვევს ფისის ნარმოქმნას.

### 1.2.8. ფისები და ასფალტები

ფისები და ასფალტენები მაღალმოლეკულურ ჰეტეროორგანულ ნივთიერებათა ნარევს ნარმოადგენს, რომლებიც ნავთობში გახსნილ ან კოლოიდურ მდგომარეობაშია. ნავთობში მათი შემცველობა ფართო ზღვრებში იცვლება.

ფისოვან-ასფალტენურ ნივთიერებათა შემცველობის მიხედვით განასხვავებენ ჩვეულებრივ, მაღალი სიბლანტის ნავთობებს და ბუნებრივ ბიტუმებს.

ჩვეულებრივ ნავთობებში ფისოვან-ასფალტენური ნივთიერებათა შემცველობა 25%-მდე, მაღალი სიბლანტის ნავთობებში 25-35%, ხოლო ბიტუმებში 35%-ზე მეტი.

თავის მხრივ, ჩვეულებრივ ნავთობებს ყოფენ მცირე ფისოვან – 5%-მდე, ფისოვან – 5-15%-მდე და მაღალფისოვან — 15%-ის ზევით ნავთობებად.

ფისოვან-ასფალტენურ ნივთიერებათა შემცველობის მიხედვით ბიტუმებს ყოფენ შემდეგ კლასებად: 35-60% – ფისოვან-ასფალტენური ნივთიერებათა შემცველი ბიტუმები – მაღალტები, 60-75% – ბუნებრივი ასფალტები, 75-90% მეტი – ასფალტიტები, ხოლო 90%-ზე მეტი – კერიტები.

ფისებსა და ასფალტენებს დიდი რაოდენობით შეიცავენ არომატული და ციკლოალკანურ-არომატული ნავთობები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მათი შემცველობა გოგირდოვან და მაღალგოგირდოვან ნავთობები. როგორც წესი, ფისებისა და ასფალტენების შემცველობა მცირეა ალკანურ ნავთობში.

ფისოვან-ასფალტენურ ნივთიერებებს მიეკუთვნება ფისები, ასფალტენები, კარბენები, კარბოიდები, ასფალტოგენური მჟავები და მათი ანპიდრიდები. ას-ფალტოგენური მჟავები და მათი ანპიდრიდები ფისისმაგვარი ნივთიერებებია, იხსნებიან სპირტებში, ბენზოლსა და ქლოროფორმში, შედიან რეაქციაში ტუტე-ებთან. მათი მოლეკულები კარბოქსილის ჯგუფებთან ერთად შეიცავენ გოგირ-დსა და პიდროქსილის ჯგუფებს.

ნავთობში ასფალტოგენური მჟავებისა და მათი ანპიდრიდების შემცველობა მცირეა, შედარებით დიდი რაოდენობით შედიან ისინი ბიტუმებში, რომლებშიც მჟავების შემცველობა 7%-მდეა, ხოლო ანპიდრიდების – 4%.

ნეიტრალურ ფისოვან-ასფალტენურ ნივთიერებათა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მათი სხვადასხვა გამხსნელებში ხსნადობის უნარი:

1. ნეიტრალური ფისები – იხსნებიან პენტანში, ჰექსანში, პეტროლეინის ეთერში ( $60^{\circ}\text{C}$ -მდე გამოხდილ ფრაქციაში);
2. ასფალტენები არ იხსნებიან პეტროლეინის ეთერში, იხსნებიან ცხელ ბენზოლში;
3. კარბენები – მხოლოდ ნაწილობრივ იხსნებიან პირიდინსა და გოგირდნახშირბადში;
4. კარბოიდები – პრაქტიკულად უსსნადებია ყველა გამხსნელში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობში ნეიტრალური ფისები უფრო დიდი რაოდენობითაა, ვიდრე ასფალტენები. კარბენები და კარბოიდები კი ნედლ ნავთობში თითქმის არ არიან. მათ შეიცავს ნავთობის ფრაქციების თერმოკატალიზური გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები.

ფისები და ასფალტენები ნაკლებად აქროლადებია, ამიტომ ნავთობის გადადენის შემდეგ ისინი კონცენტრირდებიან ნარჩენ ნავთობპროდუქტებში. ამას-თანავე, ფისები მცირე რაოდენობით გადადის დისტილატებშიც, ბენზინის გარდა; ფრაქციების დუღილის ტემპერატურის გაზრდით მათი გადასვლის ხარისხი იზრდება.

ნავთობის დისტილატებიდან გამოყოფილი ნეიტრალური ფისები მუქი ყვითელი, მოყავისფრო თხევადი ან ნახევრად თხევადი ნივთიერებებია, ხოლო გუდრონიდან გამოყოფილები – ბლასტიკური თვისებების მქონე თითქმის მყარი ნივთიერებებია. მათი სიმკვრივე მერყეობს  $0.99\text{--}1.08$ -მდე, ხოლო მოლეკულური მასა  $500\text{--}1200$ -მდე. მათში პეტეროატომების შემცველობა  $3\text{--}12\%$ -მდეა. ფისებს ახასიათებს ძლიერი მღებავი თვისებები. ნავთობისა და დისტილატების შეფერილობა განპირობებულია მათში ფისების შემცველობით. ნეიტრალური ფისები თერმულად და ქიმიურად უმდგრადი ნივთიერებებია, ადვილად იქაგებიან.

ნეიტრალური ფისები გოგირდმუშავათი დამუშავებისა და გაცხელებისას ას-ფალტენებად გარდაიქმნებიან. განსაკუთრებით ადვილად მიმდინარეობს ეს პროცესი ფისების გაცხელების დროს ჰაერის გატარებისას. ჰაერის გარეშე გაცხელებისას ფისები წარმოქმნიან კოქსს.

დადგენილია, რომ ყველა ნავთობური ფისი შეიცავს პეტეროატომებს –(O, S), აზოტი კი ზოგიერთი ფისის შედგენილობაში არ შედის. ასევე დადგინდა, რომ

ჰეტეროატომების მნიშვნელოვანი ნაწილი შედის ციკლების შედგენილობაში. ფისების მოლეკულების ძირითად სტრუქტურულ ელემენტს შეადგენს კონდენსირებული ციკლური სისტემები, უპირატესად ნაფთალინის ბირთვით, რომელიც მეთილენური ხიდებით შეერთებულია ციკლოალკანებისა და ჰეტეროციკლურ რგოლებთან.

ერთ-ერთი ნეიტრალური ფისის შესწავლით დადგინდა, რომ მისი მოლეკულური მასა იყო 930, ხოლო ემპირული ფორმულა  $C_{32}H_{102}SO$ : ანალიზმა აჩვენა მასში 6 ბირთვის არსებობა, მათგან 3 არომატული.

ასფალტენები, თანამედროვე ნარმოდგენებით, კეროგენის ნარჩენებია, რომლებიც ნავთობად არ გარდაიქმნებიან (კეროგენი – ორგანული მოლეკულების დანალექ ქანებად გარდაქმნის პროდუქტებია).

ასფალტენები მბზინავი, მყიფე, მოშავო-მოყავისფრო მყარი ფხვნილისებრი ნივთიერებებია. გაცხელებისას ისინი არ ლდვებიან,  $300^{\circ}\text{C}$ -ზე გადადიან პლასტიკურ მდგომარეობაში. უფრო მაღალ ტემპერატურაზე იშლებიან აირადი, თხევადი ნივთიერებებისა და კოქსის ნარმოქმნით.

ასფალტენები – რთული აღნაგობის, პოლიციკლური, კონდენსირებული ჰეტეროორგანული ნაერთებია. საშუალო მოლეკულური მასა 5000-6000 შეადგენს. მათი მოლეკულური მასა 2000-დან 14000 აღნევს, რაც აისწნება ასფალტენების მოლეკულების ასოციაციით.

ნავთობის  $550^{\circ}\text{C}$ -ზე გამოხდის შედეგად დარჩენილი ნაშთების კომპლექსური მეთოდებით გამოკვლევამ აჩვენა, რომ მათში შემავალი კომპონენტების მოლეკულები შედგებიან მსგავსი სტრუქტურის მქონე ფრაგმენტებისაგან. ეს ფრაგმენტები შეიცავენ 4-5 ბირთვისაგან შემდგარ პოლიციკლურ კონდენსირებულ სისტემას. ფრაგმენტები განსხვავდებიან ციკლში ჩანაცვლებული მეთილის რადიკალების რაოდენობითა და მდებარეობით, ალკილის ჯგუფის სიგრძითა და აღნაგობით (შეიძლება იყოს ნორმალური ან განშტოებული), არომატული და ჰეტეროარომატული ციკლების არსებობით და მათში შემავალი უანგბადშემცველი ფუნქციური ჯგუფების ბუნებითა და რაოდენობით.


ჩვეულებრივ, ასფალტენების სტრუქტურა შედგება სამი არომატული ან ჰეტეროარომატული კონდენსირებულბირთვიანი ფრაგმენტისაგან. რენტგენოსტრუქტურული ანალიზით დადგენილია, რომ ასფალტენები პარალელურად განლაგებული 4-5 ასეთი შრისაგან შეკრულ სისტემას ნარმოადგენს, სადაც ფენებს შორის მანძილი 0.35-0.37 ნმ-ია, ხოლო ფენების საერთო სისქე 1.2-1.8 ნმ.

ზეთის ან ფისოვან ნივთიერებათა მოლეკულები ახდენენ ასფალტენების სოლვატაციას და ისინი კოლოიდურ მდგომარეობაში გადაყავთ. ნ-ალკანების მოქმედებისას კოლოიდური სისტემები იშლება და ასფალტენები გამოიყოფა მყარი ფაზის სახით.

გუდრონსა და ბიტუმებში შემავალი ასფალტენები ქიმიურად ნაკლებად აქტიური და თერმულად მდგრადი სისტემებია; ხოლო ნავთობიდან გამოყოფილი ასფალტენები შედარებით მაღალი რეაქციისუნარიანობით გამოირჩევიან – ადვილად იქანგებიან, შედიან ჰალოგენირების, ქლორმეთილირების, ფორმალდე-

ჰიდროკარბონის რეაქციაში, ჰიდრირების რეაქციაში, რის შედეგადაც მი-იღება ფისები და ზეთები.

ასფალტენები ადვილად წარმოიქმნებიან გუდრონის დაჟანგვით ჰაერზე 180-280°C-ზე. ამ დროს მიმდინარეობს ზეთების და ფისების ჟანგვითი დეპიდრირება. ჟანგვით დეპიდრირებას განიცდის არომატულ ბირთვთან კონდენსირებული ნაჯერი ციკლი და ფრაგმენტში იზრდება არომატულ ბირთვთა რაოდენობა:



როდესაც არომატულ ბირთვთა რაოდენობა მიაღწევს სამს, ფრაგმენტები შეიკვრება დასტებად. ფისებისა და ზეთების სოლვატური გარსი იცავს მათ შემდგომი დაჟანგვისაგან. დაჟანგვისას გუდრონში ასფალტენების შემცველობის გაზრდა იწვევს გუდრონის სიბლანტის გაზრდას, ის თანდათან ბიტუმად გარდაიქმნება.

აღსანიშნავია, რომ ნავთობისა და მისი ნარჩენებიდან 6-ალკანებით გამყიუფილი ნივთიერებები, რომელთაც შედარებით დაბალი მოლეკულური მასა აქვთ, სტრუქტურულ ფრაგმენტებში არ შეიცავენ 3 არომატულ ბირთვს, ხასიათდებიან ჰეტეროატომების და პოლარული ჯგუფების მაღალი შემცველობით (ასფალტოგენური მჟავები), არ გააჩნიათ შრეობრივი სტრუქტურა. ისინი ხელს უწყობენ ასფალტენების შრეობრივი სტრუქტურის სტაბილიზაციას.

ფისოვანი ნივთიერებები, განსაკუთრებით ასფალტენები, კარბენები და კარბოიდები უარყოფითად მოქმედებენ ზეთების ხარისხზე – აუარესებენ ფერს, ამცირებენ გაზეთვის უნარს, ზრდიან ნამწვის წარმოქმნას. ამიტომ აუცილებელია ზეთებისაგან ფისებისა და ასფალტენების მოცილება.

ფისოვანი ნივთიერებები ნავთობის ბიტუმებს სძენენ რიგ ძვირფას თვისებებს, რომელიც ნარჩენი პროდუქტის მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

### 1.2.9. ნავთობის მინერალური კომპონენტები

ნავთობში აღმოჩენილია 60-მდე ელემენტი:

ელემენტი	მასური ნილები %-ში
V, Na	$10^{-1}$
Fe, Ca, Al, Ni,	$10^{-2}$
K, Mg, Si, Cr, Mo, Hg, Co, Zn, P, Br	$10^{-3}$
Ba, Sr, Mn, Cu, Rb, Si, As, Ag, I	$10^{-4}$
Ga, Sb, In, U	$10^{-5}$
Pb, Se, La, Eu	$10^{-6}$
Be, Ti, Sn, Au	$10^{-7}$

მცირე კონცენტრაციის გამო, მათი შემცველი ნაერთების გამოყოფა და იდენტიფიცირება შეუძლებელია. მიაჩნიათ, რომ ეს ელემენტები შედიან ნავთობში წვრილად დისპერგირებული მინერალური ქანების ტივტივარების სახით. ასევე ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ლითონთა ნაწილი იმყოფებოდეს ორგანულ ნაერთებთან დაკავშირებული კომპლექსური ან მოლეკულური ნაერთების სახით.

ამ ნაერთების დაყოფას ახდენენ შემდეგნაირად:


1. ელემენტორგანული ნაერთები, რომლებიც შეიცავენ C-EI ბმას;
2. მჟავურ ჯგუფები H-ის ჩანაცვლებით ნარმოქმნილი მარილები;
3. ხელატური ტიპის ნაერთები – ლითონებთან შიდამოლეკულური კომპლექსები;
4. რამდენიმე ერთნაირი ან შერეული ლიგანდების კომპლექსები;
5. კომპლექსები პოლიარმატული ასფალტენური სტრუქტურის ჰეტეროატომთან ან π-სისტემასთან.

მიაჩნიათ, რომ I ტიპის ნაერთების სახით ნავთობი შეიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა Pb, Sn, As, Sb, Hg, Ge, Tl, ასევე Si, P, Se, Te და ჰალოგენებს. ეს ნაერთები არსებობენ როგორც ნავთობის დისტილატებში, ისე მძიმე ნარჩენებში.


II ტიპის ნაერთები არსებობენ ტუტე და ტუტემინათა ლითონების მარილების სახით.

III ტიპის შიდამოლეკულური კომპლექსური ნაერთები ნავთობში არსებობული ლითონპორფირინებია, რომელთაგან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია  $Ni^{2+}$  და  $VO^{2+}$ -ის პორფირინები. სხვა სახის შიგამოლეკულური კომპლექსები გამოყოფილია ფისებისა და ასფალტენებისაგან.

ვარაუდობენ, რომ მათ უნდა გააჩნდეთ შემდეგი სტრუქტურა:



ბოლო დროს ფისებისაგან დიმეთილფორმამიდით ექსტრაქციის შედეგად გამოყოფილ იქნა ნივთიერება, რომელსაც მიაწერეს შემდეგი სტრუქტურა:



ეს ნივთიერება ადვილად ნარმოქმნის ხელატური ტიპის კომპლექსებს Fe, Mn, Co, Cu-თან და სხვა ლითონებთან. ასეთივე ტიპის კომპლექსნაერთების არსებობას ვარაუდობენ ასფალტენებში.

ასფალტენებში მიკროელემენტების უმრავლესობათა კონცენტრაცია იზრდება მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად. მიკროელემენტებით გამდიდრებულ ასფალტენებში ასევე მომატებულია N, O, S-ის შემცველობა. მაკროელემენტების შემცველობა იზრდება აგრეთვე ასფალტენების არომატულობის ხარისხის მომატებასთან ერთად.

ვარაუდობენ, რომ კომპლექსების წარმოქმნისას ასფალტენებში უპირატესად მონაწილეობენ მისი შრეობრივ-ბლოკური სისტემის პერიფერიული ფრაგმენტები, თუმცა დასაშვებად მიაჩნიათ ლითონების ატომების შეღწევა ფენებს შორის, სადაც ისინი წარმოქმნიან განსაკუთრებით მდგრად კომპლექსურ სტრუქტურებს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მათში მიკროელემენტების არსებობისა, ასფალტენებს აქვთ როგორც წყალხსნარებიდან, ასევე ორგანული ხსნარებიდან ლითონთა ამონვლილვის უნარი, ე.ი. მათ შეუძლიათ ახალი კომპლექსნაერთების წარმოქმნა.

მეცნიერთა დიდ ინტერესს იმსახურებდა საკითხის გარკვევა, თუ როდის და რა გზით მოხვდნენ ნავთობში მიკროელემენტები.

ამ საკითხის ირგვლივ არსებობს ორი თვალსაზრისი: 1. მიკროელემენტები ნავთობში პირველადი წარმოშობისაა (სინგენეტურია), ნავთობში გადადიან მცენარეული და ცხოველური ნარჩენებიდან, რომლებიც წარმოადგენენ ნავთობის საწყის მასალას; 2. ნავთობში მიკროელმენტები ხვდებიან ფენის წყლებისა და მისი გარემომცველი ქანებიდან, ე.ი. მიკროელემენტები ნავთობში მეორადი წარმოშობისაა (ეპიგენეტურია).

მიმდებარე ქანებთან და შესაბამისი კატიონების მარილთა წყალხსნარებთან ნავთობის ურთიერთქმედების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ ელემენტები: V, Ni, Co, Mo, Pb, Cr, Cu, Zn პირველადი წარმოშობისაა, ხოლო ნავთობში ალმოჩენილი სხვა ელემენტების გადასვლა ნავთობში შესაძლებელია მიმდებარე ქანებიდან და ფენის წყლებიდან.

## 2. ნავთობის კლასიფიკაცია

### 2.1. ნავთობის ეიმიური კლასიფიკაციები

ნავთობის კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო მისი ქიმიური შედგენილობა და თვისებები. ვინაიდან ნავთობის ქიმიური შედგენილობა და შესაბამისი ფიზიკური პარამეტრები განსაზღვრავს ნავთობის გადამუშავების მიმართულებასა და მიღებული ნავთობპროდუქტების ხარისხს.

ქიმიური მრეწველობის განვითარების ადრეულ პერიოდში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ძირითად მახასიათებლად მიჩნეული იყო სიმკვრივე.

სიმკვრივის მიხედვით ნავთობი იყოფა მსუბუქ ( $\rho < 0,828$ ), დამძიმებულ ( $\rho = 0,828-0,884$ ) და მძიმე ( $\rho > 0,884$ ) ნავთობად. მსუბუქი ნავთობი შეიცავს შედარებით მეტ ბენზინის ფრაქციას და შედარებით მცირე რაოდენობით ფისებსა და ასფალტენებს, მძიმე ნავთობი – პირიქით.

სიმკვრივის მიხედვით ნავთობის კლასიფიკაცია მეტად მიახლოებითა.

1935 წელს აშშ-ის სამთო ბიუროს მიერ მოწოდებული იყო ნავთობის ქიმიური კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ნავთობის ე.წ. მსუბუქი და მძიმე ფრაქციების ნახშირწყალბადოვან შედგენილობასა და სიმკვრივეს შორის დამოკიდებულება; ისაზღვრება  $250-270^{\circ}\text{C}$  (ატმ. წნევაზე) და  $275-300^{\circ}\text{C}$ -ზე ( $5.3$  კპა წნევაზე) გამოხდილი ნავთობის მსუბუქი და მძიმე ფრაქციების სიმკვრივე და მისი მიხედვით ნახშირწყალბადოვანი შედგენილობა.

სიმკვრივის მიხედვით ნავთობი იყოფა სამ კლასად: პარაფინულ, შუალედურ და ნაფთენურად. თუ  $250-275^{\circ}\text{C}$  (ატმ. წნევაზე) გამოხდილი ფრაქციის სიმკვრივე  $\rho < 0,8251$  ნავთობი პარაფინულია, თუ  $\rho = 0,8251-0,8597$  ფარგლებშია – შუალედურია, ხოლო თუ  $\rho > 0,8597$  – ნაფთენურია. ხოლო  $275-300^{\circ}\text{C}$ -ზე ( $5,3$  კპა წნევაზე) გამოხდილი ფრაქციის მიხედვით ნავთობი მიეკუთვნება პარაფინულს თუ ფრაქციის  $\rho < 0,8762$ , შუალედურს თუ  $\rho = 0,8762-0,9334$ , ნაფთენურს როცა  $\rho > 0,9334$ .

ფრაქციების მონაცემების მიხედვით ნავთობი იყოფა 7 კლასად. თუ ორივე ფრაქციის მონაცემები პარაფინულს შეესაბამება, ნავთობი მიეკუთვნება პარაფინულს, თუ მსუბუქი ფრაქციის მიხედვით ის პარაფინულია, ხოლო მძიმეს მიხედვით შუალედური, ნავთობი პარაფინულ-შუალედურია და ა.შ.

აშშ სამთო ბიუროს მიერ მოწოდებული ნავთობის კლასიფიკაცია წარმოდგენილია ცხრილი 2.1-ით.

**აშშ-ის სამთო ბიუროს მიერ მოწოდებული  
ნავთობის ქიმიური კლასიფიკაცია**

კლასის ნომერი	კლასის დასახელება	ნავთობის მსუბუქი ნაწილის მიხედვით	ნავთობის მძიმე ნაწილის მიხედვით
1	პარაფინული	პარაფინული	პარაფინული
2	პარაფინულ-შუალედური	პარაფინული	შუალედური
3	შუალედურ-პარაფინული	შუალედური	პარაფინული
4	შუალედური	შუალედური	შუალედური
5	შუალედურ-ნაფთენური	შუალედური	ნაფთენური
6	ნაფთენურ-შუალედური	ნაფთენური	შუალედური
7	ნაფთენური	ნაფთენური	ნაფთენური

ეს კლასიფიკაციაც პირობითი და ზოგადია. ის არ ასახავს ნავთობის ნამდვილ შედგენილობას.

გროზნოს ნავთობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოწოდებულია კლასიფიკაცია დაფუძნებული ქიმიურ შედგენილობაზე, კერძოდ იმის მიხედვით, თუ უპირატესად რომელი კლასის ნახშირწყალპადებს შეიცავს საკვლევი ნავთობი განასხვავებენ: 1) პარაფინულს, 2) პარაფინულ-ნაფთენურს, 3) ნაფთენურს, 4) პარაფინულ-ნაფთენურ-არომატულს, 5) ნაფთენურ-არომატულს, 6) არომატულს.

1) ნავთობი პარაფინულია, რომლის ყველა ფრაქცია მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ალკანებს: ბენზინი არანაკლებ 50%, ზეთი – 20% და მეტს, მასში მცირეა ფისებისა და ასფალტენების შემცველობა (ასეთია მანგიშლაკის ნავთობი);

2) პარაფინულ-ნაფთენური ნავთობი ალკანებთან ერთად შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობით ციკლოალკანებს, შედარებით მცირე რაოდენობით არენებს და უმნიშვნელო რაოდენობით ფისებსა და ასფალტენებს (ასეთია ვოლგაურალისა და დასავლეთ ციმბირის აუზების ნავთობი).

3) ნაფთენური ნავთობის ყველა ფრაქცია შეიცავს 60%-სა და მეტი რაოდენობით ციკლოალკანებს, ასეთი ნავთობის ფრაქციებში მცირეა ალკანების შემცველობა და ასევე მცირე რაოდენობითაა მასში ფისები და ასფალტენები (ბაქოს, ბალახანისა და სურახანის ნავთობები).

4) პარაფინულ-ნაფთენურ-არომატულ ნავთობში აღნიშნული რიგის ნახშირწყალპადები დაახლოებით თანაბარი რაოდენობითაა, ასფალტენებისა და ფისების შემცველობა 10 %-ს შეადგენს.

5) ნაფთენურ-არომატული ნავთობი ხასიათდება არომატული და ციკლოალკანურ ნახშირწყალპადებით უპირატესი შემცველობით. ალკანები, მცირე რაოდე-

ნობით არის მსუბუქ ფრაქციებში. მყარი პარაფინის შემცველობა 0,3%-ია, ხოლო ფისების და ასფალტენების – 15-20%.

6) არომატული ნავთობის ყველა ფრაქციაში არენების მაღალი შემცველობაა, ასეთი ნავთობი ხასიათდება მაღალი სიმკვრივით. ასეთი ტიპის ნავთობებია ვოლგისპირეთის, ბუგურუსლანის და ყაზახეთის საბადოებში.

რუსეთში მოწოდებული იყო შემდეგი სახის კლასიფიკაცია: ნავთობში არსებული ყველა ნახშირწყალბადი დაყვეს 2 ძირითად ჯგუფად: გარდაქმნილ და რელიქტურ ნახშირწყალბადებად. რელიქტურ ნახშირწყალბადებს ეკუთვნის ნორმალური და იზოპრენონიდული ალკანები, ციკლური იზოპრენონიდები – სტერანები, ტრიტერპანები და სხვა. რელიქტური ნახშირწყალბადები, თავის მხრივ, იყოფა იზოპრენონიდულ და არაიზოპრენონიდულ ნახშირწყალბადებად.

ა.ა. პეტროვმა შეისწავლა 400-მდე მსხვილი აუზის ნავთობი ქრომატოგრაფიული და მას-სპექტომეტრული მეთოდების გამოყენებით. მან შესწავლილი ნავთობები დაყო A და B კატეგორიებად, რომელსაც საფუძვლად დაუდო 200-430°C-ის ფარგლებში გამოხდილი ფრაქციების ქრომატოგრამებზე ანალიზური რაოდენობით ნ-ალკანების პიკების გამოვლენა. ასეთი პიკების არსებობისას ნავთობი ეკუთვნის A კატეგორიას, ხოლო არარსებობისას B კატეგორიას.

თავის მხრივ, A და B კატეგორიის ნავთობები დაყო  $A^1$ ,  $A^2$  და  $B^1$ ,  $B^2$  ტიპებად.

$A^1$  ტიპის ნავთობი ჯგუფური შედგენილობით პარაფინული და ნაფთენურ-პარაფინულია. ამ ტიპის ნავთობში (200-430°C) ფრაქციაში პარაფინების ჯამური შემცველობა 15-60%-ია, მათ შორის ნ-პარაფინების 5-25%-ია, ხოლო ციკლოალკანების საერთო შემცველობა ალკანებთან შედარებით რამდენადმე მცირეა (ძირითადად მონო- და ბიციკლოალკანები).

$A^2$  ტიპის ნავთობი ნარმოადგენს ნაფთენურ-პარაფინულს ან პარაფინულ-ნაფთენურს. პარაფინების მასური შემცველობა 25-40%-მდეა, მათ შორის ნ. ალკანების 0.5-5%-ია, ხოლო იზოპრენონიდების 1-6%. საერთოდ იზოალკანების შემცველობა 6. ალკანებთან შედარებით გაცილებით მეტია. ციკლოალკანების შემცველობა 60%-მდეა. ამასთანავე ჭარბობს მონო- და ბიციკლოალკანები, ტრიციკლოალკანები მცირე რაოდენობითაა.

$B^1$  ტიპის ნავთობი ჯგუფური შედგენილობით ნაფთენური ან ნაფთენურ-არომატულია. მსუბუქ ფრაქციებს შეიცავს მცირე რაოდენობით. მასში არ არის ნორმალური და იზოპრენონიდული ალნაგობის ალკანები, მცირე რაოდენობითაა განშტოებული ალკანები (4-10%). ციკლოალკანებს შორის ჭარბობს ბიციკლური ნახშირწყალბადები.

$B^2$  ტიპის ნავთობი პარაფინულ-ნაფთენური ან განსაკუთრებით ნაფთენურია, იგი არ შეიცავს მონოჩანაცვლებულ ალკანებს. ამ ტიპის ნავთობში არის განშტოებული ალნაგობის ალკანები და ძირითადად ციკლოალკანები 60-75%, როგორც მონო-, ისე ბი- და ტრიციკლური ციკლოალკანები.

## 2.2. ნავთობის ტექნოლოგიური კლასიფიკაცია

ნავთობს და ნავთობპროდუქტებს გოგირდის შემცველობის მიხედვით ყოფენ კლასებად (3 კლასად).  $350^{\circ}\text{C}$ -მდე გამოხდილი ღია ფერის ფრაქციების შემცველობის მიხედვით ტიპებად (3 ტიპად), დისტილატებისა და ნარჩენში საბაზო ზეთების ჯამური სიდიდის მიხედვით ჯგუფებად (4 ჯგუფად), სიბლანტის ინდექსის მიხედვით ქვეჯგუფებად (4 ქვეჯგუფად), პარაფინის შემცველობის მიხედვით სახეობებად (3 სახეობად).

ყოველივე ამის გათვალისწინებით ნავთობს მიაკუთვნებენ გარკვეულ შიფრს.

I კლასს ეკუთვნის მცირე გოგირდიანი ნავთობი, რომელიც შეიცავს არაუმეტეს 0,5% გოგირდს, ამასთანავე ბენზინისა და რეაქტიული საწვავის ფრაქციებში გოგირდის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1%, ხოლო დიზელის საწვავში 0,2%-ს.

თუ გოგირდის შემცველობა რომელიმე ფრაქციაში აღემატება ზემოთ მოტანილ სიდიდეებს, მაშინ ნავთობი არ განეკუთვნება მცირეგოგირდიან ნავთობს. უნდა აღინიშნოს, რომ გამოხდის შედეგად მიღებულ ნარჩენებში გოგირდშემცველი ნაერთების რაოდენობა იზრდება.

II კლასს მიეკუთვნება გოგირდიანი ნავთობი, რომელშიც გოგირდის შემცველობა 0,51-2,0%-მდეა, ამასთანავე ბენზინის ფრაქციაში მისი შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1%, რეაქტიულ საწვავში – 0,25%, ხოლო დიზელის საწვავში – 1%-ს.

თუ რომელიმე ფრაქციაში მისი შემცველობა აღემატება აღნიშნულ ნორმას, ნავთობი მაღალგოგირდიან ნავთობს მიეკუთვნება.

III კლასს მიეკუთვნება მაღალგოგირდიანი ნავთობი, რომელშიც გოგირდის შემცველობა 2%-ზე მეტია: ბენზინის ფრაქციაში 0,1%-ზე, რეაქტიულ საწვავში – 0,25%-ზე, ხოლო დიზელის საწვავში 1%-ზე მეტი.

თუ ნავთობში გოგირდის შემცველობა 2%-ზე მეტია, მაგრამ გამოხდით მიღებულ ფრაქციაში ზემოთ აღნიშნულზე ნაკლებია და პასუხობენ გოგირდიან ნავთობიდან მიღებულ ფრაქციებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ნავთობი მიეკუთვნება გოგირდოვან ნავთობს, ე.ო. მეორე კლასს.

როგორც აღვნიშნეთ,  $350^{\circ}\text{C}$ -მდე გამოხდილი ფრაქციების გამოსავლიანობის მიხედვით ნავთობს ყოფენ ტიპებად:

I ტიპს ეკუთვნის ნავთობი, რომლშიც ღია ფერის ნავთობპროდუქტების გამოსავლიანობა 55%-ზე მეტია. II ტიპის ნავთობში – 45-54,9%-მდე, ხოლო III ტიპის ნავთობში – 45%-ზე დაბალია.

დისტილატებისა და ნარჩენში არსებული საბაზო ზეთების ჯამური სიდიდის მიხედვით ნავთობი იყოფა 4 ჯგუფად:

თუ ნავთობში საბაზო ზეთების მასური შემცველობა 25%-ზე, ხოლო მაზუთში 45%-ზე მეტია, ნავთობი I ჯგუფს ეკუთვნის. II ჯგუფს ეკუთვნის ნავთობი, რომელშიც ზეთების მასური შემცველობა 15-24,9%-მდეა, ხოლო მაზუთში 45%

ზე ნაკლები. III ჯგუფს ეკუთვნის ნავთობი, რომელშიც ზეთების მასური შემცველობა 15-24,9%-მდეა, ხოლო მაზუთში – 30-44,9%. IV ჯგუფის ნავთობში ზეთების შემცველობა 15%-ზე, ხოლო მაზუთში 30%-ზე ნაკლებია.

სიბლანტის ინდექსის (სი) მიხედვით ნავთობს ყოფენ 4 ქვეჯგუფად:

I ქვეჯგუფს ეკუთვნის ნავთობი, რომლისგან მიღებული ზეთების სი მეტია 95-ზე, II ქვეჯგუფში სი 90-95-ის ფარგლებშია, III ქვეჯგუფში – 85-89,9-ის ფარგლებში, ხოლო თუ სი 85-ზე ნაკლებია, ნავთობი ეკუთვნის IV ქვეჯგუფს.

მყარი პარაფინების შემცველობის მიხედვით ნავთობს ყოფენ 3 სახეობად:

I სახეობაში შედის ის ნავთობი, რომელიც შეიცავს არაუმეტეს 1,55% პარაფინს და ნავთობი მცირედპარაფინულია. ამ ნავთობიდან რეაქტიული საწვავისა და დიზელის საზამთრო საწვავის მიღება შესაძლებელია დეპარაფინიზაციის გარეშე; გამყარების ტემპერატურა -45°C-ზე უფრო დაბალია. ასევე მისგან შესაძლებელია ინდუსტრიული საბაზო ზეთის მიღება.

II სახეობის ნავთობში პარაფინის შემცველობა 1,51-6%-ის ფარგლებშია, ამასთანავე მისგან დეპარაფინაზაციის გარეშე შესაძლებელია რეაქტიული და დიზელის საზაფხულო საწვავის მიღება, ხოლო დიზელის საზამთრო საწვავისა და ზეთების მისაღებად საჭიროა დეპარაფინიზაცია. გამყარების ტემპერატურა -10°C-მდეა.

III სახეობის ნავთობში პარაფინის შემცველობა 6%-ზე მეტია ანუ მაღალპარაფინულია. როგორც რეაქტიული, ისე დიზელის საზაფხულო საწვავის მისაღებად საჭიროა დეპარაფინიზაცია.

აღსანიშნავია, რომ თუ ნავთობში პარაფინების შემცველობა 6%-ზე მეტია, მაგრამ დიზელის საზაფხულო საწვავის მისაღებად დეპარაფინიზაციას არ საჭიროებს, ნავთობი II სახეობას ეკუთვნის.

ნავთობის ტექნოლოგიური კლასიფიკაცია მოცემულია ცხრილში 3.2.

გოგირდის შემცველობის მიხედვით ნავთობს ყოფდნენ „ტკბილ“ (sweet) და „მჟავე“ (sour) ნავთობებად, რაც დაფუძნებულია შემდეგ ფაქტორებზე: მაღალგოგირდოვანი ნავთობის წვას თან ახლავს ძალიან უსიამოვნო სუნის ნარმოქმნა, ამასთანავე ასეთ ნავთობს აქვს მჟავე გემო, ხოლო მცირეგოგირდოვან ნავთობს მოტკბო გემო. მისი წვის შედეგად უსიამოვნო სუნის ნარმოქმნა არ ხდება. ამიტომ მაღალგოგირდოვანი ნავთობის გამოყენება გასანათებლად მიუღებელია.

**ნავთობის ტექნოლოგიური კლასიფიკაციის ცხრილი 2.2**

										დებარაფინზაცია	
გოგირდის შემცველება %		350°C-ზეუ ც ტ		საბაზო ზეთჭის შეცელაბა		საბაზო ზე ნაკონს ზეთჭის შემცველა %		საბაზო ზე ნაკონს ზეთჭის შემცველა %		არ საჭიროებს	
ნავთობში	მაღ.	180°C- გამოჩედ. პერზანტი	120- 240°C რეაქტორის საწავლის ფრაქციაში	240- 350°C დიზელის შემცველა %	ნაკონსში გამოხდილი ფრაქციის შემცველა %	ნაკონსში გაზურტი 350°C-ზე ზემოთ	საბაზო ზე ნაკონს ზეთჭის აღწევა (ნი)	საბაზო ზე ნაკონს ზეთჭის შემცველა %	რეაქტორი და ლიზ.საწვ., გამოხდილი საბაზო ზეთჭის გასაღების გასაღებად	რეაქტორი და ლიზ.საწვ., საბაზო ზეთჭის გასაღების გასაღებად	
1	≤ 0,5	≤ 0,1	≤ 0,20	1	≥ 55,0	1 > 25,0 2 15,0-24,9	> 45,0 < 45,0	1 > 95 2 90-95	1 ≤ 1,50	—	—
2	0,51-2,00	≤ 0,1	≤ 0,25	≤ 1,00	2 45-54,9	3 15,0-24,9 30-44,9	3 85-89,9	2 1,50-6,00	რეაქტორი და ლიზ.საწვ., საბაზო ზეთჭის გასაღების გასაღებად	რეაქტორი და ლიზ.საწვ., საბაზო ზეთჭის გასაღების გასაღებად	
3	>2,00	>0,1	>0,25	>1,00	3 <45,0	4 <15,0	<30	4 < 85 3 > 6,00	—	—	—

### 3. ნავთობის ნარმოშობა

#### 3.1. ნავთობის ნარმოშობის არაორგანული თეორია

ნავთობის გენეზისის შესახებ არსებობს ორი ძირითადი თეორია: 1) არაორგანული ანუ მინერალური და 2) ორგანული.

იდეა ნავთობის მინერალური წარმოშობის შესახებ პირველად გამოთქვა ჰუმბოლტმა 1805 წ. ამ თეორიის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერტლოს, კლოეცისა და მენდელეევის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებს.

ნავთობის წარმოშობის არაორგანული თეორიის მიმდევრები გამოდიოდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ ნავთობის შემადგენელი კომპონენტების წარმოქმნა ხდება დედამინის სილრმეში C, H<sub>2</sub>, CO, CO<sub>2</sub>, H<sub>2</sub>O-ს ერთმანეთთან და სილრმისეულ ქანებთან ურთიერთქმედების შედეგად.

წარმოქმნილი ნახშირწყალბადები სილრმეში არსებული მაღალი ტემპერატურის გამო აირის სახით ამოდის ზედა ფენებში და დედამინის ქერქის ცივ ნანილში ფორმვან დანალექ ქანებში ან სიცარიელებში კონდენსირდება.

1877 წელს მენდელეევმა გამოაქვეყნა ნავთობის წარმოშობის კარბიდული თეორია. მან დაუშვა ლითოსფეროს დიდ სილრმეში რკინის კარბიდის არსებობა, რომელზედაც დედამინის ზედაპირიდან ნაპრალებით ჩაუონილი წყლის მოქმედებით ხდება ნავთობის წარმოშობა. მენდელეევმა მის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის განსამტკიცებლად ჩატარა ექსპერიმენტი: თუკზე მარილმჟავას მოქმედებით მიიღო სითხე, რომელიც გარეგნულად ძალიან გავდა ბუნებრივ ნავთობს. მენდელეევი წერდა: „მე დავამუშავე თეთრი სარკისებური თუკი მარილმჟავით და მივიღე მურა სითხე, რომელსაც ნავთობის მომპოვებლები ნავთობისაგან ვერ არჩევდნენ. ისინი სუნით და გარეგანი ნიშნებით ცდილობდნენ განესაზღვრათ თუ რომელი ადგილიდან იყო ეს ნავთობი“.

კლოეცმა ნახშირბადით მდიდარი ფერომანგანუმის წყლით დამუშავებისას 100-300°C-ზე მიიღო ნახშირწყალბადთა ნარევი – ნავთობის მსგავსი სითხე.

ეს თეორია აწყდებოდა გარკვეულ წინააღმდეგობებს. იმ დროისათვის, როდესაც ყალიბდებოდა ეს თეორია, დედამინის სილრმეში მეტალთა კარბიდები არ იყო აღმოჩენილი. გარდა ამისა, ასეთ სილრმეში გამოირიცხებოდა წყლის არსებობა. შეუძლებელად მიაჩნდათ წყლის გადასვლა დედამინის ზედაპირზე არსებული დაბალი წნევის არედან მაღალი წნევის ზონაში.


მეცნიერთა ვარაუდით, რადგან დედამინის ზედაპირთან მინერალურ ნივთიერებათა უმრავლესობის სიმკვრივე 2,5გ/სმ<sup>3</sup>-ის ფარგლებშია, ხოლო დედამინის

საშუალო სიმკვრივე 5გ/სმ<sup>3</sup>-ის, მძიმე მეტალები, მათ შორის რკინაც, მიწის სიღრმეში უნდა იმყოფებოდნენ გამლლვალ მდგომარეობაში, რაც განაპირობებს კარბიდების წარმოქმნას.

შემდეგში, დედამინის სიღრმისეულ ქანებში, მართლაც აღმოაჩინეს რიგი ელემენტების (Fe, Ti, Cr, W, Bi) კარბიდები, რომლებიც უწვრილესი წარმონაქმნების სახით არის გაბნეული ქანებში, მაგრამ მათ ბაზაზე უზარმაზარი რაოდენობით ნახშირწყალბადების წარმოქმნის ახსნა შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება წყალს, მეცნიერთა აზრით, დედამინის სიღრმეში კარბიდებთან მათი შეღწევა შესაძლებელი იყო მთების წარმოქმნის პერიოდში ქანებში განვითარებული ბზარებიდან.

ნავთობის არაორგანული წარმოშობის შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა კუდრიავცევები. მისი აზრით ნახშირწყალბადების წარმოქმნა მიმდინარეობს ლითოსფეროს დაქუცმაცებული ნანგრევების უბნებში შემდეგი პროცესის შედეგად:



ამ დროს ხდება ასევე  $\equiv\text{CH}$ ,  $=\text{CH}_2$ ,  $-\text{CH}_3$ -ის თავისუფალი რადიკალების წარმოქმნა, რომელთა ურთიერთქმედებითა და პოლიმერიზაციით შესაძლებელია სხვადასხვა აღნაგობისა და შედგენილობის ნახშირწყალბადთა სინთეზი. წარმოქმნილი ნახშირწყალბადები მაღალი წნევის გავლენით ლითოსფეროდან ამოდის ზემოთ და გროვდება დანალექ ქანებში ნავთობისა და აირის საბადოების სახით.

ნავთობის არაორგანული წარმოშობის თეორიაზე მუშაობდნენ რუსი მეცნიერები: აკადემიკოსი დობრიანსკი, პორფირევი, კროპოტკინი, ჩეკალუკი და სხვ., ამერიკელი მკვლევარი გოლდი, ქართველი ქიმიკოსი ა. სამსონია.

ნავთობის არაორგანული წარმოშობის თეორიის განმამტკიცებელ ფაქტებად მიაჩნდათ ვულკანებიდან ამოფრქვეული მაგმასა და აირებში მეთანის კვალის არსებობა, დედამინის სიღრმისეულ ნატეხებში აირისა და ნავთობის გამოვლენა. ზოგიერთი მეცნიერი არაორგანული თეორიის განმამტკიცებელ ფაქტად მიიჩნევდა  $\text{CO} + \text{H}_2 \xrightarrow{\text{ფიშერ-ტროპში}} \text{რეაქციით} \text{Si} + \text{H}_2\text{O}$  სინთეზური საწვავის მიღებას.

ნავთობის მინერალური წარმოშობის თეორიის მომხრეებს შესაძლებლად მიაჩნდათ ნახშირწყალბადების, ჟანგბად-, აზოტ- და გოგირდის შემცველი ნაერთების სინთეზი დედამინის სიღრმის პირობებში  $\text{C}, \text{H}_2, \text{CO}_2$ , მეტალთა სულფიდებისა და ნიტრიდებისაგან, მაგრამ დღეისათვის არაორგანული სინთეზით შეუძლებელია აიხსნას ნავთობში შემავალი ისეთი რთული აღნაგობის ნახშირწყალბადების, ჟანგბად-, აზოტ- და გოგირდშემცველი ნაერთების წარმოქმნა, რომლებიც ხასიათდებიან ოპტიკური აქტიურობით და რომლებიც ცოცხალ ორგანიზმში არსებული ბიოორგანული ნივთიერებების მსგავსია (ბიომარკერები).

### 3.2. ნავთობის ნარმოშობის კოსმოსური თეორია

XIX საუკუნის ბოლოს კომეტების კუდებში აღმოჩენილი იყო ნახშირბადი და წყალბადი, ხოლო მეტეორიტებში ნახშირნყალბადები.

ამ ფაქტებზე დაყრდნობით სოკოლოვმა 1892 წელს წამოაყენა ნავთობის კოსმოსური ნარმოშობის ჰიპოთეზა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: დედამინის კოსმოსური ფორმირების სტადიაზე ნახშირნყალბადები ნარმოიქ-მნენ მარტივი ნივთიერებებისაგან არაორგანული სინთეზის გზით; თავდაპირვე-ლად ნახშირნყალბადები გაცივებისას შთაინთქმებოდნენ დედამინის ქერქის ნარმომქმნელი ქანებით, შემდეგ ამოდიოდნენ მინის ქერქის ზედა ნაწილში, სა-დაც გროვდებოდნენ და ნარმოქმნიდნენ ნავთობისა და აირების საბადოებს. მე-ტეორიტებში (ნახშირბადოვან ქონდიტრებში) აღმოჩენილია აგრეთვე ნორმა-ლური ალკანები, ამინომჟავები, მაგრამ იმდენად მცირე კონცენტრაციით, რომ მათი შემცველობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მეტეორიტების გაჭუჭყია-ნებით დედამინაზე დავარდნისას.

თანამედროვე მონაცემებით იუპიტერისა და ტიტანის ატმოსფეროში, ასევე აირმტვრის ლრუბლებში აღმოჩენილია აირები:  $C_2H_2$ ,  $C_2H_4$ ,  $C_2H_6$ ,  $C_3H_8$ ,  $HCN$ ,  $C_2N_2$ .

### 3.3. ნავთობის ნარმოშობის ორგანული თეორია

ნავთობის ნარმოშობის არაორგანული თეორიის პარალელურად ვითარდე-ბოდა შეხედულებანი ნავთობის ორგანული ნარმოშობის შესახებ.

ნავთობში შემავალი ნივთიერებების მსგავსებამ ცოცხალ ორგანიზმებში არსებულ ნივთიერებებთან, ნავთობის ოპტიკური აქტიურობის დადგენამ დამა-ტებითი ბიძგი მისცა ორგანული ნარმოშობის თეორიის განვითარებას.

ამ თეორიის მიხედვით ნავთობის საწყის მასალას ნარმოადგენს ზღვის ცხო-ველური და მცენარეული ნაშთები, რომლებიც აღმოჩნდნენ დანალექი ქანების ფენების ქვეშ ნამარხი სახით.

ნავთობის ორგანული ნარმოშობის თეორიის დასაბუთების მიზნით ექსპე-რიმენტული კვლევები ჩატარდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწ-ყისში.

ცდების შედეგად დადგენილია, რომ მინაში დამარხული ცხოველების გვამე-ბის შაქროვანი და ცილოვანი ნივთიერებები სწრაფად იშლებიან აირად და წყალ-ში ხსნად ნივთიერებად.

ცხიმები ჰიდროლიზდებიან გლიცერინად (წყალში ხსნადი) და ცხიმოვან მჟა-ვებად. უკანასკნელი წლების განმავლობაში შესამჩნევი ცვლილებების გარეშე იმყოფებიან დანალექი ქანის ქვეშ. ამ ფაქტების გათვალისწინებით ენგლერმა ჩატარა გამოკვლევები ნავთობის ნარმოქმნაში ცხიმების როლის გარკვევის მი-მართულებით.

1888 წ. მისი ხელმძღვანელობით ერთ-ერთ ქარხანაში მოახდინეს ქაშაყის ცხი-მის მშრალი გამოხდა: 10 ატმ. წნევაზე და  $420^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. შედეგად მიიღეს:

- 1) მოყავისფრო ფერის ზეთოვანი ნივთიერება 69%-ის გამოსავლიანობით;  
 2) კოქსი – 13%; 3) აირადი ნივთიერებანი და წყალი (დანაკარგები) – 18%. შემდეგ გამოხადეს ზეთოვანი ფრაქცია და შეისწავლეს მისი გამოხდის შედეგად მიღებული ფრაქციები (ცხრილი 3.1.).

### ცხრილი 3.1 ქაშაყის ცხიმის გამოხდის ფრაქციები

	ფრაქციის გამოხდის ტემპერატურა	სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	გამოსავლიანობა %-%ში
1	150°C-მდე	0.712	25.9
2	150-300°C	0.817	58
3	300°C-ზე მაღლა	-	16.1

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მსუბუქი ფრაქციები შეიცავდა C<sub>5</sub>-C<sub>9</sub> შედგენილობის ნახშირწყალბადებს. პირველ ფრაქციაში დადგენილი იყო C<sub>5</sub>-C<sub>7</sub> ალკენები, რომელთა შემცველობა 37%-ს შეადგენდა. დადგენილი იყო ასევე C<sub>5</sub>-C<sub>9</sub> შედგენილობის ნორმალური და იზოალკანების შემცველობა.

ნიტრირების რეაქციით გამოყვეს ბენზოლის, ტოლუოლის და მეტაქსილოლის ნიტრონანარმები.

ჩაატარეს იმავე ცხიმის მშრალი გამოხდა ალუმოსილიკატების თანდასწრებით და ალმოჩნდა, რომ დისტილატი ძირითადად შედგებოდა ციკლოალკანებისაგან. მათში შედიოდა ასევე ნაფთენური მჟავები.

ამრიგად, ენგლერმა ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე აჩვენა, რომ ცხოველური ცხიმოვანი ნივთიერებებისაგან შესაძლებელია გარკვეულ პირობებში ნავთობში შემავალი ნახშირწყალბადების ნარმოქმნა.

1919 წ. ზელინსკიმ გამოხადა ტბის ხავსი, რომელიც შედგებოდა ლიპიდების მაღალი შემცველობის პლანქტონური წყალმცენარეების ნაშთებისგან, შედეგად მიიღო კოქსი, ფისი, გაზი და პიროგენეტიკური წყალი.

ფისოვანი ფრაქციის შესწავლამ აჩვენა, რომ ის შეიცავდა ბენზინის, ნავთის ფრაქციას და მძიმე ფისოვან ნივთიერებებს. ბენზინის ფრაქციაში დადგინდა ალკანების, ციკლოალკანების და არენების არსებობა. ნავთში ჭარბობდა ციკლოალკანები.

მიღებული ნახშირწყალბადთა ნარევი ბევრი რამით გავდა ბუნებრივ ნავთობს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მძიმე ფრაქციებს გააჩნდათ ოპტიკური აქტიურობა. ამ ცდებზე დაყრდნობით განვითარდა ნავთობის ორგანული ნარმოშობის თეორია.

ორგანული ნარმოშობის თეორიის მიმდევართა თვალსაზრისით, ნავთობის ნარმოქმნას განაპირობებს, ერთი მხრივ, ნავთობის საწყისი მასალა, მეორე მხრივ, ქიმიური რეაქციები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედება. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება:

1. შეხებაში მყოფი ქანების, ძირითადად თიხოვანი ქანების, კატალიზური მოქმედება;
2. ტემპერატურა;
3. ნნევა;
4. მიკროორგანიზმების ზემოქმედება.

6. ზელინსკიმ თანამშრომლებთან ერთად ჩაატარა ცდები ცოცხალ ორგანიზმში არსებული ნივთიერებების ნავთობში შემავალ ნივთიერებებად გარდაქმნის მიმართულებით.

ამ მიზნით მათ  $\text{AlCl}_3$ -ზე გააცხელეს როგორც ცხოველური, ისე მცენარეულ ორგანიზმში შემავალი ნივთიერებები, ნარმოქმნილი ნარევები გამოხადეს.

ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებიდან შეარჩიეს ქოლესტერინი, პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის მჟავები და ფუტკრის ცვილი.

მცენარეული წარმოშობის ნივთიერებებიდან აბიეტინის მჟავა, ფიტოსტერინის წარმომადგენელი – ბეტულინი და როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური კაუჩუკები.

ქოლესტერინის შემთხვევაში აირად ნახშირწყალბადებთან ერთად გამოიყონავთობის მსგავსი სითხე, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა მსუბუქ ნახშირწყალბადებს (ბენზინის ფრაქცია), უპირატესად ციკლოპენესანისა და ციკლოპენტანის რიგის ნახშირწყალბადებს.  $250-400^{\circ}\text{C}$ -მდე გამოხდილი ფრაქცია – ზეთი ხასიათდება ოპტიკური აქტიურობით (მარჯვნივ მბრუნავი).

პალმიტინისა და სტეარინის მჟავების შემთხვევაში გამოიყონ მცირე რაოდენობით საწვავი აირები და  $\text{CO}_2$ , ძირითადად კი მიიღეს მყარი პარაფინი, რის საფუძველზეც გამოითქვა მოსაზრება, რომ სწორედ ეს მჟავები წარმოადგენენ ნავთობური პარაფინის და საერთოდ, პარაფინული ნავთობის წყაროს.

ფუტკრის ცვილის გამოხდისას საწვავი აირებისა და  $\text{CO}_2$ -ის გარდა, აღებული ცვილის მასის მიმართ 80%-იანი გამოსავლიანობით გამოიყო თხევადი და მყარი ალკანები.

ოლეინის მჟავას შემთხვევაში მიიღებოდა რთული ნარევი, რომელიც შედგებოდა თანაბარი რაოდენობით ცხიმოვანი რიგის ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადებისაგან, ციკლოპენესანის და ციკლოპენტანის რიგის ნაჯერი და უმეტესად, უჯერი ნახშირწყალბადებისაგან, ასევე მცირე რაოდენობით არომატული ნახშირწყალბადებისაგან.

აბიეტინის მჟავას შემთხვევაში გამოყოფილი ფრაქციები უპირატესად არომატულ ნახშირწყალბადებს შეიცავდნენ. ბეტულინიდან გამოხდილ დაბალ ფრაქციაში ჭარბობდა ციკლოპენესანის, ხოლო მაღალ ფრაქციაში არომატული რიგის ნახშირწყალბადები. როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური კაუჩუკის გადადენით მიღებული ფრაქციები დიდი რაოდენობით შეიცავდა ციკლოპენესანის რიგის ნახშირწყალბადებს.

ამრიგად, ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ როგორც ცხოველურ, ისე მცენარეულ ორგანიზმებში შემავალი ნივთიერებებისაგან გარკვეულ პირობებში (კატალიზატორი, ტემპერატურა) შესაძლებელია ნავთობში შემავალი ყველა ტი-

პის ნახშირწყალბადის წარმოქმნა. ამ სამუშაოებმა ბუნებრივია ხელი შეუწყო ნავთობის ორგანული წარმოშობის თეორიის განმტკიცებასა და განვითარებას.

თანამედროვე და უძველესი დანალექი ქანების ორგანული ნივთიერებების შესწავლის მიმართულებით კვლევები ჩაატარეს არხანგელსკი (1927 წ.) და ტრასკამ (1926-1932 წწ.).

ზღვის პლანქტონური \* ორგანიზმების გამოკვლევებით დადგინდა, რომ ისინი შეიცავდნენ მცირე რაოდენობით (0,006%) ნახშირწყალბადებს და დიდი რაოდენობით ლიპიდურ მასალას (ზოგჯერ 40%), რომლიდანაც ადვილად წარმოიქმნება ნახშირწყალბადები.

ზღვის ხავსის ორგანულ ნივთიერებათა შესწავლის შედევად დადგინდა, რომ ისინი შეიცავდნენ 3-5%-მდე ბიტუმურ ნივთიერებებს და 0,5%-მდე ნახშირწყალბადებს. ამასთანავე, ნავთობისათვის დამახასიათებელ ყველა კლასის ნახშირწყალბადებს – ალკანებს, ნაფთენებსა და არენებს; ნავთობისაგან განსხვავებით მათში არ იყო ბენზინის ფრაქციაში შემავალი მსუბუქი ნახშირწყალბადები.

შემდეგში ეს კვლევები მნიშვნელოვნად განავითარა გუბკინმა, რომელმაც 1937 წ. წამოაყენა ნავთობის წარმოშობის მცენარეულ-ცხოველური ჰიპოთეზა.


1942 წ. ქართველმა მეცნიერმა ა. გახოკიძემ გლუკოზისაგან რიგი გარდაქმნების შედევად მიიღო 2-მეთილჰეპტანი, რის საფუძველზეც გამოთქვა მოსაზრება, რომ ნახშირწყლები წარმოადგენს ბუნებრივ საწყის ნივთიერებებს არამარტო პარაფინული ნახშირწყალბადების, არამედ არომატული და ნაფთენური ნახშირწყალბადების და მათი ნაწარმების (ნავთობში შემავალი ნივთიერებების) მისაღებად.

მისი აზრით, მცენარეში არსებული ნაერთები, ფისები, ტერპენები, სტერინები და სხვა წარმოშობილნი არიან ნახშირწყლების ბიოქიმიური გარდაქმნით და რომ ეს გარდაქმნები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ცხოველურ, ისე მცენარეული მასალების გეოლოგიური მეტამორფოზით.

ეს მოსაზრება განამტკიცეს კანადელმა მეცნიერებმაც 40 წლის შემდეგ შეისწავლეს სასკარევანის ტბაში (კანადა) არსებული მიკროორგანიზმები და დაადგინეს, რომ მათი ერთ-ერთი სახეობა ახდენს ნახშირწყლების გარდაქმნას ნავთობის ნახშირწყალბადებად.

ნავთობის წარმოშობის ორგანული თეორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცოცხალ ორგანიზმი არსებულ ნივთიერებებისაგან ნავთობში გადმოსულ ბიომოლეკულების ე.წ. „ბიოგენური ნიშნაკების“ – „ბიომარკერების“ აღმოჩენას, რომელთა შორის ალსანიშნავია იზოპრენოიდული სტრუქტურის ნახშირწყალბადები: ფიტანი და პრისტანი, რომელთა წარმოქმნა აიხსნება ქლოროფილის მოლეკულის გვერდით ჯაჭვში არსებული უჯერი სპირტის – ფიტოლის გარდაქმნით:

\* პლანქტონები – ცხოველური და მცენარეული მიკროორგანიზმებია, რომლებიც იშლებიან ჰიდროსფეროში.





აღმოჩნდა, რომ ნავთობში შემავალი პრისტანი „მზა“ სახით არის ზოგიერთი ცხოველის სხეულში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნავთობში  $\text{VO}^{2+}$  და  $\text{Ni}^{2+}$  პორფირინული კომ-პლექსების აღმოჩენას. მიაჩნიათ, რომ მათ საწყის ნივთიერებას კვლავ ქლორო-ფილი წარმოადგენს.


დედამინის წიაღის სილრმის ზრდასთან ერთად ნავთობში შეინიშნება პორ-ფირინების შემცველობის შემცირება, რაც აიხსნება პორფირინების თერმული უმდგრადობით. ეს ფაქტიც წინააღმდეგობაში მოდის ნავთობის არაორგანულ თეორიასთან, რომლის მიხედვით ნავთობის ნარმოქმნა ხდება დედამინის სილ-რმეში, მაშინ როდესაც ამ ზონაში პორფირინული კომპლექსების წარმოქმნა მა-ლალი ტემპერატურის გამო შეუძლებელი იყო.

დანალექებსა და ნავთობში შემავალ მნიშვნელოვან „ბიომარკერებს“ წარმო-ადგენს სტერანისა და ტრიტერპენის ტიპის პოლიციკური ნახშირწყალბადები. ბევრი მათგანი წარმოადგენს ყველა ცოცხალ ორგანიზმში არსებული მნიშვნე-ლოვანი ბიომოლეკულების – სტეროიდებისა და ტრიტერპენოიდების – მაგ., ქო-ლესტერინის, ფიტოსტერინის და სხვათა ნაწარმებს:



მემკვიდრეობით ბიოგენურ სტრუქტურებს ეკუთვნის 6. ალკანები. ნავთობ-ში მათი შემცველობა 10-15%, ხოლო ზოგჯერ 30%-ია.

ნაკლებად გარდაქმნილ ნავთობში ჭარბობს 6. ალკანები კენტი ნახშირბადის ატომებით, რომელთა წარმოქმნა ადვილად აიხსნება ორგანიზმში ძირითადად არსებული ნახშირბადატომების ლუნი რიცხვის შემცველი მჟავების დეკარბოქ-სილირებით:



შემდეგში ნავთობში კენტი და ლუნი ნახშირაბდატომების რიცხვის შემცველი ნახშირნყალბადების რაოდენობა თანაბრდება, რაც დედამინის წიაღის სიღრმისა და ტემპერატურის გაზრდასთან ერთად ნავთობის საბადოში მეორადი რეაქციებით აიხსნება.

თანამედროვე თეორიით, ნავთობი და საწვავი აირი წარმოქმნება დანალექ ქანებში გაფანტული სახით არსებული პლანქტონური და საპროპელური ორგანული ნივთიერებებისაგან. კერძოდ, წყალსატევების ფსკერზე არსებულ ცხოველურ და მცენარეულ მიკროორგანიზმებს (პლანქტონებს და ბენტალურ ორგანიზმებს), ემატებოდა ხმელეთის გადანარეცხ მასალასთან ერთად მდინარეების მიერ ზღვაში შემოტანილი დედამინაზე არსებული ცოცხალი სამყაროს ნაშთები, წყლისა და სანაპიროს მცენარეები. წარმოქმნილი ორგანული მასა, უამრავი მცენარეული და ცხოველური ნაშთი, გაფანტული მინერალურ მასებში გროვდება ნაყლსატევების ფსკერზე და სულ ქვევით და ქვევით იძირება. პირველი ათეული მეტრის სიღრმეზე ორგანული მასალა მიკროორგანიზმების მოქმედების შედეგად ნაწილობრივ იხრნება. ფსკერზე ჩაძირულ შლამის ზედა ფენას ენოდება პელოგენი, ხოლო ნაწილობრივ გარდაქმნილ შლამს – საპროპელური.

გახრწნილი ორგანული მასალა, ზღვის შლამში უანგბადისა და ბაქტერიების ზემოქმედების შედეგად განიცდის შემდგომ გარდაქმნას და ხდება აირების ( $\text{CO}_2$ ,  $\text{N}_2$ ,  $\text{NH}_3$ ,  $\text{CH}_4$ ) და წყალში უხსნადი თხევადი პროდუქტების წარმოქმნა, ხოლო ორგანული მასალის დაუშლელი ნაწილი გროვდება დანალექ ფენაში, რომელთა გარდაქმნა ნავთობად ხდება უჟანგბადო, აღმდგენ არეში, მრავალი ფაქტორის (მაღალი წნევის, ტემპერატურის), მათთან შეხებაში მყოფ (ძირითადად თიხოვანი) ქანების კატალიზური მოქმედების, მიკროორგანიზმების და საპროპელურ ნალექებში არსებული რადიოაქტიული ელემენტების მიერ გამოსხივებული ენერგიის ზემოქმედებით. ეს ძალიან ნელი პროცესია, რომელიც მიმდინარეობს მილიონი წლების მანძილზე.

ნავთობის ორგანული წარმოშობის თეორიის განმტკიცებას ხელს უწყობდა გეოლოგიური გამოკვლევებიც. მეცნიერ-გეოლოგთა უმრავლესობა იზიარებდა ნავთობის ორგანული წარმოშობის თეორიას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ნავთობის საბადოების არსებობა მეტნილად დაკავშირებულია საპროპელური ორგანული ნივთიერებებით გამდიდრებულ დანალექ ქანებთან.

1934 წ. ვ. ვერნადსკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ნავთობის, ქვანახშირის, ტორფის და ბიტუმოვანი ფიქლების შემადგენელი ნაერთები, ჩნდება ჯერ კიდევ ცოცხალ ორგანიზმებში.

აკადემიკოს მირონოვის აზრით „ნავთობი ორგანული ნივთიერებების ნამდვილი სასაფლაოა“. დღემდე ცნობილი ნავთობის მცირე თუ დიდი რაოდენობით დაგროვება მხოლოდ და მხოლოდ დანალექი წარმოშობის ქანებში გვხვდება. ვულკანური წარმოშობის ქანებში არსად არ არის ნაპოვნი ნავთობის არც პატარა და არც დიდი საბადო.

1956 წ. ვებერმა, მონაცენებთან ერთად ექსპერიმენტულად დაასაბუთა, რომ კასპიისა და აზოვის ზღვის სანაპიროზე მეოთხეული პერიოდის თიხნარებში ორგანული მასალის გარდაქმნის შედეგად დღესაც მიმდინარეობს ნავთობის წარმოშობის პროცესი.

ნავთობის წარმოშობის დარგში ჩატარებულმა გეოლოგიურმა და გეოქიმიურმა კვლევებმა შესაძლებელი გახადა ბუნებრივი პროცესების თანმიმდევრობითი სტადიების გააზრება.

დადგინდა, რომ ორგანული მასალის გარდაქმნა, ხელსაყრელ თერმოდინამიკურ პირობებში, მხოლოდ გარკვეულ სიღრმეზე მიმდინარეობს.

დაძირვის საწყის სტადიაში 1,5-2კმ სიღრმეზე ( $50^{\circ}$ - $90^{\circ}\text{C}$ ) ტემპერატურულ ზონაში ირგანული ნივთიერების მოლეკულური სტრუქტურა არსებით დესტრუქციას ჯერ კიდევ არ განიცდის. აღინიშნება უანგბადის შემცირება მოლეკულური სტრუქტურის პერიფერიული უანგბადშემცველი ფუნქციური ჯგუფის მოხლეჩის შედეგად.

კეროგენში იზრდება ნახშირბადისა და წყალბადის შემცველობა. ამ ეტაპზე აირად ფაზაში მეთანისა და მისი ჰომოლოგების შემცველობა უმნიშვნელოა, აღინიშნება ნახშირბადის დიოქსიდის სიჭარბე. დაბალმდუღარე ნახშირწყალბადები ირგანულ ნივთიერებაში ჯერ კიდევ არ არის.

საპროპელური ორგანული მასალის მნიშვნელოვანი გარდაქმნა ხდება უფრო ღრმა ზონაში ( $2,5\text{მ-დან} - 6\text{კმ-მდე}$ )  $100-150^{\circ}\text{C}$ -ზე მრავალი ნლის ( $10-20$  მილიონი) განმავლობაში. დიდი რაოდენობით ხდება ბიტუმის და საერთოდ ნავთობის მაღალმოლეკულური ნახშირწყალბადების ( $\text{C}_{15}-\text{C}_{45}$ ) წარმოქმნა. ასევე წარმოიქმნება და მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს ბენზინის ფრაქციის ( $\text{C}_6-\text{C}_{14}$  შედგენილობის) ნახშირწყალბადები. აირადი ფაზის ორგანული ნივთიერებების შემადგენლობაში მეთანის შემცველობა უმნიშვნელოა. მაქსიმალურია  $\text{C}_2-\text{C}_5$  შედგენილობის ალკანების შემცველობა. დიდი რაოდენობით ნავთობის ნახშირწყალბადებისა და ბიტუმის წარმოქმნის ამ ეტაპს ვასოვეიჩმა ნავთობნარმოქმნის მთავარი ფაზა უნდა.

ამ თეორიის მიხედვით, ჩაძირვის საწყის სტადიაში ორგანული მასალა ქიმიური ცვლილებების გარდა გამკვრივებასაც იწყებს. ჩაძირვასთან ერთად მზარდი ტემპერატურა და წნევა ახდენს ქანთამშენი მასალის გამკვრივებას და ნორმალურ, დანალექ ქანად გადაქცევას. დროთა ვითარებაში საპროპელური ნივთიერებებისაგან წარმოიქმნება ნახშირები და საწვავი ფიქლები.

ის მოსაზრება, რომ საწვავი ფიქლები თხევადი ნავთობის მსგავსად საპროპელური წარმოშობისაა, დადასტურდა ექსპერიმენტული მონაცემებით. აღმოჩ-

ნდა, რომ საწვავი ფიქლების გაცხელებისას  $150\text{-}170^{\circ}\text{C}$ -ზე იწყება ორგანულ ნივთიერებათა დაშლა,  $200^{\circ}\text{C}$ -ზე დაშლის პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ხოლო  $370\text{-}400^{\circ}\text{C}$ -ზე გაცხელებისას 1სთ-ის განმავლობაში ფიქლების ორგანულ ნივთიერებათა უმეტესობა ( $60\text{-}80\%$ ) გადადის თხევად მდგომარეობაში, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ფისოვან-ასფალტენურ ნივთიერებებს, ნავთობის ნახშირნყალბადების ყველა ძირითად კლასს, აირებს ( $\text{CO}_2$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{H}_2\text{S}$ ) და პიროგენეტურ წყალს. აღმოჩნდა, რომ ნავთობის მთავარი ფაზის ზონაში ნარმოქმნილი ხსნადი ბიტუმები თავისი შედგენილობით (C და H-ის შემცველობით) ახლოა საპროპელური ფიქლების თერმული დაშლისას ნარმოქმნილ ბიტუმებთან, რომლებშიც  $60\text{-}80\%$ -მდე ფისები და ასფალტენებია,  $20\text{-}40\%$ -მდე ნახშირნყალბადები;  $10\text{-}30\%$ -მდე ნ.ალკანები,  $20\text{-}60\%$  იზოალკანები და ციკლოალკანები,  $20\text{-}50\%$  არენები. დაბალმდულარე ფრაქციებში მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის ციკლოალკანები ციკლოპენტანების სიჭარბით, ნ.ალკანების და არენების შემცველობა მცირეა. სილრმისა და ტემპერატურის ზრდასთან ერთად შესამჩნევად იზრდება ნ.ალკანების, არენებისა და ციკლოპენტანების წილი, ხოლო ციკლოპენტანებისა — მცირდება. ამ ზონაში ძველ საბადოებში შეინიშნება ალკანების, რომელშიც  $50\%$ -მდე იზოალკანებია, წილის გაზრდა და ციკლოალკანების და არენების წილის შემცირება.

ინფრანითელი სპექტროსკოპიის გამოყენებით შეისწავლეს კეროგენის მოლეკულური სტრუქტურის დესტრუქცია და დაადგინეს, რომ თავდაპირველად ადგილი აქვს ლიპიდური კომპონენტების გარდაქმნას; კარბონმჟავების, კეტონების და ალდეპიდური ჯგუფების მოხლეჩვას, შემდეგ  $\text{CH}_2$  ჯგუფებისაგან შემდგარი გრძელჯაჭვიანი სტრუქტურების რღვევას; არომატიზაციისა და პოლიკონდენსაციის პროცესების გაძლიერებას.

მყარი კეროგენის გარდაქმნას – ასფალტოვან-ფისოვან ნივთიერებათა, ნავთობური ნახშირნყალბადებისა და ასევე აირების ( $\text{C}_1\text{-}\text{C}_5$  შედგენილობის ალკანების,  $\text{H}_2\text{S}$ ,  $\text{N}_2$ ) ნარმოქმნას ახლავს მოცულობის ძლიერი მატება. ზედა ფენებში მდებარე თიხის საბადოების დანოლის შედეგად აღიძვრება ანომალიურად მაღალი წნევა, რომელიც მომიჯნავე ფორმოვან წყალგაჯერებულ ქვიშაში არსებულ ნორმალურ ჰიდროსტატიკურ წნევას აღემატება  $20\text{-}30$  მპა-ით; როცა წნევა კრიტიკულ მნიშვნელობას მიაღწევს თიხოვან ქანებში ხდება ფლუიდ გარღვევები და ჩნდება მიკრობზარები. ადგილი აქვს შეკუმშული ნავთობისა და აირადი ნახშირნყალბადების გამოდევნას წყალგაჯერებულ ქვიშაში, სადაც მათი აკუმულაციისა ხდება ნავთობის შეგროვება (ეს პროცესი პერიოდულად მეორდება).

ნავთობნარმომქმნელი თიხის ქანებისა და წყალგაჯერებული ფორმოვანი ფენიდან გამოტანილი ნავთობი ამოტივტივდება, თანდათანობით ხდება მისი დაგროვება და საბადოების ნარმოქმნა, რასაც ადგილი აქვს ქანების ყველაზე მეტად ამონტულ უბნებში (ანტიკლინურ სტრუქტურებში).

ანტიკლინის თაღურ ნაწილში გროვდება აირი, მის ქვემოთ ნავთობი, ხოლო ნავთობის ქვემოთ ანტიკლინის ფრთებში ექცევა ფენის წყალი — ნავთობისა და

აირის თანამგზავრი; ანტიკლინების მოსაზღვრე ჩაზნექილ სტრუქტურულ ნაოჭებს (სინკლინებს) მთლიანად ავსებს ფენის წყალი.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის დედისეული თიხიანი ქანებიდან მათ მომიჯნავე წყალგაჯერებული ფორმოვანი ქვიშაქვის ფენაში ნახშირწყალბადების მიგრაციისას ხდება წარმოქმნილი ფისოვან-ასფალტენურ ნივთიერებათა, ნავთობის და აირადი ნახშირწყალბადების ქრომატოგრაფიული დაყოფა. ამ პროცესში ქრომატოგრაფიულ სვეტს წარმოადგენს თიხის ფენა წარმოქმნილ ბიტუმურ ნივთიერებებთან ერთად, ხოლო ელუენტს – აირადი და ნავთობის დაბალმდულარე ნახშირწყალბადები. რაც მეტი ელუენტი გადის ქვიშაქვის მიმართულებით, მით უფრო მაღალი ხარისხით ხდება კომპონენტთა დაყოფა. ქვიშის კოლექტორში გადმოსულ ნავთობურ ნახშირწყალბადებში ასფალტენებისა და ფისების შემცველობა 5-10%-ს არ აღემატება. არსებითად ეს არის ნამდვილი ნავთობი.

ნავთობის გამოვლენის მთავარი ზონა ხასიათდება ნავთობით, რომლის სიმკვრივეა  $820-840 \text{ კგ/მ}^3$ ,  $200^\circ\text{C}$ -მდე მდუღარე ფრაქციის მოცულობითი წილი 25-30%-მდეა, რომელშიც ალკანების შემცველობაა 25-40%, ციკლოალკანების – 30-50%, არენების – 10-30%. ძველ დანალექ ქანებში, ახალთან შედარებით, შეიმჩნევა მსუბუქი ფრაქციების მატება. მასში გაზრდილია ალკანების შემცველობა, ნაკლებად არენების, ხოლო ციკლოალკანები მნიშვნელოვნად შემცირებულია.

ზედაპირთან ახლოს ნავთობი კარგავს მსუბუქ ფრაქციებს, მძიმდება, იუანგება. საბადოებში განვითარებული მიკრობიოლოგიური ჟანგვის პროცესები იწვევენ ბიოდეგრადაციას. ნავთობის ჰიპერგენული ცვლილებების შედეგად ნავთობის სიმკვრივე მნიშვნელოვნად იზრდება. ბენზინის ფრაქციების შემცველობა მცირდება, მასში თითქმის არ არის ნ. ალკანები, მაღალია ციკლოალკანების და ასფალტოვან-ფისოვანი ნივთიერებების შემცველობა.

ამრიგად, ნავთობის წარმოშობის ორგანული თეორიის მიხედვით ნავთობური ნახშირწყალბადების პირველწყაროს წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმში ბიოსინთეზის შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებანი, მეორე წყაროს საწყისი ორგანული ნივთიერებების გადამუშავების მიკრობული პროცესი, რომლის დროსაც მკვდარი ორგანიზმის ბიომოლეკულები გარდაიქმნებიან გარემო პირობებში უფრო მდგრად ნაერთებად – ნახშირწყალბადებად, კერძოდ ნახშირწყალბადებს წარმოქმნიან სპირტები, ალდეჰიდები, მჟავები და ნახშირწყლები.

ამრიგად, ქიმიური, გეოქიმიური და გეოლოგიური მონაცემები ამტკიცებენ ნავთობის წარმოშობის ორგანულ თეორიას.

#### 4. ნავთობის მიზანებისა და საპატიობი

როგორც ნავთობის ორგანული წარმოშობის თეორიის განხილვისას აღინიშნა, ნავთობური ნახშირნყალბადების და ასფალტოვან ნივთიერებათა წარმოქმნისას ხდება აირების  $\text{CO}_2$ ,  $\text{N}_2$ ,  $\text{H}_2\text{S}$ , ( $\text{C}_1\text{-}\text{C}_5$ ) შედგენილობის ალკანების წარმოქმნა, რის გამოც თიხის ქანებში აღიძვრება ანომალიურად მაღალი წნევა; როცა წნევა კრიტიკულ მნიშვნელობას მიაღწევს, თიხოვან ქანებში ხდება ფლუიდ გარღვევები, ჩნდება მიკრობზარები, ადგილი აქვს შეკუმშული ნავთობის და აირადი ნახშირნყალბადების გამოდევნას ფორმვან და ნაპრალოვან ქანებში (ქვიშები, ქვები, ნაპრალოვანი კირქვები და კონგლომერატი), სადაც ხდება ნავთობის შეგროვება. ასეთ ქანებს კოლექტორები ეწოდებათ. ხოლო თიხოვანი არაგამტარი წყებები ამ კოლექტორების სახურავს წარმოადგენენ.

დედამიწის დანაოჭების პროცესში წარმოქმნილ კოლექტორებში დაგროვილი ნავთობი და აირი მაღალი წნევის ქვეშ იწყებენ მოძრაობას გამტარ შრეებში და გროვდება ამონეული ფორმების ნაოჭებში ანუ ანტიკლინებში, რომლებიც მინის ქერქის დანალექ საფარში ნავთობისა და აირის დაგროვების ძირითად სტრუქტურულ ტექტონიკურ ფორმებს წარმოადგენენ. ანტიკლინის თაღურ ნანილში გროვდება აირი, მის ქვემოთ ნავთობი, ხოლო ნავთობის ქვემოთ – ანტიკლინის ფრთებში ექცევა ფენის წაყლი – ნავთობისა და აირის თანამგზავრი; ანტიკლინების მოსაზღვრე ჩაზნექილ სტრუქტურულ ნაოჭებს (სინკლინებს) მთლიანად ავსებს ფენის წყალი, რომელიც გეოსტატიკური დონის მიხედვით მუდმივი წნევის ქვეშ იმყოფება. ეს წნევა გადაეცემა ნავთობს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზედაპირზე მისი ამოსვლისათვის.

ნავთობის მიგრაცია შეიძლება გავრცელდეს რამდენიმე კმ-ის მანძილზეც, ვიდრე მძლავრ, ნავთობგაუვალ შრეებს არ წააწყდება. აქ მიგრაცია ჩერდება და ხდება ნავთობის ამა თუ იმ რაოდენობით დაგროვება, ე.ი. წარმოიშობა ნავთობის საბადო; თუ საბადოში ნავთობი სამრეწველო რაოდენობით დაგროვდება, მაშინ იქმნება ბუდობი.

დადგენილია, რომ ნავთობისა და გაზის საბადოები არის დედამიწის ხუთივე კონტინენტზე სხვადასხვა რაოდენობით.

საბადოში ჩანოლილი ნავთობის მოცულობა რამდენიმე  $\text{sm}^3$ -დან – მილიონ  $\text{m}^3$  მერყეობს.

საბადოები, მათში არსებული ნავთობის მარაგის მოცულობის მიხედვით იყოფა მცირე, საშუალო, დიდ, უდიდეს, გიგანტურ და ზეგიგანტურ საბადოებად.

## ნავთობის გეოლოგიური მარაგები

	საბადოს სიდიდეები	გეოლოგიური მარაგები ( $10^6$ ტონებში)
1	მცირე	<10
2	საშუალო	10-50
3	დიდი	50-100
4	უდიდესი	100-500
5	გიგანტური	500-1000
6	ზეგიგანტური (უნიკალური)	>1000

პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ნავთობის საბადოები, სადაც ნავთობის მასა რამდენიმე მილიონ ტონას და მეტს შეადგენს.

ნავთობის მსხვილი საბადოებია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ რაიონში, ინდონეზიაში, რუსეთში – ვოლგისპირეთში, ურალში, დასავლეთ ციმბირში, მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე, კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აზერბაიჯანში, გროზნოში, დაღესტანში, უკრაინაში, ყაზახეთში და სხვ.

ნავთობის გიგანტური საბადოებია საუდის არაბეთში, კუვეიტში, ერაყში, ვენესუელაში, ალჟირში, ირანში, ლიბიაში.

ძალიან მნიშვნელოვანია ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოს აღმოჩენა ზღვების და ოკეანეების აკვატორიაში: კასპიის ზღვაში, სპარსეთის უბეში, კალიფორნიის, ტრინიდადის, არგენტინის, ავსტრალიისა და ჩრდილოეთ ალიასკის სანაპიროზე. უკანასკნელი ათეული ნლების განმავლობაში, მთელ მსოფლიოში, შიგა ზღვების და ოკეანეების სანაპირო ეკვატორულ ზონებში ნავთობისა და გაზის მოპოვება, ხმელეთზე მოპოვებული რაოდენობის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

ნავთობის საბადოს გამოვლენასა და მისი მარაგის შეფასებას წინ უძლვის სადაზვერვო სამუშაოები. გეოლოგები თავდაპირველად ახდენენ ადგილის გეოლოგიურ, აერომაგნიტურ და გრავიმეტრიულ შესწავლას. ქანებისა და წყლების გეოქიმიურ გამოკვლევას და რუქების შედგენას. შემდეგ უკვე ანარმოებენ საბადოს გაბურღვას, ჭაბურღლილის ტევადობის, შრების ნავთობით გაჯერებულობის განსაზღვრას. ამის შემდეგ ხდება მარაგის გაანგარიშება და ახალი საბადოს აღმოჩენისა და ექსპლოატაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

გეოლოგების მიერ მოწოდებულია მოცულობითი მეთოდით ნავთობის მარაგის გასაანგარიშებელი ფორმულა:

$$Q = F \cdot h \cdot K_1 \cdot K_2 \cdot \theta \cdot q$$

$Q$  – ნავთობის ამოსაღები მარაგი ტონებში;

$F$  – ნავთობის ფენის გავრცელების ფართი  $\text{კ}^2\text{-ში}$ ;

$h$  – ნავთობის ფენის სიმაღლე მ-ში;  
 $K_1$  – ნავთობშემცველი ფენის ღია ფორიანობის კოეფიციენტი;  
 $K_2$  – ნავთობის გაცემის კოეფიციენტი;  
 $\theta$  – ნავთობის დაჯდომის გასათვლისწინებელი გადათვლითი კოეფიციენტი;  
 $q$  – ნავთობის სიმკვრივე კგ/მ<sup>2</sup>-ში.  
დაზვერვის შედეგად გამოთვლილი ნავთობის მარაგი მთელ მსოფლიოში  $90-95 \times 10^9$  ტონას შეადგენს, ხოლო პროგნოზირებული მარაგი  $250-270 \times 10^9$  ტონას უნდა შეადგენდეს.

## 5. საქართველოს ნავთობი

ნავთობის მოპოვებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნავთობის გამოსავლებს მიწის ზედაპირზე საქართველოს რეგიონებში კუპრს უწოდებდნენ (სულხან-საბას ლექსიკონში „კუპრი“ ასფალტს ნიშნავს). საქართველოში ამჟამადაც ეს ტერმინი შემორჩენილია გურიაში: ზემო ნატანების ერთ-ერთ უბანს, სადაც ნავთობის მნიშვნელოვანი გამოსავლებია, სამხეთო-საკუპრეს ეძახიან. მსგავსი გამოსავლებია კასპის რაიონის სოფლების – ახალქალაქის და კავთის-ხევის, ცივგომბორის ქედზე, საგარეჯოს, ონის, ამბროლაურის და ტყიბულის რაიონებში. ამასთანაა დაკავშირებული კახეთში – სიღნაღის, დედოფლისწყაროს ზოგიერთ რაიონში ნავთობის გამოსავლების სახელწოდებები: კილიკუპრა, ჩათმის, კიდერმის, ბაიდის, ტიულკიტაპის კუპრები. თბილისის ერთ-ერთი და-სახლების სახელწოდება – „ნავთლული“ დაკავშირებულია იქ ნავთობის არსებობასთან. ცნობილია, რომ VIII საუკუნეში აბო თბილელი დაწვეს ნავთის გამოყენებით. ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი წერდა ნავთლულის ნავთობის შესახებ და აღნიშნავდა, რომ მისი მოპოვება არც ისე დიდია.

საქართველოში ნავთობის წყაროების არსებობის შესახებ აღნერილი აქვს ცნობილ იტალიელ მოგზაურს მარკო პოლოს. თავის ჩანაწერებში ის აღნიშნავს, რომ „გეორგიანაში“ (საქართველოში) წყაროებიდან მოედინება ზეთისმაგვარი თხევადი პეტროლეუმი (ნავთობი), რომელსაც იყენებდნენ ლამფების გასანათებლად და ასევე სამკურნალო საშუალებად მრავალი დაავადების დროს. ამ სითხისათვის მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდიან ვაჭრები და აქლემებით გააქვთ თავიანთ ქვეყნებში. დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, საქართველოდან საექსპორტოდ გატანილი საქონლის სიაში ნავთობიც მოიხსენიება.

საქართველოში ნავთობს ძველი დროიდანვე იყენებდნენ საწვავ, საპოხ, გა-სანათებელ და საომარ საშუალებად, სამკურნალოდ კანის დაავადებებისა და რევმატიზმის დროს. ასევე სამშენებლო საქმეში შემკვრელ საშუალებად. ცნობილია, რომ მედეა თავის ნავთებს ამზადებდა არა მარტო მცენარეებისაგან, არა-მედ ნავთობისგანაც, რომელიც კოლხეთში იმ დროს დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა და საბერძნეთში გაპქონდათ.

საქართველოში დღეისათვის ცნობილია ნავთობის 10 საბადო – მირზაანი, ტარიბანი, პატარა შირაქი, ნორიო, საცხენისი, სამგორი-პატარძეული, თელეთი, სამგორის სამხრეთი თაღი, სუფსა და აღმოსავლეთ ჭალადიდი.

საქართველოს ნავთობების სისტემატიური კვლევები დაიწყო 1940 წელს და დღემდე გრძელდება. საქართველოს ნავთობის კვლევის ძირითადი ცენტრებია:

მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, „საქართველოს უნივერსიტეტი“ და ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის ლაბორატორია.

პატარა შირაქის ნავთობის საბადო ექსპლუატაციაში მყოფ საბადოთა შორის ერთ-ერთ ძველ (1939წ.) საბადოს წარმოადგენს. აღნიშნული ნავთობი მიეკუთვნება მსუბუქ (სიმკვრივე-0,885გ/სმ<sup>3</sup>), დაბალგოგირდიან (0,15%) ნავთობთა რიცხვს. პარაფინების შემცველობა ტოლია 2%-ის, ასფალტენების 6,16%, ფისების – 27%, აღნიშნული ნავთობი მდიდარია 300°C-მდე მდუღარე ფრაქციების შემცველობით (47,5%).

პატარა შირაქის ნავთობის 95-122°C ფრაქციაში დადგენილია ნაფთენური ნახშირნყალბადების: მეთილციკლოპექსანის, ეთილციკლოპექსანის, 1,3-დიმეთილციკლოპექსანის და 1,2,4-ტრიმეთილციკლოპექსანის, ტოლუოლის, ეთილბენზოლის, ორთო-, მეტა- და პარა-ქსილოლების, კუმოლის და ფსევდოკუმოლის არსებობა. არსებული ლიტერატურული მონაცემებით პატარა შირაქის საბადოს სხვადასხვა ჭაბურღლილების ნავთობები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მიეკუთვნებიან ნაფთენური ნავთობების ტიპს.

ტარიბანის ნავთობების ნარევის და სასაქონლო ნავთობპროდუქტების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების შესწავლით დადგენილია, რომ აღნიშნული ნავთობი წარმოადგენს დამძიმებულ, მაღალპარაფინულ, მცირეგოგირდიან ნავთობს.

საცხენისის მე-4 ჭაბურღლილის ნავთობი დიდი რაოდენობით შეიცავს 350°C-მდე მდუღარე ფრაქციებს, არის ბაცი ყავისფერი; ამ მახასიათებლებით მიაკუთვნებენ ე. წ. „თეთრ“ ნავთობებს. საცხენისის ნავთობი მიეკუთვნება ნაფტენურ-არომატული ტიპის ნავთობს.

საცხენისის მე-10 ჭაბურღლილის ნავთობი ხასიათდება დაბალი სიმკვრივით და სიბლანტით, ასევე დაბალია მისი დუღლილის საწყისი ტემპერატურა, მაღალია ბენზინის ფრაქციის გამოსავლიანობა, დაბალია ჰეტეროლემენტების შემცველობა და ასფალტენებისა და ფისების ჯამური შემცველობა.

აღნიშნული ნავთობის ოპტიკური აქტიურობა დაბალია, იგი მსუბუქი ნავთობია, ახალგაზრდა ნავთობთა ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო ჯგუფური შემადგენლობის მიხედვით ალკანურ ნავთობთა ტიპს.

საცხენისის საბადოს ნავთობი მსუბუქია და შესაბამისად მცირედ ნაცრიანი (0,0032 %). სპექტრული ანალიზით დადგენილია შემდეგი ელემენტების: V, Ni, Co, Cr, Mn, Mo, Cu, Fe, Pb, Sr, Zn, Ba შემცველობა.

ნავთობში შეიმჩნევა ვანადიუმისა და ნიკელის შესამჩნევი რაოდენობა და მათი შეფარდებითი სიდიდის ცვალებადობაში გარკვეული კანონზონმიერება; ეს შეფარდება თითქმის მუდმივია და დამახასიათებელია სხვადასხვა ჯგუფების

და ასაკის ნავთობებისათვის. ვანადიუმი არის ნავთობის ნაცრის მუდმივი კომპონენტი. გვაქვს ვანადიუმის მაღალი და დაბალი რაოდენობის შემცველი ნავთობები, რაც შესაბამისად დამოკიდებულია მათში ასფალტენებისა და ვოგირდის დიდი რაოდენობით შემცველობაზე. მსუბუქ ნავთობებში ვანადიუმისა და ასევე ნიკელის შემცველობა ნაკლებია ვიდრე მძიმე ნავთობებში. საცხენისის საბადოს ნავთობისათვის დამასასიათებულია თანაფარდობა  $V < Ni$ .

ნავთობში ერთ-ერთ საკმაოდ კარგად შესწავლილ ელემენტს მიეკუთვნება ნიკელი, რომელიც არის როგორც მაღალგოგირდიან, ასევე მცირეგოგირდიან ნავთობებში. საცხენისის ნავთობში ნიკელის შემცველობა იცვლება 1,2-დან 0,16%-მდე, ე.ი. თანაფარდობა  $V/Ni$  იცვლება მცირედ და საშუალოდ უდრის 0,21-ს. რეინის შემცველობა კი მაღალია და მერყეობს 3,8-დან 6,5 %-მდე.

ტარიბანის და საცხენისის ნავთობების ნაფთენური ნახშირწყალბადები შესწავლილია ლ. მელიქაძის და ე. თოფურიას მიერ აირ-თხევადი და ქრომატო-მას-სპექტრული მეთოდების გამოყენებით. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ავტორებმა დაადგინეს, რომ შესწავლილი ნავთობების საშუალო ფრაქციებში ( $200-250^{\circ}C$ ,  $250-300^{\circ}C$ ) არის პოლიციკლური ნაფთენურის ჰომოლოგიური რიგის რამდენიმე ნარმომადგენელი. ავტორების მიერ აღნიშნულ ფრაქციებში იდენტიფიცირებული იყო 70-ზე მეტი ნაფთენური ბუნების ნახშირწყალბადი, მათ შორის 10 ნახშირწყალბადი პირველადაა აღმოჩენილი ნავთობებში, 54 – კი საქართველოს ნავთობებში.

მირზაანის ნავთობის მოპოვება დაწყებულია 1930 წლიდან და ერთ-ერთ უძველეს საბადოს ნარმოადგენს. იგი ნაფთენური ტიპის ნავთობს მიეკუთვნება.

მირზაანის შერეული ნავთობის (XI, XII და XVI ჰორიზონტები) შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ იგი ნარმოადგენს დაბალგოგირდიან ნავთობს, ზეთის დისტილატების მაღალი შემცველობით.

დადგენილი იქნა, რომ მირზაანის ნავთობის ბენზინის ფრაქციებში ჭაბურლილის სილრმის ზრდასთან ერთად შესაბამისად მცირდება ხუთწევრიანი ნაფთენური ნახშირწყალბადების შემცველობა და იზრდება ექვსწევრიანი ნაფთენური ნახშირწყალბადების შემცველობა. დადგენილია, რომ ამ ნავთობის ზეთის ფრაქციაში არმომატული ნახშირწყალბადების შემცველობა არ აღემატება 26%-ს რაც განაპირობებს მათგან მაღალი ხარისხის შემზეთი მასალების მიღებას.

დადგენილია, რომ მირზაანის ნავთობიდან მიღებული მაზუთის პირდაპირი დაუანგვით 0,3%  $MnO_2$  თანაბისას შესაძლებელია მაღალი ხარისხის საგზაო პიტუმის მიღება.

სამგორის, თელეთის და რუსთავის ნავთობები ნარმოადგენს ნაფთენურ-პარაფინული ტიპის ნავთობს, სამგორის ნავთობი შეიძლება გამოყენებული იყოს ბენზინის, რეაქტიული საწვავის, ნავთის და „Л“ მარკის დიზელის საწვავის, ასევე სხვადასხვა მარკის მაზუთების მისაღებად.

თელეთის ნავთობი ნარმოადგენს მცირეგოგირდიან (0,3%), საშუალო სიმკვრივის (0,873 გ/სმ<sup>3</sup>) ნაფთენური ბუნების ნავთობს, პარაფინების (0,55%), ასევე სხვადასხვა მარკის მაზუთების მისაღებად.

ფალტენების (1,8%) და ფისების (5,7%) შემცველობით, მსუბუქი ფრაქციების 54,9 % გამოსავლიანობით.

დასავლეთ უბნის ნავთობების სიმკვრივე საშუალოდ შეადგენს 0,878 კგ/სმ<sup>2</sup>-ს, რაც საკმაოდ მაღალია, მსუბუქი ფრაქციის გამოსავლიანობა საშუალოდ 25,6%-ია, რაც შეიძლება მიჩნეული იქნეს საშუალო მაჩვენებლად, გოგირდის შემცველობის მიხედვით (არაუმეტეს 0,3%-ისა) დასავლეთ უბნის ნავთობები მიეკუთვნებიან მცირეგოგირდიან ნავთობების ჯგუფს.

დასავლეთის და ცენტრალური უბნების ნავთობების ჯგუფური შედგენილობა ხასიათდება ალკანურ-ნაფთენური და არომატული ნახშირწყალბადების თითქმის ერთნაირი შემცველობით (შესაბამისად 82,14 და 79,89%), ასევე ფისების და ასფალტენების თითქმის ერთნაირი შემცველობით (საშუალოდ 16,5%). დიდი მსგავსებაა აგრეთვე ბენზინის ფრაქციების ჯგუფურ შედგენილობაშიც.

აღმოსავლეთ უბანში – ნავთობშემცველი ინტერვალები განლაგებულია შედარებით ღრმად (სიღრმე აღწევს 2000 მ-ს), შესაბამისად ნავთობების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები განსხვავებულია – სიმკვრივე შედარებით დაბალია (საშუალოდ შეადგენს 0,834 გ/სმ<sup>2</sup>); ასფალტენების და ფისების ჯამური მნიშვნელობა 12,42%-ია. პარაფინის შემცველობის მიხედვით ეს ნავთობები მიეკუთვნებიან მცირედ პარაფინულ და პარაფინულ ნავთობთა ჯგუფებს. ამასთან, პარაფინის შემცველობის მაქსიმალური მნიშვნელობა არ აღემატება 7,27%-ს. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ უბნის ნავთობებში მსუბუქი ფრაქციის გამოსავლიანობა მაღალია და შეადგენს საშუალოდ 32,8%-ს.

თელეთის საბადოს ცენტრალური და აღმოსავლეთ უბნებიდან მიღებული ნავთობების სტრუქტურულ-ჯგუფური ანალიზების შედეგების შედარებისას გამოჩნდა განსხვავება. ცენტრალური უბნიდან აღმოსავლეთით არომატული ნახშირწყალბადების მოლეკულური მასა მცირდება, ასევე მცირდება მოლეკულაში ციკლების საშუალო რიცხვი. აღმოსავლეთ უბანში ჰეტერონაერთების შემცველობა შედარებით მომატებულია.

ნორიოს ნავთობი საქართველოს ნავთობებს შორის ყველაზე ღრმად და დეტალურად არის შესწავლილი. აღნიშნული ნავთობი მიეკუთვნება ნაფთენურ-არომატული ტიპის ნავთობს, მცირე რაოდენობით შეიცავს გოგირდს (0,2%) და პარაფინს (0,4%), ხასიათდება ფისების (8,58%) და ასფალტენების (1,22%) მცირე შემცველობით.

ნორიოს 61-ე ჭაბურღილიდან მიღებული ნავთობი ხასიათდება მაღალი სიმკვრივით (0,898გ/სმ<sup>2</sup>). შესაბამისად დიდი სიბლანტით; მასში ალკანურ-ნაფთენური ნახშირწყალბადები ოდნავ მეტია არომატულ ნახშირწყალბადებზე. საკმაორაოდენობითაა ასფალტენების და ფისების ჯამი (18,28 %); პარაფინის შემცველობაც მცირეა – იგი მიეკუთვნება მცირედპარაფინულ ნავთობს.

აღსანიშნავია, რომ ნორიოს ნავთობები სიმკვრივის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: მსუბუქ (სიმკვრივე – 0,820 – 0,840 გ/სმ<sup>2</sup>) და შედარებით მძიმე (სიმკვრივე – 0,880 – 0,900 გ/სმ<sup>2</sup>) ნავთობებად. აღნიშნული სხვაობა აიხსნება განსხვავებული ფრაქციული შედგენილობით. ნორიოს ნავთობის მაღალმოლეკუ-

ლური არომატული ნახშირწყალბადები შეიცავენ კონდენსირებულ არომატულ ნახშირწყალბადებს, რომელთაც ლღობის მაღალი ტემპერატურა აქვთ და ზოგი-ერთი მათგანი გამოირჩევა ხილულ უბანში ფლუორესცირების უნარით. მათგან გამოყოფილია და სპექტრული მეთოდებით იდენტიფიცირებულია ქრიზენის, 3,4-ბენზფენანტრენის და ბენზქრიზენის ნაწარმები.

ნორიოს ნავთობის მაღალმდუღარე არომატული ფლუორესცენცირებადი კომპონენტების საფუძველზე შემუშავებულია ლუმინოფორების: „ნორიოლი“, „ნორიოლ-А“, „ნორიოლ-400“ მიღების ტექნოლოგიური პროცესი. აღნიშნულმა ლუმინოფორებმა ფართო გამოყენება მოიპოვეს მანქანათა ნაწილების, საავიაციო და ატომური ელექტროსადგურების მნიშვნელოვანი დეტალების ლუმინესცენტურ დეფექტოსკოპიაში.

გურიის ნავთობის შესახებ პირველი ცნობები რუსეთის პრესაში 1872 წელს გამოქვეყნდა. XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ქართველი მეცნიერების ა. სამსონიას და დ. ჩხაიძის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ჩატარებულ იქნა გურიის ნავთობების ანალიზი.

სუფსის ნავთობის საბადო შესწავლილია ასევე ა. გახოკიძის, ნ. ბექაურის, ლ. მელიქაძის, გ. ხიტირის მიერ. დიდი რაოდენობით შეიცავენ ფისოვან ნაერთებს – 37 % და ასფალტენებს – 2,5 %, მცირე რაოდენობით გოგირდს – 0,3 % და პარაფინულ ნახშირწყალბადებს. მსუბუქი ფრაქციების შემცველობა 50%-ის ფარგლებშია.

სუფსის ნავთობშიც, მირზაანის, ნორიოს და პატარა შირაქის ნავთობების ანალოგიურად, დადგენილია ხუთ და ექვსწევრიანი ციკლანების შემცველობა ბენზინ-ლიგროინის ფრაქციაში.

სრულად არის შესწავლილი საქართველოს საბადოების – მირზაანის, ტარიბანის, პატარა შირაქის, ნორიოს, საცხენისის, სამგორის, თელეთის, სამგორის სამსრეთი თაღის, სუფსის და ჭალადიდის ნავთობებში მიკროელემენტების რაოდენობრივი შემცველობა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შექმნილია საქართველოს ნავთობებში მიკროელემენტური შედგენილობის სტატიკურ მონაცემთა ბანკი, რომელიც გამოიყენება ახალი საბადოების გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ნარმოებისას.

სამრეწველო პირობებში სრულყოფილი გადამუშავების მიმართულების დადგენის მიზნით შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს სამრეწველო ნავთობებისა და მათი ნარევების ტექნოლოგიური და სასაქონლო მახასიათებლები, ფრაქციული შედგენილობა, სტრუქტურულ-ჯგუფური შედგენილობა.

ამრიგად, მონაცემებიდან გამომდინარე ჩანს, რომ საქართველოში არსებობს ერთმანეთისაგან ქიმიური ბუნებით განსხვავებული თითქმის ყველა ცნობილი ტიპის ნავთობის მცირედებიტიანი საბადოები. უკანასკნელ ნლებში უცხოელ ინვესტორთა დაინტერესებამ და ჩატარებულმა ბურღვითმა სამუშაოებმა დასახა საქართველოში ნავთობის მოპოვების, მისი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და შემდგომი გაფართოების რეალური პერსპექტივა.

## 6. გუნებრივი საწვავი აირი

უხსოვარი დროიდან ცნობილია მიწის წიაღიდან ამომავალი ცეცხლოვანი მასის შესახებ, რომელსაც „წმინდა“, „მუდმივ“, „ჩაუქრობელ“ ცეცხლს უწოდებ-დენენ. ასეთი „ცეცხლების“ წყაროები ცნობილი იყო ჩინეთში, იავის კუნძულებზე, სპარსეთში, ბუხარაში, აზერბაიჯანში, ბოლონიასა და ფლორენციაში. „ცეცხლოვან წყაროებს“ შორის ყველაზე ძლიერს ბაქოს ცეცხლი წარმოადგენდა. აღ-ნერილია ცეცხლოვანი შადრევანის არსებობა სომხეთსა და კოლხიდას ტერიტო-რიებს შორის. ცხადია, რომ „წმიდა“, „მუდმივი“ ცეცხლის წყაროს საწვავი აირი წარმოადგენდა.

არსებობს ბუნებრივი საწვავი აირის საბადოს სამი ტიპი: 1) წმინდა ბუნებრი-ვი აირის საბადო, 2) აირკონდენსატის საბადო და 3) ნავთობის საბადოსთან არ-სებული – ნავთობის თანმხლები აირები.

ბუნებრივი აირი შედგება ძირითადად მეთანის (77-99%), ეთანის (0,7-7%), პროპანის (0,2-2%), ბუტანის (0,1-0,8%), იზოპენტანის (0,05-0,3%), აზოტის (0,3-15-20%-მდე), მცირე რაოდენობით  $\text{CO}_2$ -სა და  $\text{H}_2\text{S}$ -გან. არის შემთხვევები, როდე-საც ბუნებრივ აირში  $\text{H}_2\text{S}$ -ის შემცველობა 15%-ია (საფრანგეთში ლაიკის საბა-დოში).

როდესაც ბუნებრივი აირი აზოტს დიდი რაოდენობით შეიცავს, მასში აღი-ნიშნება არგონისა და ჰელიუმის მნიშვნელოვანი შემცველობა. განსაკუთრებით ჰელიუმის, ისე რომ ბუნებრივი აირიდან ახდენენ ჰელიუმის გამოყოფას.

აირების დადგენილი მსოფლიო მარაგის 70% დსთ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე მოდის, მათგან 40% დსთ-ის ქვეყნებშია, 4%-ზე ოდნავ მეტი დასავ-ლეთ ევროპის ქვეყნებში, დანარჩენი კი აშშ-სა და კანადაშია.

სხვადასხვა საბადოს აირთა შედგენილობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგ.:

### ცხრილი 6.1

#### სხვადასხვა საბადოს აირთა შედგენილობა

აირის შედგენილობა %-ში	ა ი რ ი ს ს ა ბ ა დ რ ე ბ ი					
	ლაკი (საფრან- გეთი)	სლოხტე- რენი (ჰო- ლანდია)	ხასიარ- მელი (ალჟირი)	სერმაში (რუმინე- თი)	ლოს-ან- ჯელესი (აშშ)	დაშავა (რუსეთი)
მეთანი	69.4	81.9	83.5	99.2	70.5	98.0
ეთანი	2.8	2.7	7.0	–		0.7
პროპანი	1.5	0.38	2.0	–		–

ბუტანი	0.7	0.13	0.8	-	16	-
პენტანი	0.3	0.05	0.3	-		-
ჰექსანი და უფ-რო მაღალი რიგის ალკანები	0.3	0.03	0.1	-		-
გოგირდნყალბადი	15.2	-	-	-		-
ნახშირბადის (IV) ოქსიდი	9.5	0.8	0.2	-	6.5	0.1
აზოტი	0.3	14.0	6.1	0.8	-	1.2

ასევე შეიძლება იცვლებოდეს ერთი და იმავე ჭაბურლილის საბადოს აირთა შედგენილობა ექსპლუატაციის შედეგად.

აირკონდენსატის საბადო C<sub>1</sub>-C<sub>4</sub> შედგენილობის აირების გარდა ცვლადი რაოდენობით შეიცავს (2-5%) უფრო მაღალი რიგის ნახშირნყალბადებსაც. ასეთი საბადოების წარმოქმნა აიხსნება დედამიწის ღრმა ფენებში მაღალ წნევაზე (~75 მპა) ნავთობის კომპონენტების გახსნით შეკუმშულ აირებში. აირკონდენსატის წარმოქმნის ფენაში არსებულ პირობებში (75 მპა წნევა და ზეკრიტიკული ტემპერატურა) აირების (ეთანის, პროპანის) სიმკვრივე თხევად ნახშირნყალბადების სიმკვრივეზე უფრო მაღალია, რის გამოც თხევადი ნახშირნყალბადები იხსნებიან შეკუმშულ აირში.

ეს ნახშირნყალბადები ჭაბურლილიდან მიწის ზედაპირზე ამოსვლისას, წნევის შემცირების გამო თხევადდებიან და გამოიყოფიან კონდენსატის სახით მაგ.: ორენბურგის აირის 1მ<sup>3</sup> შეიცავს 80გ თხევად ნახშირნყალბადებს, ასტრახანის საბადოს 1მ<sup>3</sup> – 400გ კონდენსატს.

კონდენსატის მოცილების შემდეგ აირის შედგენილობა ახლოს არის ბუნებრივი აირის შედგენილობასთან, სხვადასხვა საბადოს კონდენსატის შედგენილობა განსხვავებულია. დადგენილია ზოგიერთი საერთო კანონზომიერება.

ნავთობის მსგავსად, ის შედგება 6. ალკანების, ციკლოალკანებისა და არენებისაგან, ამასთანავე მათში ნ-ალკანების შემცველობა მეტია იზოალკანების შემცველობაზე. განშტოებული აღნაგობის ალკანებიდან ძირითადად მონომეთილჩანაცვლებული ალკანებია: 2-მეთილპენტანი, 2-მეთილჰექსანი და 2-მეთილჰექტანი. აგრეთვე არის დიმეთილჩანაცვლებული: 2,3- და 2,4-დიმეთილალკანები.

კონდენსატში ციკლოალკანებიდან უპირატესად არის მეთილ-, ეთილციკლოპენტანები, დიმეთილ-ციკლოპენტანები და ციკლოჰექსანები.

კონდენსატის ბენზინის ფრაქციაში არენების შემცვლობა უფრო მეტია, ვიდრე ნავთობიდან გამოყოფილ ფრაქციაში.

შუა აზის აირკონდენსატის 50 სხვადასხვა საბადოს თხევადი ფრაქციის შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი შეიცავენ ძირითადად C<sub>6</sub>-C<sub>13</sub> შედგენილობის ნახშირნყალბადებს, მათ შორის ბენზოლსა და მის ჰომოლოგებს 20-30%-ის რაოდე-

ნობით. ზოგიერთ საბადოში ციკლოალკანებიდან ჭარბობს ციკლოპექსანის შემ-ცველობა, ზოგიერთ საბადოში კი – ციკლოპენტანის ჰომოლოგების.

დნეპრ-დონეცკის საბადოს კონდენსატში არენების შემცველობა 28-31%-ია, ამუდარიის ტერიტორიაზე არსებული საბადოს კონდენსატში – 60%-მდეა.

ბოლო წლებში საძიებო ჭაბურღლილების სიღრმის ზრდასთან ერთად იხსნება ახალ-ახალი აირკონდენსატის საბადოები; აირკონდენსატი ხდება დამოუკიდებელი მნიშვნელოვანი ნიალისეული.

ნავთობის თანმხლები აირები ჩანთოლილია ნავთობთან ერთად ნავთობის საბადოში, ნაწილობრივ გახსნილია მასში, ნაწილი კი ნავთობის ფენის ზევით იმყოფება და წარმოქმნის ე.წ. „აიროვან ქუდს“.

ნავთობის მოპოვებისას, ზედაპირზე ამოსვლისას, წნევის შემცირებასთან ერთად მასში გახსნილი აირი ნავთობს გამოყოფა. მისგან ახდენენ მსუბუქი ბენზინის – „აირის ბენზინის“ გამოყოფას.

ბუნებრივი აირისაგან განსხვავებით, რომელსაც მშრალ აირს უწოდებენ, ნავთობის თანმხლებ აირს ცხიმოვან აირს უწოდებენ.

ნავთობის სხვადასხვა საბადოდან მოპოვებული თანმხლები აირების შედგენილობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია:

## ცხრილი 6.2

### ნავთობის სხვადასხვა საბადოდან მოპოვებული თანმხლები აირების შედგენილობა

საბადო %-ული შემცველობა	CH <sub>4</sub>	C <sub>2</sub> H <sub>6</sub>	C <sub>3</sub> H <sub>8</sub>	C <sub>4</sub> H <sub>10</sub>	C <sub>5</sub> H <sub>12</sub>	CO <sub>2</sub>	N <sub>2</sub> და ინერ- ტული აირები
ანასტასიისკ- ტროიცკის	85,1	5	1	1	2,8	5	0,1
ტუიმაზინსკის	41	19,5	18,3	6,4	2,8	-	12
შპაკოვსკის	41,2	15	15,8	6,9	4	0,1	17
მუხანოვსკის	31,4	19	22	9,5	5	4	9
გროზნოს	30,8	7,5	21,5	20,4	13,8	-	-
აპშერონის ნახევარკუნძული	90-94	0,1-3	0,1-0,8	1,6	0,3-2	1-8	-

ადრე ნავთობის თანმხლებ აირებს იქვე სარენებში წვავდნენ. ამჟამად აირს გამოყოფენ სეპარატორებში და ახდენენ მის ფრაქციონირებას, იყენებენ როგორც საწვავად, ასევე ძვირფას ნედლეულად ქიმიური მრეწველობისათვის.

## 6.1. მეთანი გუნებაში

ბუნებრივი აირის და ნავთობის თანმხლები აირების ძირითადი კომპონენტი – მეთანი ბუნებაში ფართოდ არის გავრცელებული.

მისი დიდი ნაწილი გაფანტულია დანალექ და ვულკანურ ქანებში, ტბების, ზღვების და ოკეანეების ხავსებში. მცირე რაოდენობით არის მდინარეების, ტბებისა და ოკეანეების წყლებში, ნიადაგისა და ატმოსფეროს ჰაერში. ის აღმოჩენილია მზის სისტემის პლანეტებსა და შორეულ კოსმოსში.

მეთანი მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოიქმნება ჭაობებში ორგანულ ნივთიერებათა მიკრობიოქიმიური გარდაქმნების შედეგად, ასევე ქვანახშირის მაღაროებში „ნახშირ-მეთანური ხსნარების“ ნახშიროვანი ფენების რღვევის შედეგად, რაც ვულკანურ ამოფრქვევასთან ერთად ატმოსფეროში მეთანის გადასვლის წყაროა.

თავისუფალი მეთანი ბუნებაში იმყოფება სამ ფაზურ მდგომარეობაში;

1. ბუნებრივი აირისა და ნავთობის თანმხლები აირების შემადგენლობაში.
2. წყალში გახსნილი მეთანი-აირპიდრატი.
3. ქვანახშირში გახსნილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბუნებრივ აირში მეთანის შემცველობა 77-99%-ია, ხოლო ნავთობის თანმხლებ აირებში საშუალოდ 31-80%-ის ფარგლებშია.

აირპიდრატები მყარი კრისტალური ნივთიერებებია, რომლებიც გარეგნული ნიშნებით დაპრესილ თოვლს ჰგავს. კრისტალური მესერი წარმოქმნილია წყლის მოლეკულებისაგან, რომელშიც კრისტალური სტრუქტურის სიცარიელეში შეჭრილია აირის მოლეკულები, აირპიდრატები კლატრატული კომპლექსებია, რომელშიც „მასპინძელია“ წყალი, ხოლო „სტუმარი“ აირები.

მეთანის შემთხვევაში „მყარი“ აირის კრისტალური მესერი შედგება წყლის 6 მოლეკულისაგან, რომლებიც კარკასის შიგნით „კეტავენ“ მეთანის ერთ მოლეკულას. ალსანიშნავია, რომ მეთანი კარკასის შიგნით ძალიან შეეუმშულ მდგომარეობაში იმყოფება, ჰიდრატის  $1\text{m}^3$  შეიცავს დაახლოებით  $200-300\text{m}^3$  მეთანს. ასეთი „ყინული“ კარგად იწვის.

აირპიდრატების სიმკვრივე  $900-1100\text{g/m}^3$ , თბოტევადობა  $50-103 \text{ J/g}$  /- მოლ-გრად., წარმოქმნის სითბო ~  $420 \text{ g/g}$ .

ჰიდრატებს შეიცავს აირებისა და აირკონდენსატების ყველა ცნობილი საბადო. აირპიდრატებისა და მათი საბადოების წარმოქმნისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება დაბალტემპერატურულ ზონებში, როგორიცაა ხმელეთის ჩრდილოეთი რაიონები და ოკეანის ფსკერი.  $7.48$  ატმ. წნევაზე ჰიდრატის წარმოქმნა ხდება  $1.1^\circ\text{C}$ , ხოლო  $54.4$  ატმ.  $-15.5^\circ\text{C}$ -ზე. ჰიდრატები აჯერებენ ზღვის დაანალექ ფენებს და ახდენენ ფსკერის დაცემენტებას ფსკერის ზედაპირიდან რამდენიმე ათეული სმ-ის სიღრმეზე.

ხმელეთის ჰერსპექტიულ ტერიტორიას აირპიდრატების ბუდობებისათვის წარმოადგენს რუსეთის მთელი ჩრდილოეთის – 50%, კანადის 63%, ალიასკის – 75%, გრენლანდია და ანტარქტიდა.

აირპიდრატების ურიცხვი მარაგი ინახება მსოფლიო ოკეანის ფსკერის ნა-ლექებში 2-3°C და უფრო ღრმად, ოკეანის ნებისმიერ რაიონში, წყლის საშუალო ტემპერატურა  $2^{\circ}\text{C}$  არ აღემატება, ხოლო პოლარულ ზონებთან წყლის ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ სილრმებში ახლოა  $0^{\circ}\text{C}$ -თან.

მიაჩნიათ, რომ როგორც ოკეანის ფსკერზე, ასევე ხმელეთზეც, აირპიდრატების საბადოების ქვეშ უნდა იმყოფებოდეს აირისა და ნავთობის საბადოები.

უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები აირპიდრატთა საბადოების გამოსავლენად. აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, ინდოეთსა და იაპონიაში წარმოებული ღრმა ბურღვითი სამუშაოების შედეგად დადგენილია ზღვების ფსკერზე აირპიდრატების უნიკალური საბადოების არსებობა. რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აირპიდრატის 30 საბადო, კანადაში 10, აირპიდრატების საბადოები აღმოჩენილია ალიასკაზე.

აირპიდრატებიდან აირების გამოყოფა შესაძლებელია ფენაზე ელექტრული, აკუსტიკური, თერმოქიმიური ზემოქმედებით, ჰიდრატების დამშლელი კატალიზატორებით, აგრეთვე მათი გაცხელებით წონასწორულ მდგამარეობაზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე.

ბუნებრივი აირი გროვდება ძირითადად ქვიშისა და კირქვის ქანების სიცარიელებში, ღრმულებში. თიხის ფენებში აირის დაგროვება არ ხდება, ასეთი ქანების მაღალი სიმკვრივისა და მასში არსებული მცირე რაოდენობით სიცარიელების გამო. ქანები, რომლებშიც გროვდება აირები, წარმოადგენს აირის კოლექტორებს. ისინი წარმოქმნიან ბუნებრივ რეზერვუარებს, რომლებიც შემოსაზღვრულია გაუმტარი ქანებით. აირის საბადოები არის როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვის აკვატორიაში. აირის შეფასებული მარაგი ~211 ტრილიონ  $\text{m}^3$  შეადგენს.

აირის მსხვილი საბადოებია შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში: ერაყში, საუდის არაბეთში, სპარსეთის ყურის აკვატორიაში, სადაც გამოვლენილია  $31 \times 10^9 \text{m}^3$  აირი, ამერიკაში ( $\text{ნიუ-მექსიკაში}, \text{ნიუ-ტექსელში}, \text{მონტანაში}, \text{კოლორადოში}$ )  $7.78 \times 10^9 \text{m}^3$ ; ჩრდილო აფრიკაში ( $\text{ალჟირში}, \text{ლიბანში}, \text{ნიგერიაში}$ )  $6.1 \times 10^9 \text{m}^3$ ; ვენესუელაში –  $3.5 \times 10^9 \text{m}^3$ , ევროპული ნაწილის ჩრდილოეთი ზღვის აირნავთობის პროვინციაში –  $5.3 \times 10^9 \text{m}^3$ . აირის მნიშვნელოვანი საბადოებია ნიდერლანდებში, საფრანგეთში, რუმინეთში, ინგლისის ჩრდილოეთ ზღვისპირეთში.

აირის უნიკალური საბადოებია რუსეთში: დასავლეთ ციმბირში, იაკუტიაში, ვოლგისპირეთში, კასპიისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში. აირადი რესურსების მიხედვით ( $30 \times 10^9 \text{m}^3$ ) რუსეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. აირის მდიდარი საბადოებია უკრაინაში – დონეცკში, თურქმენეთის სამხრეთ და ჩრდილოეთის მხარეში, უზბეკეთის დასავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანში.

საქართველოში აღმოჩენილია ბუნებრივი აირის ორი საბადო. რუსთავის (შუალეოცენურ ვულკანოგენურ-დანალექ წყებაში) და სამგორის (ქვედაეოცენურ

ქვიშაქვებში); მოძიებული მარაგიდან მოპოვებულია  $0,374 \times 10^9 \text{მ}^3$  ბუნებრივი აირი, დარჩენილია  $8 \times 10^9 \text{მ}^3$ .

აირკონდენსატის მსხვილი საბადოებია აზერბაიჯანში, შუა აზიაში, რუსეთში – სარატოვის, ტიუმენის, ორენბურგის ოლქებში, კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასტრახანში.

საქართველოში აირკონდენსატის საბადო არის ქ. რუსთავის ჩრდილოეთ ნაწილში; ჩაწოლილია ზღვის დონიდან 2700-3000მ სოლრმეზე. გაბურლულია 5 ჭაბურლილი. თითეულიდან დღე-დამეში მოპოვებული იყო  $120 \times 10^3 \text{მ}^3$  აირი და  $10-12 \text{მ}^3$  კონდენსატი.

## 6.2. ქვანახშირები გახსილი აირები (მეთანი)

ქვანახშირები გახსილი აირები შედგებიან მეთანის, მისი ჰომოლოგების,  $\text{CO}_2$ -ის,  $\text{N}_2$ -ის,  $\text{H}_2\text{S}$ -ისა და წყალბადისაგან. ისინი წარმოიქმნებიან მცენარეული მასალის ტორფად და ქვანახშირად გარდაქმნის პროცესში. მათში მეთანის შემცველობა  $60-98\%-ის$  ფარგლებშია.

ქვანახშირის საბადოებში მეთანის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცველობა განპირობებულია მეთანის ადსორბციით ქვანახშირის ფენებში არსებული ბზარებისა და ნაპრალების გზით. მეთანი ჰაერთან ფეთქებადსაშიშ ნარევს წარმოქმნის, რის გამოც ქვანახშირის მოპოვებისას შახტებში ადგილი აქვს აფეთქებას. ძლიერი აფეთქება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მეთანის შემცველობა ჰაერში  $9.5\%-ია$ ,  $5\%-ზე$  ნაკლები და  $14-16\%-ზე$  მეტი მეთანის მინარევი ჰაერთან არააფეთქებადია. აფეთქებების საშიშროების გამო აუცილებელია შახტებში ძლიერი ვენტილაცია და ქვანახშირის ფენების დეგაზაცია.

ქვანახშირის ფენებიდან აირის ზომიერ მოპოვებას შეუძლია შეიტანოს გარკვეული წილი მსოფლიოს აირით უზრუნველყოფის საქმეში.

ჩვეულებრივ 1ტ ქვანახშირიდან მიიღება  $6-8 \text{მ}^3$  აირი. მაგ.: აღმოსავლეთ-ევროპის ქვანახშირის საბადოებიდან მოპოვებულია ( $\text{გენერირებულია}$ )  $6,72 \cdot 10^{15} \text{მ}^3$  მეთანი, ვორკუტის ქვანახშირის საბადოს 1 ტ. ნახშირი შეიცავს  $8,91 \cdot 10^{11} \text{მ}^3$  მეთანს.

## 6.3. მეთანი ტბების, ზღვებისა და რკინიების ხავსი

მეთანის მოპოვების ერთ-ერთ ბუნებრივ ნედლეულს წარმოადგენს ტბების, ზღვების და ოკეანეების ხავსები. აღნიშნულ ხავსებში კონცენტრირებულია ბიოსფეროს ორგანული ნაერთები, მაგრამ ბუნებრივი პროცესების გზით ნახშირწყალბადების წარმოქმნა მიმდინარეობს ძალიან ნელა.

ხავსიდან გამოყოფილი აირები შეიცავდნენ  $51\%-მდე$  მეთანს,  $0.08\%-მდე$   $\text{C}_2\text{H}_6$ ,  $0.2\% - \text{C}_3\text{H}_8$ ,  $0.06\% - \text{C}_4\text{H}_{10}$ ,  $22\% - \text{CO}_2$ ,  $44-85\% - \text{N}_2$ ,  $0.01\% - \text{H}_2$  და  $1\% - \text{Ar}$ .

საწარმოო პირობებში სხვადასხვა ფაქტორების გავლენით მეთანის მიღება ხავსების ბიომასიდან დიდ ყურადღებას იმსახურებს.

დიდია ბუნებრივი აირისა და ნავთობის თანმხლები აირების როლი ქვეყნის ეკონომიკის საქმეში. ისინი წარმოადგენენ, როგორც მნიშვნელოვან ენერგორესურსს, ასევე ძვირფას ნედლეულს ქიმიური მრეწველობისათვის.

აირს, როგორც საწვავს, გააჩნია რიგი უპირატესობა სხვა საწვავებთან შედარებით. აირი ადვილად აალდება, მისი წვისას არ წარმოიქმნება ნაცარი, ნორმალური წვის რეჟიმისას არ ხდება ჭვარტლის, ბოლის და სხვა არასრული წვის პროდუქტების წარმოქმნა. ასევე აღსანიშნავია, რომ ადვილია აირის ტრანსპორტირება აირსადენების საშუალებით. აირი მიედინება მომხმარებლამდე როგორც ახლო, ისე რამდენიმე ათასი კმ-ის მანძილზე.

ბუნებრივი აირი, როგორც საწვავი, ფართოდ გამოიყენება თბოელექტროსადგურებში, ქარხნების საქვაბე დანადგარებში, სამრეწველო ღუმელებში (ბრძმედისა და მარტენის), მინასახარშ ღუმელებში, ყოფა-ცხოვრებაში, ავტოტრანსპორტში (შეკუმშული სახით).

ბუნებრივი აირისა და ნავთობის თანმხლები აირების გარდა მრეწველობაში გამოიყენება ნავთობპროდუქტებისა და ნარჩენების კრეკინგის, პიროლიზისა და დაკოქსვის შედეგად მიღებული აირები.

ბუნებრივი აირიდან ძირითადად გამოიყოფა  $\text{CH}_4$ , რომელიც გამოიყენება აცეტილენის, ეთილენის, პროპილენის, აცეტალდეპიდის, ძმარმჟავას წარმოებაში.

ნავთობის თანმხლები აირებიდან გამოყოფენ ინდივიდუალურ ნივთიერებებს და მათ იყენებენ შემდეგი დანიშნულებით:

1. ეთანის ფრაქცია გამოიყენება მაცივარ-აგენტად, როგორც ნედლეული პიროლიზისათვის, ზეთების დეპარატინზაციისათვის და სხვა.
2. პროპანის ფრაქცია – ნედლეული პიროლიზისათვის, მაცივარ-აგენტად, კომპონენტად თხევადი აირის მისაღებად.
3. ბუტანის ფრაქცია – ნედლეულად სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში, ნედლეულად პიროლიზისათვის, საყოფაცხოვრებო თხევადი აირის კომპონენტი (პროპან-ბუტანის ფრაქცია).
4. იზობუტანის ფრაქცია – ნედლეული სინთეზური კაუჩუკის წარმოებისათვის, მაღალკილირებელი აგენტი.
5. იზოპენტანის ფრაქცია – ნედლეული იზოპრენული კაუჩუკის მისაღებად, მაღალკეტანური ბენზინის კომპონენტი.
6. პენტანის ფრაქცია – იზომერიზაციისა და პიროლიზის ნედლეული.

პიროლიზის, კრეკინგისა და დაკოქსვის შედეგად მიღებული აირებისაგან გამოყოფენ შემდეგ ფრაქციებს:

1. ეთილენი-ეთანის – ეთილის სპირტის, პოლიეთილენის წარმოებასა და სხვა სინთეზში.
2. პროპან-პროპენის – პოლიპროპილენის წარმოებაში, პოლიმერბენზინების, ფენოლის და აცეტონის მისაღებად.
3. ბუტან-ბუტილენის – ალკილირებისათვის, პოლიმერიზაციისათვის, მეთილეთილკეტონის, მეთილ-მესამეულბუტილეთერის მისაღებად.

ნედლი აირის წინასწარი გადამუშავება ხდება იმის მიხედვით, თუ რა შედგენილობისაა ის და რა მიზნით გამოიყენება.

საბადოდან მოპოვებული აირი შეიცავს ნყლის ორთქლს, ნახშირბადის დიოქსიდს, გოგირდნყალბადს, აზოტს. გოგირდნყალბადს დიდი რაოდენობით შეიცავენ აირები, რომლებიც მიღებულია გოგირდოვანი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების კრეკინგის შედეგად. მაგალითად, არლანის ნავთობის ვაკუუმური გაზოილის კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებულ აირში  $H_2S$ -ის შემცველობა 13-15%-ია, ხოლო იმავე ნავთობის გუდრონის კრეკინგით მიღებული აირში – 20%.

$H_2S$ -ისა და  $CO_2$ -ის არსებობა აირში იწვევს აირგადამამუშავებელ დანადგარებსა და მილსადენების ინტენსიურ კოროზიას, განსაკუთრებით ნყლის გარემოში.

აირების ბაზაზე სინთეზების განხორციელებისას  $H_2S$  ახდენს კატალიზატორის მონამვლას, რითაც აბრკოლებს პროცესის ჩატარებას.

$H_2S$ -ის შემცველობა დაუშვებელია საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებულ საწვავებში.

ნყლის არსებობა აირებში არასასურველია, რადგან გარდა იმისა, რომ ნყალი ხელს უწყობს  $H_2S$ -ისა და  $CO_2$ -ის კოროზიულ მოქმედებას, ის იწვევს მყარი აირჰიდრატების წარმოქმნას, რომლებიც ილექტებიან მილსადენის კედლებზე და აბრკოლებენ აირის გავლას. ამიტომ აუცილებელია აირების გამოშრობა და  $H_2S$ -ისა და  $CO_2$ -ისაგან განმენდა.

აირების გამოშრობა წარმოებს როგორც თხევადი რეაგენტების ეთილენგლიკოლის, დი- და ტრიეთილენგლიკოლებით, ისე მყარი ადსორბენტების – ალუმინის ოქსიდის, მოლეკულური საცრების, კერძოდ  $CaA$  ცეოლითის გამოყენებით.

აირებიდან გოგირდნყალბადის მოცილება მისი დაბალი შემცველობის დროს ძირითადად ხდება ე.წ. მშრალი მეთოდით. ამ მიზნით გამოიყენება: თუთი-ისა და რკინის ოქსიდები, გააქტიურებული ნახშირი, ცეოლითები.

დიდი რაოდენობით  $H_2S$ -ის შემცველობისას გამოიყენება სველი მეთოდები, კერძოდ::

1. ტუტის ხსნარი




2. პოტაშის ცხელი ხსნარი




3. კალიუმის ფოსფატის ხსნარი



4. ნატრიუმის პენტაოქსოდითიოდეარსენატის ხსნარი



აირგადამამუშავებელ ქარხნებში ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება მონო-და დიეთანოლამინები. ალსანიშნავია, რომ  $25-30^{\circ}\text{C}$ -ზე ადგილი აქვს ამინოსპირ-ტების  $\text{H}_2\text{S}$ -თან ურთიერთქმედებას, ხოლო მიღებული პროდუქტის გაცხელებით  $100^{\circ}\text{C}$ -ზე და ზევით, მიმდინარეობს შებრუნებული რეაქცია –  $\text{H}_2\text{S}$ -ის გამოყოფა და ამინოსპირტების რეგენერაცია:



ამ პროცესების დროს გამოყოფილ  $\text{H}_2\text{S}$  იყენებენ გოგირდმჟავას წარმო-ებაში.

ალსანიშნავია, რომ მონოეთანოლამინი ხასიათდება უფრო მაღალი რეაქცი-ისუნარიანობით, უფრო იაფია და ადვილად რეგენირდება, მაგრამ ის ადვილად შედის რეაქციაში  $\text{CS}_2$ ,  $\text{COS}$ ,  $\text{O}_2$ -თან და კარგავს აქტიურობას.

## 7. ნავთობისა და ნავთობაროლურების თვისებები

ნავთობის გადამუშავების შედეგად მიიღება 600 სახის სხვადასხვა ნავთობ-პროდუქტი. შედგენილობის, თვისებების და გამოყენების სფეროს მიხედვით ნავთობპროდუქტებს ყოფენ შემდეგ ჯგუფებად: 1. თხევადი საწვავები, 2. ზეთები, 3. პლასტიკური საპოხი ნივთიერებები, 4. პარაფინები და ცერეზინები, 5. ბიტუმები, 6. ტექნიკური ნახშირი (მური), 7. ნავთობის კოქსი, 8. საწვავებისა და საპოხი მასალების დანამატები, 9. არომატული ნახშირწყალბადები და სხვადასხვა დანიშნულების ნავთობპროდუქტები.

ნავთობპროდუქტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხევადი საწვავები.

თხევადი საწვავები თავის მხრივ იყოფა:

საწვავები – 1. კარბურატორიანი ძრავებისათვის (საავიაციო და საავტომობილო), 2. რეაქტიული ძრავებისათვის, 3. დიზელებისათვის 4. საღუმელე 5. საქვაბე 6. აირტუბინის 7. კომუნალური-საყოფაცხოვრებო დანიშნულების გათხევადებული აირები.

ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს მაღალხარისხიანი ნავთობპროდუქტების წარმოება.

ხარისხის შესაფასებლად შემუშავებულია მათი სხვადასხვა ფიზიკური, ქიმიური და საექსპლუატაციო თვისებების განსაზღვრა, კერძოდ: სიმკვრივის, სიბლანტის, ფრაქციული შედგენილობის, ფეთქებისა და აალების ტემპერატურის განსაზღვრა; საწვავების მუავიანობის, კოროზიულად აგრესიული ნივთიერებების, ფაქტიური ფისების, გოგირდის შემცველობის, წყლის, მექანიკური მინარევებისა და საწვავის სტაბილობის განსაზღვრა. გარდა ამ საერთო მახასიათებლებისა, თითეული ნავთობპროდუქტისათვის დადგენილია ასევე სპეციფიკური მახასიათებლების განსაზღვრა. მაგ.: ბენზინებისათვის – დეტონაციური მდგრადობის (ოქტანური რიცხვის), დიზელის საწვავებისათვის – აალების უნარის (ცეტანური რიცხვის) და სხვა.

### 7.1. სიმავრივე

სიმკვრივე წარმოადგენს ერთეული მოცულობის ნივთიერებების მასას. საერთაშორისო სისტემაში მისი განზომილებაა გ/სმ<sup>3</sup>.

აშშ-ში ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სიმკვრივის მნიშვნელობის გამოსახვისათვის შემუშავებულია ნავთობის ამერიკის ინსტიტუტის ერთეული <sup>0</sup>API, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულიდან:

$$^{\circ}\text{API} = \frac{141.5}{\text{ფარდობითი სიმკვრივე}} - 131.5$$

### ცხრილი 7.1

#### ზოგიერთი ნავთობისა და ნავთობპროდუქტის ფარდობითი სიმკვრივეები და სიმკვრივეები ${}^{\circ}\text{API}$ -ის ერთეულებში

ნავთობი(ნავთობპროდუქტი)	ფარდობითი სიმკვრივე	სიმკვრივე ${}^{\circ}\text{API}$
მძიმე ნავთობი	0.95	17.45
მსუბუქი ნავთობი	0.84	36.95
ბენზინი	0.74	59.72
ნავთობის ბიტუმი	0.99	11.43

ინდივიდუალური ნივთიერებების შემთხვევაში სიმკვრივე ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია და ცნობილ ნივთიერებათა შემთხვევაში მათი იდენტიფიკაციისა და სისუფთავის დასადგენად გამოიყენება.

გარდა მისა, რომ სიმკვრივე ნავთობის ფრაქციების ერთ-ერთი მახასიათებელი სიდიდეა, ის იძლევა გარკვეულ ინფორმაციას ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ქიმიური შედგენილობის – ნახშირწყალბადოვანი სტრუქტურულ-ჯგუფური შედგენილობის დასადგენად.

ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადოვანი შედგენილობის დადგენისას სიმკვრივის გამოყენება დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ნახშირბადატომების ტოლი რიცხვის შემცველი სხვადასხვა რიგის ნახშირწყალბადებიდან, ალკანებს გააჩნიათ ყველაზე დაბალი სიმკვრივე, ხოლო არენებს – ყველაზე მაღალი.

### ცხრილი 7.2.

#### ნახშირბადატომების ტოლი რიცხვის შემცველი სხვადასხვა რიგის ნახშირწყალბადების ფარდობითი სიმკვრივეები

ნახშირწყალბადები	ს ი მ კ ვ რ ი ვ ე , გ/სმ <sup>3</sup>		
	მოლეკულაში ნახ- შირბადატომთა რიცხვი 6	მოლეკულაში ნახ- შირბადატომთა რიცხვი 8	მოლეკულაში ნახ- შირბადატომთა რიცხვი 10
ალკანები	0.659	0.703	0.730
ალკენები	0.675-0.681	0.715-0.719	0.744
ციკლოპექსანი და მისი ჰომოლოგები	0.778	0.748	0.800
ბენზოლი და მისი ჰომოლოგები	0.879	0.864	0.866

60°C-მდე ფრაქციაში, რომელიც არენებს არ შეიცავს, ციკლოალკანების შემცველობას ადგენენ სიმკვრივის მიხედვით. მაგ.:

### ცხრილი 7.3

#### ციკლოალკანების შემცველობა სიმკვრივის მიხედვით

სიმ- კვრივე $\rho_{15}$	ციკლო- ალკანე- ბის მასუ- რი წილი %	სიმკვ- რივე $\rho_{15}$	ციკლო- ალკანე- ბის მასური წილი %	სიმკვ- რივე $\rho_{15}$	ციკლო- ალკანე- ბის მასური წილი %	სიმკ- ვრივე $\rho_{15}$	ციკლო ალკანე- ბის მასური წილი %
0.650	0	0.680	32	0.710	61	0.740	88
0.660	11	0.690	42	0.720	70	0.750	97
0.670	22	0.700	52	0.730	79	0.754	100

ნავთობის სიმკვრივე ასევე დამოკიდებულია მასში გახსნილი აირების, ფი-სოვან ნივთიერებათა, მარილებისა და სხვა ნივთიერებათა რაოდენობაზე.

ნავთობის სიმკვრივე დროში იცვლება, რაც რიგი ფაქტორებით არის გამოწვეული:

- 1) მსუბუქი ფრაქციების აორთქლება (გამოფიტვა);
- 2) თანამდე უანგვითი პროცესების წარმართვა, რის შედეგადაც ფისოვანი ნივთიერებები წარმოიქმნება.

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ერთი საბადოს სხვადასხვა ფენის სიმკვრივე განსხვავებულია. როგორც წესი, სილრმის ზრდასთან ერთად სიმკვრივე მცირდება, რაც გაპირობებულია იმით, რომ ზედა ფორმოვან ფენებში მდებარე ნავთობი (როგორც ზემოთ იყო განხილული) დროთა ვითარებაში ნაწილობრივ ორთქლდება და იქანგება, ხოლო დაბლა პორიზონტებში მდებარე ნავთობის შედგენილობა შენარჩუნებულია, განსაკუთრებით თუ ზემოდან დაცულია თიხოვანი ფენებით.

არის სანინააღმდეგო შემთხვევებიც: ზოგიერთი საბადოს ნავთობის სიმკვრივე მატულობს ფენის განლაგების სილრმის მიმართულებით. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ თავდაპირველი ჩანოლის პორიზონტიდან შედარებით მაღალ ფენებში მიგრაციის პროცესში, ფორმოვან ქანებში გავლისას, ნავთობი იფილტრება და თავისუფლდება უფრო მძიმე ფისოვანი ნაწილისაგან, რის შედეგადაც ზედა ფენებში არსებული ნავთობი უფრო მსუბუქია.

ნედლი ნავთობის სიმკვრივე  $0.73\text{-}1.0\text{g}/\text{cm}^3$ , უფრო ხშირად –  $0.61\text{-}0.985\text{g}/\text{cm}^3$ -ის ფარგლებშია.

ჩვეულებრივ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სიმკვრივეს საზღვრავენ არეომეტრული და პიკნომეტრული მეთოდებით. ლაბორატორიებში უპირატესად საზღვრავენ ფარდობით სიმკვრივეს  $20^\circ\text{C}$ -ზე. საკვლევი სითხის გარკვეული მოცულობის მასას, გაზომილს  $20^\circ\text{C}$ -ზე აფარდებენ  $4^\circ\text{C}$ -ზე გაზომილ იმავე მოცულობის წყლის მასასთან, აღინიშნება  $\rho_4^{20}$ .

სიმკვრივის განსაზღვრა შეიძლება ნებისმიერ ტემპერატურაზე და  $\rho_4^{20}$ -ის მნიშვნელობა გაიანგარიშება ფორმულით:

$$\rho_4^{20} = \rho_4^t + 5\gamma(t-20)$$

სადაც  $\rho_4^t$  არის სიმკვრივე განსაზღვრული ცდის ტემპერატურაზე,  $t$  სითხის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი,  $t$  ტემპერატურა, რომელზედაც განისაზღვრა სიმკვრივე.

ამ ფორმულით სარგებლობა შესაძლებელია  $0-50^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში და იმ შემთხვევაში, როდესაც ნავთობი და ნავთობპროდუქტები მყარ პარაფინებსა და არომატულ ნახშირწყალბადებს არ შეიცავს.

γ მნიშვნელობის გამოთვლა შეიძლება შემდეგი ფორმულიდან

$$\gamma = 0.001828 - 0.00132\rho_4^{20}$$

აშშ-სა და ინგლისში ფარდობითი სიმკვრივის განსაზღვრისათვის საკვლევი ნივთიერებისა და წყლის მასებს საზღვრავენ ერთსა და იმავე ტემპერატურაზე, კერძოდ  $15.56^{\circ}\text{C}$ -ზე.  $\rho_4^{20}$ -ის გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულიდან:

$$\rho_4^{20} = \rho_{15.56}^{15.56} - 5\gamma$$

ალსანიშნავია, რომ სიმკვრივე წარმოადგენს საწვავებისა და ზეთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქიმოტოლოგიურ მანორმირებელ მაჩვენებელს.

მოცემული საწვავისათვის  $20^{\circ}\text{C}$ -ზე სიმკვრივის მნიშვნელობების დასაშვები სიდიდეებია:

საავტომობილო ბენზინებისათვის –  $0.750\text{g}/\text{სმ}^3$ ;

რეაქტიული ძრავებისათვის –  $0.755-0.840\text{g}/\text{სმ}^3$ ;

სწრაფმავალი დიზელებისათვის –  $0.830-0.860\text{g}/\text{სმ}^3$ ;

საშუალო და მცირე ბრუნვის მქონე ძრავებისათვის –  $0.93-0.97\text{g}/\text{სმ}^3$ ;

აირ-ტურბინული დანადგარებისათვის –  $0.935\text{g}/\text{სმ}^3$ ;

საქვაბე დანადგარებისათვის –  $0.955-1.015\text{g}/\text{სმ}^3$ ;

## 7.2. მოლეკულური მასა

ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მოლეკულური მასა. ნავთობის ვიწრო ფრაქციებისათვის მოლეკულური მასა მასში შემავალ ნივთიერებათა მოლეკულური მასების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს წარმოადგენს. სხვადასხვა ნავთობის ერთნაირ ტემპერატურულ ინტერვალში ( $50^{\circ}\text{C}$ ) გამოხდილი ფრაქციების მოლეკულური მასები დაახლოებით ერთნაირია.

მოლეკულური მასის ცოდნა აუცილებელია ნავთობპროდუქტების სტრუქტურულ-ჯგუფური შედგენილობის დასადგენად, მოლეკულური რეფრაქციის განსაზღვრისათვის და სხვა.

ექსპერიმენტულად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოლეკულური მასის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრიოსკოპული ან ებულიოსკოპული მეთოდები.

არსებობს მოლეკულური მასის გამოსათვლელი ემპირიული ფორმულები, რომელთა შორის ყველაზე მეტად გამოიყენება ვოინოვის მიერ მოწოდებული ფორმულა:

$$M = a + bt_{sa} + ct^2_{sa}$$

სადაც  $t_{sa}$  – ნავთობპროდუქტის საშუალო დუღილის ტემპერატურაა, a,b,c მუდმივებია, რომლებიც ცალკეული თუ სხვადასხვა რიგის ნახშირწყალბადებისათვის განსხვავებულია. მაგ.: პარაფინული ფრაქციებისათვის

$$M_{sa} = 60 + 0.3t_{sa} + 0.001t^2_{sa}$$

ნავთობის ფრაქციის ქიმიური შედგენილობის გათვალისწინებით

$$M = (7K - 21.5) + (0.76 - 0.04K)t_{sa} + (0.0003K - 0.00245)t^2_{sa}$$

სადაც K მახასიათებელი ფაქტორია, რომელიც გამოითვლება ფრაქციის საშუალო დუღილის ტემპერატურითა და სიმკვრივით :

$$K = \frac{1.216 \sqrt[3]{t_{sa} + 273}}{\rho_{15.56}^{15.56}}$$

K-ს მნიშვნელობა 10.0-12.5-ის ფარგლებში მერყეობს.

### 7.3. სიბლანტე

ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისათვის სიბლანტე მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს. მისი ცოდნა აუცილებელია ნავთობის ამოღების სქემის შემუშავებაში, ტრანსპორტირებისას, ტექნოლოგიური დანადგარების გაანგარიშებისათვის, ხოლო ზეთებისა და მძიმე ნავთობპროდუქტებისათვის საექსპლუატაციო თვალთახედვითაც.

სიბლანტე ანუ სითხის შინაგანი ხახუნი ეწოდება სითხის თვისებას, გაუწიოს წინააღმდეგობა მისი ერთი ნაწილის გადაადგილებას მეორის მიმართ (წანაცვლების, გაჭიმვის ან სხვა დეფორმაციების დროს), მასზე გარეშე ძალების მოქმედებისას.

სითხის შინაგანი ხახუნი მოლეკულათშორისი შეჭიდულობის ძალების დამახასიათებელი ფიზიკური თვისებაა.

ბუნებრივია, სიბლანტის სიდიდე დამოკიდებულია სითხის ქიმიურ ბუნებაზე – მის ქიმიურ აღნაგობაზე.

ნიუტონის კანონის თანახმად სითხის შინაგანი ხახუნის ძალა F დამოკიდებულია მისი ფენების შეხების ზედაპირზე S, მათი შეფარდებითი მოძრაობის სიჩ-

ქარეთა სხვაობაზე  $\Delta V$ , ფენებს შორის მანძილზე  $\Delta h$  და სითხის მოლეკულურ თვისებებზე:

$$F = \eta \cdot S \cdot \frac{dV}{dH}$$

F-ს ეწოდება შიდა ხახუნის კოეფიციენტი ანუ დინამიკური სიბლანტე.

$\eta$  – პროპრციულობის კოეფიციენტია, რომელიც დამოკიდებულია სითხის მოლეკულურ თვისებებზე:

$$\text{როცა } \Delta h \rightarrow 0$$

$$F = \eta \cdot S \cdot \frac{dV}{dH}$$

$dV / dH$  სიჩქარის გრადიენტია, რომელიც ახასიათებს მის ცვლილებას ფენების შეხების სიბრტყის პერპენდიკულარული მიმართულებით.

სიჩქარის გრადიენტის არსი განვიხილოთ მინის მილეპში სითხის მოძრაობის მაგალითზე.

მილის ზედაპირთან მდებარე სითხის თხელი ფენა თითქოს ეკვრის მას და უძრავი ხდება, რადგან მოლეკულური შეჭიდულობა სითხის და მინის მოლეკულებს შორის მეტია, ვიდრე თვით სითხის მოლეკულებს შორის. ამიტომ მინის მილში სითხის მოძრაობისას სითხის სხვადასხვა ფენები სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობენ. სითხის ფენის მოძრაობის სიჩქარე მით მეტია, რაც უფრო დაშორებულია ის მილის კედლიდან და პირიქით.

სითხის ცალკეული ფენების ერთმანეთის მიმართ მოძრაობის დამუხრუჭებაში ვლინდება სწორედ შიდა ხახუნის ძალა.

განასხვავებენ დინამიკურ, კინემატიკურ და პირობით სიბლანტეს. დინამიკური სიბლანტე წარმოადგენს სიბლანტის რაოდენობრივ მახასიათებელს:

$$\eta = \tau \frac{h}{V}$$

სადაც  $\tau$  შემხები დაძაბულობაა, რომელიც მოქმედებს სითხის ფენებს შორის ერთი ფენის მეორის მიმართ გადანაცვლებისას,  $V$  – ფარდობითი მოძრაობის სიჩქარეა,  $h$  მანძილი ფენებს შორის.

დინამიკური სიბლანტის განზომილებაა პა/წმ; პრაქტიკაში იყენებენ მპა/წმ-ს.

დინამიკური სიბლანტე განისაზღვრება მინის დაკალიბრებული ვისკოზიმეტრის კაპილარიდან განსაზღვრული მოცულობის სითხის გადმოდინების დროით.

1840 წ. პუაზეილმა მოგვაწოდა ფორმულა, რომელშიც მოცემულია დამოკიდებულება დინამიკურ სიბლანტეს  $\eta$ , წნევას, (რომლის გავლენითაც მოძრაობს სითხე), სითხის მოცულობას  $V$ , კაპილარში სითხის გამოდინების დროს  $\tau$ , კაპილარის რადიუსს  $r$  და კაპილარის სიგრძეს  $L$  შორის:

$$\eta = \frac{\pi \cdot P \cdot r^4 \cdot \tau}{8 \cdot L \cdot V}$$

რადგან ყოველი (ინდივიდუალური) კაპილარისათვის  $r$ ,  $L$  და  $V$  მუდმივი სი-დიდეებია, პუაზეილის განტოლება გამარტივებული სახით ასე გამოისახება:

$$\eta = D \cdot P \cdot \tau$$

სადაც  $D$  – ვისკოზიმეტრის მუდმივაა, რომელიც განისაზღვრება ვისკოზიმეტ-რის დაკალიბრებით ცნობილი ეტალონის მიხედვით.

პრაქტიკაში უფრო მეტად გამოიყენება კინემატიკური და პირობითი სიბ-ლანტე.

კინემატიკური სიბლანტე წარმოადგენს სითხის დინამიკური სიბლანტის ფარდობას სიმკვრივესთან. სიბლანტე და სიმკვრივე ერთსა და იმავე ტემპერატურაზე უნდა იყოს გაზომილი.

კინემატიკური სიბლანტის განზომილებაა  $\theta^2/6\dot{\theta}$ .

პრაქტიკაში კინემატიკურ სიბლანტეს გამოსახავენ სტოქსებში (სტ) ან მეა-სედ სტოქსებში (სსტ),  $1_{\text{სტ}} = 10^{-4} \theta^2/6\dot{\theta}$ .

პირობითი სიბლანტე (პს) განისაზღვრება გარკვეული მოცულობის ( $200 \text{ см}^3$ ) ნავთობპროდუქტის გადმოდინების დროის ფარდობით იმავე მოცულობის წყლის გადმოდინების დროსთან ან უბრალოდ ისაზღვრება სტანდარტული ხელ-საწყოდან ნავთობპროდუქტის გადმოდინების დროით.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისათვის სიბლანტე დიდად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე, რასაც გამოსახავენ გრაფიკულად სიბლანტის მრუ-დებით; აბსცისთა ლერძზე გადაზომავენ ტამპერატურას, ხოლო ორდინატთა ლერძზე სიბლანტეს.

ნახშირწყალბადებიდან ყველაზე მცირე სიბლანტით და სიბლანტის მრუდის ყველაზე დიდი დამრეცობით ხასიათდებიან ნ-ალკანები, ყველაზე მაღალი სიბ-ლანტითა და ყველაზე ციცაპო მრუდით – არომატული ნახშირწყალბადები, გან-საკუთრებით ბი- და პოლიციკლური ნახშირწყალბადები.

ტემპერატურის გავლენა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სიბლანტეზე, თავის მხრივ, დამოკიდებულია მათ ფრაქციულ და ნახშირწყალბადოვან შედგე-ნილობაზე. დუღილის ტემპერატურის ზრდასთან ერთად მათი სიბლანტე მნიშ-ვნელოვნად იზრდება.

მაგალითად, თუ ბენზინის კინემატიკური სიბლანტე  $u_{200C} = 0.6 \text{ सტ-स}$ , მძიმე ნარჩენი ზეთებისათვის  $u_{200C} = 300-400 \text{ सტ-ია}$ . ნავთობის კომპონენტებიდან ყვე-ლაზე დიდი სიბლანტით ხასიათდებიან ფისოვანი ნივთიერებები.

რადგან ნავთობის ზეთები ტემპერატურის ფართო ინტერვალში მუშაობს, ამიტომ სიბლანტის ტემპერატურული მრუდის ხასიათი მათვის წარმოადგენს

მნიშვნელოვან საექსპლუატაციო მახასიათებელს. ზეთები, რომლებსაც დამრე-ცი ტემპერატურული მრუდი აქვთ მაღალი ხარისხისაა.

ტემპერატურის შემცირებით მაღალი სიბლანტის მქონე ნავთობმა, ბუნებრივმა ბიტუმებმა, გუდრონმა შეიძლება გამოავლინონ ანომალიური სიბლანტე ე.წ. სტრუქტურული სიბლანტე. ბევრი ნავთობი, ასევე ზოგიერთი ზეთი, განსაზღვრულ ტემპერატურამდე გაცივებისას, მასში შემავალ კომპონენტთა ნაწილის კრისტალიზაციის ან კოაგულაციის შედეგად წარმოქმნის დისპერსულ სისტემებს. ამ შემთხვევაში სითხის დენადობა აღარ არის მოდებული დატვირთვის ძალის პროპორციული (არ ემორჩილება ნიუტონის კანონს), რადგან სითხის შიგნით წარმოქმნება რომელიღაც კომპონენტის (ასფალტენების, პარაფინების, ცერეზინების და სხვა) კოაგულანტი. ასეთი სისტემების სიბლანტეს სტრუქტურულს უწოდებენ. ასეთი სტრუქტურის დასარღვევად საჭირო ხდება ძალა, რომელსაც დრეკადობის ზღვარს უწოდებენ. სტრუქტურის დარღვევის შედეგად სითხე ისევ ემორჩილება ნიუტონის კანონს და მისი დენადობა მოდებული ძალის პროპორციული ხდება.

ნავთობპროდუქტებში სივრცითი სტრუქტურის წარმოქმნა ზოგჯერ სასურველიც არის, მაგ.: ბიტუმები ამის გამო მეტ სიმტკიცეს იძენს, ხოლო საცხები ზეთების დენადობა ექსპლუატაციის ტემპერატურაზე მცირდება.

მოწოდებულია რამდენიმე ემპირიული ფორმულა, რომელშიც ასახულია სიბლანტის ტემპერატურაზე დამოკიდებულება.

ყველაზე ფართო გამოყენება მოიპოვა ვალტერის ფორმულამ:

$$\lg(\lg(V_t + 0.6) - A - B \lg T)$$

სადაც  $A$  და  $B$  კონსტანტებია;  $V$  კინემატიკური სიბლანტეა,  $T$  – აბსოლუტური ტემპერატურა ( $K$ ).

ვალტერის ფორმულის საფუძველზე აგებენ ბადისებურ დიაგრამებს, სადაც აბსცისთა ლერძზე გადაზომილია  $\lg T$  მნიშვნელობები, ხოლო ორდინატთა ლერძზე  $\lg(\lg(V + 0.6))$ -ის პროპორციული მნიშვნელობები. საკმარისია სიბლანტის ცოდნა ორ ტემპერატურაზე, რომ განისაზღვროს მისი მნიშვნელობა ნებისმიერ ტემპერატურაზე ამ ტემპერატურული ინტერვალის ფარგლებში.

რადგან სიბლანტე დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ამიტომ ყოველთვის მიეთითება მისი განსაზღვრის ტემპერატურაც.

კვლევის უნიფიცირებული პროგრამის მიხედვით ნავთობის სიბლანტეს საზღვრავენ 0-დან  $50^{\circ}\text{C}$ -მდე ყოველი  $10^{\circ}\text{C}$ -ის შემდეგ. დაბალი სიბლანტის ნავთობისთვის განსაზღვრას იწყებენ  $20^{\circ}\text{C}$ -დან, ნავთის ფრაქციისათვის საზღვრავენ  $20^{\circ}\text{C}$ -სა და  $40^{\circ}\text{C}$ -ზე; დიზელის საწვავისათვის –  $20^{\circ}\text{C}$ -ზე; ზეთოვანი ფრაქციებისათვის –  $40^{\circ}\text{C}$ ,  $50^{\circ}\text{C}$  და  $100^{\circ}\text{C}$ ;  $350^{\circ}\text{C}$ -ზე ზევით გამოხდილი ან ნარჩენი ფრაქციებისათვის –  $50^{\circ}\text{C}$ ,  $80^{\circ}\text{C}$ ,  $100^{\circ}\text{C}$ -ზე.

## 7.4. გამყარების, შემღვრევისა და კრისტალიზაციის ტემპერატურები

ნავთობი და ნავთობპროდუქტები არ ხასიათდებიან ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის განსაზღვრული ტემპერატურით. ტემპერატურის დაწევისას ნავთობსა და ნავთობპროდუქტებში შემავალ კომპონენტთა ნაწილის სიბლანტე იზრდება, ნაკლებ მოძრავი ხდება, ხოლო ნაწილი – თხევად კომპონენტებში გახსნილი მყარი ნივთიერებები, გამოიყოფიან ნალექის ან კრისტალების სახით. ეს თვისება, შიგაწვის ძრავების საწვავებისათვის უაღრესად არასასურველია, რადგან დაბალ ტემპერატურაზე მუშაობისას ხდება ფილტრების გაჭედვა, საწვავის გამტარ მიღებების საცობების ნარმოქმნა, რაც იწვევს ძრავის მუშაობის დაბრკოლებას. ასევე ძალიან არასასურველია კრისტალიზაციის მოვლენა საცხებ ზეთებში.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გამყარება დამოკიდებულია ძირითადად მათში მყარი პარაფინებისა და ცერეზინების შემცველობაზე. რაც უფრო მეტია მათში მყარი პარაფინები, მით უფრო ადვილად გადადის ის მყარ მდგომარეობაში. მაგ.: გროზნოს ერთ-ერთი საბადოს ნავთობი (პარაფინული) მყარდება  $+11^{\circ}\text{C}$ , ხოლო სხვა საბადოს ნავთობი (ზაკლებად პარაფინული)  $-20^{\circ}\text{C}$ .

გამყარების ტემპერატურად ითვლება ტემპერატურა, რომლის დროს ფრაქცია გაცივებისას სინჯარაში არ იცვლის დონეს  $45^{\circ}$ -იანი კუთხით დახრისას.

ნავთობპროდუქტებიდან ყველაზე დაბალი გამყარების ტემპერატურა ( $-80^{\circ}\text{C}$ -ზე დაბლა) აქვთ ბენზინებს, გამოხდის ტემპერატურის გაზრდასთან ერთად გამყარების ტემპერატურა იზრდება.

ტემპერატურის გარდა, ნავთობპროდუქტების კრისტალიზაციაზე დიდ გავლენას ახდენს მათში არსებულ ნივთიერებათა ბუნება, სხვადასხვა მინარევის – მათ შორის ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებათა არსებობა და სხვა.

ყველაზე მაღალი კრისტალიზაციის ტემპერატურა აქვთ სიმეტრიული აღნაგობის მოლეკულებს. რამდენიმე ალკილის რადიკალის შემცველი ძლიერ განშტოებული ალკანები, მონოციკლური ციკლოალკანები, არენები არ კრისტალდებიან. ისინი გამოიყოფიან ამორფულ მდგომარეობაში. რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, მით მეტია კრისტალიზაციის ცენტრების ჩასახვის სიჩქარე, ამიტომ დაბალ ტემპერატურაზე ხდება წვრილმარცვლოვანი კრისტალების ნარმოქმნა, ხოლო შედარებით მაღალ ტემპერატურაზე ხდება კრისტალების გამსხვილება.

ჩვეულებრივ, პარაფინები და ცერეზინები კრისტალდებიან უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე ნავთობპროდუქტები კარგავენ ძვრადობას. ამიტომ საექსპლუატაციო მიზნებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გამყარების ტემპერატურის, არამედ კრისტალიზაციის დაწყების ტემპერატურის ცოდნაც.

პარაფინის კრისტალიზაციას თან ახლავს ნავთობპროდუქტის შემღვრევა. ტემპერატურას, რომელზედაც ადგილი აქვს წვრილი კრისტალების „ღრუბლის“

გაჩენას ნავთობპროდუქტში, ეწოდება შემღვრევის ტემპერატურა. ის ისაზლ-ვრება ვიზუალურად, გამჭირვალე ეტალონთან შედარებით.

## 7.5. ფარგლების, აალებისა და თვითაალების ტემპერატურა

ფეთქების, აალების და თვითაალების ტემპერატურა საწვავის მნიშვნელოვან მახასიათებელ სიდიდეებს წარმოადგენს.

ფეთქების ტემპერატურა ეწოდება იმ მინიმალურ ტემპერატურას, რომლის დროსაც საკვლევი ნივთიერების ნარევი ჰაერთან, მასში აალების წყაროს (ალი, ელექტრონაპერნები და ა.შ) შეტანისას წარმოქმნის ალს ხანმოკლე დროს განმავლობაში.

ფეთქებას (სუსტ აფეთქებას) ადგილი აქვს ჰაერთან ნარევში ნახშირწყალბადის მკაცრად განსაზღვრული კონცენტრაციის დროს. განასხვავებენ ალის გავრცელების ქვედა და ზედა ზღვრებს. ზედა ზღვრისათვის დამახასიათებელია ჰაერთან ნარევში ნახშირწყალბადის მაქსიმალური კონცენტრაცია, რომლის ზევით აალების წყაროს შეტანისას უანგბადის უკმარისობის გამო აალებას და წვას ადგილი არა აქვს. ქვედა ზღვრისათვის ნივთიერების კონცენტრაცია მინიმალურია, რომლის ქვევით გამოყოფილი სითბოს რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ არ არის საკმარისი მოცულობაში რეაქციის წარმართვისათვის.

ნავთი, დიზელის საწვავი, საცხები ზეთები, მაზუთები და სხვა მძიმე ნავთობპროდუქტები ხასიათდებიან ფეთქების ქვედა ზღვარით (განსაზღვრა წარმოებს გაცხელებით).

ბენზინები, რომელთა ორთქლის წნევა ოთახის ტემპერატურაზეც კი მნიშვნელოვანია, ჩვეულებრივ ხასიათდებიან ფეთქების ზედა ზღვარით (განსაზღვრა წარმოებს გაცივების პირობებში).

აალების ტემპერატურა ეწოდება მინიმალურ ტემპერატურას, რომლის დროსაც საკვლევი ნივთიერების ორთქლი ჰაერთან ნარევში აალების წყაროს შეტანისას წარმოქმნის მდგრად, უქრობ ალს. აალების ტემპერატურა ფეთქების ტემპერატურაზე უფრო მაღალია, რიგ შემთხვევაში რამდენიმე ათეული გრადუსით.

თვითაალების ტემპერატურა ეწოდება იმ მინიმალურ ტემპერატურას, რომლის დროსაც ნავთობპროდუქტის ორთქლი ჰაერთან ნარევში თვითაალდება (აალების წაყროს გარეშე). ზოგჯერ თვითაალების ტემპერატურა ფეთქების ტემპერატურაზე მაღლაა რამდენიმე ასეული გრადუსით.

ფეთქების ტემპერატურაზე გავლენას ახდენს ჰაერის სინესტე და ატმოსფერული წნევა. ფეთქების ტემპერატურა დამოკიდებულია საკვლევი ნივთიერების დუღილის ტემპერატურაზე. ინდივიდუალური ნახშირწყალბადებისათვის ორმანდიმ და კრევინმა მოგვაწოდეს მათი ერთმანეთთან დამაკავშირებელი ფორმულა:

$$T_{\text{ფეთქ}} = K \cdot T_{\text{დუღ}}$$

სადაც კოეფიციენტი  $K = 0.736$ . ნავთობის ორთქლის ფეთქების ტემპერატურა უმრავლეს შემთხვევაში  $0^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალია.

ფეთქების ტემპერატურის მიხედვით ნავთობპროდუქტებს ყოფენ ორ ჯგუფად: ადვილადაალებადი და საწვავები. ადვილადაალებად ნავთობპროდუქტებს ეკუთვნის ისეთი ნავთობპროდუქტები, რომელთა ორთქლის ფეთქების ტემპერატურა დახურულ ტიგელში  $61^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალია, ხოლო საწვავების – ღია ტიგელში  $66^{\circ}\text{C}$ -ზე მეტია.

ადვილადაალებად ნავთობპროდუქტებს ეკუთვნის ძრავის საწვავები: საავტომობილო ბენზინის ფეთქების ტემპერატურა დახურულ ტიგელში  $12^{\circ}\text{C}$ -ია, საავიაციოსი  $30^{\circ}\text{C}$ , რეაქტიული ძრავისა  $35/61^{\circ}\text{C}$ .

დიზელის საწვავების აალების ტემპერატურა  $57-119^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებშია, ხოლო თვითაალების ტემპერატურა –  $300-330^{\circ}\text{C}$ . ბენზინების თვითაალების ტემპერატურა  $500^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალია. ნავთობპროდუქტების თვითაალების ტემპერატურა მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად მცირდება.

ფეთქების, აალების და თვითაალების ტემპერატურის მიხედვით ხდება მოსალოდნელი ხანძრისა და ნავთობპროდუქტების აფეთქების საშიშროების შეფასება.

## 7.6. ნვის სითბო

საწვავებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს წვის სითბო. ყველა თანამედროვე ძრავა საწვავის წვის შედეგად გამოყოფილი სითბური ენერგიის ხარჯზე მუშაობს, რომელიც ძრავის სასარგებლო მუშაობად გარდაიქმნება. თუ რა გზით ხდება სითბური ენერგიის ძრავის სასარგებლო მუშაობად გარდაქმნა, განისაზღვრება ძრავის ტიპით.

დგუშიან ძრავებში წვის შედეგად წარმოქმნილი აირები მაღალი ტემპერატურის გავლენით ძალიან ფართოვდებიან და მოქმედებენ დგუშზე, რომლის მოძრაობა გადაეცემა ძრავის მუხლუხა ლილვს, ე.ი. საწვავის სითბური ენერგია უშუალოდ გარდაიქმნება მუხლა ლილვის ბრუნვის მექანიკურ მუშაობად.

რეაქტიულ ძრავებში საწვავის სითბური ენერგია გარდაიქმნება საქმინიდან გამომავალი აირების კინეტიკურ ენერგიად.

აირტურბინებში აირის ნაკადი, ხვდება რა ტურბინის ნიჩბებზე, იწვევს მისი ლილვის ბრუნვას.

ამიტომ ბუნებრივია, რომ წვის სითბო საწვავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს.

წვის სითბო (თბოუნარიანობა) ეწოდება სითბოს რაოდენობას (კვოულებში), რომელიც გამოიყოფა  $1\text{m}^3$  აირის ან  $1\text{kg}$  თხევადი ან მყარი საწვავის სრული წვის შედეგად.

განასხვავებენ წვის სითბოს ზედა და ქვედა ზღვრებს.

წვის ზედა სითბო წარმოადგენს მოცულობის ან მასის ერთეული საწვავის წვის და წარმოქმნილი წყლის ორთქლის კონდენსაციის შედეგად გამოყოფილ

სითბოთა ჯამს; წვის ქვედა სითბოში არ არის გათვალისწინებული წყლის ორ-თქლის კონდენსაციისას გამოყოფილი სითბო.

წვის სითბო დამოკიდებულია საწვავის შედგენილობაზე, რადგან წყალბადის წვის სითბო მნიშვნელოვნად მეტია ნახშირბადის წვის სითბოზე, ამიტომ რაც მეტია H/C თანაფარდობა ნახშირნყალბადში, მით მეტია წვის სითბო. ყველაზე მაღლალი წვის სითბო გააჩნიათ ალკანებს, ყველაზე დაბალი არენებს.

## 7.7. პიმიური სტაბილურობა

საწვავების ქიმიური სტაბილურობა განისაზღვრება მათი უნარით, სხვადასვა ფაქტორების: ჰაერის, ჟანგბადის, ტემპერატურის, სინათლის, მეტალთა (კატალიზტური) მოქმედების შედეგად უცვლელად შეინარჩუნონ თვისებითი მახასიათებლები.

საწვავების ქიმიური სტაბილურობა პირველ ყოვლისა დამოკიდებულია მათში უჯერი ნაერთების შემცველობაზე, რომლებიც ადვილად იუანგებიან და პოლიმერიზდებიან ფისოვანი ნივთირებებისა და მუავების ნარმოქმნით.

ქიმიური სტაბილურობა განისაზღვრება ინდუქციის პერიოდით – (დროით), რომლის განმავლობაში საწვავი არ იცვლის შედგენილობას  $100^{\circ}\text{C}$ -ზე გაცხელებისას 7 ატმ. წნევის ქვეშ.

საწვავის სტაბილურობა გარდა მისი ქიმიური შედგენილობისა, დამოკიდებულია ტემპერატურაზე. ჰაერთან შეხების ზედაპირზე და სინათლისა და მეტალების კატალიზტურ მოქმედებაზე. მეტალების კატალიზტური მოქმედება განსაკუთრებით ვლინდება საწვავის შეხებისას მეტალის ზედაპირთან. ყველაზე დიდი კატალიზტური აქტიურობით ხასიათდება სპილენძი და მისი შენადნობები (თითბერი). მაგ.: კრეკინგ-ბენზინის ინდუქციის პერიოდი სპილენძის თანაობისას მცირდება 82%-ით.

ფისების ნარმოქმნისას საწყის ეტაპზე, მათი მცირე კონცენტრაციის დროს, ისინი მთლიანად იხსნებიან საწვავში. მათი შემცველობის გაზრდისას და ასევე ნარმოქმნილი ფისების სტრუქტურის გართულებისას, მათი ხსნადობა მცირდება და გარკვეული დროის შემდეგ ფისები საწვავებიდან გამოიყოფიან.

ქიმიური სტაბილურობის გასაზრდელად, უჯერი ნახშირნყალბადების შემცველობისას, საწვავში შეაქვთ ანტიოქსიდანტები: პარაოქსიდიფენილამინი, იონოლი, 2, 6-დი-მესამ.ბუტილ-პ.კრეზოლი და სხვა.

## 7.8. კოროზიული აპტიურობა

საწვავში შემავალი ნახშირნყალბადები და მისი წვის შედეგად ნარმოქმნილი პროდუქტები მეტალის კოროზიას არ ინვევენ.

საწვავში შემავალი ნივთიერებებიდან, რომლებიც კოროზიულად აქტიურებია, აღსანიშნავია ნავთობური მუავები, ელემენტური გოგირდი და გოგირდის შემცველი ნაერთები, წყალი, წყალში ხსნადი მუავეები და ტუტეები, სულფომუვები და გოგირდმუავას მუავა ეთერები.

ნავთობპროდუქტებში წყალში ხსნადი მჟავებისა და ტუტების არსებობა აიხსნება მათი გოგირდმჟავით და ტუტის წყალხსარით დამუშავების შემდეგ წყლით არასაკმარისი გარეცხვით.

საწვავში ნავთობური მჟავების არსებობა, ერთი მხრივ, განპირობებულია მათი ნავთობში არსებობით, მეორე მხრივ, ნავთობპროდუქტებში მიმდინარე ჟანგვითი პროცესებით.

ყველა აღნიშნული ნაერთი იწვევს მეტალური ნაწილების კოროზიას: წყალში ხსნადი მჟავები ახდენენ თითქმის ყველა მეტალის კოროზიას, ტუტები საწვავის მიმწოდებელი სისტემის ავზის მასალების შემადგენლობაში შემავალ ალუმინისა და დურალუმინის კოროზიას.

წყლის თანაობისას ძლიერდება საწვავის კოროზიული მოქმედება. მაგალითად, ფოლადის კოროზია მშრალ ნავთობში შესამჩნევი ხდება 20 დღე-დამის შემდეგ, ხოლო წყალთან შეხებაში მყოფ ნავთობში უკვე 1 დღე-დამის შემდეგ.

კოროზიული აგრესიულობით ხასიათდებიან ნავთობი არსებული ელემენტური S, H<sub>2</sub>S და დაბალი რიგის მერკაპტანები.

გოგირდწყალბადი ენერგიულად მოქმედებს განსაკუთრებით თუთიასთან, რკინასთან, სპილენძთან, თითბერთან, ალუმინთან სულფიდების ნარმოქმნით. ელემენტური გოგირდი თითქმის მეყსეულად ურთიერთქმედებს სპილენძთან სულფიდის ნარმოქმნით. მერკაპტანები ახდენენ ფერადი მეტალების კოროზიას, შედიან ურთიერთქმედებაში მათთან მერკაპტიდების ნარმოქმნით. მეტალთა კოროზია გოგირდშემცველი ნაერთებით ძლიერდება ასევე წყლის თანაობისას.

ამიტომ წყლისა და კოროზიულად აქტიური ნივთიერებების შემცველობა ნავთობსა და ნავთობპროდუქტებში დაუშვებელია.

## 7.9. სანვავის ნაჯერი ორთქლის ნევა და

### ფრაქციული შადგანილობა

ძრავის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელია საწვავის სწრაფი და თანაბარი წვა. რადგან წვის პროცესში მონაწილეობს მხოლოდ საწვავის ორთქლი, საწვავის აორთქლებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა.

საწვავის აორთქლების სიჩქარე და სისრულე დამოკიდებულია რიგ ფიზიკურ პარამეტრებზე: ნაჯერი ორთქლის წნევაზე, ორთქლის დიფუზიის კოეფიციენტზე, სიბლანტეზე, საწვავის დუღილის (დაწყებისა და დამთავრების) ტემპერატურაზე.

საწვავის ნაჯერი ორთქლის წნევა ნარმოიქმნება საწვავის მაქსიმალური კონცენტრაციისას, როდესაც სითხიდან აორთქლებულ და ორთქლიდან სითხეში დაბრუნებული მოლეკულების რიცხვი თანაბრდება, ანუ როდესაც ორთქლსა და სითხეს შორის მყარდება დინამიკური წონასწორობა.

დალტონის კანონის თანახმად თავისუფალი აორთქლების სიჩქარე W – ნაჯერი ორთქლის წნევის პირდაპირპროცესულია.

$$W=AP_s$$

სადაც  $A$  პროპორციულობის კოეფიციენტია,  $P_s$  საწვავის ნაჯერი ორთქლის წნევა.

დახურულ სისტემაში აორთქლების სიჩქარე ნაჯერი ორთქლისა და საწვავის ორთქლის პარციალური წნევათა სხვაობის პროპორციულია.

$$W=A(P_s-P)$$

სადაც  $P$  საწვავის ორთქლის პარციალური წნევაა.

საწვავი მით უფრო დიდი სიჩქარით ორთქლდება, რაც უფრო დიდია ( $P_s-P$ ) სხვაობა. რაც უფრო მაღალია ნახშირწყალბადის დულილის ტემპერატურა, მით უფრო დაბალია ნაჯერი ორთქლის წნევა.

ნაჯერი ორთქლის წნევა ინდივიდუალური ნახშირწყალბადების შემთხვევაში დამოკიდებულია ნახშირწყალბადის აღნაგობასა და ტემპერატურაზე, ხოლო საწვავის შემთხვევაში ნაჯერი ორთქლის წნევაზე გავლენას ახდენს მასში არსებული თითეული ნახშირწყალბადის კონცენტრაცია და ასევე აირადი და თხევადი ფაზების თანაფარდობა.

ნაჯერი ორთქლის წნევის გასაზომი ხელსაწყო შეიმუშავა რეიდმა, რის გამოც გაზომილ ორთქლის წნევას ეწოდება ორთქლის წნევა რეიდის მიხედვით.

საწვავის აორთქლების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საწვავის ზედაპირზე. რაც მეტია ზედაპირი, მით მეტია აორთქლების ხარისხი. საწვავის გაფრქვევის შემთხვევაში, რაც მეტია ერთეულ მოცულობაში საწვავის წვეთების რაოდენობა (რაც უფრო მცირეა საწვავის წვეთების რადიუსი) მით მეტია საწვავის ზედაპირი, ე.ი. აორთქლების ხარისხი. საწვავის გაფრქვევისას წვეთების ზომა დამოკიდებულია სითხის სიბლანტესა და ზედაპირულ დაჭიმულობაზე. საწვავის აორთქლების სიჩქარე დამოკიდებულია ასევე ჰაერის ნაკადისა და საწვავის დიფუზის სიჩქარეზე.

საწვავის გაფრქვევისას ნაწილაკთა ზომები პირდაპირპოპორციულია ზედაპირული დაჭიმულობისა და უკუპროპორციულია საწვავის სიბლანტისა და ჰაერის ნაკადის სიჩქარის კვადრატისა.

საწვავების ზედაპირული დაჭიმულობა და სიბლანტე იზრდება მათი დულილის ტემპერატურის გაზრდით და მცირდება საწვავის გაცხელებისას ტემპერატურის გაზრდით.

საწვავების აორთქლების შესაფასებლად გამოიყენება საწვავების ფრაქციული შედგენილობის განსაზღვრა. კერძოდ, საწვავის გარკვეული %-ული რაოდენობის გამოხდის ტემპერატურული ინტერვალის დადგენა. (მაგ.; ბენზინისათვის 10%, 50% და 90%-ის რაოდენობების, დიზელის საწვავებისათვის – 50%, 96%-ის).

საწვავის ფრაქციული შედგენილობა განაპირობებს dრავის ამუშავებას, მის გაცხელების სიჩქარეს, საწვავის ორთქლისა და ჰაერის ნარევის ნარმოქმნის პირობებსა და ხარისხს, საწვავის გაფრქვევის ხარისხს, საწვავის სრულ წვას და სხვა.

ამიტომ საწვავების ფრაქციულ შედგენილობას, მათი გამოხდის ტემპერატურულ ინტერვალებს ნაეყენებათ განსაზღვრული მოთხოვნები.

შემუშავებულია ემპირული ფორმულები, რომელთა საშუალებითაც ბენზინის შემთხვევაში დამყარებულია რაოდენობრივი თანაფარდობა საწვავის ფრაქციულ შედგენილობასა და ძრავის ამამუშავებელ ტემპერატურას შორის. მაგ;

$$t_{\text{ამ}} = \frac{2}{3} t_{10-58}$$

$t_{\text{ამ}}$  – არის ძრავის ამუშავების ტემპერატურა;

$t_{10}$  – საწვავის 10%-ის გამოხდის ტემპერატურა.

## 7.10. ნავთობის ოპტიკური თვისებები

ნავთობის ოპტიკური თვისებებია: ნავთობის ფერი, ფლუორესცენცია, ოპტიკური აქტიურობა და გარდატეხის მაჩვენებელი.

ნავთობთა უმრავლესობა მუქი ფერის სითხეა – ყავისფერი, მოწითალო-ყავისფერი, მუქი ყავისფერი და შავი; უფრო იშვიათად მოყვითალო და ბაცი ყვითელი ფერის. ცნობილია გამონაკლისი – თეთრი ფერის ნავთობი – სურახანის საბადოს ნავთობი (კასპიის ზღვის სამხრეთით).

რადგან ნახშირწყალბადები უფერო ნივთიერებებია, ნავთობის ფერს განაპირობებს მასში არსებული ფისოვან-ასფალტენური ნივთიერებები და სავარაუდოა, გოგირდშემცველი ნაერთები; რაც უფრო მეტ ფისოვან-ასფალტენურ ნაერთებს შეიცავს ნავთობი, მით უფრო მუქი ფერისაა იგი. თეთრი ნავთობი ძალიან მსუბუქია, არ შეიცავს ფისოვან ნაერთებს. მიაჩნიათ, რომ ის აირკონდენსატური წარმოშობისაა. ნავთობის დისტილატების ღრმა განმენდის შედეგად, შესაძლებელია უფერო მაღალმოლეკულური პარაფინისა და ზეთების მიღება.

ნავთობის ფერი ემსახურება მის ზოგად დახასიათებას. ნავთობპროდუქტების შემთხვევაში კი ფერი შედის მათ ტექნიკურ ნორმებში, რადგან ფერი ნავთობპროდუქტის განმენდის ხარისხისა და მათი სტაბილობის მაჩვენებელია.

ნავთობისა და ბუნებრივ ბიტუმინოზურ ნივთიერებათა დასხივებისას ულტრაიისფერი სხივებით ისინი იწყებენ ნათებას – ლუმინესცენციას. ლუმინესცენცია არის ნივთიერების ნათება, რომელიც წარმოიქმნება აღმგზნები ენერგიის შთანთქმის შედეგად. მისი ხანგრძლივობაა  $10^{-10}$  წ-დან რამდენიმე საათამდე. სპექტრი შესამჩნევი ხდება ულტრაიისფერ და ინფრანითელ უბნებშიც. მისი ერთ-ერთი (წანმოკლე) სახეობაა ფლუორესცენცია.

ეს თვისება ახასიათებს ფისებს, პოლიციკლურ არომატულ ნახშირწყალბადებს, პორფირინებსა და რიგ მაღალმოლეკულურ ნივთიერებებს.

შემუშავებულია ლუმინესცენტური ანალიზის სახეობანი, რომელიც გამოიყენება ნავთობისა და ბიტუმების ანალიზის დროს, ასევე ბურღვის დროს მთის ქანებში, წყლებში, თიხოვან ხსნარებში ბიტუმინზურ ნივთიერებათა თვისებითი და რაოდენობითი ანალიზისათვის. ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენება გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაობის დროს.

ფლუორესცენცია ეწოდება ნივთიერებათა ნათებას, რომელიც წარმოიქმნება აღმგზნები ენერგიის შთანთქმის შედეგად და ქრება მისი მოცილებისთანავე. ფლუორესცენცია დამახასიათებელია ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისათვის. ფლუორესცირებენ განმენდილი ფრაქციებიც – ლია მწვანე ფერიდან ისფერამდე.

ცნობილია, რომ ფლუორესცენციით ხასიათდება სხვადასხვა სახის პოლიციკლური არომატული ნაერთები და მათი მცირე რაოდენობით არსებობა ნავთობპროდუქტებში ინვევს დამახასიათებელ ნათებას.

ნავთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს ოპტიკური აქტიურობა (სხივის პოლარიზაციის სიბრტყის შეცვლის უნარი).

შესწავლილი იყო ნავთობის სხვადასხვა ფრაქციის ოპტიკური აქტიურობა. ალმოჩნდა, რომ დაბალი ფრაქციები (ბენზინი, ნავთი) ოპტიკურად არააქტიურები არიან. ოპტიკურ აქტიურობას ამჟღავნებენ დიზელის საწვავის ფრაქციები, ფრაქციების დუღილის ტემპერატურის ზრდასთან ერთად ოპტიკური აქტიურობა იზრდება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ალკანურ-ციკლოალკანური ნავთობი შედარებით ნაკლები ოპტიკური აქტიურობით ხასიათდება, ხოლო არენულ-ციკლოალკანური მნიშვნელოვნად დიდი აქტიურობით.

ნავთობის ოპტიკური აქტიურობა წარმოადგენს ნავთობის ორგანული წარმოშობის თეორიის განმამტკიცებელ ფაქტორს, რადგან ოპტიკური აქტიურობა დამახასიათებელია მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმის ორგანული ნივთიერებებისათვის.

#### 7.10.1. გარდატეხის მაჩვენებელი

ნავთობპროდუქტების შედგენილობისა და ხარისხის სწრაფი განსაზღვრისათვის გამოიყენება ისეთი ოპტიკური მახასიათებლები, როგორიცაა გარდატეხის მაჩვენებელი, მოლეკულური რეფრაქცია და დისპერსია.

გარდატეხის მაჩვენებელი წარმოადგენს სხივის დაცემის კუთხის სინუსის ფარდობას სხივის გარდატეხის კუთხის სინუსთან.

$$n = \frac{\sin \alpha}{\sin \beta}$$

სადაც  $n$  გარდატეხის მაჩვენებელია,  $\alpha$  – სხივის დაცემის კუთხე,  $\beta$  – გარდატეხის კუთხე.

გარდატეხის მაჩვენებელი ყოველი ნივთიერებისათვის დამახასიათებელ სი-დიდეს წარმოადგენს. გარდატეხის მაჩვენებელი დამოკიდებულია სინათლის ტალღის სიგრძესა და ტემპერატურაზე, ამიტომ განსაზღვრას ანარმოებენ მუდ-მივი ტემპერატურისა და მონოქრომატული სხივის გამოყენებით. ლაბორატორიულ პრაქტიკაში ძირითადად სინათლის წყაროდ იყენებენ ნატრიუმის ალის ყვითელ ხაზს D, რომლის ტალღის სიგრძე  $\lambda = 5896\text{nm}$  შეესაბამება, ან წყალბადის სპექტრის სამი ხაზიდან ერთ-ერთს – ნითელს  $H_\alpha(C)$ , ცისფერს  $H_\beta(H)$  ან ისფერს  $H_\gamma(G)$ . ამიტომ გარდატეხის მაჩვენებელის განსაზღვრისას აუცილებელია ტალღის სიგრძისა და ტემპერატურის მითითება.

ჩვეულებრივ, ნავთობპროდუქტის გარდატეხის მაჩვენებელს საზღვრავენ  $20^\circ\text{C}$ . ამ პირობებში განსაზღვრული გარდატეხის მაჩვენებელი აღინიშნება  $n_D^{20}$ .

გარდატეხის მაჩვენებელის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$n_D^{20} = n_D^t - \alpha(20-t)$$

სადაც  $t$  ანალიზის ჩატარების ტემპერატურაა ( ${}^\circ\text{C}$ ),  $\alpha$ - შესწორების კოეფიციენტია, რომელიც  ${}^\circ\text{C}$ -ზე 0.0004-ის ტოლია.

გარდატეხის მაჩვენებელი გამოიყენება პირველყოვლისა ნივთიერებათა იდენტიფიკაციისათვის, მათი სისუფთავის და ხსნარში ნივთიერებათა კონცენტრაციის განსასაზღვრავად.

ის მეტად მნიშვნელოვან სიდიდეს წარმოადგენს ნავთობპროდუქტებისათვის, რადგან იძლევა გარკვეულ ინფორმაციას მათ შედგენილობაზე. ყველაზე დაბალი გარდატეხის მაჩვენებელი აქვთ ალკანებს, ყველაზე მაღალი არენებს.

#### ცხრილი 7.4

##### ცოლი ნახშირბადატომების შემცველი სხვადასხვა რიგის ნახშირწყალბადების გარდატეხის მაჩვენებელი

მოლეკულური ნახშირბად- ატომების რიცხვი	ალკანები		ალკენები		ციკლოალკანები		არენები	
	ნახშირ- წყალბადი	$n_d$	ნახშირ- წყალბადი	$n_d$	ნახშირ- წყალბადი	$n_d$	ნახშირ- წყალბადი	$n_d$
C <sub>5</sub>	პენტანი	1.3575	პენტენ-1	1.3715	ციკლო- პენტანი	1.4065	-	-
C <sub>6</sub>	ჰექსანი	1.3749	ჰექსენ-1	1.3870	ციკლო- ჰექსანი	1.4262	ბენზოლი	1.5011
C <sub>7</sub>	ჰეპტანი	1.3876	ჰეპტენ-1	1.3998	ციკლო- ჰეპტანი	1.4230	ტოლუ- ოლი	1.4969

C <sub>8</sub>	ოქტანი	1.3974	ოქტენ-1	1.4087	ციკლო-ოქტანი	1.4330	ეთოლბენ-ზოლი	1.4959
C <sub>9</sub>	ნონანი	1.4054	ნონენ-1	1.4157	პროპილ-ციკლო-ჰექსანი	1.4371	პროპილ-ბენზოლი	1.4920
C <sub>10</sub>	დეკანი	1.4119	დეცენ-1	1.4217	პროპილ-ციკლო-ჰექტანი	1.4408	ბუტილ-ბენზოლი	1.4898

ნავთობის საშუალო ფრაქციებში (თდღ.დასაწყისი  $>250^{\circ}\text{C}$ ) ნახშირწყალბა-დოვანი ჯგუფური შედგენილობის დადგენის ერთ-ერთი მეთოდი დაფუძნებულია თხევად-ადსორბციული მეთოდით გამოყოფილი ფრაქციების გარდატეხის მაჩვენებელზე.

$n_D^{20}$ -ის მიხედვით ხდება ნახშირწყალბადთა დაყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

1. ნორმალური აღნაგობის ნახშირწყალბადები (რომელთა გამყარების ტემპერატურა  $20^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალია)  $n_D^{20} < 1.45$ ;
2. იზოალნაგობის (განშტოებული) ალკანები  $n_D^{20} = 1.45 - 1.47$ ;
3. მონოციკლური ციკლოალკანები  $n_D^{20} = 1.47 - 1.48$ ;
4. ბიციკლური ციკლოალკანები  $n_D^{20} = 1.48 - 1.49$ ;
5. მონოციკლური არენები  $n_D^{20} < 1.53$ ;
6. ბიციკლური არენები  $n_D^{20} = 1.53 - 1.55$ ;
7. ტრიციკლური არენები  $n_D^{20} < 1.55 - 1.59$ .
8. პოლიციკლური არენები  $n_D^{20} > 1.59$

პოლიციკლური არენების გამოყოფის შემდეგ ხდება გარდატეხის მაჩვენებლის შემცირება.

ნახშირწყალბადების ჰომოლოგიურ რიგში შეიმჩნევა წრფივი დამოკიდებულება გარდატეხის მაჩვენებელსა და სიმკვრივეს შორის. ასე მაგ.; C<sub>6</sub>-დან C<sub>18</sub> შედგენილობის ნახშირწყალბადებისათვის დადგენილია შემდეგი თანაფარდობა:

$$n_D^{20} = 0.52167\rho + 1.03104$$

ა6

$$\rho_4^{20} = \frac{(n_D^{20} - 1.03104)}{0.52167}$$

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მნიშვნელოვან მახასიათებელ სიდიდეებს წარმოადგენენ ხვედრითი რეფრაქცია, მოლეკულური რეფრაქცია, დისპერსია და რეფრაქციის ინტერცეპტი.

ხვედრითი რეფრაქციის განსაზღვრისათვის გლადსტონმა და დეილიმ მოგვანოდეს შემდეგი ფორმულა:

$$R = \frac{(n_D - 1)}{\rho}$$

ხოლო ლორენტცმა და ლორენცმა:

$$R = \frac{n_D^2 - 1}{n_D^2 + 2} \cdot \frac{1}{\rho}$$

სადაც  $\rho$  სიმკვრივეა, განსაზღვრული იმავე ტემპერატურაზე, რომელზედაც  $n_D$ .

მოლეკულური რეფრაქცია კი წარმოადგენს ხვედრითი რეფრაქციის ნამრავლს მოლეკულურ მასაზე:

$$R_m = \frac{n_D - 1}{\rho} \cdot M$$

სადაც  $M$  საკვლევი ნივთიერების მოლეკულური მასაა. მოლეკულური რეფრაქცია ინდივიდუალური ნივთიერებისათვის ადიტიური სიდიდეა და წარმოადგენს ატომურ რეფრაქციათა ჯამს.

მრავალრიცხოვანი ცდების საფუძველზე დადგენილი იყო, რომ ნახშირნყალბადების მოლეკულის  $CH_2$  ჯგუფით გაზრდა იწვევს მოლეკულური რეფრაქციის გაზრდას 4.6-ით.

ნივთიერების გარდატეხის მაჩვენებელი დამოკიდებულია მასზე დაცემული სინათლის ტალღის სიგრძეზე. რაც უფრო მცირეა ტალღის სიგრძე, მით მეტია გარდატეხის მაჩვენებელი. მის დამოკიდებულებას სინათლის ტალღის სიგრძეზე ეწოდება სინათლის დისპერსია (გაფანტვა).

სხვაობას  $n_F - n_G$  ეწოდება საშუალო დისპერსია, ფარდობას  $\frac{n_F - n_G}{n_D - 1} 10^3$  – ფარდობითი დისპერსია, ხოლო  $\frac{n_F - n_G}{\rho} 10^4 = \delta$  – ხვედრითი დისპერსია.

სხვადასხვა რიგის ნახშირნყალბადებისათვის ხვედრითი დისპერსია მნიშვნელოვნად განსხვავებულია:

ნაჯერი ნახშირნყალბადებისათვის 99,

ბენზოლისათვის 190.56,

ტოლუოლისათვის 184.9,

ეთილბენზოლისათვის 179.2,

პოლიციკლური არენებისათვის 465-მდეა.

ხვედრითი დისპერსიის გამოთვლა შეიძლება ადიტიურობის მიხედვით. ეს  $nd^2 - 1$  ბენზინის ფრაქციაში არენების შემცველობის განსაზღვრის საშუალებას.

რეფრაქტომეტრული სხვაობა ანუ რეფრაქციის ინტერცეპტი  $RI$  წარმოადგენს სხვაობას გარდატეხის მაჩვენებელსა და სიმკვრივის ნახევარს შორის:

$$RI = n_D^{20} - \frac{\rho^{\frac{20}{4}}}{2}$$

ეს სიდიდე ერთი და იგივე ჰომოლოგიური რიგის ნახშირნყალბადებისათვის მუდმივია, ალკანებისათვის 1.0469, ალკენებისათვის 1.052, ციკლოალკანებისათვის 1.040, არენებისათვის 1.0663.

## 8. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაყოფის მეთოდები

ნავთობის ქიმიური შედგენილობის დასადგენად უპირველეს ყოვლისა ახდენენ მის ვიწრო ფრაქციებად დაყოფას და შემდეგ თითოეული ფრაქციის შედგენილობისა და თვისებების შესწავლას. ნავთობის ფრაქციებად დასაყოფად ძირითადად იყენებენ გამოხდას – რექტიფიკაციას, მოლეკულურ გამოხდას, ხოლო შემდეგ უფრო ზუსტი დაყოფისათვის მიმართავენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: ზუსტი რექტიფიკაცია, ქრომატოგრაფია, ექსტრაქცია, ადსორბცია, თერმოდიფუზია, კრისტალიზაცია, სხვადასხვა ნივთიერებასთან გარკვეული აღნაგობის ნახშირწყალბადების მიერ კომპლექსების წარმოქმნა.

### 8.1. გამოხდა-რეაქტივიკაცია

გამოხდა კომპონენტთა დაყოფის ფიზიკური მეთოდია, რომლის დროს ნივთიერებების დუღილის შედეგად წარმოქმნილი ორთქლი კონდენსირდება.

ჩვეულებრივი წილადური გამოხდით შეიძლება ისეთი წარკვების დაყოფა, რომელთა კომპონენტების დუღილის ტემპერატურა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ერთმანეთთან აზეოტოციულ წარევს არ წარმოქმნის.

გამოხდის დროს ორთქლის ფაზა წონასწორობაში იმყოფება თხევად ფაზასთან, რის შედეგად ის მდიდრდება უფრო დაბალ ტემპერატურაზე მდუღარე ნივთიერებებით (დ. პ. კონვალოვის „ფაზური წონასწორობის კანონი“) და ცხადია, მიღებულ კონდენსატში ადვილად აქროლად ნივთიერებათა კონცენტრაცია მეტი იქნება, ვიდრე საწყისში. მიღებული კონდენსატის გამოხდით, წარმოქმნილი ორთქლი კვლავ მდიდრდება დაბალ ტემპერატურაზე მდუღარე ნივთიერებებით და ახალ კონდენსატში მისი შემცველობა კიდევ უფრო მეტი იქნება და მრავალჯერადი გამოხდით შესაძლებელია ადვილადაქროლადი პროდუქტის გამოყოფა წარევიდან.

გამოხდათა რიცხვის შემცირების მიზნით, წილადური გამოხდის დროს, კოლბასა და მაცივარს შორის ათავსებენ დეფლეგმატორს, რომლის დანიშნულებაა გაზარდოს ორთქლსა და კონდენსირებულ სითხეს შორის შეხების ფართობი. დეფლეგმატორში ასული ორთქლი მინის ცივ კედლებთან შეხებისას თანდათან ცივდება და ნაწილობრივ კონდენსირდება – წარმოიქმნება ფლეგმა, რომელიც უკან კოლბისაკენ მოედინება და გზაზე შეხებაშია კოლბიდან ამომავალ ორთქლთან. კონტაქტის დროს ორთქლი მდიდრდება დაბალმდუღარე ნივთიერებებით, ხოლო ფლეგმა – მაღალმდუღარეთი. ორთქლის გამოსასვლელ გვერდით მიღწი ასვლამდე ორთქლის ფაზა და მაშასადამე, კონდენსატიც გამდიდრებული იქნება დაბალმდუღარე ნივთიერებების ორთქლით.

დაყოფის ეფექტურობა დამოკიდებულია დეფლეგმატორის კონსტრუქციასა და სიგრძეზე. რაც უფრო გრძელია დეფლეგმატორი და ბევრია მასში წყობურების რაოდენობა, მით უფრო ეფექტურად ხდება ნარევში შემავალი კომპონენტების დაყოფა.

ნავთობის გამოკვლევისა და მასში შემავალი ნახშირწყალბადების ნარევის სრული დაყოფისათვის ფართოდ გამოიყენება ზუსტი რექტიფიკაცია – გამოხდა სარექტიფიკაციო სვეტის გამოყენებით. სარექტიფიკაციო სვეტების გამოყენებისას ადგილი აქვს ურთიერთსანინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი სითხისა და ორთქლის მრავალჯერად კონტაქტს, რაც ხელს უწყობს ორთქლის ფაზის მაქსიმალურად გამდიდრებას დაბალმდუღარე კომპონენტებით და ნარევის ეფექტურ დაყოფას.

ნარევში შემავალი კომპონენტების დაყოფის ხარისხი დამოკიდებულია სვეტის სიმაღლეზე, მასში მოთავსებული წყობურების რაოდენობაზე, სითბოიზოლაციასა და ფლეგმის რიცხვზე.

იმისათვის, რომ ნარევის ფრაქციებად ან ინდივიდუალურ ნივთიერებებად დაყოფა იყოს ეფექტური, გამოხდა უნდა განხორციელდეს ადიაბატურ პირობებში, ე.ი. ადგილი უნდა ჰქონდეს სვეტსა და გარემომცველ ჰაერს შორის სითბომიმოცვლას.

თხევად ნივთიერებათა გამოხდის დროს (მათი დუღილის ტემპერატურის ზრდასთან ერთად) ადგილი აქვს სითბოს დაკარგვას არა მარტო ძირითადად გარემოსადმი მისი გადაცემით, არამედ სითბოს გამოსხივების შედეგადაც. სითბოს დანაკარგების თავიდან ასაცილებლად იყენებენ ლითონის რეფლექტორებს: ახდენენ მუფთის შიდა ზედაპირის მოვერცხლას, ან სვეტს ათავსებენ ალუმინის გაპრიალებული ფოლგისაგან დამზადებულ ცილინდრში. ზოგჯერ იყენებენ ორმაგედლიან ჭურჭელს, რომელშიც ცირკულირებს მუდმივი ტემპერატურის მქონე სითხე.

ყველაზე ხშირად სითბოდანაკარგების კომპენსაციას ახდენენ ელექტროგამაცხელებლით – სვეტის მუფთაზე ახვევენ ნიქრომის სპირალს (რომელსაც 220ვ. ძაბვის დროს აქვს 100-200 ომი წინღობა) და მას ათავსებენ მინის მილში. გამაცხელებელი სპირალის ტემპერატურას საჭიროების მიხედვით (ფლეგმის რიცხვის მიხედვით) არეგულირებს.

სვეტის ეფექტურობა დამოკიდებულია ასევე მასში არსებული წყობურების ზედაპირის ფართობზე, რაც მეტია წყობურის ზედაპირის ფართობი, მით უფრო ეფექტურია დაყოფა. რეკომენდებულია, წყობური დამზადებული იყოს 0.2-0.1მმ სისქის ნიქრომის სპირალისაგან, რომლის ხვიებს შორის შიდა დიამეტრი 1.2-1.5მმ-ია.

კომპონენტების დაყოფის ხარისხი დამოკიდებულია ასევე ფლეგმის რიცხვზე (ფლეგმის რიცხვი წამოადგენს უკუმაცივრიდან სვეტში დაბრუნებული სითხის რაოდენობის ფარდობას დროის ამავე მონაკვეთში მიმღებში გადასული დისტილატის რაოდენობასთან). ეფექტური სვეტების გამოყენებით შესაძლებელია ისეთი ნივთიერებების დაცილება, რომელთა დუღილის ტემპერატურებს შორის განსხვავება არის 1-0.5°C.

დეფლეგმატორებისა და სარექტიფიკაციო სვეტების გამოყენებით გამოხდას აწარმოებენ როგორც ატმოსფერულ წნევაზე, ასევე შემცირებული წნევის პირობებში.

ატმოსფერულ წნევაზე გამოხდით გამოყოფენ ნივთიერებებს, რომელთა დუღილის ტემპერატურა  $200^{\circ}\text{C}$ -მდეა. მას იყენებენ შედარებით ადვილადაქროლად ნივთიერებათა ნარევის დასაყოფად.

ჩვეულებრივ, ვაკუუმგამოხდას მიმართავენ მაღალმდუღარე ნახშირწყალბადების, მაგ., ნავთის ფრაქციასა და საპოხ ზეთებში შემავალი ნახშირწყალბადების გამოსაყოფად.

ზოგ შემთხვევებში ვაკუუმგამოხდას მიმართავენ ასევე დაბალმდუღარე ფრაქციის გამოსახდელად ნარევში შემავალი კომპონენტების დაცილების მიზნით, რადგან ვაკუუმში გამოხდის დროს წნევის შემცირება სხვადასხვა ნივთიერების დუღილის ტემპერატურაზე ერთნაირად არ მოქმედებს, რის გამოც იზრდება სხვაობა ნარევში შემავალ კომპონენტთა დუღილის ტემპერატურებს შორის და შესაძლებელი ხდება მათი დაცილება.

ასე მაგალითად, ატმოსფერულ წნევაზე დაახლოებით ერთნაირი დუღილის ტემპერატურის მქონე ნახშირწყალბადების ვაკუუმგამოხდის დროს ყველაზე მეტად მცირდება არომატულ ნახშირწყალბადთა დუღილის ტემპერატურა, შემდეგ ციკლოალკანების, ყველაზე ნაკლებად კი ალკანების. ამიტომ შემცირებული წნევის პირობებში გამოხდით შესაძლებელია მათი დაცილება.

ნავთობიდან მაღალმდუღარე ნახშირწყალბადების გამოსაყოფად ნარმატებით გამოიყენება მოლეკულური გამოხდა. გამოხდას აწარმოებენ ღრმა ვაკუუმში (ნარჩენი წნევა  $<0.1\text{Pa}$ ). ასაორთქლებელი სითხისა და კონდენსატის ზედაპირებს შორის მანძილი უფრო მცირეა ( $10-30\text{mm}$ ), ვიდრე მოლეკულის თავისუფალი გარბენის სიგრძე, ამიტომ აორთქლებული მოლეკულები არ ეჯახებიან ერთმანეთს და კონდენსატში აღწევენ ენერგიის მინიმალური დანაკარგებით. თანამედროვე როტორული აპარატები შესაძლებლობას იძლევა დაშლის გარეშე გამოიხადოს ფრაქცია  $650^{\circ}\text{C}$ -მდე დუღილის ტემპერატურით.

ნავთობის ზეთოვანი ფრაქციისა და ფისების დასაყოფად გამოიყენება წყლის ორთქლით გამოხდა. პირველყოვლისა, ამ დროს მცირდება გამოსახდელი ნივთიერების დუღილის ტემპერატურა (ატმოსფ. წნევას უტოლდება წყლის ორთქლის და გამოსახდელ ნივთიერებათა პარციალურ წნევათა ჯამი) და მეორე, წყლის ორთქლით გამოხდისას სხვადასხვა წნევთიერება სხვადასხვა სიჩქარით იხდება, რაც ნარევის დაყოფის შესაძლებლობას იძლევა.

## 8.2. აზეოტორაული და ესატრაქციული რეაქტივიკაცია

ბენზინის ვინწოდ ფრაქციაში შემავალ კომპონენტთა დასაყოფად გამოიყენება აზეოტროპული გამოხდა.

აზეოტროპული ნარევი ეწოდება ორი ან მეტი კომპონენტისაგან შემდგარ ნარევს, რომელიც დუღს მუდმივ ტემპერატურაზე, ამიტომ კონდენსატი ისევ საწყისი კომპონენტებისაგან შედგება.

განასხვავებენ „მინიმალურ აზეოტროპს“, როდესაც ნარევი დუღს უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე ძირითადი კომპონენტები და „მაქსიმალურ აზეოტროპს“, როდესაც ნარევი დუღს უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე ძირითადი კომპონენტები.

როგორც აღინიშნა, აზეოტროპული ნარევის დასაყოფად გამოიყენება ვაკუუმგამოხდა, რადგან წნევის შემცირება სხვადასხვაგვარად მოქმედებს ნარევში შემავალ ნივთიერებათა დუღილის ტემპერატურაზე. აზეოტროპული ნარევების დასაყოფად უმეტესად გამოიყენება ე.ნ. აზეოტროპული რექტიფიკაცია და ექსტრაქცია.

„აზეოტროპული რექტიფიკაციის“ დროს გამოხდით დაუყოფავ ნივთიერება-თა ნარევს უმატებენ სპეციალურ ნივთიერებებს – დაბალმოლეკულურ სპირტს ან მჟავას, რომლებიც ერთ-ერთ ნივთიერებასთან თვითონ წარმოქმნიან აზეოტროპულ ნარევს და ამით ათავისუფლებენ მეორე კომპონენტს. თუ დამატებული ნივთიერება ნარევის ერთ-ერთ კომპონენტთან წარმოქმნის „მინიმალურ აზეოტროპს“, იგი გამოიხდება და მეორე კომპონენტი რჩება ნაშთში; ხოლო თუ დამატებული ნივთიერება წარმოქმნის „მაქსიმალურ აზეოტროპს“, მაშინ გამოიხდება მეორე კომპონენტი, ხოლო აზეოტროპი რჩება ნაშთში. გამოხდის შემდეგ მიღებულ აზეოტროპს ამუშავებენ წყლით ან ჭუტით.

### 8.3. ექსტრაქცია

ბენზინისა და ნავთის ფრაქციებიდან კომპონენტების გამოსაყოფად ფართოდ გამოიყენება ექსტრაქცია – ანუ ე.ნ. ცივი ფრაქციონირება. საკვლევ ნარევს ამუშავებენ ისეთი გამხსნელით, რომელიც შერჩევითად ახდენს ნარევიდან გარკვეული რიგის ნახშირწყალბადების ამონვლილვას, მაგ; თხევადი  $\text{SO}_2$ -ით ხდება ფისოვანი ნივთიერებების, არენული და უჯერი ნახშირწყალბადების ექსტრაქცია და მათი დაცილება ალკანების და ციკლოალკანებისაგან.

ხშირ შემთხვევაში იყენებენ გამხსნელთა წყვილებს, რომელთაგან ერთი ხასიათდება მაღალი გამხსნელობითი უნარით – ხსნის ყველა კომპონენტს, ხოლო მეორე – კომპონენტთა ნაწილს, დანარჩენს კი გამოლექავს ხსნარიდან. გამხსნელთა ასეთ წყვილებს წარმოადგენენ: 1. ამილის სპირტი – ეთილის სპირტი 2. ბენზოლი – აცეტონი 3. ბენზოლი –  $\text{SO}_2$  და სხვ.


არენებისათვის ძალიან ეფექტურ ექსტრაგენტს წარმოადგენს სულფოლანი, რომლის გამოყენებისას  $62-140^{\circ}\text{C}$  ფრაქციიდან ბენზოლის გამოტანის ხარისხია 99.9%, ტოლუოლის – 99.5%, ხოლო ქსილოლების – 98%.

როგორც აზეოტროპიულ რექტიფიკაციას, ისე ექსტრაქციას საფუძვლად უდევს ნარევში შემავალი კომპონენტების განსხვავებული ურთიერთქმედება გამხსნელთან.

ნახშირბადატომების ერთი და იგივე რიცხვის შემცველი სხვადასხვა რიგის ნახშირწყალბადების ხსნადობა პოლარულ გამხსნელში იზრდება შემდეგი თან-

მიმდევრობით : ალკანები < ციკლოალკანები < ალკენები < ალკადინები < ალკინები < არენები.

არენები, ალკენები და ალკინები ნაჯერი ნახშირნყალბადებისაგან განსხვავებით წარმოადგენენ  $\pi$ -ელექტრონების დონორს და უნარი აქვთ ელექტრონო-აქცეპტორული გამხსნელის მოლეკულებთან წარმოქმნან  $\pi$ -კომპლექსები:



დამატებით, ალკინების შემთხვევაში ძლიერ, პოლარულ გამხსნელებთან ადგილი აქვს წყალბადური ბმების დამყარებას განაპირა  $\equiv\text{CH}$  ბმით.

რიგ შემთხვევებში თავს იჩენს გამხსნელისა და ნახშირნყალბადების მოლეკულებს შორის ინდუქციური ურთიერთქმედება, რომლის ძალა იზრდება ალკანებიდან – არენებისაკენ გადასვლისას. ამ თანმიმდევრობითვე იზრდება ნახშირნყალბადის მოლეკულის პოლარიზებადობა მოცულობით ერთეულზე (რაც განაპირობებს ინდუქციური ურთიერთქმედების ძალის გაზრდას).

#### 8.4. თერმული დიფუზია

ნავთობის ფრაქციებისა და ნავთობპროდუქტების დასაყოფად გამოიყენება თერმული დიფუზია. ეს მეთოდი დამყარებულია შემდეგ პრინციპზე: ნარევში ტემპერატურული გრადიენტის წარმოქმნა განაპირობებს კომპონენტთა კონცენტრაციების გრადიენტების წარმოქმნას.

პროცესი ტარდება თერმოდიფუზიურ სვეტებში, რომლებიც შედგება ორი აქსიალური ცილინდრისაგან, რომელთა შორის არსებობს 0.25-0.5მმ სიგრძის ღრეჩი. ცილინდრებს შორის თავსდება დასაყოფი ნარევი, ერთ ცილინდრს აცხ-ელებენ, მეორეს აცივებენ: წარმოქმნილი ტემპერატურული გრადიენტის გავლენით ნარევში არსებული ერთი ნივთიერების მოლეკულები გადაადგილდებიან ცივი ცილინდრისაკენ, ხოლო მეორეს მოლეკულები ცხელი ცილინდრისაკენ. ცივი ცილინდრისაკენ გადაადგილდებული მოლეკულები ეშვებიან და გროვდებიან სვეტის ქვედა ნაწილში, ხოლო ცხელი ცილინდრისაკენ გადაადგილდებული კომპონენტები მიემართებიან და გროვდებიან სვეტის ზედა ნაწილში.

ნარევში მყოფი ნივთიერებების დაცილების ამ მეთოდისათვის დამახასიათებელია შემდეგი კანონზომიერებები:

1. ცივი ცილინდრისაკენ მიემართებიან უფრო მეტი ნახშირბადის ატომის შემცველი და უფრო მაღალი დუღილის ტემპერატურის მქონე ნახშირნყალბადები.
2. ერთნაირი დუღილის ტემპერატურის მქონე ნივთიერებათა შემთხვევაში ცივი ცილინდრისაკენ მიემართება უფრო მცირე მოცულობის მქონე ნივთიერებები.

3. ერთნაირი დუღილის ტემპერატურისა და ერთნაირი მოლეკულური მოცულობების შემთხვევაში, ცივი ცილინდრისკენ მიემართებიან მოლეკულები, რომელთა ზედაპირი უმცირესია.

ნავთობის შემთხვევაში თერმოდიფუზიური დაყოფა გამოიყენება ძირითადად  $25\text{--}50^{\circ}\text{C}$ -ის ინტერვალში გამოხდილი ფრაქციებისათვის, რომელიც წინასწარ დაყოფილია ალკანურ-ციკლოალკანურ და არენულ ნახშირწყალბადებად.

ალკანურ-ციკლოალკანურ ნახშირწყალბადების თერმული დიფუზიის დროს, სვეტის ზედა ნაწილში ხდება ალკანების კონცენტრირება, შუა ნაწილში – მონო- და ბიციკლოალკანების, ხოლო ქვედა ნაწილში – პოლიციკლოალკანების.

თერმული დიფუზიის გამოყენება საშუალებას იძლევა დაიყოს ნივთიერებები, რომელთა დუღილის ტემპერატურებს შორის სხვაობა ძალის მცირეა: მაგ., ციკლოპექსანი და  $2.4$ -დიმეთილპენტანი (დუღილის ტემპერატურებს შორის სხვაობა  $0.24^{\circ}\text{C}$ ) ცის- და ტრანს-დეკალინები, ცის- და ტრანს - $1.2$ -დიმეთილციკლოპექსანები.

თერმული დიფუზია ნარმატებით გამოიყენება მრეწველობაში დაბალი გამყარების ტემპერატურისა და მაღალი სიბლანტის ინდექსის მქონე ზეთების მისაღებად.

## 8.5. პრისტალიზაცია

ნავთობიდან და ნავთობის ფრაქციებიდან, მაღალი ლლობის ტემპერატურის მქონე ჯგუფური და ინდივიდუალური ნახშირწყალბადების გამოსაყოფად გამოიყენება კრისტალიზაციის მეთოდი.

ნავთობის ფრაქციებიდან მაღალი ლლობის ტემპერატურის მქონე ნივთიერების გამოყოფა ზოგჯერ უბრალო გაცივებით – გამოყინვით ხერხდება. ამ მეთოდის გამოყენებით ახდენენ, მაგალითად, ქსილოლის იზომერების დაცილებას; პ-ქსილოლი კრისტალდება  $13.26^{\circ}\text{C}$ -ზე, ო-ქსილოლი –  $25.24^{\circ}\text{C}$ , ხოლო მ-ქსილოლი –  $47.74^{\circ}\text{C}$ ; იზომერული ქსილოლების ნარევის გაცივებისას  $0^{\circ}\text{C}$ -ზე იწყება პ-ქსილოლის კრისტალიზაცია, შემდგომი გაცივებისას  $-52^{\circ}\text{C}$  მდე იზრდება მყარი ფაზის რაოდენობა, რომელიც ძირითადად პ-ქსილოლისაგან შედგება, ხოლო –  $-52.7^{\circ}\text{C}$ -ზე მთელი ხნარი კრისტალდება. ამიტომ ნარევის –  $-52^{\circ}\text{C}$ -მდე გაცივებით ხსნარიდან გამოყოფენ პ-ქსილოლს (გაფილტვრით ან ცენტრიფუგირებით); ასეთი დამუშვებით გამოიყოფა ნარევში არსებული პ-ქსილოლის 65%.

ეს მეთოდი გამოიყენება  $C_{10}$  შედგენილობის ალკილბენზოლების ნარევებიდან 1.2.4.5-ტეტრამეთილპენზოლის გამოსაყოფად.

რიგ შემთხვევებში გაცივებისას ნავთობპროდუქტების სიბლანტე საკმაოდ იზრდება, რაც აბრკოლებს ნივთიერებათა გამოკრისტალებას, ამიტომ საჭირო ხდება ნავთობპროდუქტის წინასწარი განზავება გამხსნელებით. ამ მიზნით გამხსნელებად ძირითადად გამოიყენება მსუბუქი ბენზინის ფრაქცია, დიეთილის ეთერი, დიქლორმეთანი, დიქლორეთანი და სხვა.

მყარ კომპონენტთა დაკრისტალებას ხელს უშლის ასევე ნავთობსა და ნავ-თობპროდუქტებში ფისოვან ნივთიერებათა არსებობა. ამიტომ საჭიროა წინას-ნარ მათი გასუფთავება ფისებისა და ასფალტებისაგან. ფისებისა და ასფალ-ტებისაგან გაწმენდილი ნავთობიდან და ნავთობპროდუქტებიდან მყარ პარა-ფინებს გამოყოფენ აცეტონისა და ტოლუოლის ნარევით.

კრისტალიზაციის მნიშვნელოვან სახეობას ნარმოადგენს ექსტრაქციული კრისტალიზაცია. ამშემთხვევაში გამხსნელად გამოიყენება სელექტიური გამ-ხსნელი, რომელიც შერჩევითად ხსნის დაბალლობად ნივთიერებებს, ამასთანა-ვე ის უზრუნველყოფს თხევადი ფაზის არსებობას უფრო დაბალ ტემპერატურა-ზე, ვიდრე ევტექტიკური ნარევის გამყარების ტემპერატურაა, ამცირებს ხსნა-რის სიბლანტეს, რაც გაფილტვრის სტადიაზე ხელს უწყობს თხევადი ფაზის სრულყოფილ მოცილებას.

ექსტრაქციული კრისტალიზაცია გამოიყენება მაღალლობადი ციკლოალ-კანების, არენების და ნ-ალკანების დასაყოფად.

ადამანტანის, 1- და 2-მეთოლადამინტანის გამოსაყოფად ნავთობიდან, წი-ნასწარ ნავთობს გადადენიან წყლის ორთქლით, შემდეგ თიოშარდოვანათი და-მუშავებით გამოყოფენ კომპლექსურ ნაერთს, რომლის დაშლის შედეგად ახდე-ნენ აღნიშნული ნაერთების საფეხურებრივ კრისტალიზაციას მეთილის სპირტი-დან.

დიდი გამოყენება მოიპოვა ექსტრაქციულმა კრისტალიზაციამ როგორც ზე-თების დეპარატინიზაციისათვის, ასევე მყარი პარაფინების ზეთისაგან გასაწ-მენდად.

ამ მიზნით ყველაზე ფართოდ სელექტიურ გამხსნელებად გამოიყენება მე-თილეთილკეტონის – ტოლუოლის, მეთილეთილკეტონის –მეთილიზობუტილკე-ტონის, აცეტონის – პროპენის, დიქლორეთანის – დიქლორმეთანის ნარევები, თხევადი პროპენი.

აღსანიშნავია, რომ ზეთების დეპარატინიზაციის პროცესში გამოყენებული კეტონების მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად მათი სელექტიურობა მცირ-დება, მაგრამ ზეთოვანი კომპონენტების მიმართ გახსნის უნარი იზრდება.

## 8.6. ქრომატოგრაფია

ნავთობის შედგენილობის შესასწავლად და კომპონენტთა დასაყოფად ყვე-ლაზე ფართოდ გამოიყენება ქრომატოგრაფია.

ქრომატოგრაფია – კომპონენტთა ანალიზისა და დაყოფის ფიზიკურ-ქიმიუ-რი მეთოდია, რომელიც დაფუძნებულია ნარევში შემავალი ნივთიერებების გა-ნანილებაზე ორ ფაზას – უძრავ და მოძრავ ფაზებს შორის.

ქრომატოგრაფიული მეთოდების ბევრი სახეობა არსებობს. მათ კლასიფიკა-ციას ახდენენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

კომპონენტთა დაყოფისას მიმდინარე პროცესების ბუნების მიხედვით გა-ნასხვავებენ ადსორბციულ, გამანანილებელ და დალექციო ქრომატოგრაფიას.

ადსორბციული ქრომატოგრაფიის ძირითად პროცესს საფუძვლად უდევს ნარევში არსებული კომპონენტების განსხვავებული ადსორბციის უნარი ადსორბენტის ზედაპირზე.

გამანანილებელი ქრომატოგრაფიის საფუძველია გახსნილ ნივთიერებათა განაწილება ორ ერთმანეთში შეურევად სითხეს (ან სითხესა და აირს) შორის, რაც დამოკიდებულია ამ ორ სითხეში (ან სითხესა და აირში) ნივთიერებათა განსხვავებულ ხსნადობასა და განაწილების განსხვავებულ კოეფიციენტებზე.

დალექვითი ქრომატოგრაფია ეფუძნება დასაყოფ ნივთიერებათა მიერ ნალექის ნამოქმნას, დამლექავთან ქიმიური რეაქციის შედეგად.

ქრომატოგრაფიის კლასიფიკაციას ახდენენ აგრეთვე ფაზების აგრეგატული ნიშნის მიხედვით.

უძრავი ფაზა შეიძლება იყოს მყარი ან თხევადი, მოძრავი კი სითხე ან აირი; თუ უძრავ ფაზას მყარი ნივთიერება ნარმოადგენს, ხოლო მოძრავს აირი, ქრომატოგრაფიას აირად-ადსორბციული ქრომატოგრაფია ეწოდება. თუ მოძრავ ფაზას სითხე ნარმოადგენს, მაშინ ქრომატოგრაფია თხევად-ადსორბციული ქრომატოგრაფიაა. თუ უძრავ ფაზას ნარმოდგენს სითხე, მოძრავს კი აირი – აირ-თხევადი ქრომატოგრაფიაა, ხოლო თუ ორივე ფაზას სითხე ნარმოადგენს – თხევად-თხევადი ქრომატოგრაფიაა.

კომპონენტთა დაყოფა შეიძლება განხორციელდეს სვეტებში – ეს სვეტური ქრომატოგრაფიაა; კაპილარებში, სადაც უძრავ ფაზას ნარმოადგენს სითხე ანდა სითხით გაუღენთილი მყარი ნივთიერებების ფხვნილი – კაპილარული ქრომატოგრაფიაა, ქრომატოგრაფია სპეციალურ ფორმვან ქაღალდზე – ქაღალდზე ქრომატოგრაფიაა, ხოლო სორბენტის თხელ ფენაზე, რომელიც დატანილია თხელ ფირზე – თხელფენოვანი ქრომატოგრაფია.

ნარევის დაყოფა შეიძლება როგორც მუდმივ წნევასა და ტემპერატურაზე, ასევე ტემპერატურისა და აირ-მატარებლის წნევის თანდათანობით გაზრდის პირობებში.

სვეტში დასაყოფი ნარევის გადაადგილების მიხედვით განასხვავებენ გამოშუღანებით, ფრონტალურ და გამოძევებით ქრომატოგრაფიებს.

ყველაზე ხშირად ლაბორატორიულ პრაქტიკაში გამოიყენება გამოშუღავნებითი ქრომატოგრაფია, რომლის დროსაც ადსორბენტით შევსებულ სვეტში შეაქვთ განსაზღვრული რაოდენობით დასაყოფი ნარევი და შემდეგ გამსხველი ან აირ-მატარებელი (გამოშუღავნებელი), რომელიც უფრო სუსტად ადსორბცირდება, ვიდრე ნარევის კომპონენტები. შედეგად ხდება ნარევში შემავალი კომპონენტების გადანაცვლება და მათი ზონებად დაყოფა. პირობების შერჩევა ნარევის სრული დაყოფის და ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა.

ფრონტალური ანალიზის დროს, კომპონენტთა ნარევს მუდმივად (უწყვეტად) ატარებენ ადსორბენტით შევსებულ სვეტში. ჯერ გამოდის მცირედ ადსორბირებული კომპონენტი, შემდეგ კომპონენტთა ნარევი. ამ მეთოდით შესაძლებელია მხოლოდ მცირედ ადსორბირებული კომპონენტების გამოყოფა.

გამოძევებითი ქრომატოგრაფიის დროს სვეტში შეჰყავთ კომპონენტთა ნარევი, შემდეგ გამომძევებელი, რომელიც კომპონენტებზე უფრო ძლიერი ადსორბციის უნარით ხასიათდება. ამ მეთოდით შესაძლებელია სუფთა სახით კომპონენტების გამოყოფა მცირე რაოდენობით. ზონათა საზღვარზე მათი ურთიერთდიფუზის გამო მათი სრული დაყოფა ვერ ხერხდება.

ლაბორატორიულ პრაქტიკაში ნავთობისა და ნავთობროდუქტების დასაყოფად გამოიყენება სვეტური ქრომატოგრაფია.

ამოცანის შესასრულებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადსორბენტისა და დესორბენტის სწორად შერჩევას.

ნავთობპროდუქტების დასაყოფად გამოიყენება ორი ტიპის ადსორბენტი:

1. ადსორბენტი მოუწესრიგებელი კრისტალური სტრუქტურითა და არაერთგვაროვანი ფორმიანობით (სილიკაგელი, აქტიური ალუმინის ოქსიდი, აქტიური ნახშირი) და 2. ადსორბენტები ერთგვაროვანი ფორებით (ცეოლითები, მოლეკულური საცრები).

სილიკაგელზე განსაკუთრებით ძლიერად ადსორბირდებიან ნავთობში შემავალი ჰეტეროატომის შემცველი კომპონენტები, ასევე პოლიციკლური არენები, ნაკლები სიძლიერით – არენები ერთი არომატული ბირთვით და მნიშვნელოვნად სუსტად – ალკანები და ციკლოალკანები.


სილიკაგელებს განასხვავებენ ფორმიანობის მიხედვით – წვრილფორმიან და მსხვილფორმიანად, რომელთა კლასიფიკაციას ახდენენ მარცვლების ზომების მიხედვით. მსხვილფორმიანი სილიკაგელების ფორების საშუალო დიამეტრი 14.9-17.26მ-ია, ხოლო წვრილფორმიანის – 1.7-26მ. მსხვილფორმოვანი სილიკაგელები შეიცავენ 94%  $\text{SiO}_2$ -ს, მინარევების სახით: 0.2-0.55%  $\text{Al}_2\text{O}_3$ -ს, 0.1%  $\text{Fe}_2\text{O}_3$ -ს, ტუტე და ტუტემინათა ლითონების ოქსიდებს. წვრილფორმოვან სილიკაგელში  $\text{SiO}_2$ -ის შემცველობა 89%-ია. განმამტკიცებელი დანამატის სახით შეიცავს 7-10%  $\text{Al}_2\text{O}_3$ -ს.

ალუმინის ოქსიდზე უფრო ეფექტურად შეიძლება დაიყოს ნახშირნყალბადები გოგირდშემცველი ნაერთებიდან და ასევე მონო-, ბი- დ პოლიციკლური არომატული ნახშირნყალბადები ერთმანეთისაგან.

განსაკუთრებით სელექტიურ ადსორბენტებს წარმოდგენენ როგორც ბუნებრივი, ისე სინთეზური ცეოლითები. თავისი შედგენილობით ცეოლითები ალუმოსილიკატებია.

ბუნებრივი ცეოლითებიდან გავრცელებულია კლინოპტილოლიტები, რომელთა შედგენილობა:  $\text{Na}_2\text{O}(\text{H}_2\text{O})\text{Al}_2\text{O}_3 \cdot 10\text{SiO}_2 \cdot 8\text{H}_2\text{O}$ , ასევე მორდენიტი, ფილიპსიტი და შაბაზიტი. ადსორბენტებად და კატალიზატორებად ბუნებრივ ცეოლითებთან ერთად ფართოდ გამოიყენება სინთეზური ცეოლითები, რომლებიც მიიღებიან ტუტის წყალხსნარის გაცხელებით ალუმოსილიკატებთან ერთად. მათი შედგენილობა ზოგადად შეიძლება ასე გამოვსახოთ:  $\text{M}_{2/n}\text{O} \cdot \text{Al}_2\text{O}_3 \cdot X\text{SiO}_2 \cdot Y\text{H}_2\text{O}$ , სადაც  $M$  ტუტე ან ტუტემინათა ლითონია.  $\text{SiO}_2$ -ისა და  $\text{Al}_2\text{O}_3$ -ის მოლთა ფარდობა ( $X$ -ის მნიშვნელობა) განსაზღვრავს ცეოლითის ტიპს.

A ტიპის ცეოლითში  $x=2$ ; X ტიპის ცეოლითში  $x=2.2-2.8$ , ხოლო Y ტიპის ცეოლითებში  $x=3.5$ .



ედრებით. ეს ტეტრაედრები ჯგუფდებიან პოლიედრების წარმოქმნით (8 ტეტრა-ედრი წარმოქმნის კუბს, 12 – ჰექსაგონლურ პრიზმას, 24 – კუბონეტატას).

$\text{Si}^{+4}$  -ის ჩანაცვლება  $\text{Al}^{+3}$ -ით იწვევს მესერმი უარყოფითი მუხტის წარმოქმნას, რომელიც ნეიტრალდება მესერის შიდა ღრუებში განლაგებული ტუტე და ტუტემინათა მეტალების კათიონებით.

პოლიედრებს შორის და პოლიედრებში წარმოქმნილი ღრუები დაკავშირებულია ერთმანეთთან არხებით ან უანგბადოვანი რგოლებით (ფანჯრებით). ამ ღრმულებსა და ფანჯრებს აქვთ მოლეკულური ზომები და ცეოლითის ყოველი ტიპისათვის ის დამახასიათებელ სიდიდეს წარმოადგენს.

ცეოლითების სტრუქტურული ერთეულის კუბონეტატაედრის შიგნით არსებული მოცულობა (მცირე ფორმები) ერთნაირია A და X ტიპების ცეოლითებისათვის, ხოლო დიდი ფორმები (ღრუები) სივრცე კუბონეტატაედრსა და უანგბადის ხიდებს შორის ზომით მცირედ განსხვავდებიან. ძირითადი განსხვავება გაპირობებულია დიდი ღრუების ფანჯრების ზომების სიდიდით. A ტიპის ცეოლითების დიდი ღრუები ერთმანეთს უკავშირდებიან რვანევრიანი უანგბადის ფანჯრებით, ხოლო X ტიპის ცეოლითის – 12 წევრიანი უანგბადის ფანჯრებით. ამ ფანჯრების დიამეტრები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ფანჯრების დიამეტრი დამოკიდებულია ასევე კათიონის ბუნებაზე.

ცეოლითების ტიპებს აღნიშნავენ ორგვარად: 4A, 5A, 10X, 13X, სადაც ციფრები მიუთითებენ ფანჯრების დიამეტრს ანგსტრემებში (A და X ცეოლითის ტიპებს) ან ციფრის ნაცვლად მიუთითებენ კათიონებს NaA, CaA, NaX, CaX და ა.შ.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ზოგიერთი ცეოლითისთვის დიდი ღრუებისა და შემაერთებელი ფანჯრების ზომები ნმ-ში:

#### ცხრილი 8.1

**ზოგიერთი ცეოლითისთვის დიდი ღრუებისა და  
შემაერთებელი ფანჯრების ზომები ნმ-ში**

ცეოლითი	LiA	NaA	KA	CaA	NaX NaY	CaX CaY
დიდი ღრმულების დიამეტრი	1.2	1.1-1.2	1.1	1.1	1.1-1.3	1.1-1.3
ფანჯრების ზომები	0.4-4	0.4	0.38	5.0	9	8

სწორედ ამიტომ გარკვეული სტრუქტურის ცეოლითებს მხოლოდ შესაბამისი ზომის მოლეკულების ადსორბციის უნარი გააჩნიათ, რაც განაპირობებს მათ მაღალ სელექციურობას ადსორბციისა და კატალიზის პროცესებში.

მაგ.; KA ადსორბირებს მხოლოდ ნყალს, NaA – H<sub>2</sub>O, CO<sub>2</sub>, H<sub>2</sub>S, NH<sub>3</sub>, CH<sub>3</sub>OH, C<sub>2</sub>H<sub>4</sub>, C<sub>3</sub>H<sub>6</sub>, C<sub>2</sub>H<sub>6</sub>; CaA – 20 ატომამდე ნახშირბადატომების შემცველობის 6-ალნაგობის ნახშირწყალბადებს და სპირტებს, ასევე მეთოლ- და ეთილთიოსპირტებს, ეთილენოქსიდს; CaX ცეოლითი ადსორბირებს განშტოებული ალნაგობის ალკანებს და სპირტებს, ბენზოლს, ციკლოპექსანს და მათ ჰომოლოგების დაბალ წევრებს. CaX-ზე ვერ ადსორბირდება ბენზოლის ჰომოლოგები დიდი და განშტოებული რადიკალებით, მაგ., 1.3.5-ტრიეთილბენზოლი.

ცეოლითები პოლარული ადსორბენტებია, ამიტომ ადსორბციული მეთოდით კომპონენტთა დაყოფა ხდება არა მარტო მოლეკულური ზომების მიხედვით, არამედ პოლარობის ხარისხის მიხედვითაც.

ნავთობის ფრაქციებისა და ნახშირწყალბადთა დაყოფა ცეოლითებზე ფართოდ გამოიყენება არა მარტო ლაბორატორიებში პრეპარატულ-ანალიზური მიზნებისათვის, არამედ მრეწველობაშიც.

CaA – ცეოლითზე ადსორბციით ნავთ-გაზოილის ფრაქციიდან (200-320°C) გამოიყოფა C<sub>10</sub>-C<sub>18</sub> შედგენილობის ალკანები.

ძალიან სპეციფიკურად მიმდინარეობს ცეოლითებზე ქსილოლების ადსორბცია. BaY-ზე სელექციურად ადსორბირდება პ-ქსილოლი, CaY-ზე და SrY-ზე – მ-ქსილოლი, ხოლო NaY-ზე ო-ქსილოლი.

ბუნებრივი და მუავით მოდიფიცირებული ტუფის შემცველი კლინოპტილოლითები ძლიერად და სელექციურად ადსორბირებენ ნავთობში შემავალი ჰეტეროატომების შემცველ ნივთიერებებს; ჰეტეროატომების შემცველი ნივთიერებებისა და არენებისათვის რეაქტიული საწვავის გასასუფთავებლად გამოიყენება ასევე სინთეზური ცეოლითები: NaX და CaX.

ნავთის ფრაქციიდან რეაქტიული საწვავისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტების გამოსაყოფად, ჯერ ახდენენ ნავთის დეარომატიზაციას, ხოლო შემდეგ მის დაყოფას CaNaX ცეოლითზე, სადაც უპირატესად ადსორბირდება ბი- და ტრიციკლური ციკლოალკანები. შემდგომი მათი დესორბციით კი ხდება რეაქტიული საწვავისათვის მაღალხარისხოვანი კომპონენტების გამოყოფა.

ადსორბირებული ნახშირწყალბადების სელექციური დესორბციის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს გამხსნელების (დესორბენტების, მოძრავი ფაზის) სწორ შერჩევას, მაგ., ნაჯერი ნახშირწყალბადების დესორბციისათვის გამოიყენება C<sub>5</sub>-C<sub>7</sub> შედგენილობის ნ-ალკანები, არომატული და ჰეტეროატომის შემცველი ნივთიერებებისათვის – ბენზოლი, სპირტისა და ბენზოლის ნარევი, აცეტონი, ქლოროფორმი. მოძრავი ფაზის პოლარულობის თანდათანობით გაზრდა შესაძლებელს ხდის შემცირდეს ადსორბენტზე ნივთიერებების დაკავების დრო. ამ მეთოდს გრადიენტულ ელუირებას უწოდებენ.

## **9. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შედგენილობის შესწავლა**

ნავთობის გამოყენების სწორი მიმართულების განსაზღვრა მოითხოვს ნავთობისა და მისი ფრაქციების შედგენილობის შესწავლას.

ნავთობის კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები საშუალებას იძლევა ბენზინისა და ნავთის ფრაქციებში განისაზღვროს ნახშირწყალბადთა ჯგუფური შედგენილობა, გაზოილის, ზეთების და ნავთობის მძიმე ნარჩენებისათვის სტრუქტურულ-ჯგუფური შედგენილობა, ხოლო ნავთობური აირების, ბენზინისა და ნავთის ვიწრო ფრაქციებში ინდივიდუალურ ნივთიერებათა შემცველობა.

### **9.1. ელემენტური ანალიზი**

ნავთობის გადამუშავების მატერიალური ბალანსის შედგენისათვის აუცილებელია ნავთობის შედგენილობაში შემავალი ელემენტების, ძირითადად C, H, S, N-ის განსაზღვრა.

C, H-ის და N-ის განსაზღვრა ხდება საყოველთაოდ ცნობილი – წვის მეთოდით.

წყალბადისა და ნახშირბადის განსაზღვრა ეფუძნება ნავთობის ან ნავთობპროდუქტის სრულ დაწვას ჟანგბადის არეში და ნარმოქმნილი (მინარევებისაგან განმენდილი) წყლისა და ნახშირორჟანგის შეკავებას შესაბამისი მშთანთქმელებით. მათი რაოდენობის განსაზღვრით (წონითი მეთოდით) ხდება აღებულ პროდუქტებში წყალბადისა და ნახშირბადის მასური წილის განსაზღვრა.

აზოტის შემცველობის განსაზღვრა ხდება დიუმას ან კიელდალის მეთოდით.

დიუმას მეთოდის მიხედვით ხდება ნახშირბადის დიოქსიდის არეში სპილენდის (II) ოქსიდით ნავთობპროდუქტების დაუანგვა; ნარმოქმნილი სპილენდი ალადგენს დაუანგვის პროცესში წარმოქმნილ აზოტის ოქსიდებს აზოტამდე. აზოტისა და ნახშირბადის დიოქსიდის ნარევი ტარდება ტუტის ხსნარში, რომელიც შთანთქავს ნახშირბადის დიოქსიდს და დარჩენილი აზოტის მოცულობით საზღვრავენ აზოტის მასურ წილს ნავთობპროდუქტებში.

კიელდალის მეთოდის მიხედვით ნავთობპროდუქტი იუანგება კონცენტრირებული გოგირდმუავათი, ნარმოქმნილი ამონიუმის სულფატზე ტუტის მოქმედებით გამოყოფილი ამიაკი იტიტრება მუავათი.

ჟანგბადის მასური წილი მეტნილად ისაზღვრება სხვაობით (100-ს გამოკლებული ყველა ელემენტის მასური წილების ჯამი).


არსებობს უანგბადის განსაზღვრის პირდაპირი მეთოდი, კერძოდ – ნავთობ-პროდუქტის პიროლიზით ინერტული აირის ნაკადში პლატინირებული გრაფიტისა და სპილენძის ოქსიდის თანდასწრებით. უანგბადის რაოდენობა ისაზღვრება გამოყოფილი ნახშირბადის დიოქსიდის მასის მიხედვით.

დღეისათვის დამუშავებული და გამოყენებულია ნავთობსა და ნავთობრო-დუქტებში გოგირდშემცველ ნაერთთა თვისებითი და რაოდენობითი ანალიზის სხვადასხვა მეთოდი. თვისებითი მეთოდები უპირველეს ყოვლისა გამოიყენება გოგირდწყალბადის, თიოლებისა და თავისუფალი გოგირდის განსაზღვრისათვის.

ლაბორატორიულ პრაქტიკაში თვისებითი ანალიზის მეთოდებიდან ყველაზე მეტად გამოიყენება სინჯი სპილენძის ფირფიტაზე მიღებულია სტანდარტულ მეთოდად და საერთაშორისო გამოყენება აქვს. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: გაცხელებულ ნავთობსა და ნავთობროდუქტებში (ბენზინი, ნავთი, რეაქტიული საწვავი, დიზელის საწვავი, საცხები ზეთი) სპილენძის ფირფიტის მოთავსებისას გარკვეული დროის შემდეგ ფირფიტა შეიღებება სხვადასხვა ფერად (მასზე ჩნდება სხვადასხვა ფერის ლაქა) – ღია ნაცრისფერიდან თითქმის შავ ფერამდე. დაახლოებით  $100^{\circ}\text{C}$ -ზე სპილენძის ფირფიტაზე მოყვითალო-ნარინჯისფერი ლაქების გაჩენა მიუთითებს ნავთობპროდუქტებში თიოლების და სულფიდების არსებობაზე.


ნავთობროდუქტებში თავისუფალი გოგირდის აღმოჩენა შეიძლება მეტალური ვერცხლისწყლით, მასზე შავი ფერის ლაქის გაჩენით.

ე.ნ. „საექიმო სინჯის“ მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: ნავთობპროდუქტისა და ნატრიუმის პლუმბატის ხსნარს ინტენსიურად ურევენ. თუ ნავთობპროდუქტი შეიცავს გოგირდწყალბადს, გამოიყოფა ტყვიის სულფიდის შავი ფერის ნალექი.



„საექიმო სინჯი“ ძალიან მგრძნობიარეა. მისი საშუალებით შესაძლებელია გოგირდწყალბადის აღმოჩენა  $0.0006\%$ -მდე შემცველობისას.

$\text{Na}_2\text{PbO}_2$ -თან რეაქციაში შედიან ასევე თიოლებიც:



თიოლების შემთხვევაში საანალიზო ნავთობპროდუქტი იღებს ნარინჯის-ფერს, ყავისფერს და შავ ფერს.

შემუშავებულია გოგირდშემცველ ნაერთთა ჯგუფური და სტრუქტურული შედგენილობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდები: აირად-თხევადი, თხევად-თხევადი ქრომატოგრაფია, პოლაროგრაფია, პოტენციომეტრული და ამპერიმეტრული გატიტვრა, უი-, ინ- და ბმრ სპექტროსკოპია, მას-სპექტრომეტრია.

პოლაროგრაფიული მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნავთობსა და ნავთობპროდუქტში გოგირდწყალბადის, თავისუფალი, თიოლური, სულფიდური და დისულფიდური გოგირდის შემცველობა.

ძრავის საწვავებში (ბენზინში, რეაქტიულ და დიზელის საწვავებში) გოგირ-დნებალბადსა და თიოლურ გოგირდს საზღვრავენ სახელმწიფო სტანდარტის მი-ხედვით – პოტენციომეტრული მეთოდით; გატიტვრის მრუდების საშულებით შესაძლებელია თვისებრივად შეფასდეს თავისუფალი გოგირდის არსებობა.

მერკაპტანების განსაზღვრისათვის იყენებენ დინიტროქლორბენზოლს. ეს მეთოდი დამყარებულია 2.4-დინიტროქლორბენზოლის თვისებაზე – მომენტა-ლურად შევიდეს რეაქციაში მერკაპტანებთან კრისტალური ნივთიერების წარ-მოქმნით.

მიღებული კრისტალური ნივთიერებები ხასიათდებიან განსაზღვრული ლლობის ტემპერატურით.

ასევე აღსანიშნავია, რომ მიღებული ნივთიერებები ადვილად იუანგებინ პერმანგანატით შესაბამისი სულფონების წარმოქმნით. სულფონებიც ასევე კრისტალურ ნივთიერებებს წარმოადგენენ დამახასიათებელი ლლობის ტემპე-რატურით.

ინდივიდუალური სახით გოგირდშემცველ ნაერთთა განსაზღვრა ძალიან ძნელია, ამიტომ ჩვეულებრივ ისაზღვრება საერთო გოგირდის შემცველობა, რომელიც წარმოადგენს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ერთ-ერთ ძირი-თად მახასიათებელს.

საერთო გოგირდის განსაზღვრის მეთოდებს ყოფენ ორ კლასად: ქიმიურ და ფიზიკურ მეთოდებად.

ანალიზის ფიზიკურ მეთოდს ეკუთვნის შემდეგი მეთოდები: ნეიტრონულ-აქტივაციური (ნაა), რენტგენულ-ფლუორესცენტური (რფა), რენტგენულ-რადი-ომეტრული (რრმ) და ატომურ-ადსორბციული მეთოდი.

ნეიტრონულ-აქტივაციური მეთოდი დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერე-ბების ბირთვებთან ნეიტრონის ურთიერთქმედებაზე (საშუალებას იძლევა განი-საზღვროს  $5-10^{-2}$ % გოგირდი).

რენტგენულ-ფლუორესცენტურ მეთოდს საფუძვლად უდევს რენტგენის სხივების შთანთქმის ხარისხის განსაზღვრა, თუ ცნობილია დამოკიდებულება საანალიზო ნივთიერებათა კონცენტრციასა და რენტგენის სხივების შთანთქმას შორის (მეთოდი გამოიყენება  $1.10^{-2}$ % გოგირდის შემცელობისას).

რენტგენულ-ფლუორესცენტური მეთოდის გამოყენებისას ზომავენ რენ-ტგენის ფლუორესცენტიის კვანტების ნაკადს, რომელთა ენერგია ახასიათებს განსასაზღვრავ ელემენტს, ხოლო ინტენსიურობა – მის შემცველობას (გოგირ-დის განსაზღვრის ზღვარი  $5.10^{-3}$ % შეადგენს).

საერთო გოგირდის განსაზღვრის ქიმიური მეთოდებიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება დაუანგვის მეთოდი; სხვადასხვა კონსტრუქციის ხელსაწყოში (ნა-თურაში, კალორიმეტრულ ყუმბარაში, კვარცის მილში, ტიგელში, კოლბაში, დი-ოქსანის სანთურაში) წვავენ ნავთობს და ნავთობპროდუქტს. წვის შედეგად წარ-მოქმნილ გოგირდის ოქსიდებს აბსორბერში აკავებენ და შემდეგ ახდენენ მათ რაოდენობრივ განსაზღვრას.

ნათურის მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: სპეციალურ ნათურაში იწვება ნავთობპროდუქტი (არამბოლავი ალით), რის შემდეგ აბსორბერში ხდება ნარმოქმნილი გოგირდის (IV) ოქსიდის შთანთქმა სოდის ხსნარით. მიღებულ ხსნარში გატიტვრით ისაზღვრება ჭარბი სოდის რაოდენობა, რითაც გაიანგარიშება გოგირდის (IV) ოქსიდის შთანთქმისას დახარჯული სოდის რაოდენობა, შესაბამისად – გოგირდის რაოდენობა.

## 9.2. ნახშირცყალბადთა ჯგუფური და სტრუქტურულ-ჯგუფური გადგენილობის განსაზღვრა

ტექნიკური მიზნებისათვის ნავთობის ფრაქციების ინდივიდუალურ შედგენილობის შესწავლა არ არის საჭირო, საკმარისია მათში კლასების მიხედვით ნახშირწყალბადთა ჯამური შემცველობის განსაზღვრა.


ამ მიზნით გამოიყენება 1. ქიმიური, 2. ფიზიკურ-ქიმიური, 3. ფიზიკური და 4. კომბინირებული მეთოდები.

1. ქიმიური მეთოდები დამყარებულია რომელიმე რეაგენტის შერჩევით მოქმედებაზე განსაზღვრული კლასის ნახშირწყალბადებთან (არენებთან ან ალკენებთან), რომელთა რაოდენობრივი შემცველობა განისაზღვრება რეაგენტის მოქმედების შედეგად საწყისი ნარევის მოცულობის ცვლილებით ან მიღებული რეაქციის პროდუქტის რაოდენობით.
2. ფიზიკურ-ქიმიური მეთოდი დამყარებულია სხვადასხვა კლასისა და აღნაგობის ნახშირწყალბადების განსხვავებული ექსტრაქციისა და ადსორბციის უნარზე.
3. ფიზიკური (ინსტრუმენტული) მეთოდებია: ულტრაიისფერი, ინფრანითელი, ბმრ სპექტროსკოპული და ქრომატო-მას-სპექტრომეტრული მეთოდები.
4. კომბინირებული მეთოდები. ამ მეთოდის დროს ერთდროულად გამოიყენება რომელიმე ორი მეთოდი. მაგ.; საზღვრავენ ნავთობპროდუქტის ფიზიკურ თვისებებს (გარდატეხის მაჩვენებელს, სხვა გმხსნელში გახსნის კრიტიკულ ტემპერატურას) არენების მოცილებამდე და მოცილების შემდეგ. ნარევში შემავალი ინდივიდუური კომპონენტების დაყოფა ხდება პრეპარატული ქრომატოგრაფიით, ხოლო იდენტიფიკაცია – სპექტრალური ან სხვა მეთოდებით.

ქიმიური მეთოდის გამოყენებით ძირითადად ისაზღვრება ალკენები და არომატული ნახშირწყალბადები.

ბუნებრივი ნავთობი და მისგან გამოხდით მიღებული ნავთობპროდუქტები უჯერ ნახშირწყალბადებს არ შეიცავენ. უჯერი ნახშირწყალბადები შედიან თერმული და თერმოკატალიზური გადამუშავების შედეგად მიღებულ ნავთობპროდუქტებში.

ნავთობპროდუქტებში უჯერი ნახშირწყალბადების განსაზღვრა ემყარება მათ გაზრდილ რეაქციისუნარიანობას მიერთების რეაქიებში, კერძოდ, ჰალოგენებთან (ბრომთან, იოდთან)




უჯერი ნაერთების შემცველობას ნავთობპროდუქტებში გამოსახავენ იოდის ან ბრომის რიცხვით.

იოდის (ბრომის) რიცხვი ენოდება იოდის (ბრომის) რაოდენობას გ-ში, რომელიც განსაზღვრულ პირობებში უერთდება 100გ საკვლევ პროდუქტს.

ალკენების განსაზღვრისათვის ზოგ შემთხვევაში მიმართავენ ჰიდრირების რეაქციას, რომელიც ტარდება პლატინის ან პალადიუმის კატალიზატორების მონანილეობით ოთახის ტემპერატურაზე. ამ პირობებში არენები არ ჰიდრირდებიან. ამ შემთხვევაში საკვლევი პროდუქტის უჯერობის ხარისხს ახასიათებენ წყალბადის რიცხვით.

წყალბადის რიცხვი ენოდება წყალბადის (მოცულობით) რაოდენობას სმ<sup>3</sup>-ში, რომელსაც იერთებს 1 გ საკვლევი ნივთიერება.

სუფთა სახით ალკენების გამოსაყოფად იყენებენ რეაქციას ვერცხლის-წყლის აცეტატთან მეთანოლის არეში:



რეაქციის პროდუქტს გამოყოფენ რეაქციაში შეუსვლელი გამხსნელისა და ნახშირწყალბადების გადადენით ვაკუუმში. მიღებულ ვერცხლისწყლის ნაწარმზე არაორგანული მჟავების მოქმედებით ხდება ალკენების გამოყოფა.

ბენზინის ფრაქციებიდან ალკენების მოცილება ხდება 85%-იანი გოგირდმუავით.

არომატული ნახშირწყალბადების განსაზღვრისთვის გამოიყენება 98-99%-იანი გოგირდმჟავა ან 5-10%-იანი ოლეუმი ოთახის ტემპერატურაზე. ალკანებისა და ციკლოალკანებისაგან განსხვავებით, არენები რაოდენობრივად შედიან სულფირების რეაქციაში, ნარმოქმნილი არომატული სულფომჟავა იხსნება ჭარბ გოგირდმჟავაში. საწყისი ფრაქციის მოცულობის შემცირება ( $\Delta V$ ) შეესაბამება მასში არსებული არენების მოცულობას.

ქიმიური რეაქციისუნარიანობით განსხვავდებიან ნაფთალინის, ანტრაცენის და ფენანტრენის რიგის ნახშირწყალბადები, რაც თითეული მათგანის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ნავთობის ფრაქციებში შემავალი ნაფთალინის რიგის და სხვა პოლიციკლური ნახშირწყალბადების განსაზღვრა ეფუძნება მათ უნარს პიკრინის მჟავას ან სხვა ძლიერ ელექტრონოაქცეპტორულ ნივთიერებთან ნარმოქმნან კომპლექსური ნაერთები.

ანტრაცენისა და მისი ჰომოლოგების გამოყოფა ადვილად ხდება მალეინის ან ჰიდრიდით გაცხელებისას. ადუქტის ნარმოქმნა ანალოგიურად მიმდინარეობს ნაფთალინის ნარმოებულებთანაც, მაგრამ უფრო ძნელად. ფენანტრენის რიგის ნახშირწყალბადების გამოსაყოფად იმავე მალეინის ანჰიდრიდთან პროცესს ატარებენ სინათლეზე – ადუქტის ნარმოქმნა მიმდინარეობს ფოტოკონდენსაციით.

აღსანიშნავია, რომ ფენანტრენში 9,10-მდგომარეობაში ჩამნაცვლებლის არ-სებობა იწვევს ადუქტის გამოსავლიანობის გაზრდას, მაგრამ დიდი მოცულობის რადიკალები აბრკოლებენ რეაქციის ნარმართვას. საერთოდ, მალეინის ანჰიდ-რიდთან ფენანტრენის ნაწარმების ადუქტის გამოსავლიანობა შეადგენს 40-60%-ს.

ამრიგად, ფრაქციის მალეინის ანჰიდრიდით დამუშავებისას სიბნელეში ხდება ანტრაცენის რიგის ნახშირწყალბადების გამოყოფა, ხოლო შემდეგ ულტრაი-ისფერი სხივების მოქმედებით ხდება ფენანტრენისა და მისი ჰომოლოგების გა-მოყოფა.

აღსანიშნავია, რომ ულტრაისტფერი დასხივების ხანგრძლივობის ვარირებით შესაძლებელია ნავთობის ფრაქციებიდან ნაფთალინის (2 სთ-იანი დასხივება), ფენანტრენისა (6 სთ-იანი დასხივება) და ბენზოლის რიგის ნახშირწყალბა-დების (28 სთ-იანი დასხივება) თანმიმდევრული გამოყოფა.

კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებიდან ჯგუფური შედგენილობის და-სადგენად ფართოდ გამოიყენება თხევად-ადსორბციული მეთოდი. ამ მეთოდს გამოყენებით შესაძლებელია ნავთობის ფრაქციებიდან არა მხოლოდ ალკანურ-ციკლოალკან-არომატული ნახშირწყალბადების გამოყოფა, არამედ გრადიენტული ელუირების მეთოდის გამოყენებით ციკლოალკანების და არომატული ნახშირწყალბადების დაყოფა ბირთვების რაოდენობის მიხედვით მონო-, დი-, ტრი-, და ჰოლიციკულურ ნახშირწყალბადებად.

პროცესი ტარდება ქრომატოგრაფიულ სვეტებში; ადსორბენტებად გამოიყენება სილიკაგელი ან ორმაგი ადსორბენტი – ალუმინის ოქსიდი და სილიკაგელი. ნავთისა და ზეთების ფრაქციის ანალიზისას ნაჯერი ნახშირწყალბადების დესორბენტებად (გამოსარეცხად) გამოიყენება C<sub>5</sub>-C<sub>7</sub> შედგენილობის ნ. ალკანები, არომატული და ჰეტეროატომის შემცველი კომპონენტების გამოსატანად – ბენზოლი, სპირტისა და ბენზოლის ნარევი, აცეტონი, ქლოროფორმი (მოძრავი ფაზის ჰოლარობის თანდათანობით გაზრდით).

ჩამოსულ ფრაქციებს აგროვებენ მცირე ულუფობით (3-3მლ-ის რაოდენობით). გამხსნელის მოცილების შემდეგ ელუირტს უსაზღვრავენ მდ-ს. ფრაქციებს, რომელთა მდ 0.0005-ზე მეტი რიცხვით არ განსხვავდებიან, აერთიანებენ.

1. ნორმალური ან მცირედ განტოტვილი ალკანების, რომელთა გამყარების ტემპერატურა 20°C-ზე მეტია, ( $n_D < 1.45-1.47$ ).
2. განშტოებული იზოალნაგობის ალკანების ( $n_D = 1.45-1.47$ ).
3. მონოციკლური ცილოალკანების ( $n_D = 1.47-1.48$ ).
4. ბიცილური ციკლოალკანების ( $n_D = 1.48-1.49$ ).
5. ტრი- და ჰოლიციკულური ციკლოალკანების ( $n_D > 1.49$ ).

არენების გამოსვლის დასაწყისი მონმდება ფორმალიტური რეაქციით (1 მლ 98% გოგირდმჟავასა და 2-3 ნვეთი 10%-იანი ფორმალინის ხსნარს ემატება 1 მლ სვეტიდან ჩამოსული ხსნარი. ხსნარის წითლად შეფერვა მიუთითებს არომატული ნახშირწყალბადების შემცველობაზე).

1. მონოციკლური არენების ( $n_D < 1.53$ )
2. ბიციკლური არენების ( $n_D = 1.53-1.55$ )
3. ტრი- და პოლიციკლური არენების ( $n_D > 1.55$ )

ჯგუფური ანალიზის დროს ფართო გამოყენება მოიპოვა ხსნარის ადსორბციამ ქრომატოგრაფიულ სვეტზე ფლუორესცირებადი (ლუმინესცირებადი) ინდიკატორის გამოყენებით ე.წ. ფია-ის მეთოდმა. სილიკაგელით შევსებულ სვეტში საანალიზო ფრაქციასთან ერთად მცირე რაოდენობით შეაქვთ ფლუორესცირებადი ინდიკატორი და საღებარი, რომელიც კარგად იხსნება არომატულ ნახშირწყალბადებში და არ იხსნება ალკანებსა და ციკლოალკანებში. ულტრაიის-ფერი სხივებით გაშუქებისას არენების ზონა იძლევა მკვეთრ ცისფერ ფლუორესცენციას. ამ ზონის სიმაღლის ფარდობით ადსორბენტის საერთო ფენის სიმაღლესთან, საზღვრავენ არენების შემცველობას ნავთობში.

ნავთობში შემავალი ფისების და ასფალტენების ანალიზისათვის გამოიყენება ქრომატოგრაფია ქალალდზე. აქ ქრომატოგრაფიული სვეტის როლს ასრულებს ფორმვანი ქალალდის ზოლი, უძრავ ფაზას ნარმოადგენს წყალი, რომელსაც ცელულოზას ბოჭკოები აკავებს, ხოლო მოძრავს – ორგანული გამხსნელი.

ქალალდის ზოლს ათავსებენ ნიმუშის სპირტ-ბენზოლის ხსნარში და ტოვებენ 12-14 სთ-ით. ქალალდის ხსნარიდან ამოღების შემდეგ გამხსნელი ორთქლება. ულტრაიისფერი სხივებით გაშუქებისას ფისი იძლევა მკვეთრ ყვითელ ლუმინესცენციას, ასფალტენები – მუქ ყავისფერს.

ნავთობის მძიმე (400°C-ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილ) ფრაქციების საანალიზოდ გამოიყენება ე.წ. გელ-ქრომატოგრაფია ან ექსკლუზიური ქრომატოგრაფია. სვეტი ივსება გელით, რომელსაც გააჩნია გარკვეული ზომის ფორები. თუ დასაყოფი ნარევი შეიცავს უფრო დიდი ზომის მოლეკულებს, ვიდრე გელის ფორების სიდიდეა, ისინი ვერ შედიან გელის ფორებში, გადიან გელის ნაწილაკებს შორის და ელუენტის ნაკადით სწრაფად გამოდიან სვეტიდან. ამრიგად, ისინი მოქმედებენ მოლეკულური საცრების მექანიზმით.

საშუალო ზომის მოლეკულები შედიან გელის ზოგიერთ ფორმებში, შესაბამისად, სვეტში ყოვნდებიან შედარებით მეტ ხანს და ჩამოედინებიან დიდი ზომის მოლეკულების შემცველი ფრაქციის შემდეგ. მცირე ზომის მოლეკულები კი შედიან გელის ნებისმიერ ფორებში, მათი გზა გრძელდება და სვეტიდან ჩამოედინებიან ბოლო ფრაქციის სახით.

ადსორბენტებად გელ-ქრომატოგრაფიაში გამოიყენება სეფადექსი LH-20 და სტიროლდივინილბენზოლის გელები, რომლებშიც ალკანების და ციკლოალკანების გამოსვლა ხდება მოლეკულურ საცრებში, ხოლო პოლიციკლური არენების ელუირება დამოკიდებულია გამხსნელზე. ქლოროფორმისა და ტეტრაჰიდროფურანის გამოყენებისას არენების ელუირებაც გელ-ფილტრაციის ანალოგიურად მიმდინარეობს. ელუენტებად კეტონების, სპირტების, აცეტონიტრილის გამოყენებისას თავს იჩენს ადსორბციული ეფექტი. არომატული ბირთვების რიცხვის ზრდასთან ერთად ნაერთის შეკავების დრო იზრდება.

ნავთობპროდუქტებში ნახშირწყალბადთა ჯგუფური შედგენილობის გან-  
საზღვრის ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებულ მეთოდს წარმოადგენს ანილინური  
მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა კლასის ნახშირწყალბადის  
განსხვავებული ხსნადობა ანილინში.

ნავთობის ფრაქციის ანილინთან შერევისას ხდება ორი შრის წარმოქმნა,  
რადგან ანილინში ნავთობის ფრაქციაში შემავალი ყველა კომპონენტი არ იხსნე-  
ბა. თუ ამ ნარევს მუდმივი შენჯლრევის პირობებში გავაცხელებთ, რომელილაც  
ტემპერატურაზე მოხდება ანილინისა და ნავთობპროდუქტების ერთმანეთში  
სრული გახსნა და ხსნარი ხდება ერთგვაროვანი. იმ ტემპერატურას, რომელზე-  
დაც ხდება ნავთობპროდუქტებისა და ანილინის ერთმანეთში გახსნა, უნიდებენ  
ანილინის წერტილს ან მოცემული ნავთობპროდუქტების ანილინში გახსნის კრი-  
ტიკულ ტემპერატურას. ნახშირწყალბადთა შორის ყველაზე დაბალი ანილინის  
წერტილი აქვთ არენებს, ყველაზე მაღალი –ალკანებს, შუალედური –ციკლოალ-  
კანებს. ალკენებსა და ციკლოალკენებს გააჩნიათ რამდენადმე დაბალი ანილი-  
ნის წერტილი ნახშირბადატომთა იმავე რიცხვის შემცველ ციკლოალკანებთან  
შედარებით.

ჰომოლოგიური რიგის ნახშირწყალბადებისათვის ანილინის წერტილი იზ-  
რდება მოლეკულური მასის (შესაბამისად დუღილის ტემპერატურის) ზრდასთან  
ერთად.

არსებობს ანილინის წერტილის განსაზღვრის ორი მეთოდი: ტოლი მოცუ-  
ლობებისა და მაქსიმალური ანილინის წერტილის განსაზღვრის მეთოდები.

პირველი მეთოდის მიხედვით ურევენ ტოლი მოცულობით საკვლევ ფრაქციისა  
და ანილინს და საზღვრავენ მათ ერთმანეთში გახსნის შესაბამის ტემპერატურას.

მეორე მეთოდის მიხედვით ფრაქციის განსაზღვრულ მოცულობას თანდათა-  
ნობით ემატება ანილინი და ყოველი დამატების შემდეგ ხდება ანილინის წერტი-  
ლის განსაზღვრა. შეიმჩნა, რომ ანილინის რაოდენობის გაზრდისას სრული გახ-  
სნის ტემპერატურა თავდაპირველად იზრდება და ნავთობის ფრაქციისა და ანი-  
ლინის მოცულობათა რომელილაც განსაზღვრულ თანაფარდობაზე აღნევს მაქსი-  
მუმს, ხოლო ანილინის რაოდენობის შემდგომი გაზრდა იწვევს დაკლებას. ტემპე-  
რატურა, რომელზედაც ხდება სრული ურთიერთგახსნა, მიჩნეულია ანილინის  
მაქსიმალურ წერტილად, ანუ ანილინში ხსნადობის კრიტიკულ ტემპერატურად.

ამ მეთოდით ბენზინის ჯგუფური შედგენილობის დასადგენად ბენზინის  
ფრაქციას ხდიან დეფლეგმატორიან კოლბიდან და აგროვებენ ვიწრო ფრაქციებს:

60°C-მდე არენებს არ შეიცავს;

60-95°C – ბენზოლის შემცველი;

95-122°C – ტოლუოლის შემცველი;

122-150°C – ქსილოლების და ეთილბენზოლის შემცველი;

150-200°C – C<sub>9</sub>-C<sub>10</sub> შედგენილობის არენების შემცველი.

თითოეული ფრაქციისათვის საზღვრავენ ანილინის წერტილს (T), რის შემ-  
დეგ ახდენენ ფრაქციის დეარომატიზაციას (არენებს აცილებენ ადსორბციით

$\text{SiO}_2$ -ზე ან 98-100% გოგირდმუავით დამუშავებით). კვლავ საზღვრავენ დეარო-მატიზებული ფრაქციებისათვის ანილინის წერტილს –  $T_1$  (ტოლი მოცულობების მეთოდით).

არომატულ ნახშირნყალბადთა მასური წილი A % გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$A = K (T_1 - T),$$

სადაც ( $T_1 - T$ ) ანილინის წერტილის დეპრესია, რომელიც დამოკიდებულია არე-ნების შემცველობაზე,  $K$  – კოეფიციენტია, რომელიც შეესაბამება არენების იმ რაოდენობით შემცვლობას, რომელიც ფრაქციის დეარომატიზაციისას იწვევს ანილინის წერტილის  $10^{\circ}\text{C}$ -ით შემცირებას.

$K$  დამოკიდებულია ვიწრო ფრაქციაში არსებულ არენების ბუნებასა და რა-ოდენობაზე. ისინი განსაზღვრულია ექსპერიმენტულად (არენების კონცენტრა-ციაზე დამოკიდებულებით).

არენების მოცულების შემდეგ ფრაქციაში რჩება ალკანები და ციკლოალკა-ნები. მათი სხვადასხვა რაოდენობრივი თანაფარდობით მიღებული ნარევები-სათვის ნაპოვნია ანილინის წერტილი, რომელიც თავის მხრივ საშუალებას იძ-ლევა განისაზღვროს ფრაქციაში ციკლოალკანების მასური წილი.

ამრიგად, ციკლოალკანების მასურ წილს დეარომატიზებულ ფრაქციაში –  $H_1$ -ს საზღვრავენ ანილინური წერტილის მიხედვით, ხოლო ციკლოალკანების მა-სურ წილს საწყის ფრაქციაში –შემდეგი ფორმულით:

$$H = \frac{H_1(100-A)}{100}$$

სადაც  $A$  არენების მასური წილია, ხოლო ალკანების მასურ წილს ( $\pi\%$ ) საწყის ფრაქციაში საზღვრავენ სხვაობით:

$$\pi = 100 - (A + H)$$

$60^{\circ}\text{C}$ -მდე ფრაქციაში, რომელიც არენებს არ შეიცავს, ციკლოალკანების შემცველობას ადგენენ ფრაქციის სიმკვრივის მიხედვით.

არენების მასურ წილს ბენზინში საზღვრავენ შემდეგი ფორმულით:

$$A = \frac{A_1B_1 + A_2B_2 + \dots + A_nB_n}{100}$$

სადაც  $A_1, A_2, \dots, A_n$  არენების მასური წილია ვიწრო ფრაქციებში, ხოლო  $B_1, B_2, \dots, B_n$  – ვიწრო ფრაქციების მასური წილი ბენზინში.

მსგავსად იანგარიშება ციკლოალკანების და ალკანების შემცველობა ბენ-ზინში.

მძიმე და საშუალო ნავთობპროდუქტების ანალიზისთვის ფართო გამოყენე-ბა მოიპოვა ანალიზის ინსტრუმენტულმა და ფიზიკურ-ქიმიურმა მეთოდებმა,

როგორებიცაა: ქრომატოგრაფია, მას-სპექტრომეტრია, ბმრ-, ინ- და უი-სპექტროსკოპია. განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ამ მეთოდების კომპლექსური გამოყენება.

ნავთობში არომატულ ნახშირწყალბადთა შემცველობის დადგენა შესაძლებელია უი-სპექტროსკოპის გამოყენებით ( $\lambda$  190-400 ნმ უბანში).

არომატული ნახშირწყალბადების შესაბამისი უი-სპექტრები, ციკლების რიცხვისა და აღნაგობისგან (ხაზოვანი თუ ანგულარული) დამოკიდებულებით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგ; მონოციკლური არომატული ნახშირწყალბადებისათვის შთანთქმის მაქსიმუმი 255-275 ნმ უბანშია, ბიციკლური არენებისთვის კი შთანთქმის ზოლი უფრო ინტენსიურია და 275-290 ნმ უბანშია, ამასთანავე მათვების დამახასიათებელია 310-330 ნმ უბანში ერთმანეთის გვერდით განლაგებული ორი პიკი (გამხსნელად ყველაზე ხშირად იყენებენ სილიკაგელზე გასუფთავებულ იზოოქტანს).

განსხვავებული ტიპის არომატული ბირთვების სპექტრული მონაცემების გასაშუალების საფუძველზე მიღებულია განტოლებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან განისაზღვროს ბენზოლური ( $C_{\text{ბ}}_6$ ), ნაფთალინური ( $C_6$ ), ფენანტრენული ( $C_7$ ) ნახშირწყალბადების მასური წილი ნარევში:

$$C_{\text{ბ}}_6 = 0.184 K_{198} - 0.025 K_{230} - 0.045 K_{255} - 0.002 K_{270} - 0.111 K_{338} + 0.854 K_{375} + 0.320 K_{435},$$

$$C_{\text{ნაფ}} = 0.011 K_{198} - 0.159 K_{230} - 0.025 K_{255} - 0.020 K_{270} - 0.101 K_{338} + 0.255 K_{375} + 0.022 K_{435},$$

$$C_{\text{ფენ}} = 0.001 K_{198} - 0.001 K_{230} - 0.391 K_{255} - 0.121 K_{270} - 0.023 K_{338} + 60312 K_{375} + 0.710 K_{435}.$$

სადაც  $K_{198}$ ,  $K_{230}$ ,  $K_{255}$ ,  $K_{270}$ ,  $K_{338}$ ,  $K_{375}$ ,  $K_{435}$  საანალიზო ფრაქციის შთანთქმის ხვედრითი კოეფიციენტებია 198, 230 ნმ და ა.შ. შესაბამის ტალღის სიგრძეზე.

მონოდებულია ანალოგიური განტოლებანი ნავთობის ფრაქციებში ანტრაცენის, ქრიზენის, ბენზოლურენის, პირენის და მათი ჰომოლოგების განსაზღვრისათვის.

ნავთობის საშუალო და მძიმე (ნავთის, გაზოილის და ზეთების) ფრაქციებში ნახშირწყალბადთა ჯგუფური შემცველობის დადგენა ბენზინის ფრაქციის მსგავსად (ფიზიკური კონსტანტების საფუძველზე არომატული ნახშირწყალბადების მოცილებამდე და მოცილების შემდეგ) მიუღებელია, რადგან მაღალ ფრაქციებში მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად იზრდება ჰიბრიდული სტრუქტურის მქონე ნაერთების შემცველობა და ნახშირწყალბადთა ჯგუფების დაცილება ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით გაძნელებულია. შერეული სტრუქტურის ნახშირწყალბადები (მაგ., ნონილტეტრალინი), რომლის მოლეკულა ერთდროულად შეიცავს არომატულ, ციკლოალკანურ და ალკანის (გრძელჯაჭვიან) რადიკალს, იხსნება კონცენტრირებულ გოგირდმუავაში და ისაზღვრება როგორც წმინდა არომატული ნახშირწყალბადი. ალკილის გრძელი ჯაჭვის არსებობა ასევე გარკვეულ გავლენას ახდენს ნაერთის ქიმიურ თვისებებზე. ყოველივე ამის გამო, ნავთობის მაღალი ფრაქციების ჯგუფური შედგე-

ნილობის განსაზღვრა გაძნელებულიც არის და მიზანშეუწონელიც. ნავთობის მძიმე ფრაქციების შესწავლის დროს ძირითადად ხდება სტრუქტურულ-ჯგუფური შედგენილობის შესწავლა.

### 9.3. ნავთობის განსაზღვრა ეროვნული მარკატორის მიზანი

ნავთობპროდუქტებში ინდივიდუალურ ნივთიერებათა განსაზღვრისათვის წარმატებით გამოიყენება აირად-ადსორბციული, აირად-თხევადი ქრომატოგრაფია, რომელიც ტარდება სპეცილურ ხელსაწყოებში – ქრომატოგრაფიებში.

ქრომატოგრაფი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან:

1. ქრომატოგრაფიული სვეტი;
2. დეტექტორი;
3. დინების სიჩქარის მრიცხველი (რეგულატორი);
4. სინჯის და აირმატარებლის მიმწოდებელი მოწყობილობა;
5. სარეგისტრაციო დანადგარი.

სვეტი შეიძლება იყოს 4-8 მმ დიამეტრის რამდენიმე მეტრი სიგრძის მეტალის ან მინის მილისაგან დახვეული სპირალი, ან 0.25-0.35 მმ დიმეტრის რამდენიმე ათეული და ზოგჯერ ასეული მეტრის სიგრძის კაპილარისაგან დამზადებული სპირალი.

აირად-ადსორბციული ქრომატოგრაფიის დროს სვეტს ავსებენ წვრილად დაქუცმაცებული მყარი ადსორბენტით, ხოლო აირად-თხევადი ქრომატოგრაფიის დროს მყარი ინერტული სარჩულით, რომელიც გაუდენილია უძრავი, მცირედაქროლადი სითხით; კაპილარული სპირალის დროს კი თხევადი ფაზა უშუალოდ დააქვთ კაპილარის შიდა კედლებზე.

განასხვავებენ სელექციურ და არასელექციურ ფაზებს.

არასელექციურ ფაზაზე დაყოფა ხდება მხოლოდ დუღილის ტემპერატურის შესაბამისად. ამ შემთხვევაში თხევად ფაზად გმოიყენება არაპოლარული ან მცირედ პოლარული სითხეები (მისი ქიმიური ბუნებისაგან განურჩევლად), ხოლო სელექციურ ფაზად გმოიყენება სხვადასხვა პოლარული გამხსნელი, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვა სიძლიერით დააკავონ სხვადასხვა კლასის ნახშირწყალბადები.

საანალიზო ნარევი ქრომატოგრაფში შეჰქავთ შპრიცის ან სპეციალური მაღალზირებელი მოწყობილობის საშუალებით, რომელიც ორთქლდება ასაორთქლებელში, ეს უკანასკნელი გაცხელებულია ფრაქციის დუღილის ტემპერატურაზე მაღლა. წარმოქმნილი საანალიზო ნარევის ორთქლი წარიტაცება აირ-მატარებლით და გადადის სვეტში. სვეტში გადაადგილებისას ნარევში შემავალი კომპონენტები ნაწილდებიან უძრავ ფაზაში. დაყოფილი კომპონენტები სხვადასხვა დროის შუალედში გამოდიან სვეტიდან და გადადიან დეტექტორში. დეტექტორის მოქმედების პრინციპი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. ფართო გა-

მოყენება აქვს დეტექტორებს, რომელთა მოქმედება ემყარება სუფთა აირ-მატა-რებლისა და საანალიზო ნარევის თბოგამტარობის სხვაობის განსაზღვრას. ასეთ დეტექტორებს კატარომეტრები ეწოდებათ.

კატარომეტრის კორპუსში არის ორი კამერა, რომელთა ლერძებზე დაჭიმულია ერთნაირი წინალობის პლატინის ან ვოლფრამის მავთულები. ისინი შედიან უიტსტონის ბოგირის სქემაში, რომელთა განშტოებაში გადის მუდმივი დენი. სანამ დეტექტორის ორივე კამერაში მხოლოდ აირ-მატარებელი გადის, თითეული მავთულისაგან სითბოს გადაცემა ხდება ერთნაირი სიჩქარით, მავთულების ტემპერატურა და წინალობა ( $R_1=R_2$ ) ერთნაირია. უიტსტონის ბოგირი იმყოფება წონასწორობაში. მაგრამ როდესაც ერთ-ერთ კამერაში აირ-მატარებელთან ერთად შედის საანალიზო ნარევი მყოფი კომპონენტები, რომლის თბოგამტარობა განსხვავდება აირ-მატარებლის თბოგამტარობისგან, სითბოს გადაცემის სიჩქარე იცვლება და ამიტომ იცვლება მავთულის ტემპერატურა და ამის შედეგად მისი წინალობა, უიტსტონის ბოგირის წონასწორობა და სისტემაში აღიძვრება პოტენციალთა სხვაობა. ის ძლიერდება, გადაეცემა მარეგისტრირებელ დანადგარს, სადაც განსაზღვრული სიდიდის პიკის სახით ფიქსირდება დიაგრამაზე. გარკვეული დროის შემდეგ დეტექტორში შედის სვეტიდან გამოსული შემდეგი კომპონენტი, რომელსაც დიაგრამაზე შეესაბამება მეორე პიკი და ა.შ. პიკის ფართი დამოკიდებულია კომპონენტთა რაოდენობაზე.

აირად ქრომატოგრაფიაში ასევე ფართოდ გამოიყენება ალურ-იონიზაციური დეტექტორები. მათი მუშაობის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ჩვეულებრივ მდგომარეობაში აირები დენს არ ატარებენ, მაგრამ ალის და ასევე გამოსხივების ზემოქმედებით აირში ხდება იონების და ელექტრონების წარმოქმნა და მას უკვე შეუძლია დენს გატარება (ხდება გამტარი), დეტექტორში წყალბადის წვის შედეგად წარმოიქმნება ალი, რომელიც მოხვდება რა საანალიზო კომპონენტთა ნარევში, წარმოქმნის დამუხტულ ნაწილაკებს და ელექტროდებს შორის გაივლის დენი, რომელიც ალირიცება მარეგისტრირებელ დანადგარზე.

ზოგჯერ იყენებენ სპეციალურ დეტექტორებს – ელექტრონების ჩამჭერებს, მიკროკულონომეტრებს და ა.შ., რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სელექციურობით გარკვეული ჯგუფის მიმართ.

კულონომეტრული დეტექტორის მოქმედება დაფუძნებულია ელუატის წვის შედეგად მიღებული პროდუქტების ბრომით გატიტვრაზე. ეს მეთოდი გამოიყენება გოგირდშემცველი ნაერთების განსაზღვრისათვის.

ელექტრონის ჩამჭერი (წამტაცებელი) დეტექტორი ხასიათდება რა ელექტრონისადმი დიდი სწრაფვით, აქვს მაღალი მგრძნობიარობა ფოსფორ- და ჰალოგენშემცველი ნაერთებისადმი.

ნარევში კომპონენტთა იდენტიფიკაციისათვის ფართოდ გამოიყენება მათი ფარდობითი დაკავების დრო:

$$t_{ფარდ} = \frac{t'_R}{t'_{b\delta}}$$

სადაც  $t_{\text{R}}$  სტანდარტული ნივთიერების (ყველაზე ხშირად სტანდარტულ ნივთიერებად იყენებენ ნ-ალკანს) დაკავების შესწორებული დროა, ხოლო  $t_{\text{R}} - \text{ნარევში}$  შემავალი კომპონენტების დაკავების შესწორებული დრო ( $t_{\text{R}}$  და  $t_{\text{R}}$  ერთსა და იმავე პირობებში ისაზღვრება).

დაკავების შესწორებული დრო  $t_{\text{R}} = t_{\text{R}} - t_0$ , სადაც  $t_{\text{R}}$  არის დრო ნიმუშის სვეტში შეყვანიდან პიკის მაქსიმუმის გამოსვლის მომენტამდე,  $t_0$  – კომპონენტის აირად ფაზაში ყოფნის დრო.

მოცემულ უძრავ ფაზაში ნაერთთა დაკავების დრო დამოკიდებულია აირ-მატარებლის სიჩქარეზე, სვეტში გამხსნელის რაოდენობაზე.

ასევე კომპონენტთა იდენტიფიკაციისათვის ფართოდ გამოიყენება კოვარის ინდექსები:

$$I = 100 \frac{\lg t_{\text{R}}^1 - \lg t_n}{\lg t_{n+1} - \lg t_n} + 100n$$

სადაც  $t_n, t_{n+1}$  არის  $n$  და  $n+1$  ნახშირბადატომების შემცველი ნ. ალკანების დაკავების შესწორებული დრო.

კოვარის სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული ნაერთის ფარ-დობითი შეკავების დროს უპირისპირებენ ნ-ალკანების შეკავების დროს, რო-მელთა შეკავების ინდექსების მნიშვნელობა მიღებულია, როგორც ნახშირბადა-ტომების რიცხვის ნამრავლი 100-ზე. კოვარის ინდექსით გაანგრიშების დროს სა-ჭიროა ალკანები ისე შეირჩეს, რომ საკვლევი ნივთიერება ელუირებდეს მათში.

ფარდობითი შეკავების დროის და კოვარის ინდექსების მნიშვნელობები მო-ცემულია საცნობარო ლიტერატურაში. კომპონენტთა შეკავების ფარდობითი დროის (გაანგარიშებული) შეპირისპირებით ლიტერატურულ მონაცემებთან ხდება საკვლევ ნივთიერებათა იდენტიფიცირება.

ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით ხდება არა მარტო კომპონენ-ტთა იდენტიფიკაცია, არამედ მათი რაოდენობითი შემცველობის დადგენა.

საანალიზო ნარევის რაოდენობრივი შედგენილობის განსაზღვრას ანარმოე-ბენ პიკების სიმაღლის და ფართობის მიხედვით, რადგან ნარევში კომპონენტთა შემცველობა ამ სიდიდეების პროპორციულია.

არსებობს კომპონენტთა რაოდენობრივი განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი:

1) **შინაგანი ნორმალიზაციის მეთოდი.** ეს მეთოდი შემდეგში მდგომარე-ობს: რომელიმე კომპონენტის პროცენტული შემცველობა განისაზღვრება მისი პიკის დაყვანილი ფართობის შეფარდებით ყველა პიკის დაყვნილი ფართობის ჯამთან:

$$C_i = \frac{s_i^1}{\sum s_i^1} * 100$$

სადაც  $s_i^1$  კომპონენტების პიკის დაყვანილი ფართობია. პიკის დაყვანილი ფარ-თობი  $s_i^1$  არის  $s_i$ -ის პიკის ფართობის ნამრავლი შესწორების კოეფიციენტ  $K$ -ზე,

რომელიც ითვალისწინებს მოცემული კომპონენტის მიმართ დეტექტორის მგრძნობიარობას:

$$S_i^{-1} = S_i K_i = h_i b_i K_i$$

პიკის ფართობი განისაზღვრება მისი სიმაღლის ნამრავლით პიკის შუა ნაწილის შესაბამის სიგანეზე:

$$S_i = h_i b_i$$

**2) აბსოლუტური დაკალიბრების მეთოდი.** ამ მეთოდის მიხედვით ნარევში კომპონენტთა პროცენტულ შემცველობას საზღვრავენ საკალიბრო გრაფიკის მიხედვით. საკალიბრო გრაფიკს აგებენ შემდეგ კოორდინატებში: პიკის ფართობი – ნარევში კომპონენტის პროცენტული შემცველობა. მას აგებენ ცნობილი შედგენილობის (ხელოვნურად დამზადებული) ნარევების ქრომატოგრაფიული ანალიზის მონაცემების საფუძველზე. ქრომატოგრამების მიხედვით საზღვრავენ თითეული პიკის პარამეტრებს და აგებენ გრაფიკს.

**3) შინაგანი სტანდარტის მეთოდი.** საანალიზო ნარევში შეყავთ სტანდარტული ნივთიერება, რომლის პიკი ქრომატოგრამაზე მკვეთრად უნდა იყოს გამოყოფილი სხვა პიკებისაგან. ნარევის ნებისმიერი კომპონენტის შემცველობა %-ში განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C = S'_i / S'_{\text{სტ}} \cdot P \cdot 100$$

სადაც  $S'$  კომპონენტის პიკის დაყვანილი ფართია,  $S'_{\text{სტ}}$  – სტანდარტული ნივთიერების პიკის დაყვანილი ფართობი,  $P$  – სტანდარტული ნივთიერების მასის ფარდობა საანალიზო ნიმუშის მასასთან.

$C_1-C_5$  ნახშირბადატომების შემცველ ნახშირნყალბადთა განსაზღვრის მეთოდს საფუძვლად უდევს ნივთიერებათა დაყოფა აირად-თხევადი ქრომატოგრაფიით და მათი რეგისტრაცია დეტექტორით თბოგამტარობის მიხედვით.

სორბენტად გმოყენებულია ვაზელინის ზეთით მოდიფიცირებული ალუმინის ოქსიდი. ნავთობში არსებული ფისოვანი ნაწილის შესაკვებლად ქრომატოგრაფიის სვეტის ცარიელ ბოლოს უკავშირებენ 60 მმ სიგრძის მილისებურად დახვეულ ფილტრის ქაღალდს.

საანალიზო ნავთობის ნიმუშში თითოეული ნახშირნყალბადის მასური წილი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$X_i = \frac{S_i A}{m_2} \cdot 100$$

სადაც  $S_i$  მოცემული ნახშირნყალბადების პიკის დაყვანილი ფართობია;  $A$  – ნჰჰესანის მიხედვით დამაგრადუირებელი კოეფიციენტი  $\text{გ}/\text{მ}^2$ ;  $m_2$  – სინჯის მასა.

ნ-ჰექსანის მიხედვით დამაგრადუირებელი კოეფიციენტი (A) გ/მმ<sup>2</sup> გამოითვლება ფორმულით

$$A = \frac{m_1 X}{S} \cdot 100$$

სადაც m<sub>1</sub> ქრომატოგრაფში შეყვანილი დამაგრადუირებელი ნარევის მასაა; X – დამაგრადუირებელ ნარევში ნ-ჰექსანის მასური ნილი %-ში; S – ნ-ჰექსანის პიკის ფართობი.

ტარდება პარალელური განსაზღვრებები და იღებენ საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.

აღსანიშნავია, რომ ნავთობიდან გამოყოფილი ბენზინის ფრაქცია შეიცავს 5-10 ნახშირადატომის შემცველ ნახშირწყალბადებს და მათ ჰეტერონანარმებს.

ბენზინის ფრაქციის ანალიზისათვის ნავთობიდან გამოყოფენ ნაერთებს, რომელთა დუღილის ტემპერატურა 200°C-მდე (ეს ფრაქცია შეიცავს დაახლოებით 200-მდე განსხვავებულ ნახშირწყალბადს). მისი ინდივიდუალური შედგენილობის შესასწავლად სვეტური ქრომატოგრაფიის საშუალებით (ადსორბენტად ACK მარკის სილიკაგელის გამოყენებით) არენებისაგან აცილებენ ალკანებსა და ციკლოალკანების ნარევს. არენების ანალიზს ატარებენ აირად-თხევადი ქრომატოგრაფიით კაპილარული სვეტის გამოყენებით, ხოლო ალკანებისა და ციკლოალკანების ნარევს გამოხდიან 25-50 თეორიულ თევზის ეფექტურობის სარექტიფიკაციო სვეტზე და ცალ-ცლკე ანარმოებენ 125°C-მდე და 125-150°C-ის ინტერვალში მიღებული ფრაქციების ქრომატოგრაფიულ ანალიზს.

125°C-მდე ფრაქციის ანალიზის დროს, როდესაც სვეტის ტემპერატურა 30°C-ია, ერთდროულად გამოიყოფა მეთილციკლოპექსანი, 1.1.3-ტრიმეთილციკლოპენტანი და 2.2-დიმეთილპექსანი (მათ ერთი ქრომატოგრაფიული პიკი შეესაბამებათ), 70°C-ზე კი ხდება ამ ნახშირწყალბადების დაყოფა. ასევე 50°C-ის დროს 1.2-ტრანს-დიმეთილციკლოპენტანი, 6-ოქტანი და 1.2.3.4-ტრანს, ტრანს, ტრანს-ტეტრამეთილციკლოპენტანი ერთდროულად გამოდიან, 70°C-ზე კი ხდება მათი დაყოფა. გარდა ამისა, ტემპერატურის გაზრდისას ციკლოალკანების გამოსვლის დრო იზრდება ეტალონური ალკანების მიმართ, ამიტომ ძირითად ტემპერატურას წარმოადგენს 70°C.

მიღებულ ქრომატოგრამაზე პიკების იდენტიფიკაციის მიზნით ქრომატოგრაფში ეტალონებად შეჰქავთ ინდივიდუალური ნახშირწყალბადები (მაგ. ნ-ჰექსანი, ნ-ჰეპტანი., 6-ოქტანი) იმ ტემპერატურაზე, რომელზედაც ტარდება ანალიზი. თუ ეტალონური ნახშირწყალბადების შეკავების დრო ემთხვევა საანალიზო ფრაქციის რომელიმე პიკს, მაშინ ახდენენ ამ პიკის იდენტიფიცირებას.

ნ-ჰექსანის შეკავების დროს იღებენ ერთეულის ტოლად, ითვლიან ქრომატოგრამაზე ყველა პიკისათვის შეკავების დროის მნიშვნელობებს და ადარებენ მას ლიტერატურულ მონაცემებთან და ახდენენ პიკების იდენტიფიცირებას.

#### 9.4. მას-სპექტრომეტრია

მას-სპექტრომეტრის გამოყენებამ ნავთობის კვლევაში შესაძლებელი გახდა ნავთობის საშუალო და მძიმე ფრაქციების შედგენილობის განსაზღვრა.

მას-სპექტრომეტრული მეთოდი დაფუძნებულია მოლეკულების იონიზაციაზე, წარმოქმნილი მოლეკულური იონისა და მისი დისოციაციის შედეგად მიღებული ე.წ. ნამსხვრევი იონების დაყოფასა და რეგისტრაციაზე.

მას-სპექტრომეტრი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან: იონების წყარო, რომელშიც ხდება საანალიზო ნივთიერებების მოლეკულების იონიზაცია; ანალიზატორი, რომელიც ახორციელებს იონების დაშორებას; ნივთიერებათა იონების წყაროში შემყვანი სისტემა, მას-სპექტრის რეგისტრაციის სისტემა და ამომტუმბავი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანადგარში ვაკუუმის შექმნას.

იონიზაციისათვის გამოიყენება ლაზერული გამოსხივების, ელექტრონების ან აჩქარებულ ნაწილაკთა (მაგ., ინერტული აირების ან ჟანგბადის დადებითად დამუხტული იონების) ნაკადი.

წარმოქმნილი იონების ერთმანეთისაგან დაცილება ხდება მას-ანალიზატორში მუდმივი მაგნიტური ან ცვლადი ელექტრომაგნიტური ველის მოქმედებით  $m/e$  ფარდობის მიხედვით ( $m$  – იონთა მასა;  $e$  – მუხტი).

იონების რეგისტრაციას აწარმოებენ ელექტრული ან ფოტოგრაფული მეთოდით, რის შედეგადაც მიიღება ხაზების ერთობლიობა (მას-სპექტრი), რომელთა მდებარეობის და პიკების მიხედვით ისაზღვრება  $m/e$ , ე.ი. ხდება იონთა იდენტიფიცირება, ხოლო მათი ინტენსივობის მიხედვით იონთა ფარდობითი (რაოდენობითი) შემცველობის დადგენა წარმოქმნილ იონთა ნარევში.

ორგანული მოლეკულის იონიზაციისათვის ყველაზე ფართოდ გამოიყენება მაღალი – 70 ევ ან დაბალი 10-13 ევ ენერგიების მქონე ელექტრონების მოქმედება. ვაკუუმში, როგორც ცნობილია ალკანების იონიზაციის პოტენციალია 10-13 ევ ალკანების – 9-10 ევ ალკილბენზოლების 8,5-9,5 ევ, ხოლო პოლიციკლური არენებისათვის 8 ევ-ზე ნაკლები.

მაიონიზირებელ ელექტრონებთან დაჯახებისას ნახშირწყალბადთა მოლეკულებიდან ხდება სავალენტო ელექტრონების მოხლეჩა და მოლეკულური იონის  $M^+$  წარმოქმნა. შემდეგში მოლეკულური იონი დისოცირდება შედარებით სტაბილური იონების წარმოქმნის მიმართულებით.

მოლეკულის მდგრადობა ელექტრონის დარტყმის მიმართ გამოისახება შემდეგი ფორმულით :

$$W_m = \frac{I_{\text{მოლ}}}{I_{\text{მოლ}} + \Sigma I_{\text{ნამხებ}}}$$

სადაც  $W_m$  არის დაუმლელი მოლეკულური იონების რაოდენობა,  $I$  მოლ და  $\Sigma I_{\text{ნამხებ}}$ . არის მოლეკულური და ნამსხვრევი იონების რაოდენობა, მოლეკულების იონი-

ზაფია მიმდინარეობს სწრაფად  $10^{-15}$  წამში, ხოლო დაშლა  $10^{-6}$ - $10^{-10}$  წმ-ში. დროის ამ შუალედში იონიზაციის პროცესში იონიზირებული მოლეკულის მიერ ელექტრონისაგან მიღებული ჭარბი ენერგია (რომელიც აღემატება იონიზაციის ენერგიას), გადანაწილდება ბრუნვით, რხევით და ელექტრონულ მდგომარეობებზე; თუ მოლეკულაში არსებობს შეუძლებულბმებიანი სისტემა, მაშინ იონიზირებული მოლეკულის ჭარბი ენერგია ასწრებს გადანაწილებას მთელ მოლეკულურ იონში, ასეთი სტრუქტურის მოლეკულური იონი შედარებით მდგრადია და მისი ნამსხვრევ იონებად დისოციაციის ხარისხი შედარებით დაბალია. მოლეკულაში შეუძლებულბმებიანი სისტემის არარსებობისას, იონიზირებული მოლეკულის ჭარბი ენერგია ვერ ასწრებს გადანაწილებას მთელ მოლეკულურ იონში, დადგებითი მუხტის ლოკალიზება ხდება ყველაზე სუსტი ბმით შეკავშირებულ განაპირა ატომზე, რომლის ენერგია საკმარისია ბმის გასახლეჩად – შედეგად ხდება დისოციაცია.

ყველაზე ადვილად იონიზირდება არომატული ნახშირწყალბადები, შემდეგ ციკლოალკანები და შემდეგ ალკანები. ყველაზე ნაკლებ მდგრადია და სწრაფად დისოცირდება ალკანების მოლეკულური იონები, შემდეგ ციკლოალკანები და შემდეგ არენები.

ამასთანავე ალსანიშნავია, რომ ალკანების შემთხვევაში, უფრო ნაკლებად მდგრადია იზოალნაგობის ალკანები – განტოტვილი ჯაჭვით. ციკლოალკანების შემთხვევაში ექვსწევრიანი ციკლოალკანები ხუთწევრიან ციკლოალკანებზე შედარებით უფრო სტაბილურები არიან, ხოლო ბიციკლურები-მონოციკლურებზე. როგორც ალკილციკლოალკანების, ისე არილციკლოალკანების შემთხვევაში ბმის გახლეჩა ხდება მუხტის მატარებელი ნაწილაკის მიმართ  $\beta$  მდგომარეობაში.

მოლეკულური იონის დისოციაციის შედეგად წარმოქმნილი ნამსხვრევი იონების სტრუქტურა და ინტენსივობა დამოკიდებულია საწყისი მოლეკულის ალნაგობაზე; შესაძლებელია წინასწარ მათი წარმოქმნის გათვალისწინება. შებრუნებით, ნამსხვრევი იონების იდენტიფიკაციით შესაძლებელია საწყისი მოლეკულის სტრუქტურის განსაზღვრა.

## 9.5. პმრ სპექტრული ანალიზი

ბმრ სპექტრული ანალიზი ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა სტრუქტურებში არსებული პროტონების განსასაზღვრავად. <sup>1</sup>H ბმრ სპექტრების 6,5-8,5 ველის მ.ნ. გამოვლენილი პროტონების სიგნალები შეესაბამება არომატული ბირთვის პროტონებს. არომატული ბირთვის მიმართ  $\alpha$ -მდგომარეობაში არსებულ  $\text{CH}_-$ ,  $\text{CH}_2-$ ,  $\text{CH}_3$ -ჯგუფის პროტონებს 1,8-4,0 მ.ნ. ველში გამოვლენილი პროტონები. 1,0-1,8 ველის მ.ნ. არომატულ ბირთვის მიმართ  $\beta$  მდგომარეობაში მყოფ  $\text{CH}_3$ -ის ჯგუფის პროტონებს, ხოლო 0,7-1,0 მ.ნ. ბირთვიდან  $\gamma$  მდგომარეობაში მყოფ  $\text{CH}_3$ -ის ჯგუფის პროტონებს.

ფრაქციის საშუალო მოლეკულური მასის და ელემენტური შედგენილობის გამოთვლით თუ ცნობილია საშუალო ემპირიული ფორმულა, მაშინ შესაძლებელია წყალბადის ატომების განლაგება სტრუქტურულ ჯგუფებში.  $^{1\text{H}}$  ბმრ სპექტროსკოპია იძლევა „საშუალო მოლეკულების“ უფრო ფართო დახასიათების საშუალებას, მაგრამ მეთოდის ნაკლია ნახშირბადოვანი ჩონჩხის აღნაგობის გამოთვლა წყალბადის განლაგების მიხედვით, მთელი რიგი დაშვებებით.

ერთადერთი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა არაუშუალოდ გაიზომოს არომატული ნახშირბადის ნილი, არის  $^{13}\text{C}$  ბმრ სპექტროსკოპია. ნავთობური ფრაქციის ტიპური  $^{13}\text{C}$  ბმრ სპექტრი შეიცავს ნაჯერი (0-70 მ.ნ.) და არომატული (100-170 მ.ნ.) სტრუქტურების ნახშირბადის ატომების შთანთქმის ფართო ზოლს.

## **10. ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადამუშავება**

### **10.1. ნავთობის პირველადი გადამუშავება – გამოხდა**

საბადოდან მოპოვებული ნავთობი – ნედლი ნავთობი – შეიცავს გრუნტის ნყალს, მასში გახსნილ მარილებს და აირებს ( $H_2S$ ,  $CO_2$ ,  $CH_4$ - $C_4H_{10}$ ), მექანიკურ მინარევებს: თიხის, ქვიშის, კირქვის ნანილაკებს. მოპოვებული ნავთობის 1ტ. საშუალოდ შეიცავს 50-100გ<sup>3</sup> აირებს, 200-300კგ ნყალს.

ნავთობში შემავალი  $C_1-C_4$  შედეგენილობის აირები და ბენზინის ფრაქციის ადვილად აქროლადი ნახშირწყალბადების უმრავლესობა შენახვისა და ტრანსპორტირების დროს ორთქლდება, რის შედეგადაც ადგილი აქვს როგორც საწვავის დანაკარგებს, ისე გარემოს გაჭუჭყიანებას. ამიტომ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში გადაგზავნამდე აუცილებელია აირადი ნახშირწყალბადების მოცილება.

ნავთობიდან აირებისა და ადვილად აქროლადი ნახშირწყალბადების მოცილების პროცესს ნავთობის სტაბილიზაცია ეწოდება.

ნავთობის სტაბილიზაცია ხორციელდება სეპარაციითა და რექტიფიკით.

სეპარაციის მეთოდით ნავთობიდან აირების მოცილება ხდება ნედლეულის ერთჯერადი და მრავალჯერადი აორთქლებით სეპარატორის საშუალებით (პირველი საფეხურის სეპარაცია). ამის შემდეგ ნავთობში კიდევ რჩება 1,5-2,0%-მდე  $C_1-C_4$  შედეგენილობის ნახშირწყალბადები. უფრო ღრმა სტაბილიზაციისათვის მსუბუქი ნახშირწყალბადების მოცილება ხდება სპეციალურ დანადგარზე, რომელიც აღჭურვილია სარექტიფიკიო სვეტებით.

ამ დანადგარის გამოყენებით მიიღება 1) სტაბილური ნავთობი და 2) აირკონდენსატი; აირკონდენსატის დაყოფა ინდივიდუალურ ნახშირწყალბადებად ხდება სპეციალურ დანადგარზე – სარექტიფიკიო სვეტზე.

ნავთობის გამოხდამდე ასევე აუცილებელია მასში არსებული წყლისა და მარილების მოცილება, რადგან წყლის დიდი რაოდენობით შემცველობა იწვევს ნავთობის გამოხდისას აპარატურაში წნევის გაზრდას, აპარატურის მწარმოებლობის შემცირებას, წყლის გაცხელებასა და აორთქლებაზე ზედმეტი სითბოს ხარჯებას, ხოლო მარილები ეფინება ღუმელებისა და სითბომიმომცვლელების მიღების კედლებზე, რის გამოც სითბოგადაცემის კოეფიციენტი მცირდება. ამიტომ საჭირო ხდება მიღების ხშირი განმენდა. განსაკუთრებით უარყოფითი მოქმედება ახასიათებს ქლორიდებს, რადგან ისინი ნავთობის გამოხდისას ჰიდროლიზდებიან და იწვევენ აპარატურის კოროზიას, გროვდებიან მაზუთსა და გუდრონში და ამცირებენ მათ ხარისხს.



ნარმოებაში ნავთობიდან წყლის ძირითადი მასის მოსაცილებლად გამოიყენება მექანიკური დანდომის მეთოდი. აღსანიშნავია, რომ წყალთან ერთად ნავთობს სცილდება მარილების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

წყლის დარჩენილი ნაწილი ნავთობში იმყოფება ემულსიის სახით. უმრავლეს შემთხვევაში არსებობს წყლის ემულსია ნავთობში, სადაც სადისპერსიო არეს ნარმოადგენს ნავთობი, ხოლო დისპერსიულ ფაზას – წყალი. ასეთი ემულსიები ჰქიდროფობურებია, წყალში მოთავსებისას ზევით ამოტივტივდებიან, ხოლო ბენზინში – თანაბრად ნაწილდებიან გამხსნელის მთელ მასაში.

ემულსიების დასაშლელად გამოიყენება 1) თერმული, 2) ქიმიური და 3) ელექტრული მეთოდები.

თერმული მეთოდი: ემულსიების დაშლას ახდენენ ნავთობის გაცხელებით, რის შედეგადაც ემულგატორის აფსკი ფართოვდება და სკდება, ხოლო სითხის წვეთები ერწყმიან ერთმანეთს.

ქიმიური მეთოდი: ემულსიების დაშლას ახდენენ დეემულგატორებით; ამ მიზნით გამოიყენება არაიონოგენური დეემულგატორები – პროქსამინი, ოქსი-თილირებული ცხიმოვანი მჟავები, და სხვა.



დეემულგატორები ამცირებენ წყლის წვეთის გარემომცველი ფენების სტრუქტურულ მექანიკურ სიმტკიცეს.

ემულსიის დაშლის ელექტრული მეთოდი დაფუძნებულია ელექტრული ველის მოქმედებაზე, რომელიც ზრდის წყლის გლობულების შეჯახებების ალბათობას. ცალკეული წვეთები მიისწრაფვიან დადებითი ელექტროდისადმი, ეჯახებიან ერთმანეთს, ერთდებიან უფრო მსხვილ წვეთებად.

ნავთობიდან წყლისა და მარილების მოსაცილებლად მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება ემულსიების დაშლის კომბინირებული მეთოდები: თერმოქიმიური, ელექტროქიმიური და სხვა. უპირატესად გამოიყენება თერმოქიმიური მეთოდი – ნავთობის 80%-ს ამ მეთოდით ამუშავებენ.

ამ მიზნით ნავთობს ემატება დეემულგატორი, შემდეგ ის ცხელდება და გადადის დასაწყობად; ატმოსფერულ წნევაზე და არაჰერმეტულ დანადგარში

პროცესის ჩატარებისას შესაძლებელია მსუბუქი ნავთობპროდუქტების აორ-თქლება-დაკარგვა. ამის თავიდან ასაცილებლად პროცესი ტარდება შემდეგნაირად:

აირმოცილებულ ნედლ ნავთობს ემატება დეემულგატორი, ტუმბოს საშუალებით გადაიტუმბება თბომიმომცვლელში (რომელიც ცხელდება ორთქლით), შემდეგ გადადის თბოდამწდომში, რომელშიც 1,5-2 მპა წნევის პირობებში ნავთობს აყოვნებენ 1-3 სთ-ის განმავლობაში. ასევე იყენებენ ელექტროქიმიურ მეთოდს, ამ მეთოდში შერწყმულია ნავთობის თერმოქიმიური მეთოდი და ემულსი-ის დამუშავება ელექტრული დენით.

გაუწყლოებული ნავთობი თბომცვლელი მილის საშუალებით გადადის რეზერვუარში, სადაც ხდება დამატებით წყლის მოცილება ნავთობის დაწდომით; მიღებულ წყალს გადაქაჩავენ ნავთობის ჭაბურლილში ან მასში გახსნილი დე-ემულგატორის გამო, ხელმეორედ გამოიყენება ამავე დანიშნულებით.

თერმოქიმიური მეთოდით ნავთობის დამუშავებისას წყლის შემცველობა მცირდება 0,5-1,0%-მდე. ამ დროს სცილდება ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობით მარილებიც. უმრავლეს შემთხვევებში საჭიროა ნავთობის დამატებითი გან-მენდა წყლისა და მარილებისაგან ადსორბციული მეთოდებით.

ტუმბოს საშუალებით ნავთობი რეზერვუარიდან გადმოიქაჩება გამოსახ-დელ სისტემაში. გამოსახდელი დანადგარი შედგება გამახურებელი მილოვანი ღუმელისა და სარექტიფიციაციო სვეტისაგან.

მილოვან ღუმელში მოთავსებულია კლაკნილი გრძელი მილსადენი, რომელ-შიც უწყვეტად მიედინება ნავთობი. ღუმელს ახურებენ მაზუთით ან აირით. ნავ-თობი ცხელდება  $385-400^{\circ}\text{C}$ -მდე და ნამოქმნილი ორთქლისა და სითხის ნარევი გადადის სარექტიფიციაციო სვეტში.

სარექტიფიციაციო სვეტი ვერტიკალური, ცილინდრული ფორმის უჯანგავი ფოლადისაგან აგებული დანადგარია, რომელიც აღჭურვილია ჰორიზონტალუ-რად განლაგებული ხვრეტილებიანი მეტალური ტიხრებით ან ძგიდეებით ე.წ. თეფშებით. ხვრეტილებზე განსაზღვრული სიმაღლის მილოვანი ჭანჭიკებია (ძირნაცლილი ჭიქებია) დამაგრებული, რომლებიც ზევიდან ლითონის ფირფი-ტებით არის გადახურული. „ჭიქებსა“ და „სახურავებს“ შორის გარკვეული სიდი-დის ღრეჩოებია, რომელშიც თავისუფლად გადის ზევით მიმავალი ორთქლი.

სარექტიფიციაციო სვეტში შემავალი, მილოვან ღუმელში გაცხელებული ნავ-თობის თხევადი, მძიმე ნაწილი (მაზუთი) ქვევით ჩამოედინება და ფსკერზე გროვდება; ხოლო ორთქლი ხვრეტილებში გადის და ზევით მოძრაობისას ცივ-დება. მასში შემავალი კომპონენტები თანდათანობით კონდენსირდება და თავ-სდება ამა თუ იმ თეფშეზე მათი დუღილის ტემპერატურის შესაბამისად.


სვეტის მუშაობის დროს „ჭიქები“ ჩაძირულია თეფშეზე კონდენსირებულ სითხეში და ნარმოქმნიან ჰიდრავლიკურ ჩამკეტს, რომელშიც ბარბოტირებს ქვევიდან ამომავალი ორთქლი, რაც იძლევა სითხისა და ორთქლის მრავალჯე-რადი კონტაქტის საშუალებას. შედეგად ორთქლის ფაზა მაქსიმალურად მდიდ-რდება დაბალმდულარე კომპონენტებით, ხოლო სითხე მაღალმდულარეთი.

თეფშები ერთმანეთთან შეერთებულია გარკვეული სიმაღლის მილოვანი „უსახურავო“ ჭიქებით, რომელთა მეშვეობით სითხე ქვედა თეფშებზე ჩამოედინება, საიდანაც ისევ ორთქლდება და ადის ზედა თეფშებზე და ა.შ. ამ პროცესის მრავალჯერადი გამეორებით მიიღწევა რექტიფიკაციის მაღალი ხარისხი.

ჩვეულებივ წნევაზე გამოხდისას ნავთობიდან გამოიყოფა ღია ფერის ნავთობპროდუქტები (ბენზინი, ნავთი, გაზოილი). დარჩენილი მაზუთის გამოხდა ხდება შემცირებული წნევის პირობებში (3-5კპა) – ვაკუუმ-დანადგარებში.

ვაკუუმ-დანადგარებში მაზუთი ჯერ მილოვან ღუმელში ცხელდება, მაზუთში შემავალი ნახშირწყალბადები შემცირებული წნევის პირობებში ორთქლდება და სარექტიფიკაციო სვეტში გადადის, სადაც ხდება მისი ფრაქციებად დაყოფა; მიიღება მძიმე გაზოილი და სხვადასხვა სახის საცხები ზეთი. კოშკის ფსკერზე გროვდება გამოუხდელი ნაწილი – გუდრონი.

ხშირად ნავთობის გამოსახდელი აპარატები ატმოსფერულ წნევაზე და შემცირებული წნევის პირობებში ცალკ-ცალკეა აგებული, ზოგჯერ კი – ერთად, კომბინირებულად არის აგებული (ატმოსფერულ-ვაკუუმური დანადგარი).



ნავთობის პირდაპირი გამოხდის ნაშთი

## 10.2. ნავთობის მეორადი გადამუშავება

ნავთობის მეორადი გადამუშავების პროცესებია: ნავთობპროდუქტების კრეკინგი, პიდროკრეკინგი, პიროლიზი, დაკოქსვა, გაწმენდა და სხვა.

მეორადი პროცესების გამოყენებით ხდება მძიმე ფრაქციიდან და ნარჩენებიდან ბენზინის, ნავთის და დიზელის საწვავების მიღება და მათი ხარისხის გაზრდა, კერძოდ, ბენზინის ანტიდეტონაციური მდგრადობის (ოქტანური რიცხვის) და რეაქტიული საწვავის თერმული მდგრადობის გაზრდა, პირდაპირ გამოხდით მიღებულ ნავთობპროდუქტებში გოგირდის შემცველობის შემცირება და სხვა. ნავთობგადამუშავების მეორადი პროცესების შედეგად მიიღება აგრეთვე ნავთობქიმიური მრეწველობისათვის საჭირო რიგი ნივთიერებები, თხევადი და აირადი ალკანები, ალკენები, დიენები, აცეტილენი, არენები, კოქსი და სხვა.

### 10.2.1. პრეპინგი

ნახშირწყალბადები გარკვეული ზღვრული ტემპერატურის ზემოთ გახურებისას, იხლიჩებიან და ნარმოქმნიან უფრო მცირე მოლეკულური მასის მქონე ნახშირწყალბადების ნარეგს. ამ პროცესს კრეკინგი ეწოდება (ინგლისური სიტყვიდან cracking – გახლეჩა).

თავდაპირველად კრეკინგის დანიშნულება იყო ნავთობის მაღალი ფრაქციიდან ბენზინის მიღება. ამჟამად კრეკინგის შედეგად, ბენზინის გარდა, იღებენ ნავთისა და დიზელის ფრაქციებს და საქვაბე საწვავს.

არჩევენ ორი ტიპის კრეკინგს: თერმულს და კატალიზურს.

თერმული კრეკინგი, თავის მხრივ, იყოფა თხევადფაზურ და აირადფაზურ კრეკინგად. თერმულ კრეკინგს ეკუთვნის აგრეთვე ვისბრეკინგი (მსუბუქი კრეკინგი).

ნახშირწყალბადების დაშლის ტემპერატურა დამოკიდებულია მის მოლეკულურ მასასა და აგებულებაზე. ნახშირბადატომების ტოლი რიცხვის შემცველობის შემთხვევაში, ნახშირწყალბადთა თერმული მდგრადობა იზრდება შემდეგი თანმიმდევრობით: ალკანები < ალკენები < ალკადიენები < ნაფტენები < ბენზოლის რიგის ნახშირწყალბადები < კონდენსირებული არომატული ნახშირწყალბადები.

თითოეულ ჰომოლოგიურ რიგში ნაერთის თერმული მდგრადობა მცირდება ნახშირბადოვანი ჯაჭვის გაზრდით და მცირედ იზრდება ჯაჭვის განშტოებით.

კრეკინგი რთული პროცესია, ის მოიცავს – C-C- ბმების გახლეჩას, დეპიდრირების, იზომერიზაციის, ალკილირების, პოლიმერიზაციის, არომატიზაციის და სხვა პროცესებს.

კრეკინგის პირველად პროცესებს შეადგენენ ის რეაქციები, რომლებიც დაკავშირებულია C-C და C-H ბმების განცვეტასთან, ხოლო იზომერიზაციის და პოლიმერიზაციის რეაქციები კრეკინგის მეორადი პროცესებია. პირველადი პროცესებიდან უფრო ადვილია C-C ბმის გახლეჩა, რადგან მისი ენერგია საშუალოდ

260 კჯ/მოლის ტოლია, ხოლო C-H ბმის ენერგია საშუალოდ 360 კჯ/მოლის ტოლია.

კრეკინგის ბუნება, სილრმე და მიმართულება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ტემპერატურა, რეაქციის დრო და წნევა.

თერმული კრეკინგი იწყება  $260^{\circ}\text{C}$ -ზე. ბენზინის მაღალი გამოსავლიანობის მისალწევად აუცილებელია  $400\text{-}500^{\circ}\text{C}$ , ტემპერატურის შემდგომი გაზრდისას  $700\text{-}800^{\circ}\text{C}$ -მდე მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღება უჯერი ნახშირწყალბადები,  $800\text{-}1000^{\circ}\text{C}$ -ზე ძირითადად აირადი პროდუქტები წარმოქმნება, ხოლო  $1000\text{-}1200^{\circ}\text{C}$ -ზე ხდება სრული დესტრუქცია ნახშირბადად და წყალბადად.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაცხელების ზონაში ნარევის ყოფნის ხანგრძლივობას. ალსანიშნავია, რომ პროცესის ხანგრძლივობის და ტემპერატურის ზრდა ერთი მიმართულებით აჩქარებენ რეაქციას – როგორც ამბობენ, ისინი ურთიერთშემცვლელებია. მაღალ ტემპერატურაზე მცირე დროის განმავლობაში პროცესის ჩატარებისას ხდება ძირითადად დაბალი და საშუალო მოლეკულური მასის ნახშირწყალბადების, უპირატესად არომატული ნახშირწყალბადების და ოლეფინების წარმოქმნა, ხოლო კრეკინგის ხანგრძლივობა ხელს უწყობს მძიმე არომატიზირებული ნარჩენების წარმოქმნას.

წნევის ცვლილება ცვლის კრეკინგის შედეგად მიღებული პროდუქტების ნარევის შედგენილობას. კერძოდ, წნევის გაზრდის შედეგად (ლე-შატელიეს პრინციპიდან გამომდინარე) მცირდება აირადი პროდუქტების გამოსავლიანობა. ნახშირწყალბადების გახლეჩა ძირითადად ხდება შუა ადგილას. წარმოქმნილი ალკენები მაღალ წნევაზე ადვილად ჰიდრირდებიან.

კრეკინგის ერთ-ერთი სახეა ელექტროკრეკინგი. მაგალითად, მეთანში ელექტრული განმუხტვით მიმდინარე პროცესი. შედეგად მიიღება ეთილენი და აცეტილენი. ეს პროცესი ხორციელდება აგრეთვე  $1000\text{-}1300^{\circ}\text{C}$  და 0.14 მპა წნევის პირობებში  $0.01\text{-}0.1\text{მ-ის}$  განმავლობაში.


თხევადფაზურ კრეკინგს ატარებენ  $420\text{-}550^{\circ}\text{C}$  და 5 მპა წნევაზე. ეს მეთოდი ემყარება იმ ფაქტს, რომ ნახშირწყალბადთა უმრავლესობისათვის კრიტიკული ტემპერატურაა  $400^{\circ}\text{C}$  და ამის გამო ისინი მაღალი წნევის ქვეშ თხევად ფაზაში იმყოფებიან.

აირადფაზურ კრეკინგს ატარებენ ნორმალური წნევის პირობებში  $500\text{-}550^{\circ}\text{C}$ -ზე. ამ პირობებში ნახშირწყალბადთა უმრავლესობა ორთქლდება და კრეკინგი აირად ფაზაში მიმდინარეობს.

თერმული კრეკინგის მექანიზმი განვიხილოთ სხვადასხვა რიგის ნახშირწყალბადთა მაგალითზე:


ალკანების მოლეკულების C-C და C-H ბმების ენერგიები რამდენადმე განსხვავებულია, მაგ.;  $\text{CH}_3\text{-CH}_2\text{-CH}_2\text{-CH}_2\text{-CH}_2\text{-CH}_2\text{-CH}_3$  მოლეკულაში  $\text{C}_1\text{-C}_2$  და  $\text{C}_7\text{-C}_8$  ბმის ენერგიები  $335$  კჯ/მოლი;  $\text{C}_2\text{-C}_3$  და  $\text{C}_6\text{-C}_7$  –  $322$  კჯ/მოლის;  $\text{C}_3\text{-C}_4$  და  $\text{C}_5\text{-C}_6$   $314$  კჯ/მოლი;  $\text{C}_4\text{-C}_5$  ბმის  $310$  კჯ/მოლის. შესაბამისად, C-H ბმის ენერგიებია (კჯ/მოლი):  $394, 373, 364, 360$ .

ამრიგად, ბმების ენერგიები მოლეკულის ცენტრში ყველაზე უფრო მცირეა, ამიტომ თერმული კრეპინგის პირობებში ( $400-550^{\circ}\text{C}$ ) ჯაჭვის გახლეჩა უპირატესად მოლეკულის შუა ნაწილში მიმდინარეობს:



უფრო მაღალ ტემპერატურაზე შესაძლებელია სხვა ბმების გახლეჩაც. წარმოქმნილი რადიკალები განიცდიან შემდეგ გარდაქმნებს:


1) დისპაროპორციონირების რეაქციას – რადიკალებს შორის წყალბადატომების გადანაწილება, შედეგად წარმოიქმნება ალკანები და ალკენები:



(მიღებული ნახშირწყალბადები განიცდიან შემდგომ დაშლას კრეპინგის პირობებში მდგრადი საბოლოო პროდუქტების წარმოქმნამდე).

2) რადიკალების დაშლა უჯერი ნახშირწყალბადებისა და უფრო მცირე მოლეკულური მასის ახალი თავისუფალი რადიკალების წარმოქმნით.

დაშლა ძირითადად მიმდინარეობს გაუწყვილებელი ელექტრონის მქონე ნახშირბადატომის მიმართ  $\beta$ -მდგომარეობაში, მაგ.:




$\beta$ -დაშლის რეაქცია მიმდინარეობს მანამდე, სანამ არ წარმოიქმნება შედარებით მდგრადი რადიკალი (რომელსაც არ გააჩნია გაუწყვილებელი ელექტრონის მქონე  $\beta$  ნახშირბადატომი).

თერმული დაშლის მიმართ რადიკალების შედარებითი სტაბილობა მცირდება რიგში:




ეს რადიკალები შედიან რეაქციაში ალკანებთან ახალი თავისუფალი რადიკალის წარმოქმნით და აგრძელებენ ჯაჭვურ პროცესს:




3) რადიკალის იზომერიზაცია.

იზომერიზაცია მიმდინარეობს ციკლური გარდამავალი მდგომარეობის გავლით:



რადიკალის 1.5 იზომერიზაციის გარდა ადგილი აქვს 1.4; 1.6 და 1.7 იზომერიზაციას.

4) რადიკალის მიერთება ეთილენურ ნახშირწყალბადთან ( $\beta$ -დაშლის შებრუნებული რეაქცია):





თერმული კრეკინგის თავისუფალ-რადიკალური მექანიზმი მოწოდებული იყო რაისების მიერ 1940 წელს.

მაღალი რიგის ალკენების  $400-500^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე გაცხელებისას უპირატესად მიმდინარეობს ორმაგი ბმის მიმართ  $\beta$  C-C ბმების გახლეჩა:




ჯაჭვი გრძელდება რეაქციებით:




$\text{C}=\text{C}$  ბმის მიმართ  $\beta$  C-H ბმის გარდა შესაძლებელია  $\gamma$ ,  $\delta$  და  $\alpha$ .შ. მეორეული წყალბადის მოხლეჩა (გარდა  $\alpha$  C-H-ისა); ალკენების სიგრძის ზრდასთან ერთად იზრდება სხვა წყალბადატომის მოხლეჩის შესაძლებლობა.

ციკლოალკანების შემთხვევაში მიმდინარეობს როგორც C-C (უპირატესად), ისე C-H ბმების დახლეჩა.


მიაჩნიათ, რომ ციკლოპენესანში ერთი C-C ბმის გახლეჩის შედეგად ხდება ბირადიკალის ნარმოქმნა, რომელიც შემდეგ გარდაიქმნება ალკენად.



რეაქციის სიჩქარე დაბალია, რადგან რეაქციის I სტადია – რეაქციის ინიცირება საჭიროებს მაღალ ენერგიას, ხოლო ალკენების დაგროვების შედეგად პროცესი მიმდინარეობს რადიკალურ-ჯაჭვური მექანიზმით ორმაგი ბმის მიმართ  $\beta$  მდგომარეობაში არსებული C-C ბმების დახლეჩით.




წარმოქნილი რადიკალები განაპირობებენ პროცესის გაგრძელებას რადიკალურ-ჯაჭვური მექანიზმით:




ალკილციკლოალკანების შემთხვევაში ხდება გვერდით ჯაჭვში C-C ბმის გახლება თავისუფალი რადიკალების წარმოქმნით, რომლებიც ახდენენ ჯაჭვური პროცესების წარმართვას.

კრეკინგის დროს ნაკლები ხარისხით, მაგრამ მაინც ადგილი აქვს ციკლოჰექსანისა და ციკლოპენტანის ბირთვების შემცველი ნაერთების დეპიდრირებას – შესაბამისად არომატული და ციკლოპენტადიენური ნახშირწყალბადების წარმოქმნას.


არომატული ნახშირწყალბადები სხვა რიგის ნახშირწყალბადებთან შედარებით, თერმულად მნიშვნელოვნად მდგრადებია. თერმოდინამიკურად შესაძლებელია არომატული ნახშირწყალბადების სრული დაშლა – დესტრუქცია ნახშირბადად და წყალბადად, ციკლის გახსნა ხდება ძალიან მაღალ ტემპერატურაზე. ამიტომ ბენზოლის და ნაფთალინის თერმული კრეკინგის ძირითადი მიმართულებაა დეპიდროკონდენსაცია:






ტოლუოლი, ისევე როგორც ბენზოლი, განიცდის დეპიდროკონდენსაციას:




საწყისი სტადია მიღის შედარებით ნელა:




შემდეგ კი პროცესი ვითარდება რადიკალური ჯაჭვური მექანიზმით:





გამოყოფილი წყალბადის მოქმედებით მიმდინარეობს აგრეთვე დემეთილი-რების რეაქცია:



გვერდით ჯაჭვში გრძელი ალკილის რადიკალის შემცველი არენების შემთხვევაში ადგილი აქვს ალკილის ჯგუფების დაშლას. ბუნებრივია, ყველაზე ადვილად ხდება არომატული ბირთვის მიმართ  $\beta$ -C-C ბმის გაწყვეტა:



რადიკალის საწყის მოლეკულასთან მოქმედებისას შესაძლებელია ნებისმიერი მეორეული წყალბადატომის მოხლეჩა, უპირატესად კი არომატული ბირთვის მიმართ  $\alpha$ -CH<sub>2</sub> ჯგუფიდან:




ნარმოქმნილი რადიკალები აგრძელებენ პროცესს.

თხევადფაზური და აირადფაზური კრეკინგის შედეგად მიღებული ბენზინები შედგენილობით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

თხევადფაზური კრეკინგის შედეგად მიღებული ბენზინი ძირითადად შეიცავს ალკანებს და 10-12%-მდე ალკენებს. ასეთი ბენზინები შენახვისადმი მდგრადები არიან. მათ აქვთ დაბალი ოქტანური რიცხვი. აირადფაზური კრეკინგის გზით მიღებული ბენზინი შეიცავს 45-50% ალკენებს, 45-50% არომატულ ნახშირწყალბადებს და ნაფტენებს. აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ნახშირწყალბადთა ნარევის თერმული დაშლა უფრო დიდი სიჩქარით მიმდინარეობს, ვიდრე ინდივიდუალური ნახშირწყალბადებისა, რადგან ცალკეული სუფთა ნახშირწყალბადების დაშლა შეიძლება ნარიმართოს არაჯაჭვური მექანიზმით – ინიცირების დაბალი სიჩქარის გამო, მაშინ როდესაც ნახშირწყალბადების ნარევის დაშლა ყოველთვის ჯაჭვური მექანიზმით მიმდინარეობს.

მაგ.: ბენზოლის დაშლისას წარმოქმნილი ფენილის რადიკალი უერთდება ბენზოლის მოლეკულას დიფენილის რადიკალის წარმოქმნით, რომლის სიჩქარე დაბალია, ამიტომ პროცესი მუხრუჭდება.

მაგრამ, თუ ბენზოლი არის ალკანებთან ნარევში, მაშინ ფენილის რადიკალი შედის ალკანებთან რეაქციაში ბევრად სწრაფად, ვიდრე ბენზოლთან – ალკილის რადიკალის წარმოქმნით:



რომლის გარდაქმნა გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს, განსაკუთრებით არასტაბილური რადიკალების წარმოქმნისას, როდესაც ისინი შეიცავენ  $\beta$  C-C ბმებს.

დადგენილია, რომ ინდივიდუალური ნახშირწყალბადების თერმული დაშლის პროდუქტები განსხვავდებიან ნახშირწყალბადთა ნარევის თერმული დაშლის პროდუქტებისაგან.

### 10.2.2. ვისბრევინგი

ვისბრევინგი (მსუბუქი კრეკინგი) თერმული კრეკინგის სახეობაა, რომელ-საც იყენებენ საქვაბე საწვავის სიბლანტის შესამცირებლად.

ვისბრევინგს ატარებენ  $450\text{-}480^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 2-5 მპა წნევის პირობებში.

ვისბრევინგის ნედლეულს წარმოადგენს ნავთობის ნარჩენები, გუდრონები, ასფალტები, ექსტრაქტები, კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებული გაზოილი.

ვისბრევინგის შედეგად ძირითადი პროდუქტის გარდა წარმოიქმნება ნახშირწყალბადოვანი აირი, კრეკინგ-ბენზინი, ნავთ-გაზოილის ფრაქცია, თერმოგაზოილი და კრეკინგის ნარჩენი.

ვისბრევინგის გზით მიღებულ ბენზინს აქვს დაბალი ოქტანური რიცხვი, შეიცავს გოგირდ- და აზოტშემცველ ნაერთებს და ალკენებს, რის გამოც ის ქიმიური არასტაბილურობით ხასიათდება. ძრავის საწვავად გამოყენებისათვის საჭიროა მისი გადამუშავება: ჰიდროგანმენდა და რიფორმინგი.

ნავთ-გაზოილის ფრაქცია ( $200\text{-}350^{\circ}\text{C}$ ) წარმოადგენს ფლოტის მაზუთის ძვირფას კომპონენტს.

თერმოგაზოილს ( $>350^{\circ}\text{C}$ ) იყენებენ, როგორც ნედლეულს კატალიზური კრეკინგის (ჰიდროკრეკინგის) და ტექნიკური ნახშირბადის წარმოებაში. კრეკინგის ნარჩენს იყენებენ როგორც საქვაბე საწვავს. პირდაპირი გამოხდის მაზუთან შედარებით მას გააჩნია მაღალი სიმკვრივე და წვის სითბო.

### 10.2.3. კატალიზური პრეკონცენტრი

კატალიზატორის გამოყენებამ კრეკინგის პროცესში შესაძლებელი გახდა დაბალმდფულარე ფრაქციების (ძრავის საწვავების) გამოსავლიანობის, ხარისხის და პროცესის სიჩქარის მნიშვნელოვანი გაზრდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ტარდება ფართო გამოკვლევები კრეკინგის რეაქციებში კატალიზური მოქმედების ნივთიერებათა გამოვლენის მიმართულებით.

დადგენილია, რომ ამ პროცესში მრავალი მეტალი ავლენს კატალიზურ მოქმედებას, ხელს უწყობს C-C და C-H ბმების დახლეჩას. ამასთანავე ზოგიერთი მათგანი, მაგალითად Cu და Pd ნარმართავს ძირითადად დეპიდრირების რეაქციას – (C-H) ბმების დახლეჩას, Fe, Ni და Co კი ახდენენ ნახშირწყალბადების სრულ დაშლას ნახშირბადად და წყალბადად.

კატალიზური აქტიურობით ხასიათდებიან ასევე რიგი შენადნობები, მეტალთა ოქსიდები და ჰალოგენიდები.

თავდაპირველად ნარმოებაში კატალიზატორად ძირითადად გამოიყენებოდა  $\text{AlCl}_3$  და  $\text{Fe}_2\text{O}_3$ .

$\text{AlCl}_3$ -ის გამოყენებისას ნედლეულს ამატებდნენ 5-10%  $\text{AlCl}_3$  და აცხელებდნენ 260-280°C-ზე, რის შედეგადაც მიიღებოდა 70% ბენზინი, 10% აირი და 20% კოქსი.

ნარმოქმნილი ბენზინი ალკენებს არ შეიცავს: შედგება ძირითადად ციკლოალკანების, ალკანებისა და მცირე რაოდენობით არენებისაგან. იხდება 170°C-მდე, ოქტანური რიცხვი 77-80-ის ფარგლებშია.

$\text{AlCl}_3$ -ის გამოყენება ნარმოებაში რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რის გამოც მან ფართო გამოყენება ვერ მოიპოვა.

კატალიზური კრეკინგის განვითარებას ხელი შეუწყო კატალიზატორებად ბუნებრივი და სინთეზური ალუმინიუმის გამოყენებამ; ხშირად მათ აქტივატორების სახით უმატებდნენ 0.5 -1%-მდე  $\text{Fe}$ -ის,  $\text{Ni}$ -ის,  $\text{Co}$ -ის,  $\text{Cu}$ -ის,  $\text{Cr}$ -ის და  $\text{Mn}$ -ის მარილებს.

ამჟამად კრეკინგისათვის წარმატებით გამოიყენება 10-25% ცეოლითის შემცველი ალუმინისილიკატები, განსაკუთრებით იშვიათმინა ელემენტების შემცველი ან დეკატიონირებული ფორმის Y ტიპის ცეოლითები, რომლებიც თანაბრად არიან განაწილებული ამორფულ ალუმინისილიკატებზე.

ამ კატალიზატორების გამოყენებით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო პროცესის სიჩქარე; ამასთანავე 30-40% გაიზარდა მიზნობრივი პროდუქტების გამოსავლიანობა. კატალიზური კრეკინგის ნედლეულად გამოიყენება როგორც ატმოსფერული, ისე ვაკუუმური გაზოილი, ასევე ნავთობის მეორადი გადამუშავების – დაკოქსვის, დეასფალტიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტების კრეკინგი. განსაკუთრებით მიზანშენონილია ამ მიზნით ნაფტენებისა და ალკანების მაღალი შემცველობის ნედლეულის გამოყენება.

კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებული პროდუქტების შედგენილობა და რაოდენობა დამოკიდებულია გამოყენებულ ნადლეულზე, კატალიზატორზე და პროცესის რეჟიმზე.

მაღალოქტანური ბენზინის გარდა, კატალიზური კრეკინგის პროდუქტებს წარმოადგენს აირადი ნახშირნყალბადები, მსუბუქი გაზოილი ( $195\text{-}350^{\circ}\text{C}$ ), მძიმე გაზოილი ( $>350^{\circ}\text{C}$ ).


მსუბუქი გაზოილი გამოიყენება დიზელის საწვავის კომპონენტად და მაზუთის განზავებისათვის, ხოლო მძიმე გაზოილი ( $>350^{\circ}\text{C}$ ) გამოიყენება საქვაბე საწვად ან ნედლეულად თერმული კრეკინგისა და დაკოქსვისათვის.

კატალიზური კრეკინგი, თერმული კრეკინგისაგან განსხვავებით მიმდინარეობს იონური-კარბკატიონური ჯაჭვური მექანიზმით, რასაც განაპირობებს გამოყენებული კატალიზატორის ბუნება.


კატალიზური კრეკინგის დროს – C-C- ბმების დახლეჩის გარდა, მიმდინარეობს იზომერიზაციის, დეალკილირების, ალკილირების, დეპიდროციკლიზაციის და კონდენსაციის პროცესები.

ამორფულ ალუმინიკატს, რომელზედაც განაწილებულია ცეოლითი, გააჩნია საკუთარი აქტიურობა. იგი შეიცავს კატალიზურად აქტიურ როგორც ბრენსტედის, ისე ლუისის მჟავურ ცენტრებს. ბრენსტედის მჟავურ ცენტრს შეიძლება წარმოადგენდეს: 1) ალუმინის ატომთან კოორდინაციულად ქემოსორბირებული წყლის პროტონი, 2) ალუმინის ატომთან დაკავშირებული OH-ის პროტონი, 3) Si-ის ატომთან დაკავშირებული OH-ის პროტონი.


1)




2)




3)




ლუისის მჟავური ცენტრი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სტრუქტურით:



შესაძლებელია ბრენსტედის მჟავური ცენტრის გარდაქმნა ლუისის მჟავურ ცენტრად:



მიაჩნიათ, რომ ცეოლითშემცველი ალუმინისილიკატურ კატალიზატორებში მეტალის კატიონის როლი უნდა მდგომარეობდეს წყლის მოლეკულის იონიზაციის შედეგად დამატებითი მჟავური ცენტრების შექმნაში:




რეაქციის სიჩქარე ცეოლითშემცველ კატალიზატორებზე 2-3 რიგით მეტია, ვიდრე ამორფულ ალუმინისილიკატურ კატალიზატორზე. ამასთანავე, ცეოლითშემცველი ალუმინისილიკატური კატალიზატორები ხასიათდებიან უფრო მაღალი თერმული და მექანიკური სტაბილურობით, ვიდრე სუფთა ცეოლითები.

განვიხილოთ კატალიზური კრეკინგის მექანიზმი სხვადასხვა კლასის ნახშირწყალბადებისათვის.


ალკანების შემთხვევაში იონური მექანიზმით ჯაჭვის ჩასახვა ანუ კარბკატიონის წარმოქმნა შესაძლებელია ორი გზით:

1) კატალიზატორის პროტონული ან აპროტონული ცენტრის მოქმედებით ხდება ალკანებიდან ჰიდრიდიონის მოხლეჩა და კარბკატიონის წარმოქმნა:



სადაც  $L$  ალნიშნავს კატალიზატორის აქტიურ ცენტრს.

2) პროცესის დასაწყისში შესაძლებელია მოხდეს ნახშირწყალბადების თერმული დაშლა ალკანისა და ალკენის წარმოქმნით (ასევე შესაძლებელია ალკენს შეიცავდეს ნედლეული). ალკენი კატალიზატორიდან მიიერთებს პროტონს და წარმოქმნის კარბკატიონს:




წარმოქმნილი კარბკატიონი განაპირობებს პროცესის კარბკატიონური ჯაჭვური მექანიზმით წარმართვას.

ჯაჭვის გაგრძელება შეიძლება წარიმართოს კარბკატიონის გარდაქმნის ყველა შესაძლო მიმართულებით.


მაგ.: თუ პროცესის პირველ სტადიაზე ადგილი აქვს პირველადი კარბკატიონის წარმოქმნას, მაშინ ყველაზე საალბათოა პირველადი კარბკატიონის იზო-

მერიზაცია უფრო სტაბილურ მეორეულ და განსაკუთრებით მესამეულ კარბკატიონად და კარბკატიონების დაშლა –  $\beta$ -ნესის მიხედვით – ახალი კარბკატიონების წარმოქმნით:




ამრიგად, კატალიზური კრეკინგის დროს ალკანები დაშლასთან ერთად განიცდიან იზომერიზაციას.

წარმოქნილი დაბალმოლეკულური კარბკატიონები იზომერიზაციის შედეგად გარდაიქმნებიან მეორეულ და მესამეულ კარბკატიონებად.




ჯაჭვის გაწყვეტა ხდება კარბკატიონის ურთიერთექმედებით კატალიზატორის ცენტრთან:




ალკანების კატალიზური კრეკინგის სიჩქარე ერთი-ორი რიგით უფრო მაღალია თერმულ კრეკინგთან შედარებით.

ალკენების კრეკინგის სიჩქარე 2-3 რიგით უფრო მაღალია შესაბამისი ალკანების კრეკინგის სიჩქარესთან შედარებით, რასაც განაპირობებს კარბკატიონის წარმოქმნის მაღალი სიჩქარე:




მსგავსი რეაქციების გარდა ალკენებისათვის დამახასიათებელია ასევე წყალ-ბადატომების გადანაწილების, დეპროტონირების და ციკლიზაციის რეაქციები:




ციკლიზაციისას შეიძლება წარმოიქმნას ციკლოპენტანები, ციკლოპენტენები, ციკლოპენტადიენები და არომატული ნახშირნყალბადები.

მაგალითად ჰექსენის შემთხვევაში:



რეაქციის მექანიზმი ასეთია:




ციკლოალკანების შემთხვევაში ძირითადად მიმდინარეობს შემდეგი რეაქციები:

1. ციკლის გახსნა ალკენებისა და ალკადიენების წარმოქმნით;
2. დეპიდრირება – არენების წარმოქმნით;
3. ციკლისა და გვერდითი ჯაჭვის იზომერიზაცია.


კარბკატიონის წარმოქმნა ხდება ალკანების ანალოგიურად. წარმოქმნილი კარბკატიონი ახდენს ჰიდროდიონის მოხლეჩას ციკლოალკანების მოლეკული-დან. ამიტომ ეს პროცესი ადვილდება ჩანაცვლებული ციკლოალკანების შემთხვევაში და ჩამნაცვლებლის რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება კრეკინგის ხარისხი. ციკლოჰექსანის, დიმეთილციკლოჰექსანისა და ტრიმეთილციკლოჰექსანის კრეკინგის ხარისხი შესაბამისად ტოლია 47; 75.6; 78.6.

მონოჩანაცვლებული ციკლოპექსანის შემთხვევაში წარმოქმნილი ციკლოპექსილის იონი შეიძლება დაიშალოს 1) C-C ან 2) C-H ბმების გახლების მიმართულებით.


1) C-C ბმების გახლების შედეგად წარმოიქმნება ალკენები და ალკადიენები შემდეგი მექანიზმის მიხედვით:




წარმოქმნილი ალკენილიონი სწრაფად გარდაიქმნება ალილის იონად:



რომელიც საწყის მოლეკულას ართმევს ჰიდროდიონს:




ან ალკენის მოლეკულას გადასცემს –  $\beta$ -პროტონს.



წარმოქმნილი კარბკატიონები ჯაჭვური მექანიზმით აგრძელებენ პროცესს. კრეკინგის პროცესში მიმდინარეობს ციკლოპექსანების იზომერიზაცია ციკლოპენტანებად და პირიქით, ალკილციკლოპენტანების გარდაქმნა ციკლოპექსანებად. ეს პროცესი მიმდინარეობს იმავე კატიონური მექანიზმით.

კატალიზური კრეკინგის პირობებში ციკლოპენტანები უფრო მდგრადებია, ვიდრე ციკლოპექსანები. ამ პირობებში ციკლოპექსანები განიცდიან დეპიდრირებას და წარმოქმნიან არომატულ ნახშირწყალბადებს.

ჩაუნაცვლებელი არენები კრეკინგის პირობებში მდგრადი ნაერთებია. ალკილ-ჩანაცვლებული არენების ძირითად რეაქციას დეალკილირების რეაქცია წარმოადგენს:



რეაქციის სიჩქარე იზრდება ალკილის რადიკალის სიგრძისა და განშტოების გაზრდით. პროცესის სიჩქარე განსაკუთრებით მაღალია მესამეული ნახშირბად-ატომის შემცველი ალკილის რადიკალის შემთხვევაში. მეთილჩანაცვლებული არენების შემთხვევაში კი ძირითადად მიმდინარეობს დისპროპორციონირების რეაქციები.



კრეკინგის სიჩქარე კატალიზატორების გამოყენებისას თერმულთან შედარებით ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება. ალკანებისათვის – 6-60-ჯერ, ალკენებისათვის – 100-1000-ჯერ, ნაფტენებისათვის – 1000-ჯერ, არომატული-სათვის – 10000-ჯერ.

კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებული ნარევის რაოდენობრივი შედგენილობა საშუალოდ ასეთია:

1. სასაქონლო ბენზინი – 41-53% ( ოქტანური რიცხვი 90-94 კვლევითი მეთოდით).
2. აირადი ნახშირნყალბადები – 10-20%
3. მსუბუქი გაზოილი – 17-24%
4. მძიმე გაზოილი – 8-12%
5. კოქსი – 4-7%

წარმოქმნილი აირები ძირითადად შეიცავენ პროპან-პროპენსა და ბუტან-ბუტენებს და მცირე რაოდენობით წყალბადს, რადგან დეპიდრირების შედეგად გამოყოფილი წყალბადი იხარჯება ალკენების ჰიდრირების და ჰიდროგენოლიზის პროცესებზე.

#### 10.2.4. ჰიდროპრეპინგი

ჰიდროკრეკინგი ნახშირნყალბადთა კრეკინგის კატალიზური პროცესია, რომელიც მიმდინარეობს წყალბადის არეში ( $260-450^\circ\text{C}$ -სა და 5-20 მპა წნევის პირობებში). ნახშირნყალბადების კრეკინგის შედეგად წარმოქმნილი უჯერი ფრაგმენტები, იერთებენ წყალბადს და წარმოქმნიან საწყის ნახშირნყალბადებთან შედარებით უფრო მცირე მოლეკულური მასის მქონე ნივთიერებებს.

ჰიდროკრეკინგისათვის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ნავთობის მაღალ-მდუღარე ფრაქციები და ნარჩენები; იყენებენ ასევე სხვა ნავთობპროდუქტებსაც.

კატალიზატორის, პირობებისა და ნედლეულის შერჩევით ჰიდროკრეკინგის საშუალებით შესაძლებელია ნავთობპროდუქტების ფართო ასორტიმენტის მიღება.

1. ბენზინის ფრაქციის ჰიდროკრეკინგით მიღება C<sub>4</sub>-C<sub>5</sub> შედგენილობის ნახშირწყალბადები, რომლებიც გამოიყენებიან ნავთობქიმიურ სინთეზში და მაღალოქტანურ კომპონენტებად საავტომობილო ბენზინებისათვის.
2. პირველადი და მეორადი გადამუშავების შედეგად მიღებული საშუალო დისტილატების (200-350°C) ჰიდროკრეკინგი გამოიყენება ბენზინისა და რეაქტიული საწვავის მისაღებად.
3. ატმოსფერული, ვაკუუმგამოხდის, დაკოქსვისა და კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებული გაზოილის ჰიდროკრეკინგი – ბენზინის, რეაქტიული და დიზელის საწვავის მიღების მიზნით.
4. ნავთობის მძიმე დისტილატების ჰიდროკრეკინგი – რეაქტიული და დიზელის საწვავების, საპოხი ზეთების, მცირევოგირდოვანი საქვაბე საწვავისა და კატალიზური კრეკინგისათვის ნედლეულის მისაღებად.
5. ნავთობპროდუქტების ჰიდროკრეკინგი გამოიყენება ნავთობპროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად:
  - ა) ბენზინის ოქტანური რიცხვის გაზრდის მიზნით;
  - ბ) რეაქტიული და დიზელის საწვავის გამყარების ტემპერატურის დაწევის მიზნით;
  - გ) ზეთის ფრაქციის ფერის გაუმჯობესების, სტაბილობის გაზრდისა და გამყარების ტემპერატურის შემცირების მიზნით;
  - დ) ჰიდროდეარომატიზაციის მიზნით.

ჰიდროკრეკინგისათვის dირითადად გამოიყენება ბიფუნქციური – მაჰიდრორებელი და მჟავე ბუნების კომპონენტების შემცველი კატალიზატორები.

მჟავა კომპონენტებად იყენებენ ცეოლითებს, ალუმინის იქსიდს, ალუმინილიკატებს, რომლებიც განაპირობებენ იზომერიზაციისა და კრეკინგის რეაქციებს, ხოლო მაჰიდრორებელ კომპონენტებს ნარმოადგენენ VIII ჯგუფის მეტალები (Pt, Pd, Ni, Co, Fe), VI ჯგუფის მეტალების (Mo, W) იქსიდები და ზოგ შემთხვევაში Mo-ის და W-ის სულფიდები.

ჰიდროკრეკინგისათვის ცეოლითშემცველი კატალიზატორებიდან წარმატებით გამოიყენება ალუმინ-კოპალტ-მოლიბდენის, ალუმინ-მოლიბდენის და ალუმინ-ნიკელ-ვალფრამის კატალიზატორები.

მჟავური ფუნქციის გაძლიერების მიზნით კატალიზატორში შეჰქავთ ჰიდროგენები, სხვადასხვა ოქსიდები, აგრეთვე ახდენენ ცეოლითის დეალუმინირებას ან დეკატიონირებას. ხოლო მაჰიდრორებელი თვისების გაზრდის მიზნით, ახდენენ მათ პრომოტირებას; საუკეთესო პრომოტორებს ნარმოადგენენ როდიუმი, რენიუმი, ირიდიუმი. VIII ჯგუფის ელემენტების შემცველი კატალიზატორების პრომოტორებად იყენებენ იშვიათმინა ელემენტებს, ხოლო VI ჯგუფის მეტალების შემცველი კატალიზატორებისათვის კოპალტისა და ნიკელის ოქსიდებს.


VIII ჯგუფის მეტალების შემცველი კატალიზატორების აქტივაციისათვის ახდენენ წინასწარ მათ აღდგენას წყალბადით, ხოლო მოლიბდენისა და ვოლფრამის ოქსიდების შემცველობისას – მათ სულფიდირებას.

რადგან კატალიზატორში არსებული VIII ჯგუფის მეტალები ადვილად იწამლებიან ნავთობში შემავალი ჰეტეროატომის (S, N, O, P, As, Sb და მეტალების) შემცველი ორგანული ნაერთებით, ამიტომ ჰიდროკრეკინგის განხორციელებამდე საჭიროა ნედლეულის გაწმენდა. ამ მიზნისათვის ძირითადად იყენებენ ჰიდროგანმენდას. რომლის დროსაც კატალიზატორად გამოიყენება აქტიურ ალუმინის ოქსიდზე, ალუმინისილიკატზე ან ცეოლიტზე დაფენილი ნიკელის, კობალტის, მოლიბდენის ან ვოლფრამის ოქსიდები და სულფიდები; შედეგად ადგილი აქვს როგორც ჰეტეროატომების მოცილებას, ასევე პოლიციკლური არომატული ნაერთების არალრმა ჰიდროკრეკინგს.


განვიხილოთ ცალკეული რიგის ნახშირნყალბადების ჰიდროკრეკინგის რეაქციები.

### 1) ალკანების ჰიდროკრეკინგი.

მონოფუნქციურ მაჰიდრირებელ კატალიზატორებზე ხდება მხოლოდ C-C ბმების დახლეჩა და ნარმოქმნილი რადიკალების წყალბადით გაჯერება.



პლატინის გამოყენებისას ყველა C-C ბმის დახლეჩის სიჩქარე დაახლოებით თანაბარია; Ni-ის კატალიზატორზე უფრო სწრაფად მიდის განაპირა C-C ბმების დახლეჩა, ამიტომ მნიშვნელოვანი რაოდენობით ხდება მეთანის ნარმოქმნა; კაოლინზე დაფენილი Ni-ის კატალიზატორზე იზოსტრუქტურის მქონე ალკანების გატარებისას 240-260°C-ზე ხდება მეთილის ჯგუფის მოხლეჩა, ამასთან მეთილის ჯგუფის მოხლეჩა ყველაზე ადვილად ხდება მეორეული ნახშირბადიდან, უფრო ძნელად მესამეულიდან, მეოთხეულიდან კი საერთოდ არ მოიხლიჩება. პროცესი მიმდინარეობს მანამ, სანამ არ მიაღწევს მეოთხეულ ნახშირბადის ატომს – ამ პროცესს შერჩევითი დემეთილირება ეწოდება.



ბიფუნქციური კატალიზატორების შემთხვევაში ალკანები ჰიდროკრეკინგთან ერთად განიცდიან იზომერიზაციას.

თავდაპირველად კატალიზატორის მაჰიდრირებელ-მადეჰიდრირებელ ცენტრებზე ხდება ალკანების დეჰიდრირება (C-H ბმების დახლეჩა), ალკენების ნარმოქმნით; ალკენები მუავურ ცენტრებზე ადვილად ნარმოქმნიან კარბკატიო-

ნებს, ეს უკანასკნელები კი ახორციელებენ იზომერიზაციის პროცესის წარმართვას კარბკატიონური ჯაჭვური მექანიზმით.


მაღალი მაჰიდრირებელი და ზომიერი მჟავური აქტიურობის კატალიზატორებზე ალკანების გარდაქმნა ნაკლებად ხდება, რადგან სწრაფად მიმდინარეობს წარმოქმნილი კარბკატიონის გაჯერება წყალბადით.

მაღალი მჟავური აქტიურობის და ზომიერი მაჰიდრირებელი უნარის მქონე კატალიზატორების შემთხვევაში, მჟავურ ცენტრებზე სწრაფად ხორციელდება წარმოქმნილი კარბკატიონის იზომერიზაციაც და კრეკინგიც. ამიტომ ამ შემთხვევაში ჰიდროკრეკინგის სიჩქარეც მაღალია და პროცესის შედეგად დიდი რაოდენობით დაბალმოლეკულური იზოალკანები წარმოიქმნება.

აღსანიშნავია, რომ ჰიდროკრეკინგის პროცესის სიჩქარე, კატალიზური კრეკინგის მსგავსად, იზრდება ალკანის მოლეკულის სიგრძის ზრდასთან ერთად. განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს პროცესი მესამეული ნახშირბადატომის შემცველი იზოალკანის შემთხვევაში.


## 2) ციკლოალკანების გარდაქმნა.

მაჰიდრირებელი კატალიზატორების თანაობისას როგორც ჩაუნაცვლებელი, ისე მეთილციკლოალკანების შემთხვევაში მიმდინარეობს ციკლის გახსნა ალკანების წარმოქმნით. მეთილციკლოალკანებში ცილკის გახსნა უპირატესად ხდება მეთილის რადიკალის მიმართ  $\beta$  მდგომარეობაში. შედარებით მცირე ხარისხით ხდება სხვა ბმების დახლეჩაც. მაგ.: მეთილციკლოპენტანის ჰიდროკრეკინგის შედეგად, ალუმინ-პლატინის კატალიზატორზე  $250-270^{\circ}\text{C}$ -ზე  $2.1\text{მპა}$  წნევის პირობებში, წარმოიქმნება შემდეგი პროდუქტები:



ასეთივე შედეგი მიიღება დაბალი მჟავური აქტიურობის ბიფუნქციური კატალიზატორების გამოყენების დროსაც.

დაბალი მაჰიდრირებელი და მაღალი მჟავური აქტიურობის კატალიზატორზე ციკლის გახსნა უმნიშვნელო ხარისხით, ძირითადად მიმდინარეობს იზომერიზაციის რეაქციები – ექსნევრიანი ციკლოალკანები იზომერიდებიან ხუთწევრიანად:




გვერდით ჯაჭვში გრძელი ალკილის რადიკალის შემცველი ციკლოალკანების შემთხვევაში ადგილი აქვს ძირითადად რადიკალის იზომერიზაციასა და დახლეჩას.

ბიციკლურ ნახშირწყალბადებში ჰიდროკრეკინგის დროს ხდება ერთი ციკლის გახსნა და მონოციკლური ციკლოალკანის წარმოქმნა – უპირატესად ციკლოპენტანის ნანარმების წარმოქმნით.

### 3) ალკენების ჰიდროგენოზი.

ალკენები, ბიფუნქციური კატალიზატორების მუავე ცენტრებზე ადვილად წარმოქმნიან კარბკატიონებს, რომლებიც იზომერიზაციის მესამეული კარბკატიონის წარმოქმნით. წარმოქმნილი კარბკატიონი იშლება  $\beta$  წესის მიხედვით, შედეგად წარმოიქმნება დაბალმოლეკულური განშტოებული ალკენები. მაგ.,




$\text{R}^+$  აგრძელებს პროცესს.


მაჰიდრირებელ ცენტრებზე ხდება როგორც საწყისი, ისე დაშლის შედეგად წარმოქმნილი ალკენების ჰიდრირება.

### 4) არენების ჰიდროკრეკინგი.


მაღალი მაჰიდრირებელი და დაბალი მუავური აქტიურობის კატალიზატორების თანაობისას არომატული ნახშირწყალბადები ჰიდრირდებიან შესაბამისი ციკლოალკანების წარმოქმნით. ამასთანავე ბენზოლი უფრო ადვილად ჰიდრიდება, ვიდრე მისი ჰომოლოგები.




კონდენსირებულბირთვიანი არენები ჰიდრიდებიან უფრო სწრაფად, ვიდრე ბენზოლი. ჰიდრირება მიმდინარეობს თანდათანობით, ბენზოლის ბირთვების რაოდენობის შემცირებასთან ერთად ჰიდრირების რეაქციის სიჩქარე მცირდება.




ამასთანავე მიმდინარეობს წარმოქმნილი ციკლოალკანების ბირთვის ჰიდროგენოლიზი – ციკლის გახსნა:




ალკილჩანაცვლებული ბენზოლების შემთხვევაში მაღალი მაჰიდრირებელი აქტივობის კატალიზატორზე უპირატესად მიმდინარეობს გვერდითი რადიკალის ჰიდროგენოლიზი – თანდათანობითი დემეთილირების რეაქცია.



დაბალი მაჰიდრირებელი და მაღალი მუავური აქტიურობის კატალიზატორებზე ბენზოლი გარდაქმნას არ განიცდის. დაბალი რიგის ალკილბენზოლები შედიან დისპროპორციონირების რეაქციებში.



გრძელი ალკილის რადიკალის შემცველი ბენზოლის შემთხვევაში მუავურ ცენტრებზე მიმდინარეობს კარბკატიონის ნარმოქმნა, რომელიც განიცდის გეერდითი რადიკალის იზომერიზაციას და დაშლას.



სხვადასხვა კლასის ნახშირნყალბადების ჰიდროკრეაციის რეაქციების სიჩქარეთა შედარება აჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი სიჩქარით მიმდინარეობს პოლიციკური არომატული ნახშირნყალბადების ჰიდრირება მონოციკლური არომატული ან ციკლოალკანური ნახშირნყალბადების წარმოქმნით. ციკლოალკანური ციკლის გახსნა მიმდინარეობს შედარებით ნელა. ასევე მიმდინარეობს ალკანების ჰიდროგენოლიზიც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჰიდროკრეაციის პროცესში უპირატესად გროვდება მონოციკლური არენები, ციკლოალკანები და განტოტვილი ალნაგობის ალკანები.


ჰიდროკრეაციის დროს გამორიცხულია პოლიმერიზაციის, დეჰიდრირებისა და დაკოქსვის პროცესები.

კატალიზური ჰიდროკრეაციის სახეობაა ნავთობპროდუქტის კატალიზური ჰიდროგანმენდა, რომელიც გამოიყენება მაღალი ხარისხის ნავთობპროდუქტების მისაღებად.

პროცესს ატარებენ  $380\text{-}420^{\circ}\text{C}$ -ზე წყალბადის არეში, 2.5-4 კპა წნევის პირობებში ალუმინ-ნიკელ-მოლიბდენური კატალიზატორის თანდასწრებით:


ამ დროს მიმდინარეობს C-EI ( $\text{EI} = \text{S}, \text{N}, \text{O}, \text{Me}$ ) ბმების დახლეჩა და წარმოქმნილი ნანილაკების წყალბადით გაჯერება, შედეგად – ჰიდროატომებისაგან ნავთობპროდუქტის გაწმენდა.

მერკაპტანები, სულფიდები და დისულფიდები გაცხელებისას იშლებიან ალ-კანებისა და გოგირდნყალბადის წარმოქმნით. ჰიდროკრეკინგის შედეგად ხდება  $\text{H}_2\text{S}$ -ისა და ალკანების წარმოქმნა.




ჰიდრირების პროცესის სიჩქარე მცირდება ნივთიერების მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად. ნავთობის მძიმე ფრაქციებიდან  $\text{S}$ -ის მოცილება საკმაოდ ძნელდება.

ციკლოალკანები  $\text{S}$ -ის ატომით ციკლში, ასევე იშლებიან გოგირდნყალბადისა და ალკანების წარმოქმნით.





თიოფენის და ბენზოთიოფენის შემთხვევაში თავდაპირველად მიმდინარეობს გოგირდის შემცველი ბირთვის ჰიდრირება და შემდეგ მისი დესტრუქცია.




გოგირდშემცველი ნაერთებისაგან ნავთობპროდუქტების ჰიდროგანგენდისას კატალიზატორებად გამოიყენება  $\text{MoS}_2$  და  $\text{MoS}_3$  ( $350\text{-}400^\circ\text{C}$  და 3-5 წნევა).

ამ პროცესისათვის წარმატებით გამოიყენება აგრეთვე რენესი ნიკელი, რომელიც გოგირდის მოცილებას ახდენს ოთახის ტემპერატურაზეც.




აზოტი ნავთობპროდუქტებში ძირითადად შედის პირიდინის და ქინოლინის ნაწარმების (მონო-, დი- და ტრიმეთილჩანაცვლებულების) სახით. უფრო იშვიათ, ანილინის ჰომოლოგების სახით. ალსანიშნავია, რომ C-N ბმა უფრო ძნელად იხლიჩება, ვიდრე C-S ბმა.

ჰიდროგენოლიზის რეაქციაში ყველაზე ადვილად შედიან ამინები.




უფრო ძნელად მიდის პროცესი აზოტშემცველი ციკლური ნაერთების შემთხვევაში. მით უფრო ძნელად, რაც უფრო მდგრადია ციკლური სისტემა. ჰიდროგენოლიზის რეაქციები მიმდინარეობს საფეხურებრივად:


აზოტშემცველი მონოციკლური არომატული ნაერთების შემთხვევაში ჯერ მიმდინარეობს ბირთვის ჰიდრირება; ციკლის გახსნა ამინის წარმოქმნით, შემდეგ მიღებული ამინის ჰიდროგენოლიზი ალკანისა და ამიაკის წარმოქმნით. მაგ.: პიროლის შემთხვევაში



პირიდინის ჰიდროგენოლიზის საბოლოო პროდუქტებს ასევე წარმოადგენენ ალკანი და ამიაკი:





ბიციკლური და საერთოდ პოლიციკლური არომატული ნაერთების შემთხვევაში თავდაპირველად რეაქციაში შედის აზოტშემცველი ციკლი.



როგორც ცნობილია, უანგბადი ნავთობში შედის სპირტების, ეთერების, ფენოლებისა და ნაფთენური მჟავების სახით. უანგბადს შეიცავენ ასევე ფისები და ასფალტენები.

უანგბადშემცველი ნაერთებისაგან გაწმენდა ჰიდროკატალიზური მეთოდით მიმდინარეობს გოგირდშემცველი ნაერთების ანალოგიურ პირობებში.

უანგბალშემცველი ნაერთების ჰიდროგანზენდის პროდუქტებია ნახშირწყალბადები და წყალი.



ფისები და ასფალტენები ჰიდროკრეკინგის შედეგად გარდაიქმნებიან უფრო დაბალმოლეკულურ ნაერთებად.

ნავთობში შემავალი მეტალშემცველი ნაერთები კატალიზური ჰიდროგანზენდის დროს იშლებიან თავისუფალი მეტალის გამოყოფით. ამ გზით ნავთობი მეტალშემცველი ნაერთებისაგან სუფთავდება 75-95%-ით.

კატალიზური ჰიდროგანზენდის დროს ალკენები, ალკადიენები და ნანილობრივ პოლიციკულური არომატული ნახშირწყალბადები შედიან ჰიდროგენიზაციის რეაქციებში.

ამრიგად, ჰიდროგანზენდით ნავთობპროდუქტები თითქმის მთლიანად თავისუფლდება ჰეტეროატომებისაგან.

#### 10.2.5. პიროლიზი

პიროლიზის პროცესი ტარდება  $700-1000^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ატმოსფერულ ნევაზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თერმული კრეკინგის დროს  $450-500^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში C-C ბმების დახლეჩა ხდება ძირითადად მოლეკულის ცენტრში, ხოლო პროცესის  $700-1000^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ჩატარებისას C-C ბმების დახლეჩა შესაძლებელია ნებისმიერ ადგილას და შესაბამისად დიდი რაოდენობით დაბალმოლეკულური პროდუქტების წარმოქმნა ( $\text{H}_2$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{C}_2\text{H}_6$ ,  $\text{C}_2\text{H}_4$ ,  $\text{C}_3\text{H}_6$ ,  $\text{C}_4\text{H}_8$ ,  $\text{C}_4\text{H}_6$ ).

პიროლიზისათვის გამოიყენება სხვადასხვა ნედლეული: ბენზინის, ნავთის, გაზონილის ფრაქციები, კრეკინგისა და რიფორმინგის შედეგად მიღებული ნარევიდან ბენზინის ფრაქციის გამოხდის შემდეგ დარჩენილი პროდუქტები და ნავთობის მძიმე ფრაქციები. ამ შემთხვევაში პიროლიზის პროცესამდე ახდენენ მათ წინასწარ ჰიდროგანზენდას, ჰიდროდეარომატიზაციას, ჰიდროკრეკინგს ან ექსტრაქციულ დეარომატიზაციას.

პიროლიზის შედეგად მიიღება აირადი და თხევადი პროდუქტები – პიროკონდენსატი, რომელსაც პიროლიზურ ფისს უწოდებენ.

გამოყენებული ნედლეულის მიხედვით პიროლიზის პროდუქტების შედგენილობა ფართო ზღვრებში იცვლება.

გაზონილის, პირდაპირი გამოხდის ბენზინის და ვაკუუმგაზოილის პიროლიზის შედეგად მიღებული პროდუქტების შედგენილობა მასურ წილებში დაახლოებით ასეთია:

## ბენზინის პიროლიზის შედეგად მიღებული პროდუქტების შედგენილობა (%)

კომპონენტი	პირდაპირი გა- მოხდის ბენზინი	ვაკუუმური გაზოილი	ვაკუუმური გაზოილი ჰიდროკრეკინგის შემდეგ
CH <sub>4</sub>	15.6	7.6	10.1
C <sub>2</sub> H <sub>4</sub>	26.0	17.6	26.2
C <sub>3</sub> H <sub>6</sub>	14.0	10.9	13.1
C <sub>4</sub> H <sub>8</sub>	4.3	4.0	4.4
C <sub>4</sub> H <sub>6</sub>	3.8	3.5	4.7
პიროკონდენსატი	23.1	17.0	19.8
ბენზოლი	7.0	3.0	5.0
ტოლუოლი	4.5	2.0	2.2

თხევად პროდუქტებს ე.წ. „პიროლიზურ ფის“ ყოფენ ვიწრო ფრაქციებად:

დუღილის ტემპერატურის დასაწყისი 175°C ---- მსუბუქი ზეთი

175-200°C --- სოლვენტი

200-250°C ---- ნაფთალინის ზეთი

250-350°C ---- მწვანე ზეთი


>350°C ---- ნარჩენი

70°C-მდე გამოხდილი ფრაქციიდან გამოყოფენ იზოპრენს და ციკლოპენტა-დიენს. 70-130°C-მდე გამოხდილი ფრაქციიდან, რომელშიც არომატული ნახშირნებადების შემცველობა 80%-ია, გამოყოფენ ბენზოლს, ტოლუოლს და ქსილოლებს.



200°C-ის ზევით გამოხდილ ფრაქციას მძიმე ზეთი ენდება.

მძიმე ზეთი შეიცავს:


ნაფთალინს




მეთილნაფთალინებს




დიფენილს




ფლუორენს






200-250°C-ზე გამოხდილი ნაფთალინის ზეთიდან გამოყოფენ ნაფთალინს.  
230°C-ის ზევით გამოხდილ ფრაქციას იყენებენ ტექნიკური ნახშირბადის მისაღებად.

პიროვნებულის არომატული ნახშირწყალბადების წარმოქმნა შესაძლებელია აიხსნას ციკლოალკანების დეპიდრირებით, აგრეთვე პიროლიზის პროცესში ალკანების დახლეჩის და დეპიდრირების შედეგად წარმოქმნილი დიენური ნახშირწყალბადების ალკენებთან კონდენსაციით:




ხოლო კონდენსირებული არომატული ნახშირწყალბადების წარმოქმნა აიხსნება ცი-კლოპექსანური და არომატული ნახშირწყალბადების კონდენსაციით დიენებთან:



აგრეთვე, როგორც განხილული იყო, არომატული ნახშირწყალბადების დეპიდ-როკონდენსაციით.

ადრე პიროლიზის პროცესს იყენებდნენ არომატული ნახშირწყალბადების მისაღებად, ამჟამად უპირატესად უჯერი ნაერთების, კერძოდ  $C_2H_4$ -ისა და  $C_3H_6$ -ის მისაღებად..

პიროლიზის პროდუქტებში ეთილენის გამოსავლიანობის გაზრდის მიზნით სარეაქციო არეში შეყავთ 75%-მდე (ნედლეულის მასის მიმართ) წყლის ორთქლი, რომელიც ერთი მხრივ, ამცირებს ნედლეულის პარციალურ წნევას, რითაც ხელს უწყობს მოლეკულების დახლეჩის გაღრმავებას, მეორე მხრივ, ამცირებს კოქსის დაგროვებას, რადგან წყლის ორთქლი რეაქციაში შედის კოქსთან:



ეთილენის გამოსავლიანობის გაზრდას ხელს უწყობს ასევე პიროაირის დაბრუნება სარეაქციო ციკლში – რეცირკულაცია.



შემუშავებული იყო პიროლიზის პროცესის ჩატარება, როგორც ჰეტეროგენული კატალიზატორების, ასევე პომოგენური ინიციატორების თანდასწრებით. გამოყენებული კატალიზატორებიდან ყველაზე დიდი აქტიურობა გამოავლინეს კალიუმის ვანადატმა  $KVO_3$ , რკინა-ქრომის ოქსიდურმა კატალიზატორმა – (88%  $Fe_2O_3$  + 7%  $Cr_2O_3$ ). კოქსის წარმოქმნის შესამცირებლად კატალიზატორების დანამატებად იყენებენ  $K_2CO_3$ -ს,  $K_2SO_4$ -ს,  $Fe(NO_3)_2$ -ს და  $H_3BO_3$ -ს.

პიროლიზის პროცესის პომოგენურ ინიციატორებად მოწოდებული იყო რიგი ნივთიერებებისა: ჰელიუმი, ჰერცოვინი, ნიკელი, კონკრეტული ნაერთები, ნიკელი და ნაერთები, რომლებიც თერმული დამლის შედეგად წარმოქმნიან წყალბადს.

ინიციატორის გამოყენება ზრდის ნედლეულის დაშლის რეაქციის სიჩქარეს და ეთილენის გამოსავლიანობას.

წყალბადის თანაობისას პროცესი ტარდება  $800\text{-}900^{\circ}\text{C}$ -ზე, წყალბადის წნევა 2.0-2.5 მპა, კონტაქტის დრო 0.1 წმ.

ინიციატორად წყალბადის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის პიროლიზის პროცესის სიჩქარეს, რაც აიხსნება შემდეგნაირად: პიროლიზის პროცესში წარმოქმნილი ალკილის რადიკალი, განაპირობებს პროცესის რადიკალურ-ჯაჭვური მექანიზმით წარმართვას; ის მოქმედებს როგორც საწყის ნახშირწყალბადთან, ისე წყალბადის მოლეკულასთან.



ამასთან, მეთილის რადიკალის წყალბადის მოლეკულასთან რეაქციის სიჩქარე ერთი რიგით აღემატება ნახშირწყალბადთან ურთიერთქმედების სიჩქა-

რეს, ხოლო ატომური წყალბადის ურთიერთქმედების სიჩქარე 2-3 რიგით აჭარ-ბებს მეთილის რადიკალის ნახშირწყალბადთან მოქმედების სიჩქარეს.

ამის გარდა მოლეკულური წყალბადის მონანილეობა ამცირებს დიენების, პოლიკონდენსაციის მძიმე პროდუქტებისა და კოქსის ნარმოქმნას. ის მნიშვნელოვნად ზრდის ეთილენის გამოსავლიანობას. მაგ., პირდაპირი გამოხდის ბენზინის ჰიდროპიროლიზისას ეთილენი ნარმოიქმნება 40-45%. ჰიდროპიროლიზის პროცესის უარყოფით მხარედ ითვლება წყალბადის დიდი დანახარჯი.

#### 10.2.6. რიფორმინგი

რიფორმინგი – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავთობქიმიური პროცესია, რომელიც გამოიყენება როგორც ბენზინის ხარისხის ასამაღლებლად (ოქტანური რიცხვის გასაზრდელად), ასევე, არომატული ნახშირწყალბადების მისაღებად. რიფორმინგი კატალიზური პროცესია, რომელიც ტარდება  $470-540^{\circ}\text{C}$  ინტერვალში, 1.5-4 მპა წნევის პირობებში. რიფორმინგის ნედლეულს ნარმოადგენს ნავთობის პირდაპირი გამოხდის, ასევე მეორადი პროცესების, თერმული, კატალიზური, ჰიდროკრეკინგის და დაკოქსვის შედეგად გამოყოფილი ბენზინის ფრაქცია. ვინაიდან Pt-ის კატალიზატორები ადვილად ინამლება ნავთობში შემავალი ჰეტეროატომებით, აუცილებელია ნედლეულის წინასწარი გაწმენდა.

როდესაც რიფორმინგის პროცესის დანიშნულება არის საწვავის ოქტანური რიცხვის გაზრდა, გამოიყენება  $85-180^{\circ}\text{C}$ -ზე გამოხდილი ფრაქცია, ხოლო თუ პროცესის დანიშნულებაა ინდივიდუალური არომატული ნახშირწყალბადების მიღება, მაშინ იყენებენ ვინრო ფრაქციებს – ბენზოლის მისაღებად ( $62-85^{\circ}\text{C}$ ), ტოლუოლის მისაღებად ( $85-105^{\circ}\text{C}$ ), ხოლო ქსილოლების მისაღებად ( $105-140^{\circ}\text{C}$ ). კატალიზატორებად გამოიყენება ბიფუნქციური (მაპიდრირებელ-მადეჰიდრირებელი და მუავური თვისებების) კატალიზური სისტემები. კერძოდ, ალუმინის ოქსიდზე ან ცეოლითებზე დაფენილი VIII ჯგუფის მეტალები.

თავდაპირველად ამ მიზნით გამოიყენებოდა ალუმინ-მოლიბდენური კატალიზატორი. პროცესს ეწოდებოდა ჰიდროფორმინგი, ხოლო Pt-ის შემცველი კატალიზატორებით მიმდინარე პროცესს ეწოდა პლატფორმინგი.

რიფორმინგის პროცესში ფართო გამოყენება მოიპოვა ალუმინის ოქსიდზე დაფენილმა წვრილად დისპერგირებულმა პლატინამ. აღნიშნული კატალიზატორი ხასიათდება მაღალი აქტიურობით, მაგრამ ადვილად დეზაქტივირდება, რადგან იფარება კოქსით.

უკეთესი შედეგები მიიღება პლატინა-რენიუმის (Pt – 0.3-0.6%; Re – 0.3-0.4%) კატალიზატორის გამოყენებისას, რომელმაც შესაძლებელი გახადა პროცესის წნევის შემცირება  $1.05-2$  მპა-მდე და ბენზინის გამოსავლიანობის გაზრდა. მიაჩნიათ, რომ რენიუმი ნარმოქმნის რა შენადნობს პლატინასთან, ააქტიურებს ჰიდრირების პროცესს და ამცირებს კატალიზატორის ზედაპირზე კოქსის ნარმოქმნას. ამიტომ ამ ბიმეტალური კატალიზატორის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ (მუდმივი აქტივობის პერიოდი) გაცილებით დიდია.

ასეთივე შედეგები მიიღწევა პლატინაზე ირიდიუმის დამატებით. რიფორმინგის პროცესისათვის შემუშავებულია პოლიმეტალური კატალიზატორები. პლატინას უმატებენ გერმანიუმს, კალას, ტყვიას, ასევე იმვიათმინა ელემენტებს: ლანთანს, ცერიუმს, ნეოდიუმს. კატალიზურად არააქტიური მეტალები ამუხრუჭებენ არასასურველ თანამდე პროცესებს – კატალიზატორის სელექციურ მონამვლას, ზრდიან მისი მუშაობის ხანგრძლივობას. პოლიმეტალური კატალიზატორების სიცოცხლის ხანგრძლივობა 6-7 წელია.


კატალიზატორის მუშავური აქტიურობის გაზრდის მიზნით ალუმინის ოქსიდში შეჰქიავთ 0.5-2% ქლორი. ქლორი ალუმინის ოქსიდში ანაცვლებს ადსორბირებული  $H_2O$ -ის შედეგად წარმოქმნილი  $OH^-$  ჯგუფების ნაწილს ( $Al^{3+}$  კათიონი აღმოჩნდება დაკავშირებული ორ სხვადასხვა ანიონთან  $Cl^-$  და  $OH^-$ ). მუშაობის პროცესში  $Cl^-$ -ის ნაწილი იკარგება ნედლეულში არსებულ ტენთან ურთიერთქმედების შედეგად. ამიტომ საჭირო ხდება პერიოდულად ნედლეულში ქლორ-შემცველი ორგანული ნაერთების (დიქლორეთანის, ტეტრაქლორმეთანის ან ქლორეთილის) დამატება. ქლორი, გარდა იმისა, რომ ზრდის კატალიზატორის მუშავურ აქტივობას, პლატინასთან წარმოქმნის კომპლექსნაერთებს და ამით იცავს მის ნაწილაკებს შეცხობისაგან (უნარჩუნებს პლატინის ნაწილაკებს დისპერსიულობას).

კატალიზატორის რეგენერაცია ხდება კოქსის გამოწვითა და მისი შემდგომი ჟანგვითი ქლორირებით.


კატალიზური რიფორმინგის შედეგად მიღებული ბენზინი შეიცავს 50-70% არენებს, 30% ნორმალური და იზოალნაგობის ალკანებს, 10-15% ციკლოალკანებს და 2% უჯერ ნაერთებს. არენების შემცველობის გაზრდით მატულობს ნამწვის წარმოქმნა, ამის გამო მათ ძირითადად იყენებენ საავტომობილო ბენზინებისათვის მაღალოქტანურ დანამატად.

კატალიზური რიფორმინგის დროს მიმდინარეობს შემდეგი პროცესები:


1. ალკანების დეჰიდროციკლიზაცია – არომატიზაცია;




2. ექსენევრიანი ციკლოალკანების დეჰიდრირება – არომატული ნახშირნებალბადების წარმოქმნა:



3. ხუთწევრიანი ციკლოალკანების იზომერიზაცია ციკლის გაფართოებით და ექსენტრიზანტი ციკლოალკანების დეპიდრირება:



4. ალკენების ციკლიზაცია – არომატიზაცია:



ყველა განხილული რეაქციის შედეგად ხდება არენების დაგროვება. პარალელურად მიმდინარეობს ალკანების კრეკინგი და წარმოქმნილი ფრაგმენტების ჰიდრირება (ჰიდროკრეკინგი). ალკანების იზომერიზაცია და გვერდითი ჯაჭვის ჰიდროგენოლიზი, გოგირდ-, აზოტ- და უანგბადშემცველი ნაერთების დაშლა, არენებისა და ალკენების კონდენსაციის რეაქციები. კატალიზატორის ზედაპირზე მიმდინარე კონდენსაციის რეაქციები განაპირობებენ კოქსის წარმოქმნას და შედეგად კატალიზატორის დეზაქტივაციას.

პროცესის მაღალ ტემპერატურაზე ( $600^{\circ}\text{C}$ ) ჩატარებისას იზრდება აირადი პროდუქტების წარმოქმნა, მაგრამ ასევე იზრდება კატალიზატორის ზედაპირზე კოქსის და არომატული ნახშირწყალბადების გამოსავლიანობა.

ამჟამად რიფორმინგს ძირითადად იყენებენ არომატული ნახშირწყალბადების მისაღებად.

## 11. ნავთობპპროდუქტების გამოხდა

ნავთობის როგორც პირველადი გამოხდის, ისე მეორადი გადამუშავების შე-დეგად მიღებული პროდუქტები (საწვავები, ზეთები) შეიცავენ რიგ კომპონენტებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ მათ სასაქონლო მახასიათებლებზე; ასეთი სახით ნავთობპპროდუქტების გამოყენება შეუძლებელია და საჭიროა მათი განმენდა არასასურველი მინარევებისაგან.

მინარევის ბუნებისა და ნავთობპპროდუქტის გამოყენების სფეროს მიხედვით გამოიყენება 1) განმენდა გოგირდმჟავათი; 2) ტუტეებით განმენდა; 3) სე-ლექციური გამხსნელებით განმენდა; 4) ადსორბენტებით განმენდა (ადსორბციული მეთოდი) და 5) კატალიზური განმენდა.

ზოგიერთი ნავთობის პირველადი გამოხდის ფრაქციები შეიცავენ კოროზიულად აგრესიულ მჟავა ბუნების ნაერთებს (ნავთობურ მჟავებს და ფენოლებს), რომლებსაც აცილებენ ტუტის ხსნარებით – ტუტოვანი განმენდა. გოგირდოვანი ნაერთების გადამუშავების შედეგად მიღებული ყველა ფრაქცია შეიცავს გოგირდოვან ნაერთებს, რომელთაგანაც კოროზიულად ყველაზე აქტიური ნივთიერებების გოგირდნებალბადისა და მერკაპტანების გასაწმენდად გამოიყენება ტუტის ხსნარები და სხვადასხვა სახის დემერკაპტანიზაცია; ხოლო ისეთი გოგირდშემცველი ნაერთებისაგან, როგორებიცაა თიოფენები, სულფიდები, დისულფიდები, მაღალი რიგის მერკაპტანებისაგან გასაწმენდად ყველაზე ეფექტური მეთოდია ჰიდროკრეკინგი.

შესაბამისი ნავთობპპროდუქტებისაგან დაბალი გამყარების ტემპერატურის მქონე საწვავისა და ზეთების მისაღებად გამოიყენება დეპარაფინიზაციის პროცესები: დეპარაფინიზაცია კარბამიდით, ადსორბციული დეპარაფინიზაცია ცეოლითების მონაწილეობით, სელექციური გამხსნელებით მაღალი რიგის ნ. ალკანების ამონვლილვა. რიგი ნავთობპპროდუქტებისათვის (ბენზინ-გამხსნელის, თხევადი პარაფინების, გასანათებელი ნავთის და სპეციალური ზეთებისათვის) მიუღებელია არომატული ნახშირნებალბადების შემცველობა; დეარომატიზაციის ერთ-ერთი მეთოდია ნავთობპპროდუქტების გოგირდმჟავათი დამუშავება.

კრეკინგ-ბენზინები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავენ უჯერ ნაერთებს (ალკადიენებს, ციკლოალკენებსა და ციკლოალკადიენებს); ამ ნაერთებისაგან გასაწმენდად გამოიყენება გოგირმჟავა, სხვადასხვა ადსორბენტები და კატალიზატორები.


ნავთობის ფრაქციებიდან მაღალი ხარისხის ზეთების მისაღებად საჭიროა ასფალტურ-ფისოვანი ნივთიერებების, პოლიციკლური ნახშირნებალბადების, პარაფინების, ფისოვანი, გოგირდოვანი და უჯერი ნაერთებისაგან განმენდა, რის-

თვისაც გამოიყენება გოგირდმუავათი გაწმენდა, ექსტრაქციული, ადსორბციული და ჰიდროგენიზაციული მეთოდები.


### 11.1. გოგინდებულათი განვითარება

ნავთობპროდუქტების გოგირდმუჟავათი დამუშავებისას ხდება მათი გაწმენდა უკერი ნახშირყალბადების, გოგირდ- და აზოტშემცველი ნაერთებისა და ფისოვანი ნივთიერებებისაგან. გოგირდმუჟავათი დამუშავებისას ხდება ნავთობპროდუქტების დეარმატიზაციაც.

დეარომატიზაციისათვის გამოიყენება 95%-იანი ან მბოლავი გოგირდმუავა. ამ დროს ადგილი აქვს შემდეგ პროცესებს: არენებთან ურთიერთქმედებისას ხდება გოგირდმუავაში ხსნადი სულფომუავების და სულფონების წარმოქმნა.



უჯერი ნახშირწყალბადები შედიან რეაქციაში გოგირდმუავასთან მჟავა და სრული ალკოლ- და დიალკილსულფაზების ნარმოქმნით:




ალკილსულფატები ნარმოიქმნებიან შედარებით დაბალ ტემპერატურაზე, იხსნებიან წყალში, ტუტისთან ნარმოიქმნიან შესაბამის მარილებს.

ნავთობპროდუქტების გოგირდმუავათი გასუფთავებისას მიღებული მუავა ეთერები (ალკილსულფატები) კონცენტრირდებიან მუავა გუდრონში, საიდანაც შემდგომ ხდება მათი დამატებითი გამორკაზა.

დიალკილსულფატები კი წარმოიქმნება ალკენებთან  $40^{\circ}\text{C}$ -ზე ზევით გაცხელებისას, ან წარმოქმნილი მჟავე ეთერების გაცხელებით. ისინი წყალში უხსნადებია, მაგრამ კარგად იხსნებიან ნახშირნყალბადებში და ორგანულ გამხსნელებში. მათი წარმოქმნა არასასურველია, ამიტომ გოგირდმჟავათი გასუფთავებას ახორციელებს შედარებით დაბალ ტემპერატურაზე.

ამ მიზნობრივი პროცესების გარდა, გოგირდმუავათი განმენდისას ადგილი აქვს თანამდე პროცესებს, კერძოდ, ალკენებთან გოგირდმუავას მიერთებისას წარმოქმნილ ალკილგოგირდმუავა შედის ალკილირების რეაქციაში არომატულ ნაერთებთან:



გოგირდმჟავა არეში ალკენები შედიან დიმერიზაციის, ტრიმერიზაციის და ტეტრამერიზაციის რეაქციებში; მიღებული ნივთიერებები იხსნებიან გაწმენ-დილ პროდუქტები და აუარესებენ მათ მახასიათებლებს.


გარდა ამისა, უჯერი ნაერთები, განსაკუთრებით, დიოლეფინები შედიან პო-ლიმერიზაციის და ე.წ. შეუღლებული პოლიმერიზაციის (ჰიდროპოლიმერიზაციის) რეაქციებში და წარმოქმნიან მაღალმოლეკულურ ნაერთებს, რომლებიც მთლიანად რჩებიან გოგირდმჟავაში. ეს თანამდე რეაქციები ამცირებენ ნავთობ-პროდუქტების გაწმენდის ეფექტურობას.

ნავთობში შემავალი აზოტოვანი ნაერთები გოგირდმჟავასთან წარმოქმნიან მარილებს – სულფატებს, რომლებიც გადადიან მჟავა გუდრონში. გოგირდმჟა-ვათი დამუშავებისას ნავთობში შემავალი არომატული მჟავების ნაწილი იხსნება გოგირდმჟავაში, ხოლო ნაწილობრივ განიცდის სულფირებას ისე, რომ არ ხდება კარბოქსილის ჯგუფის დაშლა. აღსანიშნავია, რომ ნაფთენური მჟავების სულ-ფირების პროდუქტები ამცირებენ გოგირდმჟავას სხვა ნივთიერებებთან მოქმე-დებას, ამიტომ გოგირდმჟავათი დამუშავებამდე ნავთობპროდუქტებისაგან სა-ჭიროა ნაფთენური მჟავების ნინასწარი მოცილება.

ფისოვანი ნივთიერებები ნაწილობრივ იხსნებიან გოგირდმჟავაში, ნაწილი კი შედის სულფირების რეაქციაში. ნეიტრალური ფისები კონდენსირდებიან ას-ფალტენებში – ეს უკანასკნელები კი კარბენებში. ყველა სულფირებული ნივთი-ერება რჩება მჟავა გუდრონში.

როგორც ცნობილია, გოგირდი ნავთობში შედის სხვადასხვა სახით: თავისუ-ფალი გოგირდის, გოგირდწყალბადის, მერკაპტანების და სხვა გოგირდშემცვე-ლი ორგანული ნაერთების სახით.

თავისუფალი გოგირდი არ რეაგირებს გოგირდმჟავასთან და არც იხსნება მასში. გოგირდწყალბადი იქანგება გოგირდმჟავათი, გოგირდისა და გოგირდის (IV) ოქსიდის წარმოქმნით:



გოგირდი იხსნება გაწმენდილ ნავთობპროდუქტებში, ამიტომ გოგირდმჟა-ვათი დამუშავებამდე საჭიროა გასაწმენდი პროდუქტის გოგირდწყალბადისაგან გაწმენდა.

მერკაპტანებთან გოგირდმჟავა წარმოქმნის დისულფიდებსა და გოგირდის (IV) ოქსიდს.



თიოფენთან კონცენტრირებული გოგირდმჟავა წარმოქმნის თიოფენსულ-ფომჟავას და გოგირდის დიოქსიდს.

იმის მიხედვით, თუ რა მიზნით გამოიყენება გოგირდმჟავათი გაწმენდა, სა-ჭიროა გოგირდმჟავას კონცენტრაციისა და პროცესის ჩატარების პირობების შერჩევა.

ფისოვან ნივთიერებათა მოცილებისათვის, გამოიყენება 93%-იანი გოგირ-დმჟავა; ხოლო დეარომატიზაციისათვის 98%-იანი გოგირდმჟავა ან ოლეუმი. თუ

ბენზინის გაწმენდას ახდენენ მისი ფერის გაუმჯობესების მიზნით იყენებენ 85%-იან გოგირდმუავას.

განზავებული მჟავას გამოყენება უკეთესია, რადგან მცირდება პოლიმერიზაციის რეაქციები.

უმეტესად გოგირდმუავათი გაწმენდას ატარებენ გასაწმენდი ნედლეულის წინასწარი გაწმენდის გარეშე. ტემპერატურის გაზრდა ხელს უწყობს პოლიმერიზაციის რეაქციის წარმართვას.

ზოგიერთ შემთხვევაში, დეარომატიზაციისათვის (გამხსნელის, ბენზინების, გასანათებელი ნავთის, პარფიუმერული და სამედიცინო ზეთებისათვის) პროცესს ატარებენ  $50-85^{\circ}\text{C}$ .

ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნედლეულისა და გოგირდმუავას შორის კონტაქტის დრო. ხანგრძლივი კონტაქტი აუარესებს ფერს და სტაბილურობას, ხოლო კონტაქტის არასაკმარისი დროის შემთხვევაში მჟავა არასრულად გამოიყენება.

## 11.2. ტუტით განვალება

ტუტით გაწმენდა მიზნად ისახავს ნედლეულის გაწმენდას მჟავა ბუნების ნაერთებისაგან – ნაფთენური და ცხიმოვანი მჟავების, ფენოლების, გოგირდწყალბადისა და დაბალი რიგის მერკაპტანების, ასევე გოგირდმუავათი დამუშავებისას წარმოქმნილი პროდუქტებისაგან გასუფთავებას.

ტუტოვანი გაწმენდის დროს ყველაზე ხშირად იყენებენ 3-დან 20%-მდე კონცენტრაციის  $\text{NaOH}$ -ის ნყალესნარს, ზოგჯერ იყენებენ  $\text{Na}_2\text{CO}_3$ ,  $\text{NH}_4\text{OH}$ ,  $\text{Mg}(\text{OH})_2$ ,  $\text{Ca}(\text{OH})_2$ .


ამ პროცესის ქიმიზმი მდგომარეობს მჟავა ბუნების ნივთიერებების ტუტით განეიტრალიზაციის. მიღებული მარილები ნყალში ხსნადებია, ამიტომ ისინი გადადიან ტუტის ნყალესნარში.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული შემთხვევებისათვის გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორებისა:

ორგანული მჟავა ბუნების ნაერთების ნეიტრალიზაციის რეაქცია შექცევა-დია. ჰიდროლიზის ხარისხი დამოკიდებულია პირობებზე; კერძოდ ტუტის კონცენტრაციის გაზრდისას ჰიდროლიზის ხარისხი მცირდება, ტემპერატურის გაზრდისას კი იზრდება. ამიტომ პროცესი მიზანშენილია ჩატარდეს გაცხელების გარეშე ტუტის კონცენტრირებული ხსნარებით.

მაგრამ ამ ოპტიმალურ პირობებშიც პროცესის ჩატარებისას ადგილი აქვს ერთ არასასურველ მოვლენას. კერძოდ, ხდება მდგრადი ემულსიის წარმოქმნა: „მჟავა ზეთები ტუტის ნყალესნარში“. რეაქციის პროდუქტები ნაფთენურ მჟავა-თა მარილები – ჰიდროფილური ემულგატორებია. ამიტომ ტუტით გაწმენდის დროს ტუტის ხსნარის კონცენტრაციის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც ჰიდროლიზის, ასევე ემულსიის წარმოქმნის მოვლენა.

ტუტე შედის რეაქციაში ნავთობში არსებულ გოგირდწყალბადთან და მერკაპტანებთან:



უნდა აღინიშნოს, რომ გოგირდწყალბადისა და მერკაპტანების ტუტით მოცილების დროს წარმოიქმნება გარკვეული სიძნელეები. მერკაპტანები წყალში უხსნადებია და ტუტებთან ძნელად შედიან კონტაქტში. სულფიდები და ჰიდროსულფიდები შხამებს წარმოადგენენ, რის გამოც მათი ჩამდინარე წყლებთან შერევა ძალიან არასასურველია.

რაც შეეხება მერკაპტიდებს, ისინი ძალიან ადვილად ჰიდროლიზდებიან. მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად მათი მუავური თვისებები მცირდება.

რადგან ნავთობპროდუქტების მერკაპტანებისაგან განმენდას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, შემუშავებულია რამდენიმე მეთოდი. კონცენტრირებული ტუტე ხსნარების გამოყენებისას უმატებენ ნივთიერებებს, რომლებიც ზრდიან მერკაპტანების ხსნადობას. ასეთი ნივთიერებებია მეთილის სპირტი, ტანინი, იზოერბომჟავას კალიუმის მარილი, ეთანოლამინი, კალიუმის ალკილფენოლატები და სხვა.

ტუტე ხსნარით განმენდა შეიძლება განხორციელდეს როგორც გოგირდმჟავათი დამუშავებამდე, ასევე მას შემდეგ. ზოგჯერ ტუტით განმენდას ახდენენ გოგირდმჟავათი დამუშავებამდეც და დამუშავების შემდეგაც. ამის შემდეგ საჭიროა ნავთობპროდუქტების წყლით ჩარეცხვა ტუტისა და მარილების მოსაცილებლად.

### 11.3. სელექციური გამხსელებით განხევლა

სელექციური გამხსნელებით განმენდის მეთოდი ყველაზე ფართოდ გამოიყენება ზეთების გასაწმენდად.

როგორც ცნობილია ზეთები შეიცავენ განსხვავებული შედგენილობის და აღნაგობის ნივთიერებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან რიგი ქიმიური და ფიზიკური თვისებებით განსხვავდებიან.

მაღალი ხარისხის ზეთების მისაღებად (ზეთების დანიშნულების მიხედვით) საჭიროა მათი განმენდა ფისოვან-ასფალტენური, ფისოვანი ნივთიერებებისაგან, მოკლე გვერდითი ჯაჭვის მქონე პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადებისა და მყარი ალკანებისაგან.

სელექციური გამხსნელების გამოყენებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ორ შემთხვევას: 1) გამხსნელებში კარგად იხსნება ნახშირწყალბადები (სასურველი ნივთიერებები), ხოლო არასასურველი კომპონენტები ხსნარიდან იღებება და ადვილად ხდება მათი მოცილება, 2) მეორე შემთხვევაში შებრუნებით. ზეთების ძირითადი შემადგენელი ნივთიერებები (საჭირო კომპონენტები) არ იხ-

სნება შერჩეულ გამხსნელში, ხოლო არასასურველი კომპონენტები კარგად იხ-  
სნება და ხდება მათი გამოწლილვა.

მრეწველობაში ზეთების დეასფალტიზაციისათვის სელექციურ გამხსნელად  
გამოიყენება გათხევადებული პროპანი. მოკლე გვერდითი ჯაჭვის მქონე პოლი-  
ციკლური არომატული ნახშირწყალბადებისა და ფისოვან ნივთიერებებისაგან  
გასაწმენდად სელექციურ გამხსნელებად ადრე იყენებდნენ თხევად გოგირდო-  
ვან ანჰიდრიდს და ნიტრობენზოლს, ამჟამად გამოიყენება ფენოლი, ფურფურო-  
ლი. მყარი ალკანებისაგან გასაწმენდად დეპარაფინზაციისათვის – კეტონის (ა-  
ცეტონის და მეთილეთილკეტონის) ნარევი – ბენზოლთან და ტოლუოლთან,  
პროპანი, კარბამიდი; არენების ამოსაწვლილად – დი-, ტრი- და ტეტრაეთილენ-  
გლიკოლები, სულფონლანი, პროპილენკარბონატი, მეთილპიროლიდონი და სხვა.  
გამხსნელების სელექციურობა იდეალური არ არის. მათ სელექციურობის გა-  
საზრდელად უმატებენ სხვადასხვა ნივთიერებებს, მაგ.: ფენოლს, რომელიც გა-  
მოიყენება ზეთებიდან პოლიციკლური არომატული ნაერთების ამოსაწვლილად,  
არენების კარგი გამხსნელია, მაგრამ ამასთანავე ნაწილობრივ ხსნის ზეთებში  
შემავალ სხვა ნახშირწყალბადებსაც. ფენოლისათვის 6-8%-ით წყლის დამატე-  
ბით მისი სელექციურობა იზდება, მცირდება ზეთებში არსებულ საჭირო კომპო-  
ნენტების მიმართ საერთო გამხსნელობითი უნარი.

ზეთების სელექციური გამხსნელებით გაწმენდისას მნიშვნელოვანი როლი  
ენიჭება გამხსნელისა და ნედლეულის თანაფარდობას, პროცესის ტემპერატუ-  
რას და ასევე კონტაქტის დროს. მნიშვნელოვანია ნედლეულთან გამხსნელის  
ურთიერთქმედების მეთოდი, მაგ.: ფენოლისა და ნედლეულის თანაფარდობის  
როლი ჩანს მიღებული ზეთების მახასიათებლებზე (კერძოდ სიბლანტის ინდექ-  
სსა და კოქსვადობაზე).

თანაფარდობა	სიბლანტის ინდექსი	კოქსვადობა
3:1	87,5	1,0
6:1	92,8	0,8
12:1	97,5	0,6

#### 11.4. განევნების ადსორბციული და კატალიზური მეთოდები

ნავთობპროდუქტების გასაწმენდად არასასურველი მინარევებისაგან ფარ-  
თოდ გამოიყენება ადსორბციული მეთოდი. ადსორბენტებად იყენებენ ბუნებრივ  
და სინთეზურ ალუმინიკატებს, სილიკაგელს, ალუმოგელს და სხვა პოლა-  
რულ ადსორბენტებს.

გაწმენდის ადსორბციული მეთოდი გამოიყენება ძირითადად ზეთებისა და  
მყარი ალკანების გასაწმენდად, გარდა ამისა ნავთობპროდუქტების თერმული  
კრეკინგის დისტილატებიდან უჯერი ნახშირწყალბადების მოსაცილებლად.

კრეკინგის შედეგად მიღებული პროდუქტების გაწმენდას აწარმოებენ ორ-  
თქლის ფაზაში 15 კპა და 230-250°C ტემპერატურაზე. ამ პირობებში მიმდინარე-

ობს გასაწმენდ პროდუქტში არსებული უჯერი ნახშირწყალბადების პოლიმერიზაცია. ამ მეთოდით გაწმენდილი ბენზინები არასაკმარისად სტაბილურია და საჭიროებს ანტიდამჟანგავის დამატებას.

მინარევებისაგან ზეთების გაწმენდის ადსორბციული მეთოდი გამოიყენება მათი კომბინირებული გაწმენდის ბოლო ეტაპზე. ადსორბციული მეთოდით ზეთები იწმინდება ფისოვანი და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების ნარჩენებისაგან, ასევე გოგიდმჟავათი გაწმენდის შედეგად დარჩენილი გოგირდმჟავას, სულფომჟავების, დიალკილსულფატების, მჟავე გუდრონის და სხვა მინარევებისაგან. ტუტოვანი გაწმენდის შემთხვევაში ადსორბციული გაწმენდის მიზანია ზეთებისაგან ტუტის და მარილების ნარჩენების მოცილება.

არსებობს ადსორბციული გაწმენდის ორი მეთოდი: კონტაქტური და პერკოლაციური.


კონტაქტური გაწმენდის დროს ზეთსა და წვრილად დაფხვიერებულ ადსორბენტს ურევენ ერთმანეთში, ნარევს აცხელებენ  $300\text{-}350^{\circ}\text{C}$ -ზე, აყოვნებენ გარკვეულ ტემპერატურაზე და შემდეგ ფილტრავენ. გაცხელება აუცილებელია ზეთის სიბლანტის შესამცირებლად და ადსორბენტის ფორებში შეღწევის უნარის მისანიჭებლად. პერკოლაციური გაწმენდის დროს ზეთები იფილტრება უძრავ, მარცვლოვან ( $0,3\text{-}2,0\text{მმ}$  ზომის) ადსორბენტებში.

გაწმენდის ადსორბციული მეთოდის გამოყენებისას ადგილი აქვს ზეთების მნიშვნელოვან დანაკარგებს, გარდა ამისა, ძნელია ადსორბენტების რეგენერაცია.



ადსორბციული გაწმენდის მეთოდი გამოიყენება ასევე პარაფინების გასაწმენდად. თხევადი პარაფინები ადსორბციული მეთოდით შესაძლებელია საბოლოოდ გაიწმინდოს არომატული, გოგირდშემცველი ნაერთებისა და ფისოვანი ნივთიერებებისაგან, ხოლო მყარი პარაფინები – არასტაბილური, შეფერილი და უსიამოვნო სუნის მქონე ნივთიერებებისაგან.

მაღალი ხარისხის ნავთობპროდუქტების მისაღებად გამოიყენება კატალიზური ჰიდროგანწმენდა. პროცესს ატარებენ  $380\text{-}420^{\circ}\text{C}$ -ზე წყალბადის არეში  $2,5\text{-}4$  კპა წნევის პირობებში ალუმინ-ნიკელ-მოლიბდენური კატალიზატორების თანდასწრებით.

გოგირდშემცველი ნაერთების ჰიდროკრეაციის შედეგად ხდება გოგირდწყალბადისა და ალკანების ნარმოქმნა.



უანგბადშემცველი ნაერთების ჰიდროგანზენდის პროდუქტებია ნახშირ-ნყალბადი და წყალი.



ფისები და ასფალტენები ჰიდროკრეკინგის შედეგად გარდაიქმნებიან უფრო დაბალმოლეკულურ ნაერთებად.

ნავთობში შემავალი მეტალშემცველი ნაერთები კატალიზური ჰიდროგან-მენდის დროს იშლებიან თავისუფალი მეტალის გამოყოფით. ამ გზით ნავთობი ამ ნაერთებისაგან სუფთავდება 75-95%-ით.

კატალიზური ჰიდროგანმენდის დროს ალკანები, ალკადიენები და ნანილობ-რივ პოლიციკლური არომატული ნახშირნყალბადები შედიან ჰიდროგენიზაციის რეაქციებში (ეს პროცესები დეტალურად განხილულია § 10.2.4.).

ნავთობიდან მაღალი ხარისხის ზეთების მისალებად გამოიყენება კომლექ-სური მეთოდები; თანდათანობით ნედლეულს აცილებენ ასფალტოვან-ფისოვან ნივთიერებებს, კოქსვადობის მაღალი უნარის მქონე პოლიციკლურ ნახშირ-ნყალბადებს, ფისოვან ნივთიერებებს, პარაფინებს, უჯერ ნახშირნყალბადებს და გოგირდოვან ნაერთებს. განმენდისათვის იყენებენ ექსტრაქციულ, ადსორ-ბციულ და ჰიდროგენიზაციურ მეთოდებს.

## **12. ძირითადი ნავთობაროდუქტები და მათი საექსპლუატაციო მახასიათებლები**

### **12.1. პენზინი, მისი მახასიათებლი პარამეტრები**

ბენზინის ხარისხის ძირითად მახასიათებელ მაჩვენებლებს წარმოადგენს: დეტონაციური მედეგობა, ნაჯერი ორთქლის წნევა, ფრაქციული შედგენილობა და ქიმიური სტაბილობა.

ბენზინის მახასიათებელი პარამეტრების არსის გასარკვევად განვიხილოთ ბენზინზე მომუშავე შიდაწვის ძრავის მოქმედების პრინციპი.

ბენზინიანი ძრავის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ბენზოავზი (რომელიც ივსება ბენზგასამართ სადგურზე), ბენზოტუმბო, კარბურატორი, ცილინდრი, დგუში და ასანთი (სანთელი).

ძრავის ჩართვისას ბენზოტუმბო ახდენს საწვავის შენოვას და კარბურატორში გაგზავნას, სადაც ხდება მისი გაშეფება-აორთქლება და ჰაერთან შერევა. ბენზინისა და ჰაერის ნარევი ცილინდრში შეიწოვება დგუშის ქვევით მოძრაობისას. ამ დროს ცილინდრის მოცულობა მაქსიმალურია. შემდეგ შემშვები სარქველი იკეტება და დგუში მოძრაობს ზევით. ამ დროს ის ახდენს აირთა ნარევის შეკუმშვას.

შიდაწვის ძრავის მუშაობის ციკლის ერთ-ერთ პრინციპულ სტადიას წარმოადგენს ბენზინის ორთქლის აალება და შემდეგ უკვე მისი თანაბარი წვა. ბენზინის აალებისათვის საჭიროა ნარევში ბენზინის ორთქლისა და ჰაერის გარკვეული თანაფარდობა.

იმისათვის, რომ ცივი ძრავის ჩართვისას ბენზინის ორთქლმა ჰაერთან წარმოქმნას აალებადი ნარევი, ბენზინი უნდა შეიცავდეს მნიშვნელოვანი რაოდენობით ადვილად აქროლად ნახშირწყალბადებს. ნივთიერებების აქროლადობის საზომს წარმოადგენს ნაჯერი ორთქლის წნევა, რომელიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე და ბენზინის ფრაქციულ შედგენილობაზე.

ბენზინის ფრაქციული შედგენილობის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ბენზინის მოცულობის 10, 50, და 90%-ის გამოხდის ტემპერატურები. 10%-ის დუღილის დამთავრების ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს  $75^{\circ}\text{C}$ , 50%-ის –  $120^{\circ}\text{C}$ , 90% –  $190^{\circ}\text{C}$ .

ცივი ძრავის ჩართვისას საჭიროა ~10%-ის ორთქლის მდგომარეობაში გადასვლა, რათა ჰაერთან წარმოქმნას აალებადი ნარევი. ამ რაოდენობის ბენზინის ორთქლის წვისას გამოყოფილი სითბო უზრუნველყოფს ბენზინის დარჩენილი ნაწილის აორთქლებასა და წვას. ასევე აუცილებელია, რომ გახურებული

ძრავის ხელმეორედ ამუშავებისას არ უნდა ხდებოდეს დიდი რაოდენობით ბენზინის ორთქლის გადასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცილინდრში გადასვლისას შეუძლებელი შეიქმნება საჭირო მოცულობის ჰაერთან შერევა და შედეგად აალება.

ამრიგად, ბენზინის 10% განაპირობებს საწვავის ამამუშავებელ თვისებებს, 50% – ძრავის გახურების სიჩქარეს და მრავალცილინდრიანი ძრავის დროს თითოეულ ცილინდრზე საწვავის თანაბრად განაწილების უნარს, 90% – ბენზინის სრულ წვას.

აქედან გამომდინარე, ბენზინის ფრაქციული შედგენილობა და ნაჯერი ორთქლის წნევა ბენზინის ძირითად საექსპლუატაციო პარამეტრებს წარმოადგენენ.

ბენზინის ორთქლის წნევა ისაზღვრება ერთსა და იმავე ტემპერატურაზე –  $38^{\circ}\text{C}$ .

სიცივეში ძრავის ამუშავებისათვის გამოყენებული ბენზინის ნაჯერი ორთქლის წნევა რეიდის მიხედვით 0.91 ატმ-ს ტოლი უნდა იყოს, ხოლო ცხელ პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 0.60 ატმ.

ბენზინის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს დეტონაციური მდგრადობა. განვიხილოთ მისი არსი: როდესაც ბენზინის ორთქლისა და ჰაერის ნარევი მიენოდება ცილინდრს, დგუში მოძრაობს ზევით და ახდენს ნარევის შეკუმშვას. შეკუმშვისას ორთქლი ცხელდება. თუ ბენზინის ორთქლისა და ჰაერის ნარევს ძლიერად შევკუმშავთ, ის ძლიერად გაცხელდება. ზოგიერთი ბენზინი ასანთები სანთლის გარეშე შეიძლება თვითაალდეს, ე.ი. მოხდეს დეტონაცია მანამდე, სანამ დგუში მიაღწევს თავისი სვლის ზედა წერტილს; ეს შეენინალმდეგება მუხლა ლილვის მოძრაობას იმის ნაცლად, რომ ხელს უწყობდეს მის მოძრაობას.

ამრიგად, დეტონაციის დროს, საწვავ-ჰაერის ნარევის შეკუმშვისას საწვავის ნაწილი თვითაალდება, რაც იწვევს დარჩენილი ნაწილის მეყსეულად აალებას. ამ დროს ალის გავრცელების სიჩქარე აღწევს  $1500-2500\text{მ/ნმ}$  ნაცვლად  $20-30\text{მ/ნმ-ისა}$ . ხოლო წნევა იცვლება ნახტომისებურად. წნევის მკვეთრი ვარდნა იწვევს დეტონაციური ტალღის წარმოქმნას, რომელიც ეცემა ძრავის ცილინდრის კედლებს: დეტონაციური ტალღის მრავალჯერადი არეკვლა იწვევს მეტალურ კაუნს, ძრავის მექანიკური ნაწილების დაზიანებას, გამონაბოლქვ აირებში შავი ბოლის გაჩენას, ცილინდრის კედლების ტემპერატურის გაზრდას.

დეტონაციის მოვლენის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მახასიათებელს წარმოადგენს საწვავის (ან მისი კომპონენტების) შეკუმშვის ხარისხს.

მარტივად, შეკუმშვის ხარისხი განისაზღვრება დგუშის ქვედა ნაწილში ყოფნისას არსებული ცილინდრის მოცულობის შეფარდებით ცილინდრის იმ მოცულობასთან, რომელიც დარჩება დგუშის ზედა ზღვრამდე მიღწევისას (რა დროსაც ხდება საწვავის თვითაალდება). სწორედ ნახშირწყალბადების კუმშვის ხარისხი განსაზღვრავს მათ დეტონაციურ მდგრადობას.

საავტომობილო ძრავების ექსპლუატაციის პირობები საზაფხულო და ზამთრის პერიოდებში განსხვავებულია. ზაფხულში გამოყენებული ბენზინები ხასიათდებიან ორთქლის უფრო დაბალი წნევით (ე.ი. შეიძლება შეიცავდნენ შედარებით მაღალმდუღარე ნახშირნყალბადებს), ხოლო ზამთრის სეზონში გამოყენებულმა ბენზინმა რომ უზრუნველყოს ძრავის ამუშავება, მას უმატებენ 30% მსუბუქ კომპონენტებს, მაგ.: ბუტანს (გათხევადებულს). საზაფხულო ბენზინში ბუტანის შემცველობა თუ 2-3%-ია, ზამთრისაში მისი რაოდენობა 5-8% უნდა იყოს.

საწვავის კუმშვის ხარისხი განსაზღვრავს ძრავის სიმძლავრეს. რაც უფრო დიდია კუმშვის სიდიდე, მით ხანგრძლივია სამუშაო ტაქტი და მით უფრო მძლავრია ძრავა.

დეტონაციის მოვლენა დამოკიდებულია როგორც ძრავის კონსტრუქციაზე, ასევე საწვავის (ნახშირნყალბადოვან) შედგენილობაზე. საწვავის დეტონაციისადმი მდგრადობას ახასიათებენ ოქტანური რიცხვით.

პირობითად, ნორმალური ჰეპტანის ( $\text{C}_7\text{H}_{16}$ ) დეტონაციური მდგრადობა 0-ის ტოლად არის მიღებული, ხოლო იზოოქტანის – 2,2,4-ტრიმეთილპენტანის – 100-ის ტოლად.

ოქტანური რიცხვი არის პირობითი ერთეული, რომელიც რიცხობრივად ტოლია იზოოქტანის (2,2,4-ტრიმეთილპენტანის) მოცულობითი პროცენტული შემცველობისა ნ-ჰეპტანთან ნარევში.

თუ საცდელი ბენზინი თავისი დეტონაციური მდგრადობით ეკვივალენტურია 80% იზოოქტანისა და 20% ჰეპტანის ნარევისა, მაშინ საწვავის ოქტანური რიცხვია 80.

არსებობს ოქტანური რიცხვის განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი. მათგან ალსანიშნავია ძრავული და კვლევითი მეთოდები.

ძრავული მეთოდის დროს შეისწავლება ბენზინის ანტიდეტონაციური თვისებები ძრავის ფორსირებულ რეჟიმში მუშაობის პორობებში. კვლევითი მეთოდი კი – ქალაქის პირობებში: მანქანის არამაღალი სიჩქარით მოძრაობისას, ხშირი გაჩერების პირობებში.

ძრავული მეთოდით განსაზღვრის პირობები უფრო ხისტია: ბრუნვის სიხშირე 900 ბრუნი/წთ-ია, სამუშაო ტემპერატურა (კარბურატორის შემდეგ)  $149^{\circ}\text{C}$ -ია. ეს მეთოდი მიზანშენილია ისეთი საწვავების დეტონაციური მდგრადობის განსაზღვრისათვის, რომელიც გამოიყენება მცირე კუმშვის სიდიდის მქონე ძრავებში. მაღალფორსირებული ძრავების საწვავების ოქტანური რიცხვის განსაზღვრისათვის უფრო მიზანშენილია კვლევითი მეთოდის გამოყენება. ამ დროს განსაზღვრა ტარდება უფრო რბილ პირობებში. სამუშაო ნარევი კარბურატორის წინ არ ცხელდება. ბრუნვის სიხშირეა 600 ბრუნი/წთ-ში.

ორივე მეთოდით განსაზღვრის შედეგად მიღებულ ანტიდეტონაციურ მნიშვნელობებს შორის გასხვავებას – საწვავის მგრძნობიარობა ეწოდება.

დეტონაციური მდგრადობის საბოლოო შეფასებას აწარმოებენ საგზაო გა-მოცდების პირობებში. ასეთ პირობებში დადგენილ ოქტანურ რიცხვს საგზაო ოქტანური რიცხვი ეწოდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საწვავის დეტონაციური მდგრადობა პირველ-ყოვლისა დამოკიდებულია მასში შემავალი ნახშირწყალბადების აღნაგობაზე.

დადგენილია, რომ აირად ალკანებს აქვთ მაღალი ოქტანური რიცხვი, მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად ნ-ალკანების ოქტანური რიცხვი მცირდება, ჰეპტანისათვის 0-ს უტოლდება.

#### **ცხრილი 12.1**

##### **ნ-ალკანების ოქტანური რიცხვი**

ალკანები	ოქტანური რიცხვი ძრავული მეთოდით	ოქტანური რიცხვი კვლევითი მეთოდით
ბუტანი	92	94
პენტანი	62	62
ჰექსანი	25	25
ჰეპტანი	0	0
ოქტანი	-20	0

განშტოებული აღნაგობის ალკანები ხასიათდებიან უფრო მაღალი დეტონაციური მდგრადობით. მათ შორის ყველაზე მაღალი დეტონაციური მდგრადობა გააჩნიათ იზომერებს, რომლებშიც ერთ ნახშირბადის ატომთან ორი მეთილის ჯგუფი დგას.

#### **ცხრილი 12.2**

##### **განშტოებული ნ-ალკანების ოქტანური რიცხვი**

ალკანები	ოქტანური რიცხვი ძრავული მეთოდით	ოქტანური რიცხვი კვლევითი მეთოდით
იზობუტანი	99	101
2-მეთილპენტანი	90	92
2,2-დიმეთილბუტანი	94	92
2,3-დიმეთილბუტანი	95	102
2-მეთილპენტანი	73	73
2,4-დიმეთილპენტანი	93	93
2,2,3-ტრიმეთილბუტანი	102	106
2,2,4-ტრიმეთილპენტანი	100	100
2,5-დიმეთილჰექსანი	54	55

ალკანებთან შედარებით ალკენების დეტონაციური მდგრადობა უფრო მაღალია. ორმაგი ბმის ცენტრისაკენ გადაადგილება იწვევს დეტონაციისადმი მდგრადობის გაზრდას. ასევე დეტონაციისადმი მდგრადობა იზრდება ალკენებში განშტოების გაზრდით.

### ცხრილი 12.3

#### ალკენების ოქტანური რიცხვი

ალკენები	ოქტანური რიცხვი ძრავული მეთოდით	ოქტანური რიცხვი კვლევითი მეთოდით
პროპენი	85	101
პენტენ-2	80	98
ჰექსენ-2	78	89
2-მეთილ-ჰექსენ-2	79	90
2,4,4-ტრიმეთილპენტენ-1	86	103
ოქტენ-2	56	56

დაბალი რიგის ციკლოალკანები ხასიათდებიან მნიშვნელოვანი დეტონაციური მდგრადობით. ნ-ალკილის რადიკალის შემცველი ციკლოალკანები ხასიათდებიან მათთან შედარებით უფრო დაბალი დეტონაციური მდგრადობით, ამასთანავე გვერდითი ჯაჭვის სიგრძის ზრდასთან ერთად დეტონაციური მდგრადობა მცირდება, ხოლო გვერდითი ჯაჭვის განშტოებისა და რაოდენობის გაზრდით, დეტონაციური მდგრადობა იზრდება. ციკლების რაოდენობის გაზრდა იწვევს დეტონაციური მდგრადობის შემცირებას.

### ცხრილი 12.4

#### ციკლოალკანების ოქტანური რიცხვი

ციკლოალკანები	ოქტანური რიცხვი ძრავული მეთოდით	ოქტანური რიცხვი კვლევითი მეთოდით
ციკლოპენტანი	87	100
მეთილციკლოპენტანი	81	91
ეთილციკლოპენტანი	61	67
ციკლოპენტანი	77	83
მეთილციკლოპენტანი	72	75
დეკალინი	38	–
ტეტრალინი	65	–


ბენზოლის რიგის ნახშირნყალბადები ხასიათდებიან მაღალი დეტონაციური მდგრადობით.

## არომატული ნახშირნყალბადების ოქტანური რიცხვი

არენები	ოქტანური რიცხვი ძრავული მეთოდით	ოქტანური რიცხვი კვლევითი მეთოდით
ბენზოლი	107	113
ტოლუოლი	101	112
ეთილბენზოლი	97	103
ო-ქსილოლი	100	100
მ-ქსილოლი	103	100
პ-ქსილოლი	103	100
კუმოლი(იზოპროპილბენზოლი)	99	108

საწვავს, დეტონაციური მდგრადობის გაზრდის მიზნით, უმატებენ სპეციალურ ნივთიერებებს – ანტიდეტონატორებს. ერთ-ერთ ყველაზე მეტად გამოყენებულ ანტიდეტონატორს წარმოადგენდა ტეტრაეთილტყვია  $Pb(C_2H_5)_4$ ;  $Pb(C_2H_5)_4$ -ის დამატებისას საწვავის ოქტანური რიცხვის გაზრდას, ანუ  $Pb(C_2H_5)_4$ -ის დამატების ეფექტურობის მაჩვენებელს – მიმღებიანობა ეწოდება. ის გვიჩვენებს ერთეულთა რიცხვს, რა რიცხვითაც იზრდება საწვავის ოქტანური რიცხვი  $Pb(C_2H_5)_4$ -ის განსაზღვრული რაოდენობით დამატებისას.

ანტიდეტონატორად გამოიყენებოდა ასევე მანგანუმის მეთილციკლოპენტადიენილტრიკარბონილი.



აღნიშნული ნაერთი ტეტრაეთილტყვიასთან შედარებით ნაკლებად ტოქსიკურია და რიგ შემთხვევაში ხასიათდება უფრო მაღალი ანტიდეტონაციური მოქმედებებით. ამასთანავე გააჩნია უარყოფითი მხარეები: მუშაობის პროცესში ხდება მანგანუმის დაფენა სანთელზე, რაც მაღალ ტემპერატურზე იწვევს სანთლის იზოლატორის წინაღობის მკვეთრ შემცირებას და ძრავის მუშაობის წყვეტილობას. გარდა ამისა, მანგანუმის მეთილციკლოპენტადიენილკარბონილი ძვირი ნივთიერებაა.

70-იანი წლებიდან, გარემოს დაცვის ორგანიზაციების მიერ დაისვა მოთხოვნები ანტიდეტონატორად ტოქსიკური ტეტრაეთილტყვიის გამოყენების შეზღუდვისა და ამ მიზნით ეკოლოგიურად სუფთა ნაერთების გამოყენების მიმართულებით.


ბენზინის ოქტანური რიცხვის გასაზრდელად ამჟამად წარმატებით გამოიყენება ჟანგბადშემცველი ნივთიერებები: სპირტები და მარტივი ეთერები. კერ-

ძოდ, მეთანოლი, ეთანოლი, მესამეული ბუტილის სპირტი, მესამეული ამილისა და მესამეული ბუტილის სპირტების მეთილის ეთერები.


გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ბენზინები უნდა ხასიათდებოდნენ ქიმიური სტაბილურობით. მაღალი სტაბილურობით ხასიათდებიან ნავთობის პირდაპირი გამოხდით მიღებული ბენზინები; ისინი არ შეიცავენ ალკენებს, ხოლო კრეკინგით მიღებული ბენზინები შეიცავენ ალკენებს, რომლებიც ადვილად იუანგებიან, პოლიმერიზდებიან და წარმოქმნიან ფისებს. საავტომობილო ბენზინების ქიმიურ სტაბილობას ახასიათებენ ინდუქციური პერიოდის ხანგრძლივობით და ფისების შემცველობით.

ქიმიური სტაბილობის გასაზრდელად, უჯერი ნაშირწყალბადების შემცველობისას, საწვავში შეაქვთ ანტიდამუანგავები.

#### 4,4'-დიჰიდროქსიდიფენილამინი



#### 2,6-დიმესამეულბუტილკრეზოლი



ბენზინის ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასში გოგირდშემცველი ნაერთების არსებობას.

გოგირდწყალბადი და დაბალი რიგის მერკაპტანები იწვევენ გამაცხელებელი სისტემის ძლიერ კოროზიას. ასევე არასასურველია ბენზინებში სხვა სახის გოგირდშემცველი ნაერთების არსებობა, რადგან წვისას ისინი წარმოქმნიან ძლიერ კოროზიულად აგრესიულ ნივთიერებებს:  $\text{SO}_2$ ,  $\text{SO}_3$ . ამიტომ დაწესებულია ბენზინის ხარისხიანობის დასადგენად გოგირდის შემცველობის განსაზღვრა.

ასევე სახელმწიფო სტანდარტით აუცილებელია ბენზინში მუავიანობის, წყალში ხსნადი მუავებისა და ტუტეების, კოროზიულად აგრესიულ ნივთიერებათა, მექანიკური მინარევებისა და წყლის შემცველობის განსაზღვრა.

## 12.2. საცავები საჰაერო-რეაქტიული ქრავებისათვის

თანამედროვე საფრენი აპარატების უმრავლესობა მუშაობს აირტურბინული-აირხრახნიანი და ტურბორეაქტიული ძრავებით.

ორივე ტიპის ძრავაში ტურბოკომპრესორის საშუალებით შეკუმშული ჰაერი მიეწოდება საწვავ კამერას, სადაც ხდება თხევადი საწვავის შეფრქვევა. საწვავი ინთება ელექტრონაპერწკლის საშუალებით. ჰაერისა და საწვავის მიწოდება,

საწვავის წვა და ცხელ აირთა ჭავლის წარმოქმნა ხდება ერთდროულად. აირები ფართოვდებიან ტურბინებში, რაც იწვევს ჰაერის შემკუმშავი კომპრესორისა და საპაერო ხრახნის (რომელიც ქმნის ძირითად წნევას) ბრუნვას; აირების საბოლოო გაფართოება ხორციელდება რეაქტიულ საქმენში, ამასთანავე საქშენიდან გამომდინარე აირების ჭავლით იქმნება დამატებითი (8-12%) წნევა. თანამედროვე ტურბორეაქტიულ ძრავებში ტურბინის შემდეგ აირები მიემართება ფორსაჟულ კამერაში, სადაც საწვავის ნაწილი დამატებით იწვის, აქედან აირები უფრო მაღალი ტემპერატურითა და უფრო დიდი სიჩქარით გადადიან რეაქტიულ საქშენში, რის გამოც იზრდება გამნევი ძალა.

საწვავები საპაერო-რეაქტიული ძრავებისათვის – (რეაქტიული საწვავი, საავიაციო ნავთი) მიიღება ძირითადად ნავთობის პირდაპირი გამოხდის ფრაქციებისა და ასევე, კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებული პროდუქტების საფუძველზე.

რუსეთში რეაქტიული ძრავებისათვის შემუშავებული იყო საწვავის 20 მარკა ნედლეულის, ფრაქციული შედგენილობის, დანამატების, დამზადების მეთოდების მიხედვით. მაგ.:

საწვავი T-1 – მცირე გოგირდოვანი ნავთობის პირდაპირი გამოხდის ნავთის ფრაქცია (150-280°C).

T-2 – მზადდება გოგირდოვანი ნავთობიდან გამოყოფილი ბენზინის, ლიგროინის, ნავთისა და გაზოილის ფრაქციების გამოყენებით (60-280°C).

T-5 – მიიღება მცირეგოგირდოვანი ნავთობის პირდაპირი გამოხდით და მიღებული ფრაქციების გოგირდმჟავით გაწმენდით.

PT – მიიღება ნავთობის პირდაპირი გამოხდით, ჰიდროგანმენდით და ჰიდროგანმენდილი სხვა კომპონენტების დამატებით (135-280°C).

T-6 – თერმოსტაბილური საწვავი, გაზოილის ფრაქცია (195-315°C). მიიღება ნავთობის პირდაპირი გამოხდისა და ნავთობპროდუქტების მეორადი გადამუშავების (სპეციალური კატალიზატორების გამოყენებისას) შედეგად მიღებული პროდუქტების შერევით.

T-8 და T-B თერმოსტაბილური საწვავებია (165-280°C). გამოიყენებიან ზებგერითი სიჩქარეებით ფრენისას. ხასიათდებიან დაბალი კრისტალიზაციის ტემპერატურით (-60°C).

T-8B მზადდება ვაკუუმური დისტილატების ჰიდროკრეკინგით და ჰიდროდეარომატიზაციით.

რეაქტიული საწვავის ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს სიმკვრივე, წვის სითბო, ფრაქციული შედგენილობა, სიბლანტე, კრისტალიზაციის დაწყების ტემპერატურა, არენების, გოგირდის, ფისებისა და უჯერი ნაერთების შემცველობა, თერმული სტაბილობა, არამბოლავი ალის სიმაღლე, ლუმინომეტრული რიცხვი.

საწვავის სიმკვრივე და დაწვის სითბო ახსიათებს საწვავის ენერგეტიკულ შესაძლებლობებს, რაც უფრო მაღალია სიმკვრივე, მით მეტი რაოდენობით საწვა-

ვის ჩატვირთვაა შესაძლებელი ავზში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფრენის ხანგრძლივობას. ბუნებრივია, საწვავისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია მისი წვის სითბოს. ყველაზე მაღალი წვის სითბო ახასიათებს ალკანებს – ყველაზე ნაკლები არენებს. ასევე, საწვავისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია საწვავის სრული წვა. არენების (განსაკუთრებით – პოლიციკლურის) წვისას ხდება ჭვარტლისა და ნამწვის წარმოქმნა, რომელიც ეფინება აპარატურის კედლებს, რაც აბრკოლებს აირების ნაკადის გადასვლას საწვავ კამერებში, საწვავის ნაკადის გაფრქვევას. გარდა ამისა, ალში ჩნდება ნახშირბადის გავარვარებული ნაწილაკები, იზრდება ალის გამოსხივების ინტენსიურობა; შედეგად ხდება კამერის კედლების გადახურება. ამიტომ რეაქტიულ ძრავებში არენების შემცველობაზე დადგენილია შეზღუდვები, ბერებით სიჩქარემდე ფრენისას მათი შემცველობა დასაშვებია 20-22%-ის რაოდენობით, ხოლო ზებგერითი სიჩქარით ფრენისას 10%-მდე. რეაქტიული ძრავებისათვის საწვავის სრული და ეფექტური წვის მაჩვენებელს წარმოადგენს ასევე ალის სიმაღლე. ის უნდა იყოს არა უმცირესი 20-25 მმ-ისა.

ლუმინომეტრული რიცხვი არის რეაქტიული საწვავის წვის დროს ალის სითბური გამოსხივების მაჩვენებელი.

ლუმინომეტრული რიცხვის დადგენისათვის ისაზღვრება საკვლევი და ეტალონური საწვავების (ტეტრალინისა და იზოოქტანის) წვის პროდუქტების ტემპერატურები მათი ალის გამოსხივების ერთნაირ დონეზე, კერძოდ, ხილული სპექტრის მწვანე-ყვითელი ზოლის უბანში (280-700ნმ).

საწვავების წვის პროდუქტების ტემპერატურა ისაზღვრება ალის ზემო ნაწილში მათი ნათების ინტენსივობისას, რომელიც ბოლის წარმოქმნის (არამბოლავი ალის ზედა წერტილში) წერტილში ტეტრალინის ალის ნათების ინტენსივობის ტოლია.

$$\text{ლ.რ.} = \frac{\Delta t_{\text{საწვ.}} - \Delta t_{\text{ტეტრ.}}}{\Delta t_{\text{იზოოქტ.}} - \Delta t_{\text{ტეტრ.}}}$$

სადაც ლ.რ. – ლუმინომეტრული რიცხვია;  $\Delta t_{\text{საწვ.}}$ ,  $\Delta t_{\text{ტეტრ.}}$ ,  $\Delta t_{\text{ტეტრ.}}$  – არის შესაბამისად საწვავის, ტეტრალინის და იზოოქტანის ალის ზემო ნაწილში აირთა ტემპერატურისა და სანთურასთან მყოფი ჰაერის ტემპერატურებს შორის სხვაობა. განსაზღვრა ხდება სპეციალურ ხელსაწყოში.

რეაქტიული საწვავებისათვის ნორმირებულია საბლანტის მნიშვნელობა. ბერებით სიჩქარემდე ფრენისას ის უნდა იყოს 1.05-1.15 მმ<sup>2</sup>/ნ, ხოლო ზებგერითი სიჩქარის შემთხვევაში არა უმეტეს 4.5მმ<sup>2</sup>/ნ. საპარავო რეაქტიული ძრავების საწვავებისთვის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საწვავის კრისტალიზაციის დაწყების ტემპერატურა. რადგან ბერებით სიჩქარემდე ფრენისას საწვავი ავზში ინტენსიურად ცივდება, გამყარების თავიდან ასაცილებლად კრისტალიზაციის დაწყების ტემპერატურა არ უნდა იყოს -55-60°C-ზე მეტი.

თვითმფრინავებში, საწვავის მიმწოდებელ სისტემაში, საწვავები ცხელდება 150-250°C ტემპერატურამდე. ამ პირობებში ალკენები პოლიმერიზდებიან, მერ-

კაპტანები და ფისები იშლებიან, რის შედეგადაც წარმოიქმნება საწვავში უხსნა-დი ნალექები, რაც იწვევს ფილტრების და მფრქვევანას გაჭედვას და გამაცივე-ბელი ზედაპირის გაფუჭყიანებას. ამიტომ რეაქტიული საწვავები უნდა ხასიათ-დებოდნენ მაღალი თერმომდგრადობით, რაც ხორციელდება საწვავების გაწ-მენდით და ასევე სპეციალური დანიშნულების დანამატებით.

### 12.3. დიზელის საწვავი, მისი გახასიათება პარამეტრები

შიდაწვის ძრავის სახეობას წარმოადგენს დიზელის ძრავები. ის გამოიყენება სხვადასხვა სახის ტრანსპორტებისათვის, როგორიცაა: ტრაქტორები, თბომავა-ლი, ზღვისა და მდინარეების გემები, ავტომანქანები, ავტობუსები და მოძრავი თბოელექტროსადგურები.

დიზელის ძრავაში სამუშაო პროცესი ოთხტაქტიანია. პირველ ორ ტაქტში შეიწოვება და იკუმშება ჰაერი, შეკუმშვის შედეგად ჰაერის ტემპერატურა აღ-ნევს  $550-650^{\circ}\text{C}$ , ხოლო წნევა იზრდება 4მპა-მდე. შეკუმშვის ბოლო სვლაზე შე-კუმშულ და გაცხელებულ ჰაერში მაღალი წნევით (დროის გარკვეულ მონაკვეთ-ში) ახდენენ საწვავის შეფრქვევას; შეფრქვეული საწვავის უწვრილესი წვეთები გადადიან ორთქლის მდგომარეობაში და შეერევიან ჰაერს, ძალიან მცირე დრო-ში საწვავი თვითაალდება და მთლიანად იწვის. პერიოდს, საწვავის შეფრქვევასა და აალების დროს შორის, შეკავების პერიოდი ეწოდება.

თანამედროვე სწრაფმავალი ძრავებისათვის ეს პერიოდი 0.002 წამზე მეტი არ უნდა იყოს. საწვავის წვისას წნევა აღწევს 6-10მპა-ს, ძრავის ნორმალური მუ-შაობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს აირების წნევის ზრდის სიჩქარე. მუხლა ლილვის  $1^{\circ}$ -ით შემობრუნებისას წნევის ზრდა 0.5მპა-ს არ უნდა აღემატე-ბოდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ძრავა იწყებს კაკუნს, ხოლო საკისარზე დატ-ვირთვა ხდება უსაზღვრო. რაც უფრო ხანგძლივია ეს პერიოდი, მით მეტი რაო-დენობის საწვავი ასწრებს გადასვლას ძრავის ცილინდრში და ადგილი აქვს დიდი რაოდენობით საწვავის ერთდროულად აალებას, რაც იწვევს აფეთქებას. ამ დროს აირების წნევა იზრდება მომენტალურად, ნახტომისებურად. ამ მოვლენას ეწო-დება ხისტი მუშაობა. ეს მოვლენა გარეგანი ნიშნებით ემსგავსება დეტონაციას.

შემდეგ ორ ტაქტში ხდება აირების გაფართოება – სამუშაო სვლა და გამო-ბოლევა – ძრავის ცილინდრის გასუფთავება წვის პროდუქტებისაგან.

დიზელის საწვავი წარმოადგენს ნავთობის ფრაქციას, რომელიც იხდება  $180-360^{\circ}\text{C}$ . ასევე იყენებენ მაზუთის კრეკინგისა და ჰიდროკრეკინგით მიღებულ გაზოილს (ამჟამად მათი გამოხდის ტემპერატურული ინტერვალი გაზრდილია  $180-380^{\circ}\text{C}$ ,  $180-400^{\circ}\text{C}$ ).

დიზელის საწვავის ძირითადი საექსპლუატაციო მახასიათებლებია: ფრაქ-ციული შემადგენლობა, სიბლანტე, ფეთქების და აალების ტემპერატურები, ცე-ტანური რიცხვი, შემღვრევის და გამყარების ტემპერატურები, ფისოვან და კო-როზიულად აქტიურ ნაერთთა შემცველობა.

დიზელის საწვავის აალებისათვის (რაიმე ასანთები წყაროს გარეშე) საჭიროა, რომ საწვავის თვითაალების ტემპერატურა  $500-550^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალი იყოს (ე.ი. იმაზე დაბალი, რა ტემპერატურაზეც ცხელდება ჰაერი ცილინდრში).

ყველაზე დაბალი აალების ტემპერატურა აქვს 6-ალკანებს, ყველაზე მაღალი არენებს.

საწვავების აალების უნარის შეფასებისათვის შემოტანილია პირობითი სიდიდე – ცეტანური რიცხვი (ცეტანური ინდექსი).

პირობითად,  $\alpha$ -მეთილნაფთალინის აალების უნარი მიღებულია 0-ის, ხოლო ცეტანის (ჰექსადეკანის) – 100-ის ტოლად.

საწვავის ცეტანური რიცხვი განისაზღვრება ცეტანის –  $\text{C}_{16}\text{H}_{34}$ -ის მოცულობითი შემცველობით  $\alpha$ -მეთილნაფთალინთან ნარევში, რომელსაც ისეთივე აალების უნარი აქვს, როგორც საანალიზო საწვავს. საწვავის აალების უნარის განსაზღვრა (შედარება სტანდარტულ ნარევთან) ხდება სპეციალურ ძრავულ დანადგარზე სტანდარტულ პირობებში.

საწვავის აალების უნარი – ცეტანური რიცხვი დამოკიდებულია საწვავის ნახშირწყალბადოვან შედგენილობზე.

აალების უნარის მიხედვით ნახშირწყალბადები შეიძლება განლაგდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ალკანები  $>$  იზოალკანები  $>$  ალკენები  $>$  ნაფთენები  $>$  არომატული ნახშირწყალბადები  $>$  კონდენსირებულბირთვიანი არომატული ნახშირწყალბადები.

ალკენებისა და ალკანების მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად ცეტანური რიცხვი იზრდება, ხოლო ჯაჭვის განშტოების ხარისხის გაზრდით – მცირდება.

ბენზოლისა და ციკლოალკანების ჰომოლოგების ცეტანური რიცხვი უფრო მაღალია, ვიდრე ჩაუნაცვლებელი ნახშირწყალბადებისა, ამასთანავე ჯაჭვის სიგრძის გაზრდით ცეტანური რიცხვი იზრდება.

## ცხრილი 12.6

### ალკილბენზოლების ცეტანური რიცხვები

ნახშირწყალბადები	ცეტანური რიცხვი
ბენზოლი	-
ტოლუოლი	5
6-პენტილბენზოლი	8
6-ჰექსილბენზოლი	26
6-ჰეპტილბენზოლი	35
6-ნონილბენზოლი	4.4
6-დოდეცილბენზოლი	58
6-ტეტრადეცილბენზოლი	72

რადგან საწვავის ფიზიკური პარამეტრები და აალების უნარი დამოკიდებულია საწვავის ქიმიურ შედგენილობაზე, იყო ცდები საწვავის ცეტანური რიცხვი დაეკავშირებინათ მათ ქიმიურ შედგენილობასა და ფიზიკურ პარამეტრებთან.

მოწოდებულ იქნა ფორმულა, რომლის მიხედვითაც საწვავის ცეტანური რიცხვის (ც.რ.) განსაზღვრა შესაძლებელია მისი ნახშირწყალბადოვანი ჯგუფურ-ქიმიური შედგენილობის მიხედვით:  $\text{ც.რ.} = 0.85P + 0.1N - 0.2A$

სადაც P, N და A პარაფინული, ნაფთენური და არომატული ნახშირწყალბადების % შემცველობაა საწვავში.

შემუშავდა რამდენიმე ემპირიული ფორმულა, სადაც ცეტანური რიცხვი და კავშირებულია საწვავის ფიზიკურ პარამეტრებთან – ფრაქციის საშუალო დუღილის ტემპერატურასა და სიმკვრივესთან:

$$\text{ც.რ.} = \frac{T_{\text{საჭ}} - 56}{5\rho}$$

სადაც  $T_{\text{საჭ}}$  – საწვავის საშუალო დუღილის ტემპერატურაა  ${}^{\circ}\text{C}$ , ხოლო  $\rho$  – სიმკვრივე  ${}^{\circ}\text{C}$ .

ასევე შემუშავებულია ფორმულა, სადაც ცეტანური რიცხვი განისაზღვრება საწვავის სიმკვრივისა და სიბლანტის მიხედვით.

$$\text{ც.რ.} = \frac{(v_{20} + 17.8) \cdot 1.5879}{\rho}$$

სადაც  $v_{20}$  – საწვავის კინემატიკური სიბლანტეა  $20^{\circ}\text{C}$ , ხოლო  $\rho$  – საწვავის სიმკვრივე  $20^{\circ}\text{C}$ . 17.8 და 1.5879 ემპირიული კოეფიციენტებია.

### ცხრილი 12.7

#### ძრავულ დანადგარზე გაზომილი ცეტანური რიცხვის მნიშვნელობები

სიბლანტე $20^{\circ}\text{C}$	სიმკვრივე $20^{\circ}\text{C}$	ცეტანური რიცხვი გაზომილი და ნადგარზე	ცეტანური რიცხვი განსაზღვრული ფორმულით
10,7	0.857	54	52.8
6.0	0.945	44	44.6
5.7	0.944	44	44.2
4.5	0.866	40	40.8
6.9	0.853	45	45.8
9.3	0.85	51	50.7

საწვავის აალების უნარის დასახასიათებლად შემოტანილ იქნა პირობითი სიდიდე – დიზელის ინდექსი (დ.ი.), რომელიც განისაზღვრება საწვავის ანილინური ნერტილითა და სიმკვრივით.

$$\text{დ.ი.} = \frac{(1.8A + 32) \cdot (141.5 - 131.5\rho)}{100\rho}$$

სადაც A – საანალიზო საწვავის ანილინის წერტილია  ${}^{\circ}\text{C}$ ,  $\rho$  – საწვავის სიმკვრივე  ${}^{\circ}\text{C}$ .

დადგენილია დამაკავშირებელი ფორმულა ცეტანურ რიცხვსა და დიზელის ინდექსს შორის.

$$\text{ც.რ.} = \frac{2}{3} \text{ დ.ი.} + 14$$

შემდეგში ეს ფორმულა შეიცვალა შემდეგი ფორმულით:

$$\text{ც.რ.} = \frac{2}{3} \text{ დ.ი.} + 0.68 T_{\text{საჭ.}} - 22$$

სადაც  $T_{\text{საჭ.}}$  – საწვავის საშუალო დუღილის ტემპერატურა ფარენგეიტის მიხედვით  ${}^{\circ}\text{F}$ .

### ცხრილი 12.8

**დიზელის საწვავის ცეტანური რიცხვის (გაზომილი დანადგარზე)  
და დიზელის ინდექსის (განსაზღვრული ანილინის  
წერტილითა და სიმკვრივით) მნიშვნელობები**

დიზელის ინდექსი	20	30	40	50	62	70	80
ცეტანური რიცხვი	30	35	40	45	55	65	80

დიზელის ძრავების ნორმალურ მუშაობას განაპირობებს ისეთი საწვავების გამოყენება, რომელთა ცეტანური რიცხვი  $45^{\circ}\text{C}$  მეტია.

დიზელის საწვავს ცეტანური რიცხვის გასაზრდელად უმატებენ ნიტრონაერ-თებს, როგორიცაა  $2\text{-ნიტროპროპანი}$   $(\text{CH}_3)_2\text{CHNO}_2$ ,  $1\text{-ნიტროპენტანი}$   $\text{C}_5\text{H}_{11}\text{NO}_2$  და ნიტროციკლოპექსანი  $\text{C}_6\text{H}_{11}\text{NO}_2$ .

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიზელის საწვავების ფრაქციულ შედგენილობას. ზაფხულის პირობებში გამოიყენება ფრაქცია, რომლის 50% იხდება არა უმეტეს  $280^{\circ}\text{C}$ , 96% – არაუმეტეს  $360^{\circ}\text{C}$ ; ზამთარში ფრაქცია, რომლის 50% იხდება  $280^{\circ}\text{C}$ , 96% –  $340^{\circ}\text{C}$ ; არქტიკულ პირობებში შესაბამისად 50% –  $255^{\circ}\text{C}$ , 96% –  $330^{\circ}\text{C}$ .

დიზელის საწვავებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სიბლანტე, შემღვრევის და გამყარების ტემპერატურები, რაც განაპირობებს ძრავათა ცილინდრებში საწვავის მიწოდებისა და გაფრქვევის შესაძლებლობას. დაბალი სიბლანტისა და გამყარების დაბალი ტემპერატურის მქონე საწვავებს გააჩნიათ კარგი დენადობა მილსადენებში, ფილტრებში, ტუმბოებში და მფრქვევანებში; მათი შეფრქვევა

ხდება ადვილად (წარმოქმნიან ერთგვაროვან და წვრილწვეთოვან ნაკადს), რაც ადვილებს მათ აორთქლებას და წვას.

არასასურველია ძალიან დაბალი სიბლანტის მქონე საწვავის გამოყენება, რადგან ამ დროს შესაძლებელია ძრავის სწრაფი ცვეთა. დიზელის საწვავის სიბლანტე  $20^{\circ}\text{C}$ -ზე  $1.8\text{-}6.0 \text{მმ}^2/\text{წ}$  ფარგლებში უნდა იყოს.

დიზელის საწვავისათვის დაწესებულია ნორმები საწვავის გამყარებისა და შემღვრევის ტემპერატურაზე, რადგან მაღალი შემღვრევის ტემპერატურის საწვავების გამოყენებისას ხდება მყარი პარაფინის კრისტალების გამოყოფა, რაც იწვევს საწვავის მექანიკური მინარევებისაგან გასაწმენდად გამოყენებული ფილტრების გაჭედვას.

ზაფხულის საწვავისათვის გამყარების ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს  $-10^{\circ}\text{C}$ , ზამთრის  $-35^{\circ}\text{C}$ , ზომიერ კლიმატურ პირობებში  $-45^{\circ}\text{C}$ , არქტიკის პირობებში  $-55^{\circ}\text{C}$ .

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა დიზელის საწვავის ფრაქციის სისუფთავეს. დიზელის საწვავების გასაწმენდად ახდენენ მათ გაფილტვრას ქალალდის ფილტრებში, ამიტომ შემოღებულია გაფილტვრის კოეფიციენტის განსაზღვრა.

განსაზღვრას აწარმოებენ სპეციალურ ხელსაწყოში, სადაც იზომება ფილტრის გამტარი უნარი, განსაზღვრული თანაბარი მოცულობის საწვავის გატარების ხანგრძლივობის მიხედვით. კერძოდ, გაფილტვრის კოეფიციენტი გვიჩვენებს 2 მლ საწვავის გამოსვლის დროის შეფარდებას მის წინ ჩამოსული 2 მლ საწვავის გამოსვლის დროსთან. ასევე შეზღუდულია დიზელის საწვავში გოგირდის შემცველობა. ის არ უნდა აღემატებოდეს 0.2-0.5%-ს.

## 12.4. ნავთობის ზეთები, მისი მახასიათებელი პარამეტრები

ნავთობის ზეთებს სხვანაირად მინერალურ ზეთებს უწოდებენ,

ნავთობიდან ზეთებს გამოყოფენ ვაკუუმგამოხდით, მაგრამ მიეთითება ის ტემპერატურული ინტერვალი, რომელიც შეესაბამება მათ ატმოსფერულ წნევაზე გამოხდის ტემპერატურას.

**ცხრილი 12.9**

### ზეთის ფრაქციის გამოხდის ტემპერატურული ინტერვალი

ფრაქციის დასახელება	დუღილის ტემპერატურის დასაწყისი და დაბოლოება
მსუბუქი ზეთის ფრაქცია (ტრანსფორმატორის დისტილატი)	$300\text{-}400^{\circ}\text{C}$ ( $350\text{-}420^{\circ}\text{C}$ )
საშუალო ზეთის ფრაქცია (მანქანის დისტილატი)	$400\text{-}450^{\circ}\text{C}$ ( $420\text{-}470^{\circ}\text{C}$ )
მძიე ზეთის ფრაქცია (ცილინდრის დისტილატი)	$450\text{-}490^{\circ}\text{C}$

ზეთების გამოყენების სფერო ძალიან ფართოა. მათ იყენებენ მანქანების ძრავების, საგლინავი დაზგების, სხვადასხვა მექანიზმების, მოძრავი ნაწილების, მყარი მეტალური ზედაპირების გასაპოხად. შედეგად ზედაპირზე ხდება ზეთოვანი აფსკის ნარმოქმნა, რაც გამორიცხავს მმრალ ხახუნს, მნიშვნელოვნად ამ-ცირებს ხახუნის კოეფიციენტს და ზრდის მოხახუნე მეტალური დეტალების ცვეთაგამძლეობას.

გარდა აღნიშნულისა, ნავთობის ზეთები გამოიყენება ელექტროტექნიკაში: ტრანსფორმატორებში, რეოსტატებში და სხვა აპარატებში იზოლაციისა და სითბოს არინებისათვის. ზეთის გამომრთველებში ზეთის დანიშნულებაა დენის გამორთვისას კონტაქტებს შორის ნარმოქმნილი ვოლტას რკალის ჩაქრობა.

საცხები ზეთების მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენს კარბურატორული, ავტოტრაქტორული, დიზელისა და საავიაციო ძრავებისათვის გამოყენებული ზეთები.

სიბლანტის მიხედვით ძრავისათვის გამოყენებულ ზეთებს (ძრავულ ზე-თებს) ყოფენ კლასებად.

ზეთის მარკაში (მაგ.: რუსეთი) აღინიშნება კინემატიკური სიბლანტე 100°C-ზე, ხოლო შესქელებული ზეთებისათვის არსებობს ორმაგი მარკირება – მრიცხველ-ში აღნიშნულია სიბლანტე – 18°C-ზე, ხოლო მნიშვნელში სიბლანტე 100°C-ზე. „3“ ინდექსი მიუთითებს შემასქელებელი დანამატის არსებობას ზამთრის პერიოდისათვის.

აღსანიშნავია, რომ განმენდის მეთოდების მიხედვით ზეთებს განასხვავებენ შემდეგნაირად: გაუწმენდავი (ნავთობის პირდაპირი გამოხდით მიღებული), მუავურ-ფუძური, მუავურ-კონტაქტური, სელექციური, ადსორბციული, ჰიდროკრეკინგით განმენდილი ზეთები.

ნავთობური საცხები ზეთების ძირითად საექსპლუატაციო მახასიათებლებს ნარმოადგენს: სიბლანტე-ტემპერატურული თვისებები, ძვრადობა დაბალ ტემპერატურაზე და ჟანგვის მიმართ მდგრადობა.

საცხები ზეთებისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები დამოკიდებულია მოხახუნე ზედაპირების მოძრაობის ბუნებასა და სიჩქარეზე. საავტომობილო ზეთების სიბლანტე 6-12მმ<sup>2</sup>/ნ (100°C) ფარგლებში უნდა იყოს, ხოლო სწრაფ-მავალი დიზელებისათვის 1.5-6.0მმ<sup>2</sup>/ნ (20°C).

ზეთების სიბლანტის ტემპერატურაზე დამოკიდებულების შესაფასებლად გამოიყენება სიბლანტის ინდექსი (სი) და სიბლანტის ტემპერატურული კოეფიციენტი (სტკ).

სიბლანტის ინდექსი (სი) არის 50°C-ზე კინემატიკური სიბლანტის ფარდობა 100°C-ზე კინემატიკურ სიბლანტესთან.

მსოფლიო პრაქტიკაში ზეთების სიბლანტის ტემპერატურაზე დამოკიდებულების შესაფასებლად გამოიყენება დინისა და დევისის მიერ მოწოდებული ფორმულა

$$სი = \frac{L-X}{L-H} \cdot 100$$

სადაც L ეტალონური ზეთის სიმკვრივეა  $37.8^{\circ}\text{C}$ , რომლის სი=0 (ეტალონად შერჩეულია დაბალი ხარისხის ზეთი მიღებული ფისოვან-აფალტენური ნავთობი-დან). H მეორე ეტალონური ზეთის სიბლანტე  $100^{\circ}\text{C}$ , რომლის სი=100 (პარაფი-ნული ნავთობიდან მიღებული მაღალხარისხისანი ზეთი). X საკვლევი ზეთის სიბლანტეა.

რადგან ნავთობის ზეთები ტემპერატურის ფართო ინტერვალში მუშაობს, ამიტომ სიბლანტის ტემპერატურული მრუდის ხასიათი მისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან საექსპლუატაციო მახასიათებელს. ზეთები, რომლებსაც დამრეცი ტემპერატურული მრუდი აქვთ მაღალი ხარისხისაა.

სიბლანტის ტემპერატურული კოეფიციენტი (სტკ) ახასიათებს სიბლანტის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე. ისაზღვრება სიბლანტე 0, 20, 50 და  $100^{\circ}\text{C}$ -ზე. შემდეგ კი მოცემული ფორმულის მიხედვით ახდენენ სიბლანტის ტემპერატურული კოეფიციენტის მნიშვნელობის გამოთვლას აღნიშნულ ტემპერატურულ ინტერვალში:

$$\text{სტკ}_{0-100} = V_0 - V_{100} / V_{50(100-0)} \cdot 100 = V_0 - V_{100} / V_{50}$$

$$\text{სტკ}_{20-100} = v_{20} - V_{100} / V_{50(100-20)} \cdot 100 = 1.25 \cdot V_{20} - V_{100} / V_{50}$$

ზეთებისათვის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ძვრადობის უნარი, რომელიც დაბალ ტემპერატურაზე ძალიან მცირდება, ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას ორი მიზეზით: 1) სიბლანტის მკვეთრი გაზრდით 2) მყარი ნახშირწყალ-ბადების კრისტალებისაგან შემდგარი სტრუქტურის წარმოქმნით.

დაბალ ტემპერატურაზე ზეთების ძვრადობის მაჩვენებელს წარმოადგენს გამყარების ტემპერატურა. ავტომობილებისა და დიზელის ზეთების გამყარების ტემპერატურა უნდა იყოს  $-10^{\circ}\text{C}$ -დან  $-40^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში, ხოლო ტურბორეაქტიული საავიაციო ზეთებისათვის ის არ უნდა აღემატებოდეს  $-55^{\circ}\text{C}$ .

დაბალ ტემპერატურაზე გამყარების უნარის მქონე ზეთების მისაღებად, ზეთის ფრაქცია უნდა გაიწმინდოს მყარი ალკანებისაგან, პილიციკლური არენებისაგან და მოკლე გვერდითი ჯაჭვის მქონე ციკლოალკანორენებისაგან.

ზეთების ტექნიკურ მახასიათებელს წარმოადგენს გაპოხვის უნარი: მეტალების ზედაპირების ზეთებით დაფარვისას გარკვეული სისქის ( $0.1\text{-}1\text{მ}\mu\text{მ}$ ) სტაბილური, მტკიცე ფენის ზეთის წარმოქმნა.

ზეთებისათვის უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს ქიმიური სტაბილობა – მდგრადობა ჰაერის უანგბადით დაუანგვის მიმართ.

უანგბადით დაუანგვის შედეგად ზეთებში წარმოიქმნება სხვადასხვა უანგბადშემცველი ნაერთები: პეროქსიდები, მუავები, ჰიდროქსი- და კეტომუავები, ფენოლები, ასფალტოგენური მუავები, ფისები, ასფალტენები, კარბენები, რომლებიც ძალიან უარყოფითად მოქმედებენ მათ საექსპლუატაციო თვისებებზე.

ზეთების უანგვისადმი მდგრადობას ახასიათებენ შემდეგი მაჩვენებლებით: კოროზიული აქტიურობით, ლაქისა და ნალექის წარმოქმნის უნარით.

## 12.4.1. ტრანსფორმატორის ზეთი

ტრანსფორმატორის ზეთი გამოიყენება ელექტროტექნიკაში ტრანსფორმატორებში, რეოსტატებში, გამომრთველებსა და სხვა აპარატებში არედ იზოლაციისა და სითბოს არინებისათვის.

ზეთის გამომრთველებში ზეთის დანიშნულებაა ვოლტას რკალის ჩაქრობა, რომელიც კონტაქტებს შორის წარმოიქმნება დენის გამორთვისას.

ტრანსფორმატორები, გამომრთველები და სხვა ზეთით შევსებული ელექტროაპარატურა წარმოადგენს მეტისმეტად ფასეულ და საპასუხისმგებლო დანადგარს და ამიტომ ზეთის ხარისხი პირველყოვლისა ამ აპარატურის მუშაობის გამძლეობისა და საიმედოობის საკითხია.

ელექტროაპარატებში გამოყენებული ზეთი, უნდა უძლებდეს რაც შეიძლება ხანგრძლივ მუშაობას თვისებრივი შედგენილობის შეუცვლელად.

ზემოთ ჩამოთვლილი აპარატების ტევადობა თანამედროვე ელექტროსადგურებსა და ქვესადგურებში, ხშირად აღნევს რამოდენიმე ტონას, ამიტომ ზეთის შეცვლა დაკავშირებულია მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებთან.

ბოლოს, ზეთის თვისებების ყოველგვარი ცვლილება დაძველების პროცესში აუარესებს მის, როგორც იზოლატორის ხარისხს, ხოლო ზეთში უხსნადი წვის მყარი პროდუქტები, დაფენილი აპარატის ელემენტების შიდა ზედაპირზე, ამცირებს სითბომიმოცვლას, ელექტროიზოლაციას და შეიძლება შეიქმნას ავარიის მიზეზი.

ტრანსფორმატორის ზეთის, როგორც დიელექტრიკის, უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს დიელექტრიკული სიმტკიცე ან გარღვევის ძაბვა. ის იზომება იმ ძაბვით, რომელიც საჭიროა 1 სმ სისქის დიელექტრიკის (ზეთის) ფენის გარღვევისათვის.

აპარატის ტიპის მიხედვით, ძაბვა და სიმძლავრე ზეთისგან მოითხოვს გარკვეულ დიელექტრიკულ სიმტკიცეს. თუმცა, როგორც წესი დიელექტრიკული სიმტკიცე (მდგრადობა) ახალი ზეთის უნდა იყოს არანაკლებ 40 კილოვატისა, ხოლო ექსპლუატაციისას ეს სიდიდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 12 კილოვატზე ნაკლები.

ზოგჯერ ზეთების გამოყენებისას (კონდენსატორები, ზეთით შევსებული კაბელები) დიდი მნიშვნელობა აქვთ ზეთების მეორე მახასიათებელ სიდიდეს – დიელექტრიკულ დანაკარგს.

ელექტრული თვისებების მიხედვით ზეთები შეიძლება განხილულ იქნას როგორც წეიტრალური (არაპოლარული) და პოლარული სითხეების ნარევი. არაპოლარულ-იდეალურ დიელექტრიკებს წარმოადგენენ ნახშირწყალბადები, ხოლო პოლარულს (დიპოლებს) ფისოვანი ნივთიერებები, ორგანული მუავები და სხვა.

როდესაც დიპოლი იმყოფება ელექტრულ ველში, თავისი დერძით ის ორიენტირდება ველის ძალხაზების მიმართულებით. ცვლადი ელექტრული ველის დროს ყოველი პერიოდის ნახევარში იცვლება დიპოლების მდებარეობა, რომელ-

საც იწვევს ველის მიმართულების ცვლილება. დიპოლების ეს ბრუნვა დაკავშირებულია ენერგიის ხარჯვასთან და სითბოდ გარდაქმნასთან. წარმოიქმნებიან მუდმივ დენთან შედარებით დამატებითი ე.ნ. დიელექტრიკული დანაკარგები.

რ. ა. ლიპშტეინმა და ე. ნ. შტერნმა აჩვენეს, რომ ახალი საკონდენციო ტრანსფორმატორული ზეთების მაღალი დიელექტრიკული დანაკარგები დამოკიდებულია ძირითადად მათში მეტალშეცველი ზოგიერთი ორგანული ნივთიერებების არსებობაზე. მაგ.: ნატრიუმის, კალციუმის, რკინის და ა.შ. ნაფტენატების და სულფონაფტენატების.

ზეთების გარეცხვის ხარისხი, ზეთებიდან საპნის მოცილების სისრულე, კონტროლირდება ე.ნ. ზეთში ნატრიუმის ტუტის შემცველობაზე.

დიელექტრიკული სიმტკიცე და დიელექტრიკული დანაკარგები დამოკიდებულია ასევე ზეთის მექანიკურ სისუფთავეზე (მექანიკური მინარევების არარსებობაზე). ზეთში ნესტის, ბოჭკოების, ქსოვილების, მტვერის და ა.შ. კვალის არსებობა მკვეთრად ამცირებს გარღვევის ძაბვას და ზრდის დანაკარგებს. ამიტომ ზეთში მექანიკური მინარევებისა და სინესტის განსაზღვრა აუცილებელია.

ტრანსფორმატორის ზეთის მეტად მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი ჟანგვის მიმართ სტაბილობა.

ტრანსფორმატორის მუშაობისას ელექტროენერგიის დანაკარგის შედეგად ხდება სითბოს მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყოფა, რაც გადაიტანება ზეთის მიერ ტრანსფორმატორის აქტიური ნაწილიდან გარსების კედლებისაკენ; ამ დროს ზეთი ცხელდება  $70-80^{\circ}\text{C}$ -მდე.

ზეთი ტრანსფორმატორში უნდა მუშაობდეს შეუცვლელად წლების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კონდენსატორის არსებობა ძალიან აბრკოლებს ჰაერის ჟანგბადის შედნევას, ზომიერად მაღალი ტემპერატურისას ზეთი თანდათანობით მაინც იუანგება; ზეთების დაჟანგვის შედეგად მასში ხდება უხსნადი პროდუქტების (შლამის) წარმოქმნა, რომლებიც ილექტა ტრანსფორმატორის სხვადასხვა ნაწილებში, ხოლო ზეთებში გროვდება მუავები და დაჟანგვის სხვა პროდუქტები.

ტრანსფორმატორის ზოგიერთი ელემენტის ზედაპირზე შლამის დაფენა აუარესებს შუა ნაწილიდან სითბოს გადაცემას და იწვევს მის გადახურებას, ზეთის საშუალო ტემპერატურის გაზრდას და ქმნის ავარიის საშიშროებას შლამში მოკლე ჩართვის გამო.

როდესაც ზეთში მუავათა რაოდენობა აღწევს გარკვეულ ზღვარს, შეიძლება კოროზია განიცადოს აპარატის მეტალურმა ნაწილებმა, რაც ამცირებს საიზოლაციო ბამბის ქსოვილის მექანიკურ სიმტკიცეს.

პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია შლამის დიდი ნაწილი იხსნებოდეს ცხელ ზეთში და გაცივებისას კვლავ გამოიყოს, რასაც აჩვენებს  $20^{\circ}\text{C}$  და  $80^{\circ}\text{C}$  ზეთის გაფილტვრისას გამოყოფილი შლამის რაოდენობა.

ბოლოს, დაჟანგვა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი ერთ-ერთი პროდუქტი წყალია, შეიძლება იყოს ზეთების დიელექტრიკული სიმტკიცის შემცირე-

ბის მიზეზი. ამიტომ საჭიროა ზეთის შემოწმება დაუანგვის მიმართ სტაბილობა-ზე, რომელიც განისაზღვრება ლაბორატორიულ პირობებში დაუანგვის შედეგად ნარმოქმნილი მჟავური რიცხვისა და ნალექის რაოდენობით.

ტრანსფორმატორულ ზეთებს მოეთხოვებათ, რომ ნებისმიერ ტემპერატუ-რაზე (რომლებიც შესაძლებელია განვითარდეს ზეთით შევსებულ აპარატში) ინარჩუნებდნენ ძვრადობას –  $45^{\circ}\text{C}$ -დან  $35^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე, რომელიც აუ-ცილებელია ინტენსიური სითბომიმოცვლისათვის და სწრაფი მიდინებისათვის ცხელ რკალთან ზეთის გამომრთველებში.

ტრანსფორმატორის ზეთის ძირითადი მახასიათებლებია:

სიბლანტე $20^{\circ}\text{C}$	----- ა/უ 37სსტ;
სიბლანტე $50^{\circ}\text{C}$	----- ა/უ 9.6სსტ;
გამყარების ტემპერატურა	----- ა/უ $-45^{\circ}\text{C}$ ;
მჟავური რიცხვი	----- ა/უ 0.35მგ KOH;
ნალექის შემცველობა	----- ა/უ 0.1%;

გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში (ზოგიერთი აპარატებისათვის) ზეთის ხა-რისხს წაეყენება სპეციფიკური მოთხოვნები:

1. რკალის ჩაქრობისას ზეთში ფისოვან ნივთიერებათა მინიმალური რაოდენო-ბით წარმოქმნა.
  2. მაღალი ხვერითი წინაღობა, რათა უზრუნველყოფილ იყოს მინიმალური და-ნაკარგები ზეთით შევსებულ კონდენსატორსა და კაბელებში.
- ზეთის ვარგისიანობის გაზრდის მიზნით, გარდა ზემოთ განხილული ანტი-დამჟანგავების დამატებისა, საჭიროა შემდეგი ზომების მიღება:
1. ზეთის დაცვა ჰაერთან შეხებისაგან;
  2. ზეთის უწყვეტი ფილტრაციის განხორციელება ადსორბენტები ან ე.წ. თერმოსიფონურ ფილტრებში.

#### 12.4.2. ზეთებისადმი დანამატები

ზეთების საექსპლუატაციო თვისებების ასამაღლებლად ზეთებში შეაქვთ დანამატები, რომელთაც მოქმედების მიხედვით ყოფენ: სიბლანტის გამაუმჯო-ბესებლები, დეპრესორები, ანტიდამჟანგავები, დეტერგენტები, ანტიკოროზი-ული, გამრეცხი, მაღისპერგირებელი, ცვეთის საწინააღმდეგო, ქაფის საწინა-აღმდეგო.

სიბლანტის გამაუმჯობესებელი დანამატები ზრდიან ზეთების სიბლანტეს, შესაძლებელს ხდან წარმოქმნან ზეთები უფრო დამრეცი სიბლანტის ტემპერა-ტურული მრუდებით. ასეთ დანამატებად გამოიყენება ძაფისმაგვარი აღნაგობის, მაღალი მოლეკულური მასისა და დიდი სიბლანტის მქონე ნივთიერებები: პოლი-იზობუტილენები მოლეკულური მასით 4000-6000 (КП-5), 9000-15000(КП-10), 15000-20000(КП-20), და პოლიმეთილაკრილატები მოლეკულური მასით 3000-4300 (ПИМ „B-1“) და 12000-17000 (ПИМ „B-2“).

დეპრესორული დანამატები ეფექტურად ამცირებს ზეთების გამყარების ტემპერატურას და აუმჯობესებს დაბალ ტემპერატურაზე გლინვის უნარს. გამოყენებული დეპრესორებია ქლორპარაფინის კონდენსაციის პროდუქტი ნაფ-თალინთან და ფენოლთან, კალციუმის ალკილფენოლატი, მეთაკრილის მჟავას ეთერების პოლიმერიზაციის და ნორმალური ალნაგობის ცხიმოვანი სპირტების ნარევი.

დაუანგვის ინჰიბიტორებს, მათი გამოყენების პირობების მიხედვით ყოფენ დაბალტემპერატურულ და მაღალტემპერატურულ ანტიდამჟანგავ დანამატებად.

დაბალტემპერატურულ დაუანგვის ეფექტურ ინჰიბიტორს წარმოადგენს იონოლი. მას უმატებენ ტურბინის, ტრანსფორმატორების და ინდუსტრიულ ზეთებს.

მაღალტემპერატურულ ანტიდამჟანგავ ინჰიბიტორად გამოიყენება დითიოფოსფორმჟავას რთული დიეთერების ბარიუმისა და თუთიის მარილები (ДФ-1) და (ДФ-11), დიალკილარილდითიოფოსფორმჟავას კალციუმის მარილები (МНИ-ИП-22К) და სხვა. მაღალტემპერატურული ანტიდამჟანგავებს უმატებენ ძრავის ზეთებს.

დეტერგენტული (გამრეცხი) და დამაქუცმაცებელი დანამატები აბრკოლებენ დანალექების და აფსკის წარმოქმნას.

დეტერგენტულ დანამატებად გამოიყენება კალციუმის და ბარიუმის ალკილსულფონატები (СБ-3, С-300, ПМС), კალციუმის და ბარიუმის ალკილფენოლატები.

პოლარული ალნაგობის დეტერგენტები ადსორბირდებიან მეტალურ ზედაპირზე და აბრკოლებენ ფისოვანი ნივთიერებების, ლაქისებური აფსკებისა და დანალექების წარმოქმნას ძრავებში. ასევე ისინი აფერხებენ შუალედურად წარმოქმნილი პიდროქსიმჟავების კონდენსაციას – ფისების და ნალექების წარმოქმნას.

დამაქუცმაცებელი დანამატები ზეთებში კარგად ხსნადი ნივთიერებებია და ხასიათდებიან მყარი წანილაკების დისპერგირებისა და დიდი რაოდენობით მყარი წანილაკების შეტივნარებულ მდგომარეობაში შეკავების უნარით, ამ თვისებებით ხასიათდებიან და გამოიყენებიან ქარვის მჟავას იმიდის წანარმები.

გაპოხვის უნარის გასაუმჯობესებლად ცვეთამედეგობის ასამაღლებლად ზეთებს უმატებენ დითიოფოსფორმჟავას წანარმებს (ЭФО, ЛЗ-309/2).

ენერგიული მორევის პირობებში ზეთები ჰაერთან წარმოქმნიან ქაფს, ამ მოვლენის აცილებისათვის ზეთებს უმატებენ ქაფნარმოქმნის საწინააღმდეგო საშუალებას – პოლიმერილისილოქსანს (ПМС -200А).

არსებობს მრავალფუნქციური დანიშნულების დანამატები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ფუნქციურ ჯგუფს, რის გამოც ერთდროულად ახდენენ რამდენიმე თვისების გაუმჯობესებას.

## 12.5. პლასტიკური საცხები მასალები

დახურული, განსაკუთრებით მაღალი დინამიკური დატვირთვისათვის (კბილოვანი ან ჯაჭვური) ან დიდი სიჩქარით მბრუნავი მექანიზმების ხახუნის კვანძებში გასაპოხად გამოიყენება პლასტიკური საცხები მასალები. მათ ფართო გამოყენება მოიპოვეს ასევე სხვადასხვა მეტალური ნაკეთობების დასაცავად გარემო არის კოროზიული ზემოქმედებისაგან და სხვადასხვა სისტემების ჰერმეტიზაციისათვის.

პლასტიკური საცხების შემადგენელი კომპონენტებია თხევადი ფაზა (საფუძველი), შემასქელებელი და შემავსებელი. თხევად ფაზად გამოიყენება ნავთობური ზეთები, ქლორ-, ფტორ-, სილიციუმორგანული ნაერთები, რთული ეთერები ან ამ ნივთიერებათა ნარევები.

შემასქელებლების მიხედვით საცხებ მასალებს ყოფენ სამ ტიპად.

I ტიპის საცხები, რომელშიც შემასქელებლად გამოყენებულია მყარი ნივთიერებები, რომლებიც ლლობის ტემპერატურასთან მიახლოებულ ტემპერატურაზე იხსნებიან ზეთებში და ლლობის ტემპერატურაზე ზეთებთან წარმოქმნიან ჭეშმარიტ სნარებს. ასეთი ნივთიერებებია მყარი ნახშირწყალბადები: პარაფინები, ცერეზინები, ცვილები. ასეთი ტიპის საცხების პლასტიკურობა შეზღუდულია შემავსებლის ლლობის ტემპერატურით;

II ტიპს მიეკუთვნება საცხები, რომლებშიც შემასქელებლად გამოყენებულია თერმულად მდგრადი წვრილად დაფხვიერებული ორგანული და არაორგანული ნივთიერებები, როგორიცაა: შარდოვანა, ტექნიკური ნახშირი, ქარსი, სილიკაგელი, გოგირდოვანი მოლიბდენი.

III ტიპის საცხები, რომელშიც შემასქელებლად გამოყენებულია ისეთი მყარი ნივთიერებები, რომლებიც არ იხსნებიან ზეთებში და არც დისპერგირდებიან თხევად ფაზაში კოლოიდური სისტემის წარმოქმნით. ასეთი შემასქელებლებს წარმოადგენენ საპნები.

საპნების შემადგენლობაში შემავალი კატიონების მიხედვით განასხვავებენ რამდენიმე ჯგუფის საცხებს.

I ჯგუფს ეკუთვნის საცხები, რომლებშიც შემასქელებელს წარმოადგენენ  $\text{Na}^+$ -ის და  $\text{Li}^+$ -ის შემცველი საპნები. საცხები სტაბილურია 5-6%-ის რაოდენობით შემასქელებლის შემცველობისას. აღსანიშნავია, რომ ლითიუმოვანი საცხები ყინვამედეგი არიან. ხოლო ნატრიუმოვანი საცხები – წყლის მოქმედებისადმი დაბალი მედეგობით ხასიათდებიან.

II ჯგუფს ეკუთვნის საცხები, რომლებშიც შემასქელებელი  $\text{Ca}$ -ის და  $\text{Ba}$ -ის საპნებია. ასეთი საცხები საკმაოდ მდგრადებია საპნების 8-10%-ის შემცველობისას.

საცხების თვისებების გასაუმჯობესებლად იყენებენ კომპლექსურ საპნებს –  $\text{Ca}$ -ის და  $\text{Na}$ -ის იონების შემცველ საპნებს, ასევე ერთი და იმავე კატიონის შემცველი დაბალი და მაღალი რიგის ცხიმოვან მჟავათა საპნებს. მაგ., სტეარინის და ძმარმჟავას კალციუმის მარილი.

შემავსებლად გამოიყენება გრაფიტი, საღებარი და სხვა ნივთიერებები.

საცხები მასალების კლასიფიკაციას ახდენენ სხვადასხვა ნიშნისა და კონსისტენციის მიხედვით: ნახევრად თხევადი, პლასტიკური და მყარი საცხები. გამოყენებული შემასქელებლის ტიპის მიხედვით კი – ნახშირწყალბადოვანი, საპნიანი, არაორგანული და ორგანული. გამოყენების სფეროს მიხედვით – ანტიფრიქციული, ხახუნის შემამცირებელი, დამცველი, საკონსერვაციო, შემმკვრივებელი და საბაგირო.

პლასტიკური საცხები კოლოიდური სისტემებია, რომელთაც გააჩნიათ შემასქელებული ნანილაკების მიერ წარმოქმნილი სივრცითი სტრუქტურა. თხევადი ფაზის შეკავება ნახევრად მყარ მდგომარეობაში ხდება მყარი ნანილაკების მიერ მიზიდვის ძალებით, ასევე თხევადი ფაზის მექანიკური ჩართვით შემასქელებლის კრისტალებში.

ხახუნის კვანძებში საცხების ნორმალურ მუშაობას ძირითადად კოლოიდური სისტემის სტაბილობა განაპირობებს.

კოლოიდური სისტემის დაბალი სტაბილობის შემთხვევაში გაცხელების ან ხანგრძლივად შენახვისას ხდება საცხების ფაზებად დაყოფა-სინერიზისი, რის გამოც საცხებიდან ზეთი გამოედინება. საცხები კარგავს პლასტიკურობას, გაპოხვის უნარს ანუ დაცვის თვისებას.

კოლოიდური სისტემის სიმტკიცის ასამაღლებლად საცხებს უმატებენ სტაბილიზატორებს (წყალი, ტუტეები, ორგანული მჟავები და მათი მარილები, სპირტები, ეთერები).

საცხები მასალის ხარისხი განისაზღვრება ასევე დაუანგვისადმი მდგრადობით. ჰაერის ჟანგბადის, გაცხელების ან სხვა ფაქტორების მოქმედების შედეგად ადგილი აქვს შემასქელებლის და ზეთების დაუანგვას და დაშლას; შედეგად საცხებში ხდება როგორც ფისოვანი და ნახშირბადოვანი დანალექების წარმოქმნა, ასევე მჟავების წარმოქმნა, რომლებიც იწვევს მეტალთა ზედაპირების კოროზიას.

სიბლანტის, ადგეზის უნარის, თერმოჟანგვითი სტაბილობის ასამაღლებლად საცხებს უმატებენ სხვადასხვა დანამატებს.

საცხების საექსპლუატაციო მახასიათებელი ჰარამეტრებია: სიბლანტე, სიმტკიცის ზღვარი, პენეტრაცია (განისაზღვრება საცხებში სპეციალური ხელსაწყოს კონუსის შეღწევის სიღრმით), წვეთვარდნა, აორთქლებადობა.

## 12.6. საქვაპე სანვაპო

საქვაპე სანვაპი წარმოადგენს ნავთობის პირველადი და მეორადი გადამუშავების (კრეკინგის პროცესების, დაკოქსვის, ზეთების გადამუშავების) მძიმე ნარჩენს. ვინაიდან ნავთობის პირდაპირი გამოხდის ნარჩენიდან ხდება რიგი მნიშვნელოვანი ნავთობპროდუქტის მიღება, საქვაპე სანვაპად უპირატესად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მეორადი გადამუშავების შედეგად დარჩენილი მაზუთი გამოიყენება.

მაზუთი გამოიყენება საწვავად საქვაბე, თბოელექტროსადგურების, საზღვაო და სამდინარო გემების და სხვადასხვა სამრეწველო ღუმელებისათვის. გამოყენების სფეროს მიხედვით არსებობს ორი სახის მაზუთი: საცეცხლე და ფლოტის.

სასაქონლო საქვაბე საწვავის საექსპლუატაციო მახასიათებელია სიბლანტე, გამყარების ტემპერატურა, ფეთქების ტემპრატურა, ნაცრიანობა, გოგირდის, წყლის და მექანიკური მინარევების შემცველობა.

მაზუთისათვის სიბლანტე წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ მახასიათებელს. ის განსაზღვრავს საწვავის გამოყენების შესაძლებლობებს და პირობებს. სიბლანტეზეა დამოკიდებული მაზუთის ნაკადის გაფრქვევის ხარისხი და შედეგად სრული წვა.

საცეცხლე მაზუთის სიბლანტე არ უნდა აღემატებოდეს  $6-16^{\circ}\text{C}$ . (80°C), ხოლო ფლოტის მაზუთის —  $4-12^{\circ}\text{C}$ . (50°C) (პ.ს.— პირობითი სიბლანტე). საჭირო შემთხვევაში მაზუთს ანზავებენ გაზოილით.

გამაგრების ტემპერატურა ის მინიმალური ტემპერატურაა, რომლის დრო-საც შესაძლებელია საწვავის გადაქცევა და ჩამოსხმა წინასწარი გაცხელების გარეშე. ამიტომ საწვავის გამაგრების ტემპერატურა წარმოადგენს თხევადი საქვაბე საწვავის მნიშვნელოვან პარამეტრს, რადგან მისი სიდიდის მიხედვით ხდება ტრანსპორტის, მილსადენების, გამაცხელებელი სისტემის და საერთოდ, საწარმოო საწვავი მეურნეობის სქემის შერჩევა. ფლოტის საწვავის გამაგრების ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს  $-7^{\circ}\text{C}$ .  $-8^{\circ}\text{C}$ , ხოლო საცეცხლე მაზუთის  $10-15^{\circ}\text{C}$ .

მაზუთის ნაცრიანობას განაპირობებს მარილები და მეტალორგანული ნაერთები, ასევე კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებულ მაზუთში გადასული კატალიზატორის მტვერი, რომელთა შემცველობა მაზუთში დამოკიდებულია ნავთობის გაუწყლოებისა და მარილებისაგან გასუფთავების (დემეტალიზაციის) ხარისხზე.

ნაცარი ამცირებს საქვაბე საწვავის გამოყენების ეფექტურობას, ის ეფინება ქვაბების, ორთქლისა და ჰაერის გამახურებელი მიღების, ეკონომაიზერისა და სხვა დანადგარის კედლებს, ინვენტარის მათ წყობიდან გამოყვანას.

მაზუთში ნაცრიანობა არ უნდა აღემატებოდეს  $0.05-0.14\%$ -ს.

უარყოფითად მოქმედებს მაზუთის ხარისხზე წყლისა და მექანიკური მინარევების შემცველობა.

წყლის შემცველობა ზრდის გამაცხელებელ ზედაპირზე მარილთა ნალექის წარმოქმნას. მექანიკური მინარევების შემცველობა აბრკოლებს ფრქვევანას მუშაობას, ხდება საწვავის არხებისა და ფრქვევანას დაზიანება.

ფეთქების ტემპერატურა ახასიათებს საქვაბე საწვავის ხანძრის უშიშროებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაზუთის ეს მახასიათებელი გემებისათვის, რადგან ამ შემთხვევაში საწვავი ინახება და გამოიყენება დახურულ შენობაში. ამ ტიპის საწვავისათვის ფეთქების ტემპერატურა, განსაზღვრული დახუ-

რულ ტიგელში, უნდა იყოს  $90^{\circ}\text{C}$ -ის ტოლი. ორთქლის ქვაბებისა და სამრეწველო ღუმელებისათვის გამოყენებული საწვავის ფეთქების ტემპერატურა უნდა იყოს  $80^{\circ}\text{C}$ -იდან  $120^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში.

## 12.7. პიტუმები

ნავთობური ბიტუმები მუქი ფერის მყარი, ნახევრადმყარი ან თხევადი კონსტიტუციის რთული შედგენილობის ნავთობპროდუქტებია. მათ მისაღებად გამოიყენება მძიმე ფისოვან-ასფალტენური ნავთობების გადამუშავების ნარჩენი პროდუქტები, კრეკინგ-ნარჩენები, გუდრონები, ასფალტენები, ზეთების გასუფთავების ნარჩენი ექსტრაქტები.

განასხვავებენ ნარჩენ, დაუანგულ და კომპაუნდირებულ ბიტუმებს. ნარჩენი ბიტუმები მიიღებიან ფისოვანი ნავთობისა და კრეკინგის პროდუქტების ვაკუუმში ღრმა გამოხდის შედეგად დარჩენილი მასისაგან. ის შავი ან მუქი-ყავისფერი, ოთახის ტემპერატურაზე ბლანტი ან მყარი ნივთიერებაა.

დაუანგული ბიტუმები მიიღება ნავთობის გამოხდისა და ასევე კრეკინგ-პროცესების ნარჩენებში ცხელი ჰაბერვით. უანგვითი პროცესების შედეგად მიიღება უფრო მტკიცე, რეზინის მაგვარი ბიტუმი.

ბიტუმების შედგენილობაში ძირითადად შედის ზეთები, ფისები, ასფალტენები, ასფალტოგენური მჟავები და მათი ანჰიდრიდები.

ასფალტენების შემვეღობა ბიტუმში გავლენას ახდენს მათ სიმყარესა და დარბილების ტემპერატურაზე. რაც უფრო მეტია ბიტუმში ასფალტენების შემცველობა, მით უფრო მყარია ბიტუმი. ფისების შემცველობა ანიჭებს ბიტუმებს ელასტიკურობას და მაცემენტირებელ უნარს. ზეთები ბიტუმებს ანიჭებენ ყინვა-გამძლეობას; გარდა ამისა ზეთებში ხდება ფისების გახსნა, ასფალტენების გაჯირჯვება.

ფიზიკურ-ქიმიური თვალსაზრისით ბიტუმები განიხილება, როგორც ასფალტენებისა და ასოცირებული მაღალმოლეკულური ფისების რთული კოლოიდური სისტემა ზეთებისა და დაბალმოლეკულური ფისების არეში.

ბიტუმების გამოყენების სფერო მეტად მრავალმხრივია. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მათი მოხმარება ყოველწლიურად იზრდება. ბიტუმები ფართოდ გამოიყენება საავტომობილო გზების და აეროდრომების ფენილებისათვის, სამშენებლო საქმეში, შენობების გადასახურავ მასალად, საიზოლაციო მასალად, ფირისწარმომქმნელი აფსკის, ლაქების, რეზინების დამარბილებელ საშუალებად და სხვა.

გზების მშენებლობის დროს, თანაბარი სისქის საფარის მისაღებად, ბიტუმებს ურევენ ხრეშსა და ქვიშას. როგორც შერევა, ისე ასფალტის დაგება ხდება მაღალ ტემპერატურაზე, რაც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (საფარის დაგებისას სპეციალური გამაცხელებელი აპარატურის გადაადგილება, მძიმე ნავთობპროდუქტების ორთქლით გარემოს დაბინძურება). ამის თავიდან ასაცილებლად ბიტუმს უმატებენ გამათხევადებელს – გამზავებელს, რომე-

ლიც ახდენს ბიტუმის დარბილებას და საშუალებას იძლევა გარემოს ტემპერატურაზე დაიგოს ასფალტის ფენა. ასფალტის დაგების შემდეგ გამზავებელი ორთქლდება და წარმოიქმნება მტკიცე და მაგარი ასფალტის საფარი.

თუ საჭიროა მყარი საფარის სწრაფი წარმოქმნა, გამზავებლად იყენებენ ნაფთას ( $105\text{--}160^{\circ}\text{C}$  ფრაქციას), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დასაშვებია უფრო ხანგრძლივი დრო მასალის გამაგრებისათვის, გამოიყენება ნავთი. ბიტუმის ამ მეთოდით გამოყენებასაც გააჩნია უარყოფითი მხარე; გამზავებლის დიდი რაოდენობა აორთქლების გამო იკარგება და გარდა ამისა იწვევს ჰაერის დაბინძურებას.

ასფალტის დაგებისას გამზავებლის გამორიცხვისათვის ბოლო წლებში გამოყენება მოიპოვა ბიტუმი-ნილის (50-70% ბიტუმისა და 50-30% ნილის შემცველობის) ემულსიებმა. სისტემის სტაბილიზაციისათვის მას უმატებენ 1%-ის რაოდენობით საპნის ტიპის ემულგატორს.

საფარად აღნიშნული ემულსის გამოყენებისას, წყალი ორთქლდება ისევე, როგორც გამზავებელი და შედეგად წარმოიქმნება მყარი საფარი.

საგზაო ბიტუმების ძირითადი დანიშნულებაა მინერალური მასალების (ხეშის, სილის) შენებება-შეკავშირება, მინერალურ ნაწილაკებს შორის სივრცის შევსება, მათვის ჰიდროფობური თვისებების მინიჭება.

საგზაო ბიტუმები უნდა ხასიათდებოდნენ სითბომედეგობით – ინარჩუნებდნენ სიმტკიცეს მაღალ ტემპერატურაზე, ყინვაგამძლეობით – ინარჩუნებდნენ ელასტიურობას დაბალ ტემპერატურაზე. დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ საწყის სიბლანტეს და სიმტკიცეს.

სამშენებლო ბიტუმი შეიძლება იყოს ნაკლებად ელასტიური, მაგრამ უნდა იყოს უფრო მყარი.

საგზაო ბიტუმების ექსპლუატაციის პირობებში მზის სინათლის, ჰაერის უანგბადის, გარემოს ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების (ზამთრის და ზაფხულის პირობებში), გაძლიერებული დინამიური დატვირთვის (მოძრავი ტრანსპორტის მოქმედების) შედეგად ირლვევა ბიტუმის კოლოიდური სისტემა, ფისები და ასფალტენები გადადიან კარბენებში და კარბოიდებში; ბიტუმი კარგავს მინერალურ კომპონენტებთან მიწებების უნარს, ბიტუმი ხდება მსხვრევადი, უწინდება ბზარები და იფშენება.

ბიტუმების საექსპლუატაციო მახასიათებლებია:

1. ნემისის შეღწევადობის უნარი (პენეტრაცია), იზომება მმ-ში, მიღებული შედეგები მრავლდება  $0.1\text{--}1$ . სხვადასხვა მარკის საგზაო ბიტუმებისათვის დასაშვებია (40-60), (60-90), (90-130) (130-200) (200-300); სამშენებლო ბიტუმებისათვის 21-40; 5-20.
2. დარბილების ტემპერატურა  $30\text{--}95^{\circ}\text{C}$ ;
3. დაჭიმვის ან განელვის უნარი სმ-ში,  $25^{\circ}\text{C}$ -ზე  $940\text{--}650$ ,  $0^{\circ}\text{C}$ -ზე  $93.5\text{--}20$ .
4. სიმყიფე არა უმეტეს –  $20^{\circ}\text{C}$ ;
5. ფეთქების ტემპერატურა არა უმცირეს  $240^{\circ}\text{C}$ .

## 12.8. ნავთობის კოქსი

ნავთობის მძიმე პროდუქტების თერმული კრეკინგის ( $\sim 540\text{-}550^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე) შედეგად ღია ფერის ნავთობპროდუქტებთან ერთად ხდება გამოხდის საბოლოო პროდუქტის (მშრალი ნაშთის) – ნავთობის კოქსის წარმოქმნა. რადგან ნავთობის კოქსმა გამოყენება მოიპოვა მრეწველობაში (განსაკუთრებით ელექტროდების წარმოებაში), დამუშავებულია მძიმე ნარჩენებისა და ნავთობგადამუშავების წარჩენებიდან კოქსის მიღების პროცესები, რომელსაც დაკოქსვა ეწოდება.

ამჟამად დაკოქსვის პროცესის მიზანია, როგორც ნავთობის მძიმე ნედლეულიდან ღია ფერის ნავთობპროდუქტების მიღება, ისე კოქსის წარმოება.

ამ პროცესის ნედლეულად გამოიყენება: მაზუთი, გუდრონი, ბუნებრივი ას-ფალტები, კრეკინგ-პროცესის ნარჩენები (კატალიზური კრეკინგის პროდუქტი), მძიმე პიროლიზური ფისი, მძიმე გაზოილი, ზეთის წარმოების ნარჩენები (ექ-სტრაქტები).

დაკოქსვისათვის ძირითადად 3 მეთოდი გამოიყენება: 1) დაკოქსვა კუბებში, 2) შენელებული დაკოქსვა 3) დაკოქსვა ფსევდოგათხევადებულ მდგომარეობაში – ე.ნ. „მდუღარე ფენაში“.

1) კუბებში დაკოქსვის დანადგარის ძირითად აგრეგატს წარმოადგენს საკოქსავი კუბი – ჰორიზონტალური ცილინდრული აპარატი, რომელშიც თავსდება წინასწარ გაცხელებული (არანაკლებ  $100^{\circ}\text{C}$ ) ნედლეული. შევსებული კუბი ცხელდება კუბში ტემპერატურის თანდათანობით გაზრდით – თავდაპირველად  $40\text{-}60^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო შემდეგ  $10\text{-}30^{\circ}\text{C}$ -ით. დაშლის აქროლადი პროდუქტები უწყვეტად სცილდება სარეაქციო არეს (ხდება სარექტიფიკაციო სვეტში გადაქაჩვა).  $450\text{-}540^{\circ}\text{C}$ -ზე გაცხელებისას გამოიყოფა მძიმე დისტილატები, რომლის დამთავრების შემდეგ ტემპერატურა მცირდება. გაცივების შემდეგ წარმოქმნილი კოქსი თითქმის არ შეიცავს აქროლად ნივთიერებებს და არ საჭიროებს დამატებით გახურებას.

ნედლეულად კრეკინგ-ნარჩენებისა და პიროლიზის ფისის გამოყენებისას, ამ მეთოდით მიღება სპეციალური ხარისხის კოქსი, რომლის მიღება სხვა მეთოდებით არ ხერხდება.

2) შენელებული დაკოქსვა. ამ მეთოდით მიღოვან ღუმელში მოთავსებული ნედლეული ცხელდება  $500^{\circ}\text{C}$ -მდე (0.2-0.3მპა წნევის პირობებში) და გადადის ვერტიკალურ ცილინდრში –დაკოქსვის კამერაში, სადაც დასაკოქსი ნედლეული იმყოფება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მის მიერ აკუმულირებული სითბოს ხარჯზე განიცდის დაკოქსვას; მსუბუქი დისტილატები კი საკოქსავი კამერის ზედა ნაწილიდან გადადიან სარექტიფიკაციო სვეტში. როდესაც რეაქტორის მოცულობის 70-90% შეივსება კოქსით, კამერა გამოირთვება და გაცხელებული ნედლეული შედის მიღოვანი ღუმელიდან მეორე კამერაში. გამორთული კამერიდან ხდება კოქსის გადმოტვირთვა.

ნედლეულის ჩატვირთვისა და ღია ფერის ნავთობპროდუქტების გამოხდის მიხედვით უწყვეტი, ხოლო კოქსის გადმოტვირთვის მიხედვით პერიოდული ხასიათის პროცესია.

3) ფსევდოგათხევადებულ („მდუღარე“) ფენაში დაკოქსვისას წინასწარ გაცხელებული ნედლეული გადადის რეაქტორში, სადაც კონტაქტში შედის მასზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებულ თბომატარებელთან, რომლის ზედაპირზეც განიცდის დაკოქსვას. თბომატარებლად გამოიყენება 0.3მმ ზომის ნაწილაკები.

დაკოქსვისათვის გამოყენებული თბომატარებლის მაღალი ტემპერატურა ხელს უწყობს კოქსის ნაწილაკის ზედაპირიდან დაშლის პროდუქტების აქროლებას. ამასთანავე მცირდება შემდგომი დაშლისა და შემჭიდროების პროდუქტების წარმოქმნის შესაძლებლობა.

ელექტროდების დასამზადებლად გამოყენებული კოქსი საჭიროებს დამატებით დამუშავებას – გახურებას, რომელსაც ატარებენ  $1200\text{-}1300^{\circ}\text{C}$ -ზე. ამ დროს კოქსს სცილდება წყალი და აქროლადი ნახშირწყალბადები. ამ პროცესს კალცინირება ეწოდება.

ნავთობიდან მიღებული კოქსი მუქი ნაცრისფერი, შავი ფერის მყარი ფისოვანი ნივთიერებაა. დაკოქსვის ხარისხის ძირითადი მაჩვენებლებია – გოგირდის, ნაცრის, ტენის, აქროლადი ნივთიერებების შემცველობა, გრანულომეტრული შედგენილობა, მექანიკური სიმტკიცე.

გოგირდის შემცველობის მიხედვით კოქსს ყოფენ მცირეგოგირდოვან ( $1.0\%-$ მდე), საშუალოგოგირდოვან ( $1.5\%-$ მდე), გოგირდოვან ( $4.0\%$ ) და მაღალგოგირდოვან ( $4.0\%-$ ის ზევით) კოქსად. გრანულომეტრული შედგენილობის მიხედვით დაყოფა ხდება ნატეხების ზომის მიხედვით –მცირენაცრიანი ( $0.5\%-$ მდე), საშუალო ნაცრიანი ( $0.5\text{-}0.8\%-$ მდე), მაღალნაცრიანი ( $0.8\%-$ ზე მეტი).

ნავთობის კოქსს მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს მრეწველობაში; მეტალურგიაში ელექტროდების დასამზადებლად, განსაკუთრებით Al-ის და Mg-ის წარმოებაში, მან შეცვალა ძვირადლირებული გრაფიტის ელექტროდები. სხვადასხვა დანიშნულების კარბიდების მისაღებად:  $\text{Be}_2\text{C}$ ,  $\text{B}_4\text{C}$ ,  $\text{TiC}$ , აბრაზიულ და ცეცხლგამძლე მასალების წარმოებაში,  $\text{B}_4\text{C}$ ,  $\text{ZnC}$  – ბირთვულ ენერგეტიკაში – კონსტრუქციული გრაფიტული მასალების მისაღებად, აგრესიული გარემოს მოქმედების პირობებში საჭირო ქიმიური აპარატურის დასამზადებლად, ქიმიურ ტექნოლოგიაში აღმდგენად და სხვა.

### 13. ნავთობი და ეკოლოგია

ნავთობი და ნავთობპროდუქტები გარემოს ყველაზე მეტად გავრცელებულ დამაბინძურებელ ნივთიერებებს წარმოადგენენ.

ნავთობის მოპოვება, მისი მომქმედი ჭაბურღილები, გადამუშავება, ნავთობპროდუქტების მრავალმხრივი და ფართო გამოყენება გარემოს დაბინძურების წყაროებია. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ნავთობმომპოვებელი ქვეყნები დაშორებულია მომხმარებელი რეგიონებიდან, ამიტომ აუცილებელი ხდება მისი გადაზიდვა საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტით, აგრეთვე მილსადენებით, რომელთა ავარიები ტრასების დაბინძურების მიზეზი ხდება.

დაბინძურების სხვა წყაროებიდან აღსანიშნავია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებიდან წყალსატევებში ჩამდინარე წყლები, ტანკერების ნარეცხი და ბალასტი წყლები, ქალაქის ქუჩების ნარეცხი, ნავთობპროდუქტების გასამართი სადგურები.

სადაზღვევო ფირმა „ლოიდის“ მონაცემებით, ყოველწლიურად ავარიას განიცდის 250-მდე გემი, რომელთა ბორტზე არსებული საწვავი გარკვეული დროის შემდეგ ოკეანეში ხვდება. ბოლო 80 წლის მანძილზე 1000-ზე მეტმა ტანკერმა განიცადა კატასტროფა. 1967 წელს ლა-მანშის სრუტეში სუპერტანკერის „ტორი კანიონის“ კატასტროფის შედეგად ზღვაში ჩაიღვარა 120000ტ. ნედლი ნავთობი. 1978 წელს ბრეტანის სანაპიროსთან სუპერტანკერის „ამოკო კადისის“ ჩაძირვის შედეგად 223000 ტ ნავთობპროდუქტი ჩაიღვარა, რამაც საკურორტო ზონის 130 კმ დააზიანა.

1970 წელს შტორმის შედეგად დაზიანდა კომპანია „არამკო“-ს (საუდის არაბეთი) ნავთობსადენი, რის შედეგადაც ზღვაში ჩაიღვარა 18 მილიონი ტონა ნავთობი.

გარემოს პოტენციური დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ შელფის ზონაში არსებული საბურღ-მომპოვებელი პლატფორმები. 1977 წელს ჩრდილოეთის ზღვაში ერთ-ერთი დანადგარის ავარიის შედეგად ყოველწლიურად ზღვაში იღვრება 4000 ტ ნავთობი.

როგორც ცნობილია, ნავთობი მეტად რთული შედგენილობისაა. მასში იდენტიფიცირებულია 1000-ზე მეტი ნივთიერება, რომელთა შორის საკმაოდ ბევრი ნივთიერება ცოცხალი ორგანიზმების მიმართ ტოქსიკური მოქმედებით ხასიათდება და განსაკუთრებით, გარემოში ხანგრძლივი პერიოდით არსებობისას ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოს ეკოლოგიაზე.

ნავთობის მსუბუქი ფრაქციები ცოცხალი ორგანიზმების მიმართ გარკვეული ტოქსიკურობით ხასიათდებიან. მასში შემავალი ალკანები ნახშირბადატომე-

ბით C<sub>10</sub> და ნაკლები (C≤10) ავლენენ ნარკოტიკულ მოქმედებას, მაღალი ტოქსიკურობით ხასიათდებიან მსუბუქ ფრაქციებში შემავალი არომატული ნახშირნყალბადები (ბენზოლი, ტოლუოლი, ნაფთალინი), მაგრამ მსუბუქი ფრაქციების ადვილად აქროლადობის გამო გარემო მათგან ადვილად სუფთავდება.

მაღალი რიგის პარაფინები ნიადაგებში, ზლვებსა და ოკეანეებში არსებულ ცოცხალ ორგანიზმებზე (ბიოგსა და ბუნტოსზე) ძლიერ ტოქსიკურ მოქმედებას არ ახდენენ, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი მაღალი გამყარების ტემპერატურის გამო, არსებით გავლენას ახდენენ ნიადაგების ფიზიკურ თვისებებზე. განსაკუთრებით ტოქსიკურობით გამოირჩევა ნავთობში შემავალი გოგირდშემცველი ნაერთები და კანცეროგენული ბუნების პოლიციკლური არომატული ნახშირნყალბადები.

ნიადაგში მოხვედრილი ნავთობი იწვევს რიგ ნეგატიურ შედეგებს. ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების რაიონებში შეინიშნება ნიადაგების მორფოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ინტენსიური ტრანსფორმაცია. ხდება ნიადაგის სტრუქტურის გაუარესება, ფერის ცვლილება, მცირდება ნიადაგების პროდუქტიულობა, რიგ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ხდება უვარვისი; ნავთობის ხანგრძლივი მოქმედება იწვევს ნიადაგის მიკრობიოლოგიურ ცვლილებას. განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ნავთობი მანიტრიფიცირებელ ბაქტერიებზე. მნიშვნელოვანი რაოდენობით ნავთობის შემცველობისას ნიადაგში ითრგუნება ცელულოზის დამშლელი მიკროორგანიზმების განვითარება. ამსთანავე აღსანიშნავია, რომ ნავთობის ხანგრძლივი მოქმედების შედეგება და ადაგში ხდება სპეციფიკური ფორმის მიკროორგანიზმების წარმოქმნა, რომლებიც აპირობებენ ნიადაგში მნიშვნელოვანი პროცესების წარმართვას – პარაფინებისა და არომატული ნახშირნყალბადების დაუანგვას.

ნავთობი ხასიათდება წყალში განთხევის დიდი უნარით – ზლვებსა და ოკეანეში მოხვედრილი ნავთობი წყლის ზედაპირის დიდ ფართობზე განითხევა. 1 ტ. ნავთობი თხელი აპკის სახით ფარავს  $12 \text{ g}^2$  წყლის ზედაპირის ფართობს. ყოველწლიურად ოკეანეში ხვდება დაახლოებით  $6x10^6$  ტ. ნავთობი და ნავთობპროდუქტი და ყოველწლიურად ნავთობის აპკით იფარება მსოფლიო ოკეანის  $150-180x10^6 \text{ g}^2$  ზედაპირი; ნავთობის დიდ ფართობზე განთხევა განაპირობებს ნავთობის აორთქლებას, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ნახშირნყალბადების მოლეკულურ მასაზე, ტემპერატურაზე და ქარის სიჩქარეზე. პირველ 24 სთ-ში ქროლდება იმ ნახშირნყალბადების 50%, რომლებიც მოლეკულაში შეიცავენ 14-მდე ნახშირბადატომს. შემდეგ 7 დღე-ლამეში C<sub>14</sub>-C<sub>17</sub> ნახშირბადატომების შემცველი ნახშირნყალბადების 50%, აღნიშნული ნახშირნყალბადების აქროლების შემდეგ დარჩენილი „დამძიმებული“ ფრაქცია იღექება ფსკერზე.

ოკეანის ზედაპირზე წარმოქმნილი ნავთობის მონომოლეკულური ფენა 50%-ით ამცირებს აირის გატარებას და საერთოდ აბრკოლებს აირისა და სითბოს მიმოცვლას ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს შორის, სითბოს მიმოცვლის დარღვევამ შეიძლება პლანეტის კლიმატის ცვლილებაზე მოახდინოს გავლენა. ადგილი აქვს აპკის ქვეშ სინათლის ინტენსივობის მკვეთრ შემცირებას, რაც ძა-

ლიან უარყოფითად მოქმედებს წყალსატევებში მიმდინარე ფოტოქიმიურ და ბი-ოქიმიურ პროცესებზე, ხდება წყალსატევებში არსებული ცოცხალი ორგანიზმების განადგურება. მოქცევის ზონაში ადგილი აქვს პლანქტონების, მცირე ზომის მცენარეებისა და ფრინველების განადგურებას. ჩრდილოეთ ზღვასა და ჩრდილო ატლანტიკიკაში ნავთობით გაბინძურების შედეგად წელიწადში იღუპება 150-450000 ფრინველი. ყურეებში, სადაც შენელებულია წყლის მიმოცვლა, შემჩნეულია ზღვის ფლორისა და ფაუნის სრული განადგურება.

ფიტოპლანქტონების მასიურმა განადგურებამ შეიძლება გამოიწვიოს დედამინაზე ჟანგბადის ბალანსის სერიოზული დარღვევა, რადგან ზოგიერთი მონაცემებით ჟანგბადის დაახლოებით 70% პროდუცირდება ფიტოპლანქტონებით.

როგორც აღნიშნული იყო, განსაკუთრებული ტოქსიკურობით (ძლიერი კანცეროგენური თვისებებით) გამოირჩევა პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები. წყლებში ნავთობის ძალიან მცირე კონცენტრაციების დროსაც კი შესაძლებელია ზღვის ბიოტების ორგანიზმების დაზიანება მათ ქსოვილებში არომატული ნახშირწყალბადების დაგროვების შედეგად, რასაც ადგილი აქვს ნავთობით დაბინძურებულ არეში ცოცხალი ორგანიზმების დიდი ხნით ყოფნის შემთხვევაში. ტულონის პორტში დაჭერილ საჭმელ მოლუსკებში კანცეროგენურ ნივთიერებათა შემცველობა (მშრალ ნაშთზე გაანგარიშებული) 1,3-3,4 მგ/კგ შეადგენდა. ზღვის მოზრდილი ორგანიზმების სიკვდილს იწვევს ხსნარში არომატული ნახშირწყალბადების  $10^{-2}$ - $10^{-4}$ % კონცენტრაცია, ხოლო ქვირითებისათვის ეს კონცენტრაციები გაცილებით დაბალია.

კანცეროგენური პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების დაგროვება საჭმელ მოლუსკებსა და თევზებში დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას მათი საკვებად მოხმარების შემთხვევაში.

გარემოში მოხვედრილი ნავთობი რთულ ტრანსფორმაციას განიცდის. მასში შემავალი დაბალმოლეკულური ნაერთები ორქლდება, ნაწილი ნაერთებისა იხსნება წყალში, ნაწილი იუანგება და ა.შ. ასე რომ, ნაწილობრივ მიმდინარეობს გარემოს თვითგანმენდა.

დაკვირვებების შედეგად დადგენილია, რომ წყალსატევებში ზედაპირზე განთხმული ნავთობის თხელი ფენის 25% რამოდენიმე დღეში ქრება.

ნავთობისაგან ოკეანის თვითგანმენდისას მნიშვნელოვანია ჟანგვითი პროცესები, რომელთა შედეგად ნარმოქმნილი პროდუქტები წყალში ხსნადებია. ბუნებრივია, ჟანგვითი პროცესის სიჩქარე ჟანგბადის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ზედაპირზე დაუანგვის რეაქციის სიჩქარე 0,3 ტ/კმ<sup>2</sup> დღე-ლამეში, სიღრმეში კი 1 ლ. ნავთობის დასაუანგად 400მ<sup>3</sup> წყალში გახსნილი ჟანგბადია საჭირო.

აღსანიშნავია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბაქტერიოლოგიური ტრანსფორმაცია. ოკეანეში 200-მდე სახეობის „ნავთობგადამამუშავებელი“ ბაქტერია და სოკოა გავრცელებული, რომელთაც დღე-ლამეში 1მ<sup>3</sup> წყალში არსებული 1გ. ნავთობის გადამუშავება შეუძლიათ. უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის ძირითადი მასის ბიოქიმიური დაშლა მიმდინარეობს ძალიან ნელა, რადგან ბუნებაში არ არსებობს მიკროორგანიზმების სახეობა, რომელთაც შეუძლიათ ნავთო-

ბის ყველა კომპონენტის დაშლა. ისინი ხასიათდებიან მაღალი სელექციურობით, ნავთობის სრული დაშლისათვის კი საჭიროა მრავალი სხვადასხვა სახის ბაქტე-რიის მოქმედება; ამასთანავე ამ დროს წარმოქნილი შუალედური პროდუქტების შემდგომი დაშლისათვის საჭიროა ასევე სხვა სახის (ამ პროცესების შესაბამისი) სპეციფიკური მიკროორგანიზმები.

ყველაზე ადვილად მიკრობიოლოგიურ დაშლას განიცდიან პარაფინები, უფ-რო მდგრადებია ციკლოპარაფინები და ყველაზე მდგრადები – არომატული ნახ-შირნყალბადები, რომლებიც ოკეანეში რჩებიან უცვლელად.

ულტრაიისფერი სხივები არსებითად აჩქარებს კომპონენტების დესტრუქ-ციას, მაგრამ ეკოლოგიური თვალსაზრისით ეს პროცესები სასურველი არ არის, რადგან ფოტოლიზის პროდუქტები პიდრობიოტებისათვის ძლიერ ტოქსიკუ-რებია.

ზღვის წყალში ნავთობის მძიმე ფრაქციები არ იშლებიან, ისინი წყალთან წარმოქმნიან მდგრად ემულსიებს, რასაც ხელს უწყობს წყალსაცავებში შეტივ-ნარებული ორგანული ნაწილაკები, ბაქტერიები და პლანქტონები. დროთა გან-მავლობაში ემულსიები კოაგულირდებიან ფისოვანი, შესქელებული მასების სა-ხით, რომლებიც წყლის ზედაპირზე დაცურავენ და მოქცევის დროს გამოიდევ-ნებიან სანაპიროებზე, ახდენენ პლიაზების, საპორტო დანადგარების დაბინძუ-რებას.

წყლის არები ნავთობის ქიმიური დაუანგვის პროცესის სიჩქარე ბიოქიმიური დაუანგვის სიჩქარის 10-15% შეადგენს.

დაბალი ტემპერატურის პირობებში ნავთობის დაშლა კიდევ უფრო ნელა მიმდინარეობს. ამიტომ არქტიკულ ზღვებში ჩაღვრილი ნავთობი შეიძლება იმ-ყოფებოდეს 50 წლის მანძილზე და ინვევდეს წყლის ბიოცენოზის ნორმალური ცხოველმყოფელობის დარღვევას.

ნიადაგში მოხვედრილი ნავთობის გარდაქმნა უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ოკეანეში, რისი მიზეზია სუსტი აერაცია. ნიადაგში გაუმნილი ნავთობი ხვდება ნიადაგის ღრმულებში, სადაც ჰაერთან კონტაქტი შეზღუდულია. გარდა ამისა, ნიადაგებში ნავთობის მდგრადობას განაპირობებს მისი სორბცია ტორ-ფზე, ჰუმუსზე და ორგანულ-მინერალურ ნაწილაკებზე.

ნიადაგის თვითგანმენდის პროცესის სიჩქარე დამოკიდებულია ნავთობის შედგენილობაზე და ბიოკლიმატურ პირობებზე (ტემპერატურა, მიკროფლორა) და ა.შ.

გარდაქმნებში ყველაზე აქტიურად მონაწილეობენ პარაფინები, ძნელად არომატული, განსაკუთრებით პოლიციკლური არომატული ნაშირნყალბადები.

აღსანიშნავია, რომ აირშემცველ ნიადაგებში არსებობენ სპეციალური ბაქ-ტერიები, რომლებიც ახდენენ დაბალი რიგის პარაფინების დაუანგვას, ხოლო ნავთობშემცველ ნიადაგებში არსებობენ მიკროორგანიზმები, რომლებიც იკვე-ბებიან მაღალი რიგის პარაფინებით.

აღსანიშნავია, რომ ნიადაგების ნავთობისგან თვითგანმენდის პროცესი და-მოკიდებულია ასევე ნიადაგის ტიპზე.

განხილული მასალიდან გამომდინარე გარემოში დაღვრილი ნავთობის ლიკ-ვიდაცია მეტად მნიშვნელოვანია.

ნავთობის და ნავთობპროდუქტებისაგან ნიადაგების გასუფთავებისათვის შემუშავებულია რადიკალური მეთოდი – ნიადაგის გამოწვა. ეს მეთოდი მეტად შრომატევადია და გარდა ამისა, ხდება ნიადაგის ჰუმუსის დაწვა. ამ მიზნით უფრო ხშირად მიმართავენ ბიორემედიაციის მეთოდებს.

ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის მიზნით ძირითადად მოწოდებულია შემდეგი მეთოდები. მექანიკური შეგროვება, შეგროვება სორბენტების გამოყენებით და დაწვა.

ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის შესაგროვებლად გამოიყენება ე.ნ. „მტვერ-სასრუტის“ მეთოდი. ნავთობი შეიწოვება მძლავრი ტუმბოებით, გროვდება ტან-კერებში და წყლის მოცილების შემდეგ შესაძლებელია მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ.

ნავთობის შესაგროვებლად იყენებენ შემოღობვას ტივტივა ჯებირებით. უნდა ალინიშნოს, რომ ეს მეთოდი შრომატევადია და მხოლოდ წყნარ ამინდში გამოიყენება.

ახლადდაღვრილი ნავთობის განადგურება შესაძლებელია დაწვით. მაგრამ ამ მეთოდის გამოყენება სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან პროცესი უნდა ჩატარდეს ხანმოკლე დროში (ჩაღვრიდან 20-30 წთ-ში), როდესაც ნავთობის ლაქა ჯერ კიდევ კატასტროფის ზონაშია.

საინტერესო მეთოდია დაღვრილი ნავთობის შეგროვება ბუნებრივი (ნახერხი, ტორფი) და სინთეზური (ქაფპოლიურეთანების, ფენოლპლასტმასების) გამოყენებით. ამ მიზნით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქაფპოლიურეთანის ფხვნილის გამოყენება; მას შეუძლია შთანთქოს თავის მასაზე 18-ჯერ მეტი ნავთობი, რომელიც გამოიყოფა მექანიკური გამოწურვით, რის შემდეგ კვლავ შესაძლებელია საწყისი სორბენტის გამოყენება.

ნავთობის და ნავთობპროდუქტების შემცველობა გარემოს ობიექტებში ნორმირებულია.

სასმელ წყლებში მათი ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია 0,1 მგ/ლ შეადგენს. თევზმეურნეობისათვის გამიზნული წყლების მიმართ კი მოთხოვნა უფრო მკაცრია – 0,05მგ/ლ. ნიადაგებში დასაშვებია 1 გ/კგ-მდე ნავთობის შემცველობა. საჭიროა კონტროლი ნავთობგადამამუშავებელ ქალაქებში (მისგან გამდინარე წყლებზე) გადასატუმბ, შესანახ სადგურებზე.

გარემოს ნავთობით დაბინძურების შესაფასებლად მოწოდებულია შემდეგი ნივთიერების შემცველობის დადგენა: მსუბუქი ფრაქციების ( $t_{დან} < 200^{\circ}\text{C}$ ), პარაფინების და გოგირდის.

გარემოს დაცვის საერთაშორისო სააგენტოს (EPA) მიერ შემუშავებულია ნორმატიული დოკუმენტაცია, რომლის თანახმად ნავთობით და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ნიადაგში და წყალში აუცილებლია განისაზღვროს რიგი კომპონენტები, რომლებიც განსაზღვრავს ობიექტის დაბინძურების ხარისხს.

დამაპინძუ- რებელი პროდუქტი	ნიადაგის ანალიზი	ანალიზური მეთოდი	წყლის ანალიზი	ანალიზური მეთოდი
ეთოლირე- ბული საავი- აცო ბენზი- ნი, საავიაციო საწვავი	ბენზოლი ტოლუოლი ეთოლბენზოლი ქსილოლი (ჯამური) კუმოლი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილბენ- ზოლი 1,3,5 ტრიმეთილბენ- ზოლი 1,2 დიქლორეთანი 1,2 დიბრომეთანი ტყვია (ჯამური)	5035/8021B 5035/8260B 6010B ან 7420	ბენზოლი ტოლუოლი ეთოლბენზოლი ქსილოლი (ჯამუ- რი) კუმოლი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილ- ბენზოლი 1,3,5 ტრიმეთილ- ბენზოლი 1,2 დიქლორეთანი 1,2 დიბრომეთანი ტყვია (გაუხსნელი)	5035/8021B 5035/8260B 524.2 8011 ან 504.1 6020 ან 7421
არაეთილი- რებული ბენზინი	ბენზოლი ტოლუოლი ეთოლბენზოლი ქსილოლი (ჯამური) კუმოლი მეთილ-მეს.ბუთილე- თერი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილბენ- ზოლი 1,3,5 ტრიმეთილბენ- ზოლი	5035/8260B	ბენზოლი ტოლუოლი ეთოლბენზოლი ქსილოლი (ჯამუ- რი) კუმოლი მეთილ-მეს.ბუთი- ლეთერი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილ- ბენზოლი 1,3,5 ტრიმეთილ- ბენზოლი	5030B/8260B 524.2
ნავთი ზეთი 1	ბენზოლი ტოლუოლი ეთოლბენზოლი კუმოლი მეთილ-მეს.ბუთილე- თერი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილბენ- ზოლი 1,3,5 ტრიმეთილბენ- ზოლი ფლუორენი	5035/8260B 8270C ან 8310	ბენზოლი ტოლუოლი ეთოლბენზოლი კუმოლი მეთილ-მეს.ბუთი- ლეთერი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილ- ბენზოლი 1,3,5 ტრიმეთილ- ბენზოლი ფლუორენი	5030/8260B 524.2 8270C,8310 ან 525.2

დამაპინძუ- რებელი პროდუქტი	ნიადაგის ანალიზი	ანალიზური მეთოდი	წყლის ანალიზი	ანალიზური მეთოდი
დიზელის საწვავი ზეთი 2	ბენზოლი ტოლუოლი ეთილბენზოლი კუმოლი მეთილ-მეს.ბუთილე- თერი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილბენ- ზოლი 1,3,5 ტრიმეთილბენ- ზოლი ფლუორენი ფენანტრენი	5035/8260B  8270C ან 8310	ბენზოლი ტოლუოლი ეთილბენზოლი კუმოლი მეთილ-მეს.ბუთი- ლეთერი ნაფთალინი 1,3,4 ტრიმეთილ- ბენზოლი 1,3,5 ტრიმეთილ- ბენზოლი ფლუორენი ფენანტრენი	5030/8260B  8270C,8310 ან 525.2
ზეთი 4,5,6 საპოხი ზე- თები და სითხეები	ბენზოლი ნაფთალინი ფლუორენი ფენანტრენი პირენი ბენზო(ა)ანთრაცენი ქრიზენი ბენზო(ბ) ფლუორან- ტენი ბენზო(ა)პირენი ბენზო(გ,ჰ,I,) პერილე- ნი	5035/8021B 5035/8260B 8270C ან 8310	ბენზოლი ნაფთალინი ფენანტრენი პირენი ქრიზენი	5035/8021B 5035/8260B 524.2 8270C,8310 ან 525.2
ნამუშევარი მოტორული ზეთი	ბენზოლი ტოლუოლი ეთილბენზოლი კუმოლი ნაფთალინი პირენი ბენზო(ა)ანთრაცენი ქრიზენი ბენზო(ბ) ფლუორან- ტენი ბენზო(ა)პირენი ინდენო (1,2,3-cd) პირე- ნი ბენზო(გ,ჰ,I,) პერილე- ნი ტყვია (ჭამური)	5035/8021B 5035/8260B  8270C ან 8310  6010B ან 7420	ბენზოლი ტოლუოლი ეთილბენზოლი კუმოლი ნაფთალინი პირენი ბენზო(ა)ანთრა- ცენი ქრიზენი ბენზო(ბ) ფლუო- რანტენი ბენზო(ა)პირენი ინდენო (1,2,3-cd) პირენი ბენზო(გ,ჰ,I,) პე- რილენი ტყვია (გაუხსნელი)	5035/8021B 5035/8260B 524.2  525.2  6020 ან 7421

დამაპინძუ- რებელი პროდუქტი	ნიადაგის ანალიზი	ანალიზური მეთოდი	წყლის ანალიზი	ანალიზური მეთოდი
მინერალუ- რი ინდუს- ტრიული ზე- თი	PCB-1016 (AROCLOR) PCB-1221 (AROCLOR) PCB-1232(AROCLOR) PCB-1242 (AROCLOR) PCB-1248 (AROCLOR) PCB-1254 (AROCLOR) PCB-1260 (AROCLOR) 1,3,4 ტრიმეთილბენ- ზოლი 1,3,5 ტრიმეთილბენ- ზოლი	8082  5035/8021B  5035/8260B	PCB-1016 (AROCLOR) PCB-1221 (AROCLOR) PCB- 1232(AROCLOR) PCB-1242 (AROCLOR) PCB-1248 (AROCLOR) PCB-1254 (AROCLOR) PCB-1260 (AROCLOR) 1,3,4 ტრიმეთილ- ბენზოლი 1,3,5 ტრიმეთილ- ბენზოლი	8082  5035/8021B  5035/8260B

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Богомолов А.И., Гайле А.А., Громова В.В. “Химия нефти и газа”. Л.: Химия, 1989.
2. Эрих В.Н., Расина М.Г., Рудин М.Г. “Химия и технология нефти и газа”. Л.: Химия, 1985.
3. Магарил Р.З. “Теоретические основы химических процессов переработки нефти”. М.: изд. КДУ, 2008.
4. Наметкин С.С. “Химия нефти”. М.: изд. АН СССР 1955.
5. Леффлер У.Л. “Переработка нефти”. М.: изд. ЗАО Олимпбизнес, 2003.
6. Бардук Д.Л., Леффлер У. Л. “Нефтехимия”. М.: изд. ЗАО Олимпбизнес, 2003.
7. Петров Ал.А. “Углеводороды нефти”. М.: Наука, 1984.
8. Сергиенко С.Р. “Высокомолекулярные соединения нефти”. М.: Химия, 1964.
9. სუპატაშვილი გ., ქაჯაიძე გ. „გარემო და ადამიანი“, თბილისი, თსუ, 2001.
10. Орлов Д.С., Садовникова Л.К., Лозановская И.Н. “Экология и охрана биосферы при химическом загрязнении”. М.: Высшая школа, 2002.
11. Гуреев А.А., Фукс И.Г., Лашхи В.Л. “Химмотология”. М.: Химия, 1986.
12. თევზაძე ნ., ლილუაშვილი ი., მგელაძე ზ. „ლეგენდა და სინამდვილე ნავთობ-ზე“. გამომცემლობა „ეკომობილი“, თბილისი, 1998.
13. ნანიკაშვილი ლ. „ნავთობის მოპოვების ისტორია საქართველოში“. თბილისი, 2001.
14. ვახანია ე., პაპავა დ. „მაცოცხლებელი შადრევანი“. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 1996.
15. Вахания Е.К., Мгеладзе З.В., Русадзе А.Н. “Нефтяные месторождение Грузии”. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2000, №2.
16. Нефтепродукты, масла, смазки, присадки. Москва, издательство стандартов, 1987.
17. სუპატაშვილი გ., „გაეროს ქიმია (ეკოქიმია)“. თბილისი, თსუ, 2009.

გამომცემლობის რედაქტორი  
გარეკანი  
კომპ. უზრუნველყოფა

მაია ეჯიბია  
თინათინ ჩირინაშვილი  
ლალი კურდლელაშვილი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 I. Chavchavadze Ave., Tbilisi, 0128  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge) 995(32) 25 14 32